საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№32 (267)
10 - 16 სექტემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

7 გუგულის ბუდეს დიდმა ვერტმფრენმა გადაუფრინა

# ფრთხილად, წინ მაიდანია!

ერთი წამით წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი ხელისუფლების წაყრუებით «ნაცმოძრაობამ» მოახერხა მოკავშირე აშშ-ის საელჩოსა და მმართველ გუნდში «გადაპორტირებული მიძინებული დამქაშების» მეშვეობით თბილისში მაიდნის გამეორება... 4




«ისე ირევა სიტუაცია, რომ ხდება ის, რაც უკრაინაში. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ქუჩაში დაგდებულ ძალაუფლებას, ანუ რევოლუციური სცენარი»




## თბილისშიც მზადდება ევრომაიდანი, ანუ სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაცია 5

## «სექტემბრის ბოლოს ევროკავშირში იგეგმება ძალიან მნიშვნელოვანი შეკრება სააკაშვილის მონაწილეობით, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ იქნება მიმართული» 6



2 რა თანამდებობა ეკავა ვანო მერაბიშვილის სიდედრს თბილისის მერიაში?

12 ვინ ჩაიგდო ხელში პატარკაციშვილისა და კოდუას საუბრის ჩანაწერი, რომელიც «იმედის» ეთერში უნდა გასულიყო

14 დაიღუპა ფრონტის ხაზზე პროფესიული მოვალეობის შესრულებისას

19 კონტექსტიდან ამოგლეჯილები, ანუ როგორ დარჩა პირში ჩალაგამოვლებული მანუელ ბაროზუ

22 «ისლამური სახელმწიფო» — დასავლეთის თავში მოხვედრილი მორიგი ბუმერანგი

## უკრაინული სუიციდის ანატომია 8



## სახელმწიფო უნივერსიტეტს ისევ «ნაციონალების» მიერ დანიშნული კადრები განაგებენ 11



## ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს სახელმწიფო ვალმა 9, 5 მილიარდი ლარი შეადგინა



**2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო ვალმა 9,5 მილიარდი ლარი შეადგინა. აქედან სახელმწიფო საშინაო ვალის მთლიანი მოცულობა 2,3 მილიარდი ლარია, საგარეო ვალისა კი – 7, 2 მილიარდი.** ფინანსთა სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წლის 6 თვის მდგომარეობით, ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე 383.1 მლნ ლარი მიიმართა; საშინაო ვალის დაფარვაზე — 16.0 მლნ ლარი, ხოლო მომსახურებაზე – 50.1 მლნ ლარი. რაც შეეხება საგარეო ვალს, მისი დაფარვისათვის 2014 წლის 6 თვეში მიიმართა 247.9 მლნ, ხოლო მომსახურებისათვის — 69.1 მლნ ლარი.



# რა თანამდებობა ეკავა ვანო მერაბიშვილის სიდედრს თბილისის მერიაში?

**„ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების ნათესავები, რომლებიც სამსახურში არ დადიოდნენ, თანამდებობებიდან გავათავისუფლეთ," — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.**

მაგალითისათვის მან ვანო მერაბიშვილის სიდედრი მოიყვანა, რომელიც თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურში იყო გაფორმებული და ხელფასს ისე იღებდა, სამსახურში არ დადიოდა... „ყველა, ვინც მოინდომებს საბოტაჟს ან არ ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია, მომავალშიც გათავისუფლდება სამსახურიდან", — განაცხადა ნარმანიამ.



# ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციელებს კონტროლის გამკაცრებისკენ მოუწოდა

**კახეთში სტუმრობისას პრემიერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პოლიტიკური ოპონენტებმა მიზანმიმართულად დანერგეს ტერმინი — რეიდი, რათა მოქალაქეებს გაუჩინონ ნეგატიური ასოციაცია ბნელ წარსულთან. ღარიბაშვილის განცხადებით, ეს არის ჩვეულებრივი, ევროპაში აპრობირებული საპოლიციო კონტროლი და პრევენციული ღონისძიებები, რომელთა გატარების სრული უფლება აქვს პოლიციას.**

„მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო პოლიციელებს, მაქსიმალურად გაამკაცრონ კონტროლი. მათ აქვთ ამის კანონით მინიჭებული სრული უფლება და ის ისტერიკა, რომელიც ამ დღეებში გვესმოდა, მიმართული იყო პირადად მინისტრისა და სამინისტროს დისკრედიტაციისკენ. პროცესი არის მაქსიმალურად გამჭვირვალე, ჩვენ არაფრის დამალვა არ გვჭირდება. მთავარია, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ სიმშვიდის განცდა. ჩვენს ოპონენტებთან საუბარს აზრი არ აქვს, მაგრამ თქვენი და ჩვენი მოქალაქეების გასაგონად ვამბობ — სიტუაცია არის კონტროლის ქვეშ და არავითარი გაუარესება არ ყოფილა. პირიქით, გვაქვს საგრძნობი კლება და დღეს მიმდინარე ღონისძიებები მიმართულია იმისკენ, რომ იყოს მეტი წესრიგი და დისციპლინა და ბაღებში და სკვერებში, სადაც ბავშვები და დედები დადიან, არ ხდებოდეს ღრეობა, სმა, გინება და ჩხუბი. კრიმინალთან ბრძოლაში ჩვენ ვართ აბსოლუტურად უკომპრომისო და არავითარი დათმობა არ იქნება", — განაცხადა ღარიბაშვილმა.



# ნინო ბურჯანაძე: უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების შანსი არ აქვს!

**„ბოლო 18 წლის განმავლობაში გამუდმებით ველოდით, რომ სიტყვები „ნატოს კარი ღიაა" რეალობად იქცეოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კარი საქართველოსთვის დახურულია!" — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ 8 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე. მისი აზრით, ხელისუფლების საუბარი ნატოს სამიტზე მიღწეული წარმატებების შესახებ ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა.**

„კიდევ 18 ან 38 წელი ველოდოთ, იქნება მუდმივი ძახილი, რომ ნატოს კარი ღიაა, სინამდვილეში კი ყველა კონკრეტული სამიტის შემდეგ მივიღებთ არა იმას, რასაც ველით, არამედ იმას, რასაც ხალხის წინაშე გავასაღებთ, როგორც უკეთესს, ვიდრე ველოდებოდით. ეს არის საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა, რასაც დღეს აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, როდესაც ლაპარაკობს, რომ ნატოს სამიტი საქართველოსთვის დიდი წარმატება იყო. ეს სამიტი ჩვენი ქვეყნისთვის წარმატება ნამდვილად არ ყოფილა, ჩვენ ვერ მივიღეთ მაპი, რომელიც ყველა იმ ადამიანის მოლოდინი შეიძლება იყოს, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ ილუზიები, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება. ვნახეთ, რა დაემართა უკრაინას და პირდაპირ შემიძლია ვთქვა: ისევე, როგორც 2008 წელს მიხეილ სააკაშვილმა თავისი უპასუხისმგებლო მოქმედებებით დააქცია საქართველო, პოლიტიკოსთა ნაწილმა თავისი უპასუხისმგებლო მოქმედებებით უმძიმესი კრიზისის წინაშე დააყენა უკრაინა. დღეს ლაპარაკი იმაზე, ვინ რა წააგო და ვინ რა მოიგო, არასერიოზულია. უკრაინა დამარცხდა, ძალიან ბევრი რამ დაკარგა და, სამწუხაროდ, ის აღარასოდეს იქნება ისეთი ქვეყანა, როგორიც იყო. ჩვენ ვხედავთ, რომ ყირიმზე საერთაშორისო საზოგადოება აღარაფერს ლაპარაკობს და დიდ მიღწევად ჩაითვალა, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე მოხერხდა მოლაპარაკება. ეს ჩვენთვის უნდა იყოს მწარე გაკვეთილი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების შანსი არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნატოს სამიტზე მაპის მიღების შესაძლებლობა უნდა გვქონოდა", — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



# თბილისის მერიის ყოფილი ხელმძღვანელობა ხელფასზე მეტი ოდენობის დანამატს იღებდა

**ტელეკომპანია „იმედის" მიერ მოპოვებული დოკუმენტის მიხედვით, ვიცემერი სევდია უგრეხელიძე 2014 წლის განმავლობაში ხელფასს — 2 950 ლარს, დანამატს — 3 600 ლარზე მეტს, პრემიას კი 2 900 ლარზე მეტს იღებდა.**

„იმედის" ცნობით, 2013 წლის განმავლობაში უგრეხელიძეს ანგარიშზე, საერთო ჯამში, 89 ათას ლარზე მეტი დაერიცხა, საიდანაც ხელფასი მხოლოდ 30 ათასი ლარი იყო.

დოკუმენტი შეიცავს მონაცემებს მერიის მაღალჩინოსნების: ირაკლი აბესაძის, პაპუნა პეტრიაშვილის, დავით ნინიძის, დავით ალავიძის, ტარიელ ხიზანეიშვილის, შოთა ხიზანიშვილის მიერ აღებული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

მაგალითად, „იმედის" ინფორმაციით, შოთა ხიზანიშვილს შარშან წლის განმავლობაში 101 ათას ლარზე მეტი შემოსავალი აქვს მიღებული, საიდანაც ხელფასის ოდენობა მხოლოდ 31 ათას ლარს შეადგენდა.



# პოლიციელისა და მოქალაქის უფლებები

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტის — მაია ხუციშვილის განცხადებით, პოლიციელს უფლება აქვს, პიროვნება გააჩეროს და ზედაპირულად შეამოწმოს, რაც ჩხრეკას არ გულისხმობს. გონივრული ეჭვის საფუძველზე კი, როგორც იურისტი აცხადებს, პოლიციელს აქვს ადმინისტრაციული გასინჯვისა და დაკავების უფლება.**




„ზედაპირული შემოწმება არ ნიშავს იმას, რომ პირი გაჩხრიკოს და ჯიბეები გადმოუბრუნოს. თუ ამ ადამიანს გარეგნულად ეტყობა, რომ აქვს იარაღი და ვიზუალურად ჩანს, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ჩხრეკა ჩატარდეს.

პოლიციელს აქვს უფლება, პირს მოსთხოვოს იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ გაჩნდება ეჭვი, რომ პირი, შესაძლოა, წარსულში ნასამართლევია ან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს, ან იმყოფება ალკოჰოლური (ნარკოტიკული) თრობის ქვეშ, შესაძლებელია, მოხდეს მისი შემოწმება", — განაცხადა მაია ხუციშვილმა. მისივე თქმით, პოლიციის შესახებ კანონი განმარტავს, რომ შემოწმება არ უნდა ლახავდეს პირის პატივსა და ღირსებას. არ უნდა იქნას გამოყენებული მის მიმართ წამება, არაადამიანური მოპყრობა და ა. შ.

იურისტის განმარტებით, თუკი მოქალაქე მიიჩნევს, რომ პოლიციელმა უფლებამოსილებას გადააჭარბა, მას შეუძლია განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ამ პირის მიმართ რეაგირება.

„ჩხრეკა სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება. ჩხრეკას სხვა საფუძვლები სჭირდება — დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და დოკუმენტების ერთობლიობა იძლევა ამის ვარაუდს. ეს ვარაუდი ქუჩაში გაჩერებული პირის მიმართ, ერთი შეხედვით, არ ვიცი, შეიძლება ჰქონდეს თუ არა ჰქონდეს პოლიციელს", — აღნიშნა ხუციშვილმა.

რაც შეეხება მოქალაქის უფლებას, მისი განმარტებით, პირს უფლება აქვს, გაიგოს იმ პოლიციელის ვინაობა, რომელიც გააჩერებს.

საიას წარმომადგენელი ასევე აცხადებს, რომ პოლიციელს არ აქვს ტელეფონის შემოწმების უფლება რეიდის დროს, რადგან ამ შემთხვევაში ეს პირადი მონაცემებია და ამისთვის სჭირდება არგუმენტი, თუ რატომ აკეთებს ამას.

# დაავადებათა კონტროლის სამსახურმა მშობლებს რეკომენდაციებით მიმართა

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და მშობლებს რეკომენდაციებით მიმართა.**

„წითელას ეპიდაფეთქების პრევენციის მიზნით, საქართველოში სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებისდაგვარად უზრუნველყოთ: აღსაზრდელებისა და მოსწავლეების მისაღებად დამტკიცებული დოკუმენტაციის ჩამონათვალში (ფორმა 100/ა „ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ" პუნქტში „ინფორმაცია ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ") მონაცემების შემოწმება ასაკობრივად ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ; ეპიდჩვენებით აცრების ჩატარების, ეპიდემიური აფეთქებების და (ან) ეპიდემიების დროს მაქსიმალური მხარდაჭერა გაუწიოთ ტერიტორიულ რაიონულ (მუნიციპალურ) საზოგადოებრივი ჯანდაცის ცენტრებს საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ვაქცინაციისა და სხვა აუცილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად მშობლებს გთხოვთ, გადაამოწმოთ ბავშვის ვაქცინაციის სტატუსი და ასაკის შესაბამისი აცრები ჩაუტაროთ თქვენს შვილებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში; ასევე, დროულად წარადგინოთ აცრების შესახებ სათანადო ინფორმაცია საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში მოთხოვნის შესაბამისად სასწავლო პროცესის დაწყებამდე", — აღნიშნულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გაერო: უკრაინაში მშობლიური კერა მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა

**უკრაინაში რაოდენობამ იმ ადამიანებისა, რომლებმაც შეიარაღებული დაპირისპირების გამო მშობლიური კერა დატოვეს, მილიონს გადააჭარბა.** ეს მონაცემები 2 სექტემბერს გამოაქვეყნა ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველომ. იმ ადამიანებიდან, რომლებმაც მშობლიური კერა მიატოვეს, 260 ათასი — ადგილმონაცვლეა, 814 ათასმა კი თავი რუსეთს შეაფარა.

## The Guardian: ნატო მშვიდობას საფრთხეს უქმნის!



**სამხედრო ალიანსმა, რომელიც წლების განმავლობაში ცდილობდა, გაემართლებინა თავისი არსებობა, ნიუპორტში, ნატოს უელსის სამიტზე მრავალი საკითხით დატვირთული პროგრამა წარმოადგინა. ავღანეთის სისხლიანი ოკუპაციისა და ლიბიაში ინტერვენციის შემდეგ ნატომ, როგორც იქნა, გამოძებნა შესაფერისი მოწინააღმდეგე — „რუსეთის აგრესია“, — წერს პოპულარული ბრიტანული გამოცემა „გარდიანის“ მიმომხილველი შეიმას მილნი.**



„კრიზისის პროვოცირება გამოიწვია უკრაინის შეყვანის მცდელობამ რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ალიანსში. ეს ხდებოდა უკრაინელთა დიდი ნაწილისა და იმჟამინდელი კანონიერი ხელისუფლების პროტესტის მიუხედავად“, — წერს მილნი და ასკვნის, რომ „ნატო მშვიდობას, დაცვის ნაცვლად, საფრთხეს უქმნის“.

„ასე იყო 1949 წელს ნატოს შექმნის დღიდანვე — ცივი ომის პიკზე, ვარშავის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე 6 წლით ადრე, ეს ორგანიზაცია თითქოს საბჭოთა საფრთხისგან თავის დასაცავად შეიქმნა.

**ახლა ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ალიანსი 4 ათეული წლის განმავლობაში იყო მშვიდობის გარანტი ევროპაში, მაგრამ სინამდვილეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ საბჭოთა კავშირს ოდესმე განზრახული ჰქონდა თავდასხმა“,** — ნათქვამია სტატიაში.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია დაიშალა, ნატო — არა, მიუხედავად ამისა, ამ ალიანსმა არსებობის მიზეზი დაკარგა.

„საფრთხეები, რომლებიც გაამყარებდა ნატოს განცხადებას აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების შესახებ, თითქმის არ არსებობს. იარაღის მიწოდება და დონბასელი ამბოხებულებისთვის ფარული მხარდაჭერა სრულიად სხვა საქმეა. ასევე იქცეოდნენ ნატოს ქვეყნები — აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი — მსოფლიოში, ნიკარაგუით დაწყებული, სირიითა და სომალით დამთავრებული. ამიტომ იდეა, რომ უკრაინაში რუსეთმა ჰიბრიდული ომის ახალი ფორმა გამოიგონა, აბსურდულია.

**«უკრაინაში კრიზისი გამოიწვიეს ნატომ და ევროკავშირმა და არა რუსეთმა. სწორედ დასავლეთის ქვეყნები ეწინააღმდეგებიან ვითარების მოგვარებას მოლაპარაკებების გზით»**

უკრაინაში კრიზისი გამოიწვიეს ნატომ და ევროკავშირმა და არა რუსეთმა. სწორედ დასავლეთის ქვეყნები ეწინააღმდეგებიან ვითარების მოგვარებას მოლაპარაკებების გზით.

**ნატოს მოსწონს თავის წარმოჩენა საერთაშორისო თანამეგობრობის ნაწილად, მაგრამ სინამდვილეში ის მსოფლიოს მდიდარი ქვეყნებისა და მათი სატელიტების ინტერვენციული და ექსპანსიური სამხედრო კლუბია, რომელსაც დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების გასატარებლად იყენებენ. უკრაინის მაგალითზე ჩანს, რომ ნატო მშვიდობას, დაცვის ნაცვლად, საფრთხეს უქმნის“**, — ასკვნის შეიმას მილნი.

## რობერტ მერი: ბარაკ ობამამ რეალობასთან კავშირი დაკარგა!

**„უკრაინაში კრემლმა თეთრ სახლზე წმინდა გამარჯვება მოიპოვა. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უკრაინის კრიზისისადმი თავისი დამოკიდებულებით რეალობასთან კავშირი დაკარგა,“ — ასეთია არსი პოლიტიკურ გამოცემა „ნეშენლ ინტერესტ“-ში გამოქვეყნებული წერილისა, რომლის ავტორია ამავე გამოცემის პოლიტიკური რედაქტორი, აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე მრავალი წიგნის ავტორი რობერტ მერი.**






„როგორც ჩანს, პრეზიდენტი ობამა ვერც კი აცნობიერებს, რა დაატყდა თავს გასულ კვირას უკრაინაში. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მასზე წმინდა გამარჯვება მოიპოვა. მიუხედავად ამისა, აშშ-ის პრეზიდენტი ისე ლაპარაკობს, თითქოს ამ საკითხზე მის თვალსაზრისს კიდევ რამე მნიშვნელობა აქვს. შეუთავსებლობა ადგილზე არსებულ რეალობასა და ჩვენი პრეზიდენტის ნათქვამს შორის მიუთითებს იმაზე, რომ ობამამ დაკარგა კავშირი რეალობასთან“.

ამ რადიკალური დასკვნების გაკეთების საფუძველი რობერტ მერის უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის პირობებზე რუსეთის ლიდერის წინადადებებმა მისცა.

**„დიპლომატიურ დრამაში უკრაინის, რუსეთისა და დასავლეთის მონაწილეობა — ეს იყო კოლოსალური მნიშვნელობის მოვლენა“**, — წერს პოლიტოლოგი.

რობერტ მერის აზრით, ობამა, რომელიც რუსეთისგან გარკვეულ საკითხებში დათმობას მოითხოვს, „ისე იქცევა, თითქოს მის სიტყვებს რამე ძალა აქვს“. იმის გათვალისწინებით, რაც ახლახან უკრაინაში მოხდა, ეს არ არის სერიოზული ადამიანის სიტყვები. სინამდვილეში ვითარების მოგვარება რეალურად მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მხარეები გააცნობიერებენ, ფუნდამენტური ძალების რა დიფერენციალები არსებობს. ამას ხვდება პოროშენკო, ობამა კი, როგორც ჩანს, — ვერა.

**„სიტყვებით ბრძოლა იმ მომენტში, როცა ძალა თელავს პოლიტიკას, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ჩვენი პრეზიდენტი საგონებელშია, თითქოს ვერ აცნობიერებს, რა ხდება. ეს არ არის ის შთაბეჭდილება, რომელიც დიდმა სახელმწიფომ უნდა დატოვოს“.**

რობერტ მერის ეს წერილი გასულ კვირას გამოქვეყნდა, იმ მომენტში, როცა დასავლური პრესა შეშფოთებული წერდა, რომ კიევის მოქმედმა ხელისუფლებამ ცეცხლის შეწყვეტის წინ გამანადგურებელი მარცხი განიცადა.

THE NATIONAL INTEREST

IREX

## ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია ანტიაზერბაიჯანულ ძალად მიიჩნიეს

**აზერბაიჯანის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია IREX-ის ბაქოს განყოფილების ოფისში შეიჭრნენ. მათ IREX-ის თანამშრომლებს კომპიუტერები და დოკუმენტები ჩამოართვეს, — იუწყება რადიოსადგურ „თავისუფლების“ აზერბაიჯანული რედაქცია.**

IREX-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამართალდამცველ ორგანოებს ჰქონდათ ოფისის ჩხრეკის სამართლებრივი სანქცია, მაგრამ შტურმის საფუძველი — არა. არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ოფისი მსოფლიოს 125 ქვეყანაში აქვს და რომელიც მოწოდებულია, მხარი დაუჭიროს დემოკრატიის განვითარებას, 31 ივლისს საბანკო აქტივები გაუყინეს აზერბაიჯანში.

ბაქოში ანგარიშები გაუყინეს, აგრეთვე, ორგანიზაცია Transpareney International-სა და ნაციონალურ დემოკრატიულ ინსტიტუტს (NDI). ენ-დი-აიმ უკვე დახურა თავისი ოფისი აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის აპარატის ხელმძღვანელმა და მრჩეველმა საშინაო პოლიტიკის საკითხებში — რამიზ მეხტიევმა განაცხადა, რომ დამოკიდებული მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ „ანტიაზერბაიჯანულ ძალას“, რომელიც უცხოეთიდან ფინანსდება.



## ალ ბანო: მსოფლიოს დესტაბილიზაცია ამერიკელებმა დაიწყეს!

**„პოპულარულმა იტალიელმა მომღერალმა ალ ბანომ საჯაროდ დაუჭირა მხარი რუსეთის პოლიტიკას აღმოსავლეთ უკრაინაში“, — წერს იტალიური გამოცემა Corriere della Sera.**

„ვფიქრობ, პუტინი მართალია. უკრაინის ეს ნაწილი რუსეთის იყო და რუსულია. იქ ადამიანები იმისთვის იბრძვიან, რომ რუსებად დარჩნენ. ეს ისეთივეა, როგორც ისტორიის (ნახევარკუნძული ადრიატიკის ზღვაში, ხორვატიის ჩრდილოეთში. მისი მცირე ნაწილი ეკუთვნის იტალიასა და სლოვენიას) პრობლემა: ცნობილია, რომ ის იტალიურია, თუმცა დავემორჩილეთ დიდი სახელმწიფოების დიქტატს და დავთმეთ. ყირიმში ჩატარდა რეფერენდუმი, მოსახლეობის 90 პროცენტმა მხარი რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას დაუჭირა და ეს გათვალისწინებული იქნა...

პუტინს დიქტატორს ეძახიან, მაგრამ მის მხარეზე ხალხია. რაც შეეხება მსოფლიოს „დესტაბილიზაციას“, ეს ამერიკელებმა დაიწყეს 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. ბუშისთვის არავის არაფერი დაუშავებია, მაგრამ მან მოკლა სადამ ჰუსეინი, რომელიც საფრთხეს არავის უქმნიდა.

გვერდები მოამზადა
ნიკა გელაშვილმა

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაიდნისკენ გვიბიძგებენ. მაიდნისკენ, რომლის სცენარის ავტორები აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და, საზოგადოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არიან მოკალათებულნი; პრეზიდენტ ობამასი, რომელიც, საერთო აღიარებით, აშშ-ის ისტორიაში ყველაზე უარესი პრეზიდენტია.**

# ფრთხილად, წინ მაიდანია!

**ყოფილი მერი და სააკაშვილის მარჯვენა ხელი გიორგი უგულავა აგვისტოს გაგანია სიცხეში „მატროსოვის ციხეში“ დაჯდა და ლენინის აპრილის თეზისების მაგალითით დაიწყო წერა ანდერძისა დავით კეზერაშვილისა თანა.**

## «ისე ირევა სიტუაცია, რომ ხდება ის, რაც უკრაინაში. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ქუჩაში დაგდებულ ძალაუფლებას, ანუ რევოლუციური სცენარი»




რევოლუციისთვის ემზადება ციხეში მჯდარი უგულავა და, როგორც ძველი რევოლუციონერი, ახალი „რევოლუციისთვის“ რაზმავს პარტიასა და ხალხს.

„პარტია გადარჩა, — წერს გიგი, — ერთიანობა შევინარჩუნეთ, მარტივად ვთქვათ, ჩართეთ ტელევიზორი — ჩვენ გარეშე არ შედგება და არც დგება შოუ სახელად საქართველოს პოლიტიკა“.

**საქართველოს პოლიტიკა ყოფილა ტელეშოუ, არც მეტი, არც ნაკლები. ეს აშშ-ის მარიონეტები შოუს პრინციპით მართავდნენ ქვეყანას, მთავარი შოუმენის — მიხეილ სააკაშვილის მეთაურობითა და წინამძღოლობით**.

ჩვენი, ხალხის, ბრალია, ასეთი მატრაბაზების ხელში რომ ჩავაგდეთ საქართველო.

რაო, რა მინდაო უგულავამ?

„სრული აპოკალიფსური სურათის შექმნა“, „ყოველდღე თუ არა, კვირაში სამჯერ სექტორალური პატარ-პატარა აქციებით“; „შემოდგომაზე კი აუცილებელია ერთი ტალღის გაკეთება, მარტო ერთდღიანი აქცია არ ივარგებს, არ კმარა“; „პატარ-პატარა კრიზისებით დავიწყოთ და ამ შემოდგომაზე ერთი დიდი კრიზისი გავუჩალიჩოთ“.

რისთვისაა საჭირო ეს დიდ-პატარა კრიზისები?

საჭიროა, სიტუაციის ასარევად: **„ისე ირევა სიტუაცია, რომ ხდება ის, რაც უკრაინაში. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ქუჩაში დაგდებულ ძალაუფლებას, ანუ რევოლუციური სცენარი“.**

ამისთვის რაა საჭირო? — **„უნდა ვიყოთ პროვოკაციულები და ყოველ ნაბიჯზე უნდა იყოს ჯოჯოხეთი“.**

გებელსივით ალაპარაკდა უგულავა: „ჩვენ უნდა ვიყოთ პროვოკაციულები“, ადოლფ ჰიტლერის „მაინ კამპფის“ ჭრილში, რომელიც ფაშისტების ფიურერმა ქალაქ ლანდსბერგის ციხეში პატიმრობისას უკარნახა ემილ მორისს.

ამ ნაცოდვილარში, რომელიც ააშკარავებს ავტორის პრობლემებს ლოგიკასთან, ერთი მთავარი, მზაკვრული და ანტიხალხური მომენტია გამოკვეთილი, ერთი ამოცანა, რომელიც „ნაცებისთვის“ არსებულ ვითარებაში განსახორციელებელი ტაქტიკის კვინტესენციაა: **საქართველოში უნდა მოხდეს ის, რაც უკრაინაში.**

მაიდნისკენ გვიბიძგებენ.

მაიდნისკენ, რომლის სცენარის ავტორები აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და, საზოგადოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არიან მოკალათებულნი; პრეზიდენტ ობამასი, რომელიც, საერთო აღიარებით, აშშ-ის ისტორიაში ყველაზე უარესი პრეზიდენტია.

ამ უარესმა პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა რატომ (ან როგორ) უნდა უზრუნველყოს სხვა ხალხების კეთილდღეობა, დაამყაროს სხვა ქვეყნებში მშვიდობა და სტაბილურობა?!

ნონსენსია!

**ერთი წამით წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი ხელისუფლების წაყრუებით უგულავამ და კომპანიამ, ანუ «ნაცმოძრაობამ» მოახერხა მოკავშირე აშშ-ის საელჩოსა და მმართველ გუნდში «გადაპორტირებული მიძინებული დამქაშების» მეშვეობით თბილისში მაიდნის გამეორება... მერე ისიც წარმოიდგინეთ, ვის მიუქსევს ამ მეიდნის შედეგად ხელისუფლებაში წამოსკუპებულ მარიონეტებს ჩვენი «სტრატეგიული პარტნიორი» და რა ჩიტს დავიჭერთ ამ მიქსევისგან...**

უკრაინის მაგალითი ადასტურებს (ერაყს, ავღანეთს, ლიბიას და ა. შ. თავი დავანებოთ), რომ მარიონეტული პოლიტიკის ფარვატერში ჩადგომა მხოლოდ კრიზისების მომტანია, ხოლო უკრაინის შემთხვევაში ძმათამკვლელ ომს, ქვეყნის დანაწარევრებას, ეკონომიკის მოშლასა და, საერთოდ, პერსპექტივის უქონლობას ნიშნავს.

მაგრამ „ნაცებს ეს სურთ. უგულავას განცხადება ამ უჯიშოების სრული ლუსტრაციაა, რადგან, როგორც ეს „თავგანწირული“ ლიდერი გვამუნათებს: „არ შევქმნით კრიზისებს? — დაივიწყეთ თავისუფლება!“.

**კიევის მაიდანი ნაციონალისტების, შოვინისტების, ლუმპენ-პროლეტარების ოლიმპად აქციეს, ამერიკული დოლარებით კარგად დაფინანსებულ, სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნების მიერ ჩამორიგებული ღვეზელების, „ფასტ ფუდის“ მასშტაბურ ნოვაციად**.

„ოქროს ვაშლი“ ჩამოაგორეს და იყიდეს მაიდნის „რევოლუციონერები“.

„აუცილებელია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს მთავარი მაგნიტი და ოპოზიციური დიალოგის ინიციატორი... უნდა ვჩანდეთ ფლაგმანად“.

დააგვიანდა უგულავას, რადგან ქართული ტელეარხები, ერთი აკვიატებული მოსაზრების გამო — თუ ჩვენ არ გამოვიყვანთ მავანს, სხვა ტელევიზია მიიწვევს — „ნაცების“ კომენტარების გარეშე პურს არ გატეხენ და წყალს არ დალევენ.

**გადაქელა „ნაცმოძრაობამ“ ქართული მასმედია. ამ დღეებში ჩიორა თაქთაქიშვილიც კი გამოჩნდა ეკრანზე, ხოლო ზურაბ ჯაფარიძის, სერგო რატიანის, აკო მინაშვილისა და მათნაირი სიტყვის კალაშნიკოვების გრძელი ჯერებისგან ყურის აპკები დაგვიზიანდა უკვე მილეული ზაფხულის განმავლობაში.**

„ნაცები“ — გასაგებია. აქეთ რა ხდება — „ოცნების“ კოალიციის უმწიფარიძეების მხარეს? გიორგი მარგველაშვილი უადგილო და უსაფუძვლო გამოხდომებით იმ მიზერულ ავტორიტეტსაც კარგავს, რომელიც პრეზიდენტობის პოსტს მოჰყვა.

ალასანია ანტისარაკეტო ამერიკული სისტემების საქართველოში დადგმის მოთხოვნით და ავღანეთსა და აფრიკაში ქართველი ჯარისკაცების კონვეიერული პრინციპით გაგზავნის დანერგვით თავის პროტექტორებს უმტკიცებს, რომ სანდო და ერთგული კაცია, რომელსაც შეიძლება, საქართველოს ბედი ჩააბარონ.

საქართველოში აშშ-ის თავდაცვის მდივნის სასწრაფოდ ჩამობრძანების ქვეტექსტი კი ალასანიას კარიერისტული მისწრაფების მხარდაჭერაც იყო.

ერთმანეთში ჯაჯგურობენ და უგულავას მარჩიელობის საშუალებას აძლევენ: **„მე მაინც მგონია, რომ ვიდრე ალასანიას გამოასხმევინებენ** ***(ასეა დედანში!)*** **მარგველაშვილი შექმნის რაღაც მოპარტიოს ელისაშვილის, კახიშვილისა და ეგეთი ხალხის ბაზაზე. ერთი სიტყვით, თუ ჩვენ გამწვავებაზე წავედით, მოვლენებს დავაჩქარებთ“.**

ვიდრე ესენი გამწვავებაზე წავლენ, მარგველაშვილმა გაუტია: **ჯერ ქართველი ერი, ჩვენი მოსახლეობა ტანსრულ, მაგრამ სუსტი აზროვნების მქონე ადამიანს შეადარა. მოკლედ, დებილები ხართო. შემდეგ ლონდონში, საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „მზად ვარ, წავიდე მოსკოვშიც, სხვა ქალაქშიც, სადაც აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხი განიხილება (!) და არა სტალინის ბავშვობა“.**

ცინიზმის მწვერვალი დაიპყრო და პიედესტალზე ბრინჯაოს ქანდაკებად აღიმართა. კოლოსს შეეჭიდა, ინგლისურ საზოგადოებას სტალინის დამმარცხებელ გიგანტად წარუდგინა თავი. ღირს, ეს თემა ცალკე რომ გავშალოთ, მაგრამ ამოვარდება წერილის კონტექhსტიდან და მოკლედ ვთქვათ: **ის, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა იკადრა, განდიდების მანია არ არის, სიწუნკლეა. ხოლო წუნკალი რას ნიშნავს, იხილეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, თბილისი, 1986 წელი, გვ. 566: „წუნკალი — გადატ. ზნედაცემული, გათახსირებული“.**

ასეთი აზროვნების ადამიანი აგვარჩევინეთ, ბატონო ბიძინა, პრეზიდენტად. ახლა, ალბათ, თქვენც ნანობთ, მაგრამ **სანანებლად და თავშისაცემად მაშინ გვექნება საქმე, თუ საქართველოს ამათ ხელში დავტოვებთ და უგულავას ციხიდან პროვოკაციული წერილების წერის კომფორტულ პირობებს შევუქმნით.**

ანტონ ჩეხოვს ერთ დროს რუსეთში შექმნილი მდგომარეობის შეფასება რომ სთხოვეს, დიდმა მწერალმა ერთადერთი სიტყვით უპასუხა: „პოშლოსტ!“ (უხამსობა!).

კარგი პარალელის გავლება შეიძლება დღევანდელ საქართველოსთან.

ვიღაცას ძინავს და ესიზმრება, რომ საქართველოში სამოქალაქო ომია, იღვრება სისხლი, როგორც უკრაინაში, ჩვენთანაც ყოველდღიურად იღუპებიან მშვიდობიანი მოქალაქეები, ინგრევა ქალაქი და სოფელი, ქართველები ტოვებენ სამშობლოს... აშშ და ევროკავშირი კი შეშფოთებულნი არიან.

მეტი რა შეუძლიათ!..

რა შეუძლიათ?

ერთი წამით წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი ხელისუფლების წაყრუებით უგულავამ და კომპანიამ, ანუ „ნაცმოძრაობამ“ მოახერხა მოკავშირე აშშ-ის საელჩოსა და მმართველ გუნდში „გადაპორტირებული მიძინებული დამქაშების“ მეშვეობით თბილისში მაიდნის გამეორება...

**მერე ისიც წარმოიდგინეთ, ვის მიუქსევს ამ მეიდნის შედეგად ხელისუფლებაში წამოსკუპებულ მარიონეტებს ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“ და რა ჩიტს დავიჭერთ ამ მიქსევისგან**...

ამ კატასტროფის წარმოსადგენად წარმოსახვის დიდად დაძაბვა არ მოგიწევთ და, თუკი 1990-იანი წლების გასახსენებლად მეხსიერება არ გყოფნით, ახლა და აქვე უკრაინის შავბნელ ქრონიკას მიადევნეთ თვალი...

დააკვირდით, რა დღეში ჩააგდეს ეს, ახლახან ბევრისთვის შესაშური სახელმწიფო უცხოური ფულით ხელისუფლებაში მოყვანილმა და „სტრატეგიული პარტნიორების“ მიერ რუსეთს მიქსეულმა მარიონეტებმა...

წარმოიდგინეთ?

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **ფრთხილად, წინ მაიდანია!**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

დღეს რუსეთს მართავს არა მარაზმატიკი და ლოთი ელცინი, რომლის პრეზიდენტობის პერიოდშიც რუსეთი ცირკის არენაზე თათებზე შემდგარ დათვად გადაიქცა, არამედ ვლადიმერ პუტინი, კაცი, რომელმაც კორუფციაში ჩაფლული ელცინისგან ხადარკოვსკების, აბრამოვიჩებისა და ბერეზოვსკების მიერ გაძარცვული, დასავლეთის ნასუფრალის მოლოდინში მუხლებზე დაჩოქილი რუსეთი ჩაიბარა. დღეს კი ფეხზე წამომდგარმა რუსეთმა საფუძვლიანი პრეტენზიები განაცხადა დაკარგული გავლენის დასაბრუნებლად — აი, ეს აგიჟებს, პირველ რიგში, ამერიკას, რომ მის 25-წლიან დაუსჯელ პარპაშს მსოფლიოში ბოლო მოეღო!

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თბილისშიც მზადდება ევრომაიდანი, ანუ სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაცია

**ახალი ხელისუფლება საზოგადოების დაბოლებას განაგრძობს. თუმცა „ქოცებმა“ ამ მხრივ, რომ იტყვიან, აშკარად მოუჯოკრეს „ნაცებს“! თავად განსაჯეთ — თუ „ნაცების“ ხელში აგვისტოს ომის შემდეგ მაპზე უკეთესს — ნატოს ასპირანტობას — გამოვკარით ხელი, ახლა კი ნატოს უელსის სამიტზე, ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილს თუ დავუჯერებთ, „ოქროს ბარათით“ დაგვაჯილდოვეს იორდანიასთან, შვედეთთან, ავსტრალიასა და ფინეთთან ერთად.**
**არც ეს გვაკმარეს სასიხარულოდ და ირაკლი ალასანიამ, — ნატოს „ახალ ლიგაში“ გადავედითო!**




**ფარულ დაპირისპირებაში (რომელსაც პირობითად პრემიერისა და პრეზიდენტის გუნდების დაპირისპირება შეიძლება ვუწოდოთ) თუ აქამდე, როგორც წესი, ირაკლი ღარიბაშვილი იმარჯვებდა, ნიუპორტში პირველი გამარჯვება აშშ-ის ერთგული მონების, გნებავთ, აშშ-ის გავლენის აგენტების გუნდმა იზეიმა პრეზიდენტ მარგველაშვილის თამადობით — საქართველოს დელეგაციაში არ იყო არც ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც პრემიერ ღარიბაშვილის მხარდამჭერად შეიძლებოდა განგვეხილა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ კრიმინოგენური ვითარების „გამწვავების“ გამო თინა ხიდაშელიც შეუერთდა „ნაცებს“ და შს მინისტრ ჭიკაიძეს (წაიკითხე — ღარიბაშვილს) დაარტყა**

მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, გივი ბერიკაშვილის კინოგმირივით ხელები გავშალოთ და ამოვთქვათ: „ვაა, კაცოო, რა საინტერესოა პირდაპირ, როგორ მაიფიქრებენ ხოლმე ეგეთ რამესა“...

და ეს ყველაფერი ხდება ყალყზე შემდგარი რუსული დათვის გამძვინვარების ფონზე, რომელსაც ყირიმის „ანშლუზის“ შემდეგ „ზადნი“ აღარ აქვს, თუმცა ამაზე ქვემოთ...

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, უელსის სამიტზე თვალნათელი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში დაპირისპირებაა.

**ამ ფარულ დაპირისპირებაში (რომელსაც პირობითად პრემიერისა და პრეზიდენტის გუნდების დაპირისპირება შეიძლება ვუწოდოთ) თუ აქამდე, როგორც წესი, ირაკლი ღარიბაშვილი იმარჯვებდა, ნიუპორტში პირველი გამარჯვება აშშ-ის ერთგული მონების, გნებავთ, აშშ-ის გავლენის აგენტების გუნდმა იზეიმა პრეზიდენტ მარგველაშვილის თამადობით — საქართველოს დელეგაციაში არ იყო არც ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც პრემიერ ღარიბაშვილის მხარდამჭერად შეიძლებოდა განგვეხილა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ კრიმინოგენური ვითარების „გამწვავების“ გამო თინა ხიდაშელიც შეუერთდა „ნაცებს“ და შს მინისტრ ჭიკაიძეს (წაიკითხე — ღარიბაშვილს) დაარტყა.**

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენი გაზეთის 32-ე ნომერში გამოთქმული ვარაუდი, რომელიც გავრცელებულ ხმებს ეფუძნებოდა, რომ „ნაციონალ“-რესპუბლიკელების ძალისხმევით თბილისშიც მზადდება ევრომაიდანი, ანუ სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაცია, არცთუ უსაფუძვლოდ მოგეჩვენებათ.

თუ მოვლენები ასე განვითარდა, შედეგის განჭვრეტა რთული არ არის — **თბილისში დაწყებული დესტაბილიზაცია უმალ მოედება საქართველოს, არეულობით ისარგებლებენ ჩვენი მეზობლები და ერთნი ჯავახეთს მიიტაცებენ, მეორენი — ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს, მესამენი — აჭარა-ბათუმს, აფხაზები (ანუ რუსეთი) — სამეგრელო-ზემო სვანეთს. შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები აღარავისთან ექნება, ნატოში შესვლას ხომ თავისთავად გვახარებს ბუკა და ევროკავშირის „ცოლობასაც“ შეიძლება გამოვკრათ ხელი...**

უელსის სამიტის ერთადერთი ხელშესახები შედეგი არის ის, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებები დროებით შეწყდა. თუმცა დღემდე მიმდინარე კანტიკუნტი სროლებიც მოწმობს, დაზავება მყიფე რომ არის და ნებისმიერ დროს შეიძლება დაირღვეს.

ისიც ცხადია, რომ **უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მთავარმა სცენარისტმა და სპონსორმა — აშშ-მა, ჰუმანური მოსაზრებების გამო კი არ დართო ნება უკრაინის მარიონეტ პრეზიდენტ პოროშენკოს, პუტინის სამშვიდობო გეგმას დათანხმებოდა, არამედ იმიტომ, რომ უკრაინას ჯარი უბრალოდ „გაუთავდა“** — ივლისის შემდეგ, როდესაც საომარ მოქმედებებში უპირატესობას პრორუსი მებრძოლები დაეუფლნენ, დღეს უკრაინის ე. წ. ნაციონალური გვარდია პრაქტიკულად განადგურებულია. თორემ მანამდე კარგად გვახსოვს, როგორი ფართოდ „დახუჭული თვალებით“ უყურებდა „დემოკრატიული“ დასავლეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას, როგორ აგულიანებდნენ სამთავრობო ძალებს ოკეანის გაღმიდან, — რაც უკრაინაში ხდება, მისი საშინაო საქმეა და კიევს ძალის (ტანკების, ავიაციისა თუ კასეტურ-ფოსფორული ბომბების) გამოყენების ლეგიტიმური უფლება აქვს.

დღეს დიამეტრულად საწინააღმდეგო ვითარება შეიქმნა — დონბას-ლუგანსკის ე. წ. ოპოლჩენიე თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა და უკრაინას არმია პრაქტიკულად აღარ ჰყავს. ამბოხებულთა წარმატების მიზეზი, რა თქმა უნდა, რუსეთის დახმარებაც არის, რაც, ალბათ, სამხედრო ტექნიკის მიწოდებას არ სცილდება, რადგან ჯერჯერობით ვერავინ დაადასტურა დოკუმენტურად რუსეთის არმიის შეჭრა უკრაინაში. იქ, ძირითადად, რუსი მოხალისეები იბრძვიან და **ამბოხებულებს თუ მათ დასახმარებლად მისულ მოხალისეებს თავგანწირვის, ბრძოლის იდეური მოტივაცია აქვთ, რომლისგანაც დაცლილნი არიან მხოლოდ დოლარების მოტივაციის მქონე უკრაინის სამთავრობო ძალები, ამიტომაც ბარდებოდნენ „სეპარატისტებს“ ტყვედ „პაჩკა-პაჩკა“**.

თუმცა უკრაინაში ამერიკელების მარცხის მთავარი მიზეზი არის ის, რომ მათ ცუდად იციან ისტორია ან, თუ იციან, არ ითვალისწინებენ მის გაკვეთილებს, თორემ...

უკრაინა არც ბალტიისპირეთია და არც პოლონეთი, სადაც გავლენის დაკარგვას ასე თუ ისე შეეგუა რუსეთი. რამდენიც უნდა ამტკიცონ საპირისპირო უკრაინელმა ნაცისტებმა და მათმა დასავლელმა მფარველებმა, **უკრაინელები და რუსები, პრაქტიკულად, ერთი ერია რელიგიით, კულტურითა და ისტორიით. ამიტომ უკრაინაში დღეს სამოქალაქო ომია და არა სამამულო, როგორც ამას გაჰყვირის დასავლეთის პროპაგანდისტული მედია.**

რუსეთი ვერ შეურიგდებოდა დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ექსპანსიას უკრაინაში და აკი, არც შეურიგდა — კლასიკური „ანშლუზით“ დაიბრუნა ძირძველი რუსული ტერიტორია — ყირიმი და, როგორც ჩანს, სამუდამოდაც.

და კიდევ — ამერიკელებს დაავიწყდათ, რომ რუსეთი თავის მოკავშირეებს არასოდეს ღალატობს და, თუ საჭიროა, ნატოსგან განსხვავებით, სამხედრო ძალითაც იცავს მათ. მით უმეტეს ვერ მიატოვებდა მილიონობით ეთნიკურ რუსს თუ პრორუსულად განწყობილ უკრაინელს დონბას-ლუგანსკში!

ერთადერთი, ვინც ვერ დაიცვა რუსეთმა, ბალკანეთში მისი ისტორიული მოკავშირე, ერთმორწმუნე სერბეთია. ვერ დაიცვა იმიტომ, რომ იმხანად თვითონ იყო მუხლებზე დაჩოქილი, თორემ ამერიკელები სერბეთის დაბომბვასა და იუგოსლავიის დაშლას ვერ გაბედავდნენ...

და ყველაზე მთავარი, რაც არ გაითვალისწინეს დასავლელმა „დემოკრატებმა“ — **რუსეთი ომს არასოდეს იწყებს, რუსეთი ომს ამთავრებს!**

ამ ფრთიან ფრაზას ძველ პლეხანოველსა და XX საუკუნის მიწურულის რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორს, რუსეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელ მინისტრ ევგენი პრიმაკოვს მიაწერენ. **პრიმაკოვმა სერბეთის დაბომბვა ასე გააპროტესტა: თვითმფრინავი, რომლითაც აშშ-ში მიფრინავდა, ატლანტიკის თავზე უკან, რუსეთისკენ შემოაბრუნა!**

ნაპოლეონს ომი რუსეთმა პარიზში დაუმთავრა, ჰიტლერს — ბერლინში, ხოლო ამერიკელებს კიევის ავანტიურას, ვაშინგტონში თუ ვერა, დონბას-ლუგანსკში დაუმთავრებს.

დღეს რუსეთს მართავს არა უხერხემლო ელცინი, რომლის პრეზიდენტობის პერიოდშიც რუსეთი ცირკის არენაზე თათებზე შემდგარ დათვად გადაიქცა, არამედ ვლადიმერ პუტინი, კაცი, რომელმაც კორუფციაში ჩაფლული ელცინისგან ხადარკოვსკების, აბრამოვიჩებისა და ბერეზოვსკების მიერ გაძარცვული, დასავლეთის ნასუფრალის მოლოდინში მუხლებზე დაჩოქილი რუსეთი ჩაიბარა. დღეს კი ფეხზე წამომდგარმა რუსეთმა საფუძვლიანი პრეტენზიები განაცხადა დაკარგული გავლენის დასაბრუნებლად — აი, ეს აგიჟებს, პირველ რიგში, ამერიკას, რომ მის 25-წლიან დაუსჯელ პარპაშს მსოფლიოში ბოლო მოეღო!

**დავით მხეიძე**

**P.S. ერაყში ამერიკელების მიერ დამყარებულმა „დემოკრატიამ“ ისლამური სახელმწიფო შვა, რომლის წარმომადგენლებმა ამერიკელებს მათი ჟურნალისტების მოკვეთილი თავები უკვე გაუგზავნეს და ახლა კავკასიაზე ლაშქრობით იმუქრებიან.**

**ჰოდა, იქნებ ახლა მაინც გაგრილდნენ ნატოს „ახალი ლიგითა“ და „ოქროს ბარათებით“ გაცხელებული თავები? იმ ე. წ. სწრაფი რეაგირების ძალების აღმოსავლეთ ევროპაში განლაგება კი რუსეთს ფეხებზე ჰკიდია და ერაყიდან ისლამისტების აგრესიის შემთხვევაში ისევ რუსეთი თუ დაგვიცავს, თუნდაც იმიტომ, რომ თავისი ტერიტორიის — ჩრდილოეთ კავკასიის — დაცვა მოუწევს.**

**ხოლო სწრაფი რეაგირების ძალები, ჩვეულებისამებრ, სწრაფად მოგვაწვდიან პამპერსებსა და გამოხდილ წყალს!**

## ლაშა მახარაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ცხინვალში დააკავეს

**ლაშა მახარაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი გიორგი ოქროპირიძე, იგივე „ოქრიკა“, ცხინვალში დააკავეს.** როგორც ცნობილია, ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 27 ოქტომბერს არის დანიშნული. შეგახსენებთ, რომ 27 წლის ლაშა მახარაძე 8 აგვისტოს აბაშიძის ქუჩაზე ჩაცხრილეს.



## დააკავეს ნარკორეალიზატორი

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა ფონიჭალაში დააკავეს 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ელშად ფ. მას ბრალი ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვასა და გასაღებაში ედება.** გამოძიებამ დაადგინა, რომ ელშად ფ-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაცია მოახდინა. ამოღებულია დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი და ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული.

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მიხეილ სააკაშვილმა მისი პრეზიდენტობის პერიოდში შეიწყალა პედოფილები, ყაჩაღები, მკვლელობისთვის ნასამართლევი ადამიანები და ამას წინ ვერ აღუდგნენ კომისიის წევრები, რასაც ქალბატონი ელენე თევდორაძეც ადასტურებს“.**

## ისლამისტებმა კიდევ ერთ ამერიკელ ჟურნალისტს მოჰკვეთეს თავი

**დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ინტერნეტში გამოაქვეყნეს კიდევ ერთი ამერიკელი ჟურნალისტის — სტივენ სოტლოფის დასჯის ვიდეო.**

2 სექტემბერს ინტერნეტში გავრცელდა ვიდეოჩანაწერი სახელწოდებით „მეორე მიმართვა ამერიკისადმი“, რომელშიც სირიასა და ერაყში მოქმედი დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელი, რომელსაც სახე ნიღბით აქვს დაფარული, თავს კვეთს ამერიკელ ჟურნალისტ სტივენ სოტლოფს. ისლამისტი „ბოევიკი“ მეორე მძევლის, ბრიტანელი დავით ჰეინსის, დასჯითაც იმუქრება და ხელისუფლებას მოუწოდებს, უარი თქვას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ აშშ-ის ეშმაკისეული ალიანსის მხარდაჭერაზე“.

დასჯის წინ ამერიკელმა ჟურნალისტმა სტივენ სოტლოფმა მწვავედ გააკრიტიკა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა. „ობამამ ერაყში შეჭრის მიზეზად ამერიკის ინტერესების დაცვა დაასახელა. რატომ უნდა ვზღო ჩემი სიცოცხლით სხვა სახელმწიფოს საქმეებში თქვენი ჩარევა? მე რა, აშშ-ის მოქალაქე არ ვარ?! ჩვენ გადასახადების გადამხდელთა მილიარდობით დოლარი დავხარჯეთ და ათასობით ჯარისკაცი დავკარგეთ „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლებთან წინა შეტაკებებში. და სად არის ხალხის ინტერესი კვლავ წამოწყებულ ომში? მახსოვს, თქვენს ყველა წინასაარჩევნო კამპანიაში, რომლებიც გამარჯვებით დასრულდა, იძლეოდით პირობას, რომ ერაყიდან და ავღანეთიდან გამოიყვანდით ჩვენს ჯარისკაცებს და დახურავდით გუანტანამოს.

ახლა იწურება თქვენი პრეზიდენტობის ვადა, მაგრამ ზემოჩამოთვლილი დაპირებებიდან არაფერი შესრულებულა, თქვენ მოტყუებით მიგყავთ ამერიკელი ხალხი ცეცხლში“. — განაცხადა სოტლოფმა.

თეთრი სახლის პრესმდივნის — ჯოშ ერნესტის განცხადებით, აშშ-ის მთავრობას ჯერჯერობით არ შეუძლია, დაადასტუროს ნამდვილობა ვიდეოსი, რომელზეც, სავარაუდოდ, აღბეჭდილია 2013 წლის აგვისტოში ლიბიაში დაკარგული ამერიკელი ჟურნალისტი სტივენ სოტლოფი.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის 19 აგვისტოს ინტერნეტში გავრცელდა სხვა ამერიკელი ჟურნალისტის — ჯეიმს ფოულის დასჯის ვიდეო. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა მასაც თავი მოჰკვეთეს.

# ლალი მოროშკინა: სექტემბრის ბოლოს ევროკავშირში იგეგმება ძალიან მნიშვნელოვანი შეკრება სააკაშვილის მონაწილეობით, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ იქნება მიმართული

**ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი, ჟურნალისტი ლალი მოროშკინა გვესაუბრება:**

## «მოვითხოვ, გასაჯაროვდეს უდოს კომისიის მიერ შეწყალებული პატიმრების სია!»






— 2012 წლის 19 სექტემბერს ადვოკატ ლალი აფციაურთან ერთად მოვახერხე 5000-კაციანი ბუნტის შეჩერება, რომელიც მომწიფებული იყო გლდანის საპყრობილეში ე. წ. ციხის კადრების გასაჯაროების შემდეგ. ანტიტერორისტული განყოფილების თანამშრომელმა გურამ დოლიძემ მთხოვა, საპყრობილეში შევსულიყავი, ჩემი ავტორიტეტით მესარგებლა და შემეჩერებინა ეს ბუნტი, რათა სისხლისღვრა თავიდან აგვეცილებინა. შემდეგ ვიმუშავეთ საკითხზე, რომ გამოცხადებულიყო საყოველთაო ამნისტია, მოხსნილიყო შეკრებითობის პრინციპი და ერთი ჯამი ლობიოს ქურდობის გამო ადამიანისთვის 30-წლიანი პატიმრობა აღარ მიესაჯათ. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ვიამაყებ იმით, რომ შეკრებითობის პრინციპის წინააღმდეგ ბრძოლაში ვმონაწილეობდი. იმჟამინდელი ლეღვის ფოთოლი **გიორგი ტუღუში** (ყოფილი სახალხო დამცველი — ნ. მ.) კი დღეს ამბობს, საქართველომ კვლავ უნდა გაზარდოს მსჯავრდადებულთა რაოდენობა და ციხეები უნდა გაივსოსო.

სამწუხაროდ, **სახელმწიფო ინსტიტუტებმა ვერ მოაგვარეს ყოფილი პატიმრების პრობლემა, ვერ უზრუნველყვეს ისინი სამუშაო ადგილებით, ამიტომაც მივიღეთ მძიმე კრიმინოგენური ფონი. პირადად ვარ მომსწრე, როგორ ბრუნდებოდნენ ციხეში ამნისტიით გაშვებული ადამიანები და ამბობდნენ, სად წავიდეთ, არც გზის ფული გვაქვს და არც სახლიო.** სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ ვერ მოახერხა რესურსების მობილიზება ამ პრობლემის დასაძლევად. ვერც ე. წ. უდოს (პირობით ვადამდე გათავისუფლების) კომისიამ იმუშავა კარგად და ვერც შეწყალების კომისიამ. **მიხეილ სააკაშვილმა მისი პრეზიდენტობის პერიოდში შეიწყალა პედოფილები, ყაჩაღები, მკვლელობისთვის ნასამართლევი ადამიანები და ამას წინ ვერ აღუდგნენ კომისიის წევრები, რასაც ქალბატონი ლენე თევდორაძეც ადასტურებს.** ამასთანავე, სააკაშვილის მიერ შეწყალებულებს ისეთებიც გამოჰყვნენ საპყრობილიდან, რომლებიც სისტემიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოსულიყვნენ. ისინი გათავისუფლების პირველივე დღიდანვე ელოდნენ სააკაშვილის ძალიან ცუდი დავალებების შესრულებას, რაც დღეს ხდება. **10-დან 8 დანაშაული სწორედ სააკაშვილის დაკვეთით შესრულდა. პირადად ვიცნობ იმ ადამიანებს, რომლებმაც სააკაშვილისგან დაკვეთა მიიღეს, და პროკურატურას სიამოვნებით გადავცემ მათ გვარებს.**

სხვათა შორის, ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია „ნაცმოძრაობის“ წევრების მიერ ჩადენილ შავ საქმეებზე.

გარდა ამისა, **აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს უდოს კომისიის მიერ გაშვებული პატიმრების სია, რათა ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა, გავარკვიოთ, ვის ეკუთვნოდა შეწყალება და ვის — არა. ამით ბევრ შეკითხვას გაეცემა პასუხი.**

ამას წინათ თბილისის საკრებულოს წევრმა ალეკო ელისაშვილმა აღნიშნა, რომ სააკაშვილს არ გაუთავისუფლებია ადამიანი, რომელმაც ბოლო კვირებში ჩაიდინა მკვლელობა. ალეკომ ისიც თქვა და ვეთანხმები, რომ რამდენიმე მძიმე დამნაშავე პრეზიდენტის შეწყალების კომისიამ არ შეიწყალა, მაგრამ უდოს კომისიამ გაათავისუფლა, ამიტომ **პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც უდოს კომისიის გადაწყვეტილებებში მონაწილეობდა.** დღევანდელი მთავრობა იმით უნდა განსხვავდებოდეს სააკაშვილის მთავრობისგან, რომ კანონის წინაშე პასუხი ყველას აგებინოს და თავისი წევრებიც დასაჯოს. ამ მხრივ პირველი ტესტი უდოს კომისიის მიერ შეწყალებული მძიმე დამნაშავეების სიების გამომზეურება იქნება, ეს საზოგადოებას გაანალიზების საშუალებას მოგვცემს — დასაჯოს თუ არა სასამართლომ სახელმწიფო პირები. **ეს კარგი მაგალითი იქნება იმისათვის, რომ არავინ არასდროს ისარგებლოს უდოს კომისიის ხიბლით და შესაწყალებელთა სიაში არ შეიყვანოს საშიში დამნაშავეები.**

**— ვინ არიან უდოს კომისიის წევრები?**

— ეს საჯარო ინფორმაციაა და დაინტერესებულ პირს თავისუფლად შეუძლია მოიპოვოს.

**— საზოგადოება შეშფოთებულია ქვეყანაში კრიმინოგენური ფონის დამძიმებით...**

— როდესაც საზოგადოება ამბობს, რომ აღშფოთებულია კრიმინალური შემთხვევების რაოდენობის მატების გამო, ამით, საჩოგბურთო ტერმინი რომ გამოვიყენო, კარგ „სატოპკეს“ აძლევს ხელისუფლებას, მაგრამ მან ეს ვერ გამოიყენა, პირიქით, ცუდად მოიქცა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოების მოთხოვნა მასობრივი რეიდებით დაეკმაყოფილებინათ, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დანაშაული არ გაზრდილა. თუ ასე განაგრძობს დღევანდელი ხელისუფლება და სათანადოდ არ გამოეხმაურება ხალხის მოთხოვნას, ცუდად დაამთავრებს. კარგად გვახსოვს, სადამდე მიიყვანა სააკაშვილის ხელისფლება ხალხის მოთხოვნების იგნორირებამ. ამიტომ **ამჟამინდელ ხელისუფლებას ვურჩევ, შექმნას ანტიკრიზისული საბჭო, რომელშიც შევა ჯანდაცვის, სასჯელაღსრულებისა და განათლების სამინისტროები და დაიწყებენ პრევენციული ზომების გატარებას.**

სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური პიარი. ეს რომ სცოდნოდათ, მყისიერად მიხვდებოდნენ, რომ ეს იყო საზოგადოების დაკვეთა და პრევენციულ ზომებს უმტკივნეულოდ გაატარებდნენ. დღეს ხელისუფლება ერთიანი არ არის. არც პიარი აქვს, რაც კახა კალაძემაც აღიარა. სააკაშვილი კი კარგი პიარტექნოლოგია. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლების ლობისტები კარგად ვერ მუშაობენ და შედეგსაც მალე ვიწვნევთ. **ვიცი, რომ სექტემბრის ბოლოს ევროკავშირში სააკაშვილის მონაწილეობით უნდა გაიმართოს ძალიან მნიშვნელოვანი შეკრება, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ იქნება მიმართული.** ვიდრე ჩვენი სახელმწიფოებრივი აზროვნება არ დავა იქამდე, რომ აუცილებელია, გაკეთდეს ლობისტური კომპანიები და საქმეში პიარტექნოლოგები ჩაერთონ, რათა სახელმწიფო კარგად წარმოჩინდეს, სააკაშვილი ყოველთვის მოუგებს საგარეო თამაშს ჩვენს ხელისუფლებას. და ვიდრე ჩვენი ხელისუფლება არ მოაგვარებს საგარეო პრობლემებს, სააკაშვილს ვერ დააპატიმრებენ.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**



მსოფლიო

## მალაიზიის პრემიერი «ბოინგის» კატასტროფის დამოუკიდებელ გამოძიებას ითხოვს



**მიმდინარე წლის 17 ივლისს უკრაინაში მომხდარი ავიაკატასტროფის მიზეზების დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებაზე მალაიზიის პრემიერმინისტრმა ნაჯიბ ტუნ რაზაკმა თავის ავსტრალიელ კოლეგა ტონი აბოტთან შეხვედრისას განაცხადა.** „ჩვენ გვსურს, ჩატარდეს სრული, დამოუკიდებელი და გამჭვირვალე გამოძიება, რათა სასამართლოს წინაშე წარდგნენ ის ადამიანები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ ტრაგედიაში. თუმცა იმისათვის, რომ საერთაშორისო ექსპერტებს კვლავ ჰქონდეთ ავიაკატასტროფის ადგილზე ჩასვლის შესაძლებლობა, ორი კვირაა საჭირო“, — განაცხადა მალაიზიის პრემიერმა.

**საქართველო არ არის საუდის არაბეთი, მისი სამხედრო ბიუჯეტი შეზღუდულია. არ შეიძლება ძვირადღირებული ვერტმფრენების ყიდვა მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკული მხარე მზადაა, მოგვყიდოს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გუგულის ბუდეს დიდმა ვერტმფრენმა გადაუფრინა

**ნატოს უელსის სამიტი დასრულდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველომ მაპი ვერ მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ სხვა შედეგს არც არავინ ელოდა, საზოგადოებამ მნიშვნელოვანი გაღიზიანება მაინც გამოხატა. ქართველი ატლანტისტები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ უამრავი ადამიანი თბილისში უკვე საუბრობს მსოფლიოს უდიდეს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსზე, როგორც პოლიტიკური იმპოტენტების კლუბზე, ხოლო ფრაზა „რა ქნეს, აღშფოთდნენ თუ შეშფოთდნენ?“ ქართულ სოციალურ ქსელებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა. ვერაფერს ვიზამთ, ცრუ დაპირებები, გადაჭარბებული მოლოდინები და შესაბამისი ილუზიები სხვა შედეგს ვერ მოიტანდა.**



**ზედიზედ მეორე გადაფრენას გუგულის ბუდეზე ეს ქვეყანა ვერ გადაიტანს და, შესაბამისად, პრეზიდენტის (შესაძლო) «მანია გრანდიოზა» უნდა განიხილებოდეს, როგორც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა**

ხელისუფლების წარმომადგენლები, ალბათ, დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ „გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი“ „მაპზე უკეთესია“, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთი მილიმეტრითაც კი არ აახლოვებს ქვეყანას უსაფრთხოების მყარ გარანტიებთან. მეტიც, უელსის სამიტზე საქართველოს ყველაზე ხშირად ახსენებდნენ იმ ქვეყნებთან ერთად, რომელნიც ნატოს წევრები ხელშესახებ პერსპექტივაში (და, სავარაუდოდ, არც არასოდეს) არ გახდებიან — შვედეთი და ფინეთი მათი ტრადიციული ნეიტრალიტეტის გამო, ხოლო ავსტრალია და იორდანია გეოგრაფიული მდებარეობისა და რიგი სხვა მიზეზების გამო. ეს ერთობ მოაგონებდა ცხვირწინ კარის თავაზიან მიხურვას, მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციის დონეზე ალიანსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება და საქართველოს მომავალი გაწევრიანება ნატოში ისეთივე შესაშური ენთუზიაზმით, როგორითაც სსრკ-ის კომპარტია თავისი ყრილობების დასკვნით დოკუმენტებში კომუნიზმის გარდაუვალ გამარჯვებას ადასტურებდა.

მჭიდრო თანამშრომლობაში ცუდი თავისთავად არაფერია, მაგრამ უსაფრთხოების რამდენადმე სერიოზულ გარანტიებთან მას საერთო არაფერი აქვს. რა მოხდება ამის შემდეგ? **არაფერი ახალი, არაფერი განსაკუთრებული, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი იცეკვებს რიტუალურ ცეკვას სახელწოდებით „მაპზე უკეთესი“, საზოგადოების ნაწილი ტაშს დაუკრავს, ნაწილი კი სტვენით გააცილებს.** ცალკე რიტუალი, სავარაუდოდ, დასავლური შეიარაღების მოსალოდნელ შეძენასთან დაკავშირებით ჩატარდება. როგორც კვირას თბილისში ვიზიტისას აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ჩაკ ჰეიგელმა თქვა: **„მე და მინისტრმა განვიხილეთ ის აუცილებელი ნაბიჯები საქართველოსთვის, რომ შეიძინონ ამერიკული სამხედრო ვერტმფრენები“** (ინტერპრესნიუსი). ამის გათვალისწინებით, **გამორიცხული არაა, რომ მალე საინტერესო გარდასახვას ვიხილავთ — ის ადამიანები, რომელნიც წლების განმავლობაში ამბობდნენ, რომ, უპირველეს ყოვლისა, საჰაერო თავდაცვის, ტანკსაწინააღმდეგო (აგრეთვე, რადიოსალოკაციო და ზოგიერთი სხვა) საშუალებები გვჭირდება, ახლა იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ ხსენებული ვერტმფრენების შეძენის გარეშე ჩვენ სიცოცხლეს აზრი საერთოდ არ აქვს.**

**ზოგადად, ვერტმფრენების აქტიური გამოყენება მაშინ, როდესაც პირობითი მოწინააღმდეგე ჰაერში აბსოლუტურ უპირატესობას ფლობს, ფრიად არატრივიალური ამოცანაა, რომელიც ძველი ყაიდის კამიკაძეებსაც კი საგონებელში ჩააგდებდა** (ამ გარემოებას დროებით თავი დავანებოთ). ამერიკელები ძალიან კარგ ვერტმფრენებს ქმნიან, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ, მაგალითად, ოთხი „აპაჩის“ (ლონგბოუ) შესაძენად, რომელმაც მართლა შეიძლება გაურთულოს ცხოვრება (ოთხიდან ორ) პირობით მოწინააღმდეგეს, წლიური სამხედრო ბიუჯეტის ნახევარი უნდა დავხარჯოთ; პერსონალის მომზადებისა და ექსპლუატაციის ხარჯები ცალკე თემაა. „კობრები“ გაცილებით იაფია, მაგრამ ჩვენ 40 წლის წინანდელ ვიეტნამში არ ვცხოვრობთ. არა, მოდერნიზებულ „კობრებს“ მართლა არა უშავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის ძირითადი შეიარაღება მოპარულ აქლემზე დამაგრებული ტყვიამფრქვევია. „იროკეზების“ ყიდვა კი საერთოდ ჯართის ფასად შეიძლება, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ. ჯერ უნდა გაირკვეს, რა ტიპის ვერტმფრენებზე ვსაუბრობთ („დეფენს ნიუსის“ ცნობით, შეიძლება „ბლეკ ჰოუკები“ იყოს), რა ამოცანების შესრულებისთვის გვჭირდება, რა დაგვიჯდება მათი შეძენა და ექსპლუატაცია და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბრის დაწყება ამ კონტრაქტის მიზანშეწონილობაზე. **საქართველო არ არის საუდის არაბეთი, მისი სამხედრო ბიუჯეტი შეზღუდულია. არ შეიძლება ძვირადღირებული ვერტმფრენების ყიდვა მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკული მხარე მზადაა, ის მოგვყიდოს.**

შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი, ვიეტნამის ცაო... მომავალი შეთანხმების ერთადერთი რეალური შედეგი, ალბათ, იმის დემონსტრირება იქნება, რომ ვაშინგტონმა საქართველოსთვის შეიარაღების მიყიდვაზე არაფორმალური ემბარგო გააუქმა. **ეს სიმბოლური, „მაპზე უკეთესი“ ჟესტი ნატოს გულანთებულ მომხრეებს რიტუალური ცეკვების შესრულების საბაბს წლების განმავლობაში მისცემს; ასე რომ, შეგვიძლია განვიხილოთ ის, როგორც თავისებური ფსიქოლოგიური კომპენსაცია და ერთგვარი მფრინავი გალოპერიდოლი.**

ვიდრე ვერტმფრენები მოფრინდებიან, თვალი, ალბათ, ხმელეთზე განვითარებულ მოვლენებს უნდა გადავავლოთ. მეორე კვირაა, „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ქვეყანაში მძიმე დანაშაულმა (კერძოდ კი მკვლელობებმა), სააკაშვილის მმართველობის პერიოდთან შედარებით, მკვეთრად იმატა, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკა საპირისპიროზე მიუთითებს. **ამ კამპანიის ფარგლებში ისინი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ „ცოცხები გამართლებული იყო“. საგულისხმოა, რომ მას შემდეგ, რაც პოლიცია გააქტიურდა და რეიდების ჩატარება დაიწყო, მათ მყისიერად შეცვალეს „პლასტინკა“ და მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვაზე ალაპარაკდნენ ისეთი აღშფოთებით, თითქოს მეფე ჰეროდეს ცნობილი რეპრესიების არათუ მომსწრენი, არამედ მსხვერპლნი გახდნენ. მთლიანობაში ეს მანიპულაციები უსუსურად გამოიყურებოდა, ფართო მასები „ნაციონალებს“ არ აჰყვებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა საერთოდ არ არსებობს.**

დანაშაულთან ბრძოლის მეთოდები თუ ხელისუფალთა ვინაობა ამ შემთხვევაში, ალბათ, მაინც მეორეხარისხოვანია. მთავრობები იცვლება, პოლიცია სხვადასხვა ტაქტიკას იყენებს, მაგრამ ამაზრზენი, სადისტური მკვლელობები მაინც ხდება. აქ, ალბათ, მიზანშეწონილია ზოგადეროვნულ, ინტელექტუალურ და ფსიქოლოგიურ კრიზისზე ვისაუბროთ, მისი მთავარი მიზეზი კი უდიდესი სოციალური უსამართლობაა, რომლის პირობებში საქართველო, აგერ უკვე რამდენიმე ათწლეულია, ცხოვრობს. ძალიან ძნელია, ხელი შეუშალო მძიმე დანაშაულისა და კრიმინალური ტრადიციების გავრცელებას ქვეყანაში, სადაც მცირერიცხოვანი ზედა ფენა (პოლიტიკოსები იქნებიან, ხელისუფლებასთან დაახლოებული „ბიზნესმენები“ თუ „ვარდისფერი ინტელიგენციის“ წარმომადგენლები), ფაქტობრივად, დანარჩენი მოსახლეობის ძარცვის ხარჯზე ცხოვრობს და პარაზიტებისთვის დამახასიათებელ ცრუ იდეალებს ნერგავს. ასე იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის წლებში, ასეა ახლაც. **დეგრადირებული ელიტის აღვირახსნილობა და ბოროტმოქმედთა სისასტიკე ერთი მედლის ორი მხარეა. კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკები რომ იტყოდნენ: „თევზი თავიდან ყარს“. ასე თუ გაგრძელდა, 5, მაქსიმუმ, 10 წელიწადში ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ულტრარადიკალებს გაჰყვება, თუ ისინი მთელი სისტემის დანგრევის და ძველი ელიტის ანიჰილაციის პირობას დადებენ.** მანამდე კი ღატაკ და უსამართლო ქვეყანაში მძიმე დანაშაული, სამწუხაროდ, ისევ მოხდება. 9 წლის განმავლობაში (სინამდვილეში, უფრო დიდხანს) საზოგადოება უყურებდა, თუ როგორ მდიდრდებოდნენ ხელისუფლებაში მყოფი მკვლელები და ქურდები, რომელთა ნაწილი ახალი მმართველი ძალის რიგებში გადაბარგდა (განსაკუთრებით რეგიონებში) და ამის შემდეგ, ალბათ, არაფერი უნდა გაგვიკვირდეს. სანამ ქვეყანა თუნდაც რამდენიმე ნაბიჯით არ მიუახლოვდება კანონის უზენაესობას და სოციალურ სამართლიანობას, ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩება.

ამერიკული ვერტმფრენები ჯერ არ ჩამოფრენილან („პრილეტიტ ვდრუგ ვოლშებნიკ, ვ გოლუბომ ვერტოლეტე...“), ამიტომ შეგვიძლია გასული კვირის სხვა მოვლენებზე ვისაუბროთ. ასე, მაგალითად, ზოგიერთმა კომენტატორმა, კორექტულად რომ ვთქვათ, პრეზიდენტის მენტალურ მდგრადობასთან დაკავშირებით რამდენიმე არაერთგვაროვანი ვარაუდი გამოთქვა. საქმე ისაა, რომ ფიგურანტმა შეტოპა დაუსწრებელ პოლემიკაში საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომელმაც ურჩია, გაეროში დაგეგმილ ვიზიტზე უარი თქვას (იქ მიემგზავრება დელეგაცია ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით), რადგან საქართველოდან ორი დელეგაციის გამგზავრება უხერხულობას შექმნის. მაგრამ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამაში უხერხულობას ვერ ხედავს (!!!).

**გაეროს ისტორიას არ ახსოვს ერთი სახელმწიფოდან ორი დელეგაციის „პარალელური“ ვიზიტი, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ორივე დელეგაციის ხელმძღვანელი თავს ქვეყნის პირველ პირად მიიჩნევს. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი არ მოისვენებენ, ვიდრე გაეროს შტაბ-ბინაში ასათიანის ქუჩისთვის დამახასიათებელ ტრადიციებს არ დანერგავენ. 9 წელი მთელი მსოფლიო დაგვცინოდა ჰალსტუხიანი ჯამბაზის გამო და ახლა ავანსცენაზე გამოვიდა ორი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელთაც, შესაძლოა, სურთ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა სრულ ბალაგანად გადააქციონ. განსაკუთრებით ამ მხრივ მარგველაშვილი აქტიურობს, რომლის ამბიციები შეკვეცილი უფლებების ჩარჩოებში აშკარად ველარ ეტევა.**

რა მოხდება შემდეგ, თუ ორი „პარალელური დელეგაცია“ შტატებში ერთდროულად ჩავა? ალბათ, იქვე ადგილზე დაიწყებენ იმის გარკვევას, თუ ვინ უნდა შეხვდეს გაეროს გენმდივანს თუ აშშ-ის პრეზიდენტს, მოაწყობენ სკანდალებს, საქმეში ჩართავენ ლობისტებს და, გამორიცხული არაა, სადმე იქვე, ტაიმს-სკვერზე მუშტი-კრივიც გამართონ. პასუხისმგებლობა ყოველივე ამაზე ეკისრება, უპირველეს ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილს, რომლის საკადრო გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში კრიტიკას ვერ უძლებს. ის, ალბათ, სასწრაფოდ უნდა ჩაერიოს კონფლიქტში და „პარალელური ვიზიტი“ ჩაშალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის იმიჯს სერიოზული ზიანი მიადგება.

**სამწუხარო იქნება, თუ დადასტურდება სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვარაუდები იმის თაობაზე, რომ მარგველაშვილმა, როგორც არაერთმა სხვა ქართველმა პოლიტიკოსმა, განდიდების მანიასთან ბრძოლაში მარცხი განიცადა. მითუმეტეს, რომ სიმპტომების ჩამონათვალმა ზოგიერთ დამკვირვებელს შეიძლება ეჭვები გაუღრმავოს: ა) გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე; ბ) ნარცისიზმი; გ) განწყობის ცვალებადობა; დ) სხვისი აზრის მიმართ ინტერესის დაკარგვა; ე) აგრესიულობა; ვ) უძილობა; ზ) კონცენტრაცია მხოლოდ საკუთარ იდეებზე.**

კაცმა რომ თქვას, სააკაშვილივით აგრესიული ჯერჯერობით არ არის, დანარჩენ პუნქტებთან დაკავშირებით კი, ალბათ, სპეციალისტების დისკუსია უნდა გაიმართოს. ისე, ამბობენ, გალოპერიდოლი შველის, თუმცა საუბარი ამაზე ნაადრევია, ჯერ გამოკვლევა და დიაგნოზი და მხოლოდ შემდეგ ყველაფერი დანარჩენი. ერთი კი ფაქტია: **ზედიზედ მეორე გადაფრენას გუგულის ბუდეზე ეს ქვეყანა ვერ გადაიტანს და, შესაბამისად, პრეზიდენტის (შესაძლო) „მანია გრანდიოზა“ უნდა განიხილებოდეს, როგორც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც უკრაინელები გაარკვევენ, თუ ვინ და რა მოტივებიდან გამომდინარე უბიძგა ოპოზიციას 21 თებერვლის შეთანხმების დარღვევისკენ და ესკალაციისკენ, მხოლოდ მაშინ გაიგებენ, რა დაემართა უკრაინას სინამდვილეში.**

# უკრაინული სუიციდის ანატომია

**პარასკევს მინსკში უკრაინისა და დონბასის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს, რომელიც ცეცხლის შეწყვეტას, ტყვეთა გაცვლასა და დეესკალაციის ხელშემწყობი რიგი ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს. მსოფლიოში პრაქტიკულად არ მოიძებნება სერიოზული ექსპერტი, რომელიც განიხილავს ამ შეთანხმებას, როგორც მყარი მშვიდობის ქვაკუთხედს; ყველა საბრძოლო მოქმედებების მოსალოდნელ განახლებაზე საუბრობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შეიძლება განვიხილოთ მინსკის მოლაპარაკებები, როგორც ერთგვარი მიჯნა, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს უკრაინული ტრაგედიის დებიუტსა და მიტელშპილს, კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ შექმნილი ვითარება და მივუახლოვდეთ დასკვნებს, რომლებიც საქართველომ ამ კრიზისიდან უნდა გამოიტანოს.**



**ყველაზე უგუნურისთვისაც კი თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ უკრაინის სამხედრო და ეკონომიკური რესურსები არასაკმარისია ოპერაციის წარმატებული დასრულებისთვის, მაგრამ სააკაშვილი მაინც მოითხოვდა გაგრძელებას**

## რადიკალიზმი და იდიოტიზმი

მინსკის პროტოკოლს ხელი მოეწერა მას შემდეგ, რაც უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს სტრატეგიული ინიციატივა და მძიმე დანაკარგები განიცადეს. რამდენიმე შემთხვევაში (მაგალითად, ილოვაისკთან) ბრძოლების შედეგი უკრაინული მხარისთვის მართლაც რომ კატასტროფული გამოდგა. ზოგიერთი კომენტატორი ამას, უპირველეს ყოვლისა, სარდლობისა და მებრძოლების არაპროფესიონალიზმს უკავშირებს. ეს მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა მთავარი მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ უკრაინაში, ისევე როგორც თავის დროზე საქართველოში, მოხდა სამხედრო ოპერაციების ლოგიკის დაქვემდებარება პოლიტიკური კონიუნქტურის მიმართ, რაც კარგად ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დასრულდებოდა. პოლიტიკოსები და საზოგადოების რადიკალური წარმომადგენლები მუდამ ითხოვდნენ ახალი დასახლებული პუნქტების დაკავებას და იქ დროშების აფრიალებას და ამ ზეწოლის გამო უკრაინულ სარდლობას საკუთარი ხელით შეჰყავდა მოუმზადებელი ქვედანაყოფები „ქვაბებში“, რომელთა ფორმირებას ნებისმიერი კურსანტი იწინასწარმეტყველებდა. **უკრაინელმა გენერლებმა დაუშვეს ის, რომ არმია დილეტანტი პოლიტიკოსების ინსტრუმენტად გადაიქცა, მაშინ, როდესაც კონფლიქტის გადაწყვეტა სხვა, პოლიტიკურ საშუალებებს მოითხოვდა. ალბათ, სწორედ ესაა მათი მთავარი შეცდომა, თუ არა დანაშაული.**

ასეთი დილეტანტი პოლიტიკოსის განსახიერება მიხეილ სააკაშვილია, რომელიც დონბასში კრიზისის დაწყების პირველი დღიდან, როდესაც პოლიტიკური დიალოგი ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, უკრაინული ტელეარხების ეთერში ძალისმიერი ზომების მიღებას მოითხოვდა. **ილუპებოდა ასობით და ათასობით სამხედრო და მშვიდობიანი მოსახლე, ყველაზე უგუნურისთვისაც კი თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ უკრაინის სამხედრო და ეკონომიკური რესურსები არასაკმარისია ოპერაციის წარმატებული დასრულებისთვის, მაგრამ სააკაშვილი მაინც მოითხოვდა გაგრძელებას, ისეთივე სიჯიუტით, როგორითაც მოზარდი კომპიუტერულ თამაშში სწირავს ჯარისკაცებს აპრიორი აუღებელი პოზიციის გამუდმებული შტურმის დროს. იმავეს აკეთებდნენ მისი მიმდევრები ქართულ მასმედიასა და სოციალურ ქსელებში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აშკარა უმცირესობაში იყვნენ, ეს ამაზრზენად გამოიყურებოდა. ან როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ბოროტი, უპასუხისმგებლო თამაში სხვა ადამიანების სიცოცხლით?**

ისინი ყოველთვის მოითხოვდნენ რადიკალურ გადაწყვეტილებებს, მათ შორის ომამდე, „მაიდნის“ პიკზე. იმედია, წლების შემდეგ უკრაინელი მკვლევარები იპოვიან პასუხს კითხვაზე „რა მოხდა 2014 წლის 21 თებერვალს?“, მას შემდეგ, რაც იანუკოვიჩმა და ოპოზიციის ლიდერებმა უცხოელი დიპლომატების შუამავლობით ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც პოლიტიკური კრიზისის დარეგულირებას ითვალისწინებდა. საქართველოსთან პარალელებს თუ გავავლებთ, ეს იყო ერთგვარი „შეთანხმება კოჰაბიტაციის შესახებ“. მის საფუძველზე, უფლებაშეზღუდული, პრაქტიკულად იზოლირებული იანუკოვიჩი 10 თვის განმავლობაში ეტაპობრივად აფორმებდა ხელისუფლების გადაცემას ოპოზიციურ ძალებზე და ქვეყანა მშვიდად მიდიოდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე. **ეს ოპოზიციის დიდი, იმ პირობებში მაქსიმალურად შესაძლებელი გამარჯვება იყო. მაგრამ მან შეთანხმება დაარღვია, იანუკოვიჩი კიევიდან გააძევა და იმგვარი მოქმედება დაიწყო, რომელმაც როგორც კრემლი, ისე დონბასის გავლენიანი ჯგუფები და ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მიიყვანა დასკვნამდე, რომ მათ ინტერესებს საერთოდ არ ითვალისწინებენ.** შედეგი ცნობილია: კიევმა დაკარგა კონტროლი ყირიმზე, დაიწყო ომი დონბასში, უკრაინიდან მილიონზე მეტი ადამიანი გაიქცა, უამრავი ახალგაზრდა დაიღუპა და დაინვალიდდა, ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის პირას დადგა (ზამთარი უკრაინაში დაახლოებით ისეთი იქნება, როგორც 90-იანების დასაწყისში საქართველოში). **ალბათ, როდესაც უკრაინელები გაარკვევენ, თუ ვინ და რა მოტივებიდან გამომდინარე უბიძგა ოპოზიციას 21 თებერვლის შეთანხმების დარღვევისკენ და ესკალაციისკენ, მხოლოდ მაშინ გაიგებენ, თუ რა დაემართა უკრაინას სინამდვილეში.** რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, ალბათ, მხოლოდ შესაბამისი რესურსების არსებობის შემთხვევაში ღირს, რომელიც უკრაინას, უბრალოდ, არ გააჩნდა. სწორედ ეს არასოდეს ესმოდა სააკაშვილს და, სავარაუდოდ, ვერც ვერასოდეს გაიგებს.

## ევრაზიის ქანქარა

**ხუთი თვის წინათ დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკები არსებითად ვირტუალურ წარმონაქმნებს წარმოადგენდნენ. რამდენიმე ასეულმა ადამიანმა, რამდენჯერმე იჭიდავა მილიციასთან, დაიკავა 2-3 ადმინისტრაციული შენობა, სადღაც იპოვა ქსეროქსი და თავისი დეკლარაცია გაამრავლა. დღეს ისინი აკონტროლებენ ტერიტორიას, რომელზეც რამდენიმე მილიონი ადამიანი ცხოვრობს, უმსხვილესი ინდუსტრიული ობიექტები მდებარეობს და საკმაოდ სერიოზულ შეიარაღებას ფლობენ.** რაც მთავარია, რუსეთმა საკუთარ თავზე მათი დაცვის არაფორმალური ვალდებულება აიღო. ისტორიაში არც ისე იოლი მოსაძებნია დროის ესოდენ მცირე პერიოდში ასეთი მძლავრი სეპარატისტული წარმონაქმნის ფორმირების მაგალითი.

ბევრ კომენტატორს გაუკვირდა, რომ მეამბოხეები დათანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტას, როდესაც წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ. თუმცა ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ „ნოვოროსიის“ ძალებს არ გააჩნდათ შესაბამისი რეზერვები სტრატეგიული წინსვლისთვის ხარკოვის ან სულაც დნეპროპეტროვსკისა და ოდესის მიმართულებით. მათ განკარგულებაში უცებ რომც აღმოჩენილიყო რამდენიმე ბრიგადა მომზადებული პირადი შემადგენლობით და მძიმე ტექნიკით, ასეთი წინსვლა დანგრეულ, აწეწილ ზურგზე დაყრდნობით, მაშინ, როდესაც შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და სახელისუფლო ვერტიკალი თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში არამყარია, არ შეიძლება. ამასთანავე, დონეცკისა და ლუგანსკის ლიდერები ვერასოდეს მიიღებენ კრემლის პოზიციის დიამეტრალურად საპირისპირო გადაწყვეტილებას, ვლადიმერ პუტინმა კი მათ მინსკის პროტოკოლის ხელმოწერისკენ მოუწოდა.

მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება, რომ პუტინისთვის ეს არ არის ბრძოლა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ — რუსეთის ადგილისთვის XXI საუკუნეში. მისი პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს თამაში აშშ-ისა და ევროპის (უპირველესად, გერმანიის) უთანხმოებებზე, თუმცა მეამბოხეთა ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მათი პოზიციების დაახლოება გამოიწვია. სამშვიდობო პაუზაში კი შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომელიც ხელს საპირისპირო ტენდენციებს შეუწყობს. **რუსეთს სჭირდება არა მხოლოდ უკრაინა, არამედ დრო იმისთვის, რომ „განქორწინება“ ევროპასთან, თუკი მას საბოლოოდ ადგილი ექნება, რაც შეიძლება უმტკივნეულო იყოს. ეს დრო აუცილებელია ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებისთვის და რუსეთის ეკონომიკის იმ დარგების რეფორმირებისთვის, რომლებიც დასავლეთზე „მიბმული“ იყო.**

ერთ-ერთი მთავარი შედეგი, რომელსაც პუტინმა განხილულ პერიოდში მიაღწია, არის რუსული საზოგადოების დიდი ნაწილის კონსოლიდაცია ლიდერისა და ახალი იდეის გარშემო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თამამი ნაბიჯები თუნდაც „ქამრების შემოჭერის“ ხარჯზე გადადგას. მაგრამ რუსეთის ეკონომიკისა და საშინაო პოლიტიკის რადიკალური რეკონსტრუქცია, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება პრეტენზიის გამოთქმა იმ გეოპოლიტიკურ წონაზე, რომელიც XX საუკუნეში საბჭოთა კავშირს ჰქონდა, სხვა ყველაფერთან ერთად, მოითხოვს დროს, ამიტომ სასურველია, მიმდინარე მოვლენები განვიხილოთ, როგორც ბრძოლა რუსეთსა და აშშ-ს შორის ამ აქტივისთვის. ამერიკელებიც რთულ მდგომარეობაში არიან, მათ ეკონომიკას ჰაერივით სჭირდება ახალი სავაჭრო პაქტი ევროპასთან, თანაც, რაც შეიძლება მალე. კრემლს, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ სერიოზული განხეთქილება აშშ-სა და გერმანიას შორის რეალობად იქცევა. რაც შეეხე- ▶

ამერიკა

## აშშ-ის სახელმწიფო მდივნებს დასცინეს

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სოციალურ ქსელში ირონიული კომენტარი გაავრცელა ფოტოგრაფიაზე, რომელზეც აშშ-ის დიპლომატიური ცენტრის საძირკვლის ჩაყრაა გამოსახული.**

„ვიმედოვნებთ, რომ ეს არ არის ვეტერანების მობილიზაცია, ცივი ომის სანგრების გასათხრელად“ — ეს კომენტარი დატოვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფოტოზე, რომელზეც მაღალი რანგის ამერიკელი პოლიტიკოსები არიან აღბეჭდილი. დიპლომატიური ცენტრის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაში, რომელიც 3 სექტემბერს ვაშინგტონში გაიმართა, მონაწილეობდნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და მისი 5 წინამორბედი, ყოფილი სახელმწიფო მდივნები: ჯეიმს ბეიკერი, ჰენრი კისინჯერი, მადლენ ოლბრაიტი, ჰილარი კლინტონი და კოლინ პაუელი.



**უკრაინელი პოლიტიკოსები მათთან ურთიერთობისას, სავარაუდოდ, გამოიყენებენ ჩვენთვის კარგად ნაცნობ ფორმულას „რა დროს ეს სისულელეებია, მტერი 40 კილომეტრშია“. საბოლოოდ კი „ომის პარტია“, რომელიც „მშვიდობის პარტიაზე“ გაცილებით ძლიერია, დიდი ალბათობით, საწადელს მიაღწევს და ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები განახლდება.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ქართველი პოლიტიკოსებისთვისა და ექსპერტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორი იქნება რუსეთის ტრანსფორმაცია, გააანალიზონ, რით განსხვავდებოდა, მაგალითად, ივანე III-ს რუსეთი ივანე IV-ს რუსეთისგან, ალექსანდრე I-ის რუსეთი ნიკოლოზ I-ის რუსეთისგან და ა. შ.

◀ბა უკრაინას, მისი დათმობა (არა მხოლოდ დონბასის, არამედ მთელი უკრაინის) კრემლში, დიდი ალბათობით, საერთოდ არ განიხილება და რუსეთის დათმობის ტოლფასად აღიქმება. აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მაქსიმალურად სწრაფი წინსვლა გეოგრაფიულ სივრცეში მთელ რიგ შემთხვევებში არ არის ერთადერთი შესაძლებელი და ყველაზე წარმატებული სტრატეგია.

მოსკოვის მიზნები უკრაინაში გამარტივებულ ფორმულამდე რომ დავიყვანოთ, ამ ეტაპზე მას სჭირდება უკრაინა, რომელიც ა) აპრიორი არ გახდება ნატოს წევრი და ბ) თანდათან ჩაერთვება ევრაზიული ინტეგრაციის პროცესში. ორივე მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას როგორც მშვიდობიანი გზით (უკრაინის ფედერალიზაცია, აღმოსავლეთის რეგიონების გარანტირებული წარმომადგენლობა ცენტრალურ ხელისუფლებაში, ეკონომიკური თანამშრომლობა და ა. შ.), ისე ომით, მეამბოხეთა ძალების მხარდაჭერის პირობებში. მეორე გზა გაცილებით ხარჯიანი და საშიშია, თუმცა კრიტიკულ სიტუაციაში კრემლი უკან არც ამაზე დაიხევს.

რუსეთი შორდება დასავლეთს და ეს მის ისტორიაში პირველად როდი ხდება. დაახლოებისა და დაშორების პერიოდები ერთმანეთს ცვლის და პროცესი მთლიანობაში საათის ქანქარის მოძრაობას მოაგონებს. ამიტომ ქართველი პოლიტიკოსებისთვისა და ექსპერტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორი იქნება რუსეთის ტრანსფორმაცია, გააანალიზონ, რით განსხვავდებოდა, მაგალითად, ივანე III-ს რუსეთი ივანე IV-ს რუსეთისგან, ალექსანდრე I-ის რუსეთი ნიკოლოზ I-ის რუსეთისგან და ა. შ. ერთი შეხედვით, ეს ერთი და იგივე ქვეყანაა, მაგრამ საერთაშორისო (კერძოდ კი, ევროპულ) არენაზე მისი მოქმედების პროგნოზირება ჩამოთვლილ პერიოდებში აბსოლუტურად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა და ისტორია ამას ადასტურებს. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთთან კიდევ უფრო წინდახედული ურთიერთობა მოგვიწევს.

### ვინ მოკლავს მშვიდობის მტრედს?

საპარლამენტო არჩევნების წინ, სამხედრო წარუმატებლობისა და მინსკის შეთანხმების ფონზე, უკრაინის პოლიტიკური სპექტრი „ომის“ და „მშვიდობის“ პარტიებად გაიყო. პოლიტიკური ტექნოლოგიების ცინიკური გადასახედიდან ეს შესაძლებლობას აძლევს პოროშენკოსა და იაცენიუკს, სათავეში ჩაუდგნენ ამ პირობით „პარტიებს“, „მარჯვენა და მარცხენა ხელის ორთაბრძოლა“ გაითამაშონ და ამომრჩეველთა ხმები ორივე მხიდან მოიზიდონ. მაგრამ პროცესი ვაკუუმში როდი ვითარდება, ტიმოშენკოს მსგავსი პოლიტიკოსები და კოლომოისკის მსგავსი (რომელიც უკიდურესად გაღიზიანებულია იმით, რომ ხელში ვერ ჩაიგდო დონეცკის კლანების აქტივები) ოლიგარქები ამ პიესის უპრობლემო გათამაშების შესაძლებლობას პოროშენკოს ან თუნდაც მის უცხოელ პარტნიორებს, სავარაუდოდ, არ მისცემენ.

მიუხედავად იმისა, რომ ომის შედეგი (ომი არ დასრულებულა, ასე რომ „შუალედური შედეგი“) კატასტროფულია, უკრაინელ პოლიტიკოსებს, პარადოქსულად ხელს აძლევთ, რომ ომი არჩევნებზე მთავარ თემად იქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩევლები გადაიტანენ ყურადღებას მკვეთრად გაუარესებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სამოქალაქო თავისუფლებების მნიშვნელოვან შეზღუდვაზე, კორუფციაზე, კოშმარულ კრიმინოგენულ ვითარებაზე და ა. შ. **უკრაინელი პოლიტიკოსები მათთან ურთიერთობისას, სავარაუდოდ, გამოიყენებენ ჩვენთვის კარგად ნაცნობ ფორმულას „რა დროს ეს სისულელეებია, მტერი 40 კილომეტრშია“ (სააკაშვილის რეჟიმი საბოლოოდ შეეწირა ამ მიდგომას, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა; გრძელვადიან პერსპექტივაზე ახლა კიევში ნაკლებად ფიქრობენ). საბოლოოდ კი „ომის პარტია“, რომელიც „მშვიდობის პარტიაზე“ გაცილებით ძლიერია, დიდი ალბათობით, საწადელს მიაღწევს და ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები განახლდება.**

იმისთვის, რომ უკრაინამ შექმნას შეიარაღებული ძალები, რომელთაც შეეძლებათ, „ანტიტერორისტული ოპერაციის“ დროს დასახული მიზნების გადაწყვეტაზე იფიქრონ (გარანტირებულად კი არ მიაღწიონ, არამედ უბრალოდ იფიქრონ), მას დასჭირდება რამდენიმე წელი (2-3 წელი ყველაზე ოპტიმისტურ ვარიანტში) ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის და დასავლეთის მასირებული დახმარების პირობებში. მაგრამ **უფრო სავარაუდოა, რომ ესოდენ ხანგრძლივ მშვიდ პაუზას ადგილი არ ექნება, რომ კიევი ჩაატარებს მობილიზაციის მორიგ ტალღას, კონსერვაციიდან მოხსნის ძველი ტექნიკის ნარჩენებს და ისევ შეეცდება, წარმატებას შაბლონური მოქმედებებით, რიცხობრივი უპირატესობის ხარჯზე მიაღწიოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ძირფესვიანად კორუმპირებულ სახელმწიფოში, სადაც პროფესიონალი, პასუხისმგებლობის მქონე მაღალჩინოსნები და უმაღლესი ოფიცრები სანთლით მოსაძებნია, სამხედრო რეფორმამ სხვა სახე მიიღოს.** წარმატებული სამხედრო რეფორმა უკრაინაში წარმოუდგენელია მთელი სახელმწიფოს საფუძვლიანი გარდაქმნის გარეშე. მაგრამ ყველაზე დრამატული ამ შემთხვევაში ისაა, რომ ძიებებმა ამ სივრცეში, როგორც ელიტის, ისე საზოგადოების დიდი ნაწილი შეიძლება მკაცრი დიქტატურის დამყარების იდეამდე მიიყვანოს. ეს კი იქნება წასვლა ვა-ბანკზე, რომელიც შეიძლება დასრულდეს როგორც ნაძალადევი, მაგრამ მთლიანობაში წარმატებული რეფორმების გატარებით, ისე უკრაინული სახელმწფოებრიობის სრული კრახით.

მსოფლიოში, ალბათ, არც ისე ბევრია ქვეყანა, რომელთა მიმართ ქართველების დიდ უმრავლესობას ისეთი თბილი დამოკიდებულება აქვს, როგორც უკრაინის მიმართ. ეს გრძნობები სააკაშვილი-იუშჩენკოს ფსევდომეგობრობას როდი ეფუძნება, არამედ ღრმა და მრავალფეროვან ჰუმანიტარულ კავშირებს, რომლებიც, ათწლეულებს კი არა, საუკუნეებს ითვლის. როდესაც მეგობარს უჭირს, მას, ალბათ, ყველაზე მეტად არა მოფერება, არამედ სიმართლის თქმა სჭირდება, რაოდენ მწარეც უნდა იყოს ის. იმის ახსნა, რომ ომი და ახალი შეტევის წამოწყება არ არის გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან და უკრაინას ჰაერივით სჭირდება ხანგრძლივი მშვიდობა, კონფლიქტის დარეგულირება პოლიტიკური მეთოდებით, რომლის შესაძლებლობაც უკრაინულმა ელიტამ ხელიდან გაზაფხულზე გაუშვა (იმედია, არა საბოლოოდ). ეს არ უნდა დაემსგავსოს მენტორულ მონოლოგს, არამედ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას და გამოსავლის ძიებას. ამასთანავე, ჩვენი რესურსების სიმწირის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს, რათა უკრაინაში ომით დაზარალებულებს დაეხმაროს.

**დიმიტრი მონიავა**



## რამდენ ხანს გაგრძელდება «სპეციალური საპოლიციო კონტროლი»?

**შს მინისტრის მოადგილის — ლევან იზორიას განცხადებით, ე. წ. რეიდების შედეგები ძალიან კარგია და მას საზოგადოება დადებითად აღიქვამს. პოლიციელები კი სპეციალურ საპოლიციო კონტროლს მაქსიმალური სიზუსტით და კანონის დაცვით ასრულებენ.**

„ეს არ არის რეიდები, როგორც საბჭოთა რეალობისთვის იყო ცნობილი, არ არის 20 წლის განმავლობაში ძველი პოლიციის შესახებ კანონში ჩარჩენილი რეგულაცია. ეს არის სრულიად ახალი, სპეციალური საპოლიციო კონტროლი, რომელიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ამ რეგულაციის შემოღების დროს ხანგრძლივი დებატები გვქონდა პარლამენტში, რათა მომხდარიყო ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცვა. ეს ღონისძიება ემსახურება პრევენციულ ღონისძიებებს, მიმართულს მოქალაქეთა დაცვის მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველანაირი დანაშაული და სამართალდარღვევა. სპეციალური საპოლიციო კონტროლის შედეგების შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი, როდესაც სტატისტიკური მონაცემები დაჯამდება. ყველა ფაქტი შესწავლილი იქნება, რომელიც სამართალდარღვევას ავლენს. როგორც კი ახალი კანონი მივიღეთ, რამდენიმე თვე გაგრძელდა კანონის პრაქტიკული შესწავლა, რათა პოლიციელებს მიეღოთ მაქსიმალური ინფორმაცია. დიდი ხანია, მათ ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ. ერთია, რომ პოლიციელმა იცის, რა ფარგლებში მოქმედებს; მეორეა, მოქალაქემაც იცოდეს, რა ფარგლებში აქვს პოლიციელს მოქმედების საფუძველი. ხშირად, როდესაც მოქალაქეს აქვს პრეტენზია, არ იცის, რომ პოლიციელს ამ კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში ზედაპირული დათვალიერებისა და შემოწმების უფლება აქვს. ჩხრეკის უფლება კი აქვს მაშინ, როდესაც სამართლებრივი საფუძველი წარმოიშობა. დარწმუნებული ვარ, ბევრმა მოქალაქემ არ იცის პოლიციელის კანონიერი უფლების შესახებ და სასურველია, გაეცნოს“, — განაცხადა იზორიამ.

## დევდორაკზე ძლიერმა ნალექმა, შესაძლოა, ნაშალი კვლავ ჩამოიტანოს

**დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი თეა გოდოლაძე დევდორაკზე ძლიერი ნალექის მოსვლის შემთხვევაში ნაშალის ჩამოტანას არ გამორიცხავს.**

„დევდორაკზე სეისმური აქტივობის პროცესი, რომელიც დაიწყო მაისში, ამ ეტაპზე ჩამქრალია. რაც შეეხება ეგზოგენურ პროცესებს, უამრავი ნაშალი მასაა დაგროვილი და ძლიერმა ნალექმა, შესაძლოა,



ამ ნაშალი მასალის ჩამოტანა გამოიწვიოს. დაზღვეული არაფრისგან ვართ“, — აღნიშნა გოდოლაძემ.

## Amnesty International-მა უკრაინას სამხედრო დანაშაულების ჩადენაში დასდო ბრალი

**„უკრაინაში საომარი კონფლიქტის დროს ჩადენილია სამხედრო დანაშაულები“, — ნათქვამია საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის მოხსენებაში.** უფლებათა დამცველებმა გამოჰკითხეს საომარი მოქმედებების თვითმხილველი მშვიდობიანი მცხოვრებნი, რომლებმაც ილაპარაკეს უკრაინელი ძალოვნების მიერ ჩადენილ საშინელებებზე — გატაცებებზე, წამებასა და მკვლელობებზე.

„თვითმხილველთა მონათხრობი მიუთითებს იმაზე, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში ე. წ. ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობისას შეტევები ხშირად მშვიდობიან მოსახლეობაზე ხორციელდებოდა, რომლებიც სამხედრო დანაშაულს უთანაბრდება. უკრაინის რეგულარულ ძალებთან ერთად მოქმედი მოხალისეთა ბატალიონების წარმომადგენლები იტაცებდნენ და აწამებდნენ ადამიანებს“, — ნათქვამია Amnesty International-ის მოხსენებაში.

ამ ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა სალილ შეთიმ განაცხადა, რომ ეს შემთხვევები გულდასმით უნდა იქნეს გამოძიებული.

სალილ შეთი უკრაინას 7 სექტემბერს ეწვია ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოსაძიებლად.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპის ზურგს უკან აშშ დგას და მძლავრ ბერკეტებს ფლობს მის წინააღმდეგ, ამერიკას ევროპა დამონებული ჰყავს. დღეს ყველანი ერთად არიან ისეთ ვითარებაში, როდესაც არ იციან, რა მოიმოქმედონ“.**



*ვალერი კვარაცხელია:*

# რუსეთი ზესახელმწიფო ხდება, ამიტომ მისი გავლენის სფერო იზრდება, პოსტსაბჭოთა სივრციდან წასვლა კი ამერიკას მოუწევს!

**უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო, მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებები დროებით შეწყვეტილია, პოზიციების დათმობას არ აპირებს, ის კმაყოფილია ნატოს რეზოლუციით, რომლის თანახმადაც, უკრაინა ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას მიიღებს. პოზიციებს არც რუსეთი თმობს. რაც შეეხება აშშ-სა და ევროპას, ისინი დილემის წინაშე დგანან.**
**როგორც „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში ანალიტიკოსმა ვალერი კვარაცხელიამ განაცხადა, აშშ-ს ლავირების საშუალება არ აქვს, რადგან თავისი სამხედრო დოქტრინა ხელს უშლის.**

— უკრაინაში საომარი მოქმედებები შეჩერებულია, მაგრამ ეს რეალურად არაფერს ნიშნავს. **მიმდინარეობს პროცესი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც ამერიკის მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ. აშშ რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობს.**

თვითონ ამერიკა უამრავი პრობლემის წინაშე დგას — აქვს უაზარმაზარი საშინაო და საგარეო ვალი, ამიტომ იქ ვითარება, ფაქტობრივად, აფეთქებამდეა მისული, თუმცა ამას ოსტატურად ნიღბავენ. შენიღბვა დიდხანს ვერ გაგრძელდება, თუ ამერიკამ რაღაც ახალი არ მოიგონა და თავის გადარჩენაზე არ იზრუნა.

სწორედ ამიტომ **ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რუსეთი დაშალონ და ამ ქვეყნის აურაცხელი ქონება ხელში ჩაიგდონ. აი, ეს არის თავიდათავი მიზეზი უკრაინაში შექმნილი ვითარებისა და ამას ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება.**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკამ შეიმუშავა სამხედრო დოქტრინა, რომელშიც ნათლადაა ასახული მათი მსოფლიოზე გაბატონების სურვილი. ეს დოქტრინა მუდამ წინააღმდეგობას აწყდებოდა: ჯერ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, მერე ეგონათ, რომ ეს პრობლემა მოეხსნებოდათ, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ამ უდიდესი კავშირის სამართალმემკვიდრე გახდა, რუსეთი გახდა ასევე პატრონი იმ ბირთვული არსენალისა, რომელიც ძალისმიერი მეთოდების შემაკავებელი ფაქტორია. ამიტომ ამერიკა ახალ რელსებზე გადავიდა — გადაწყვიტა რუსეთის დასუსტება და დაშლა, მაგრამ მას კვლავ შეხვდა უდიდესი წინააღმდეგობა, რასაც რუსი ხალხის ნება ჰქვია. რუსი ხალხის ნებას კი ვლადიმერ პუტინი გამოხატავს. პუტინი ამას არც მალავს და სწორი ნაბიჯებიც გადადგა ქვეყნის გასაძლიერებლად, რაც გამოიხატა ეკონომიკისა და თავდაცვის სისტემების გაძლიერებაში.

ვლადიმერ პუტინმა 2007 წელს პირდაპირ განაცხადა, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი ვერ იქნებოდა, რადგან ამან სიკეთე არ მოიტანა, არ იმუშავა. პუტინის ეს ნათქვამი იმხანად ცარიელ სიტყვებად ჩათვალეს, მაგრამ ძალიან შეცდნენ, რუსეთი დღეს არის ქვეყანა, რომელსაც ნებისმიერ გამოწვევასთან გამკლავება შეუძლია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი აშშ-ის დოქტრინა დღემდე არავის შეუცვლია, რაც ამ ქვეყანას პრობლემებს უქმნის, ის საჭირო დროს ლავირების საშუალებას არ იძლევა, რაც რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას უწყობს ხელს. **ამერიკას ამ სიტუაციაში ჩათრეული ჰყავს მთელი ევროპა და რუსეთის წინააღმდეგ ერთად მოქმედებენ.**

ნატოს გაფართოების გეგმამ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შემუშავდა, 2004 წლამდე იარსება, ამ ალიანსში ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გაწევრებამდე. მათი მიზანია, ეს პროცესი გაგრძელდეს და, თუ გაგრძელება უწერია, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ნატოს წევრები უნდა გახდნენ, ოღონდ ერთი ფაქტორი არსებობს, შეუძლია თუ არა ამის ატანა რუსეთს? რუსეთი იტანს ბევრ რამეს, უკანაც იხევს, ოღონდ იმ მომენტამდე, ვიდრე მანევრირების საშუალება არსებობს. როდესაც რუსეთი დაინახავს, რომ უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს, იწყებს ბრძოლას სხვა მიმართულებით. სწორედ ასეთი რამ მოხდა უკრაინაში. ამერიკამ და ევროპამ მოქმედებები ფორსირებულად დაიწყეს ჩვეული მეთოდებით — მანიპულაციებით, კორუფციაზე საუბრით, იანუკოვიჩის ვითომ პრორუსულობით, შექმნეს მაიდნის პროცესები, რომლითაც პროამერიკული რეჟიმის ჩამოყალიბება სურდათ. მათ ეს ერთხელ უკვე სცადეს, როდესაც მოიყვანეს იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს ტანდემი, მაგრამ მაშინაც ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდათ და საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

აშშ ყველაფერს აკეთებს, რათა ევროპაში თავისი ჰაერ და რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარები განალაგოს და რუსეთი, პრაქტიკულად, ალყაში მოაქციოს, თანაც, თუ საქართველო და უკრაინა ნატოში გაერთიანდებიან, რუსეთი ბირთვული იარაღისგან განიარაღდება, რადგან დამჭერი სისტემები ძალიან ახლოს იქნება და აფრენის მომენტშივე შეძლებს რაკეტების დაჭერას. რუსეთი ამას, რა თქმა უნდა, აცნობიერებს და მან მოქმედება დაიწყო.

რუსეთი უკრაინაში არ შეჭრილა, მან ყველა წესის დაცვით, ლეგიტიმურად შეიერთა ყირიმი, უფრო ზუსტად, დაიბრუნა, რითაც სერიოზული პოლიტიკური განაცხადი გააკეთა იმ ქმედების წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკა ეწევა.

დასავლეთი ცდილობს, სახე შეინარჩუნოს, რიტორიკას არ ცვლის, გაურკვეველ სანქციებსაც აწესებს, რომლებიც უკან უბრუნდება ბუმერანგივით.

**რუსეთი ისეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, რომ ასეთი სანქციები ვერაფერს დააკლებს, რუსეთს ცხოვრება იზოლაციაშიც შეუძლია, რასაც ევროპაზე ვერ ვიტყვით. ევროპა დიდად არის დამოკიდებული რუსეთზე და სწორედ ამ მიზეზით საქართველო მაპის მოლოდინში რჩება.**

ამჟამად საქმე გვაქვს ჩიხურ სიტუაციასთან. დასავლეთი იძულებულია, უკან დაიხიოს, მაგრამ უკანდახევასაც თავისი წესი აქვს.

**— როგორ ფიქრობთ, ევროპა უკანდასახევად მზად არის?**

— ვერ გეტყვით, რადგან ევროპის ზურგს უკან აშშ დგას და მძლავრ ბერკეტებს ფლობს მის წინააღმდეგ, **ამერიკას ევროპა დამონებული ჰყავს. დღეს ყველანი ერთად არიან ისეთ ვითარებაში, როდესაც არ იციან, რა მოიმოქმედონ.**

**— რუსეთმა თუ იცის, რა უნდა გააკეთოს?**

— რა თქმა უნდა. რუსეთმა იცის, რომ უკრაინაში არსებობს რუსი ხალხის უდიდესი მასა, რომელიც პოზიციებს არ დათმობს, ისინი დიდხანს იყვნენ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. უკრაინაში მცხოვრებ რუსებს რუსულ ენაზე ფილმიც კი არ უნახავთ. ენის წინააღმდეგ მიმართული ასეთი ქმედება ფაშიზმია, ამიტომ რუსეთს ჩამოყალიბებული აქვს სამოქმედო გეგმა...

**— ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უკრაინაში რუსული ჯარია შეყვანილი, რუსეთი არ ადასტურებს...**

— **არც ვლადიმერ პუტინი და არც საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. რუსეთის ჯარის უკრაინაში ყოფნას ვერ ამტკიცებს ვერც ევროპა და ვერც ამერიკა, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, როგორ მუშაობენ დასავლური საინფორმაციო საშუალებები? შეუძლიათ, დღე ღამედ მოგაჩვენონ და პირიქით. ამერიკა და ევროპა ბრძანებებს გასცემენ და ყველა ქვეყანა, ჩვენი ტელევიზიებიც კი, ერთსა და იმავეს ყაყანებენ.**

როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია, თუმცა წარმოუდგენელია, რომ მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს, მაგრამ, თუ დაიწყება, რუსეთი ამაზეც წამსვლელია.

**— ამბობენ, რუსეთი ახლა ეკონომიკურად დასუსტებულია, ამიტომ ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს ვერ ჩაატარებსო...**

— ესეც იმ პიარის ნაწილია, რომელზეც ვსაუბრობდით. რუსეთს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ ნებისმიერ ომში ჩაებას.

მესამე მსოფლიო ომი სამყაროს დასასრულს ნიშნავს. რუსეთმა ბირთვული იარაღი სხვა მიმართულებით კი არა, თავის ქვეყანაში რომ ააფეთქოს, კაცობრიობა აღარ იარსებებს. მესამე მსოფლიო ომი მეტაფიზიკური განზომილებაა. ამაზე არც ერთი მხარე არ წავა, თუ რომელიმე დაიწყებს, მეორე დაამთავრებს.

**— ბატონო ვალერი, ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა, ცოტა არ იყოს, სახიფათო პროგნოზი გააკეთა; მან განაცხადა, რომ კრიზისი ჩვენთანაც მოსალოდნელია. როგორ ფიქრობთ, ამერიკა და ევროპა არეულობის დაწყებას ჩვენს რეგიონშიც შეეცდებიან და, ასე ვთქვათ, ამ გზით რუსეთს ზურგში დანას ჩასცემენ?**

— ნორლანდმა ნამდვილად საყურადღებო პროგნოზი გააკეთა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც უკრაინაში მოხდა, არა მგონია, მსგავსი რამ განმეორდეს.

რუსეთი ზესახელმწიფო ხდება, ამიტომ მისი გავლენის სფერო იზრდება, პოსტსაბჭოთა სივრციდან წასვლა კი ამერიკას მოუწევს.

ამერიკული კაპიტალიზმი და ეკონომიკური ცხოვრების წესი ღრმა კრიზისშია, ხოლო რუსული კაპიტალიზმი — საწყის სტადიაში. მას წინ ბევრი კარგი რამ აქვს. დასავლური მედია ამბობს, რომ რუსეთს მომხრეები არ ჰყავს, მაგრამ ეს მართალი არ არის, მის გვერდით ნახევარი მსოფლიოა.

**რუსეთთან შუბლით შესკდომამ კარგი რა მოგვიტანა? საქართველოში ყველა მომდევნო მთავრობა წინას ლანძღავდა, თუმცა საგარეო კურსი არც ერთს არ შეუცლია, რომელმაც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. ჩვენ სამ ნაწილად დაშლილები, ეკონომიკურად გაჩანაგებულები ვართ, ემიგრაციაშია მილიონობით ქართველი, აქ დარჩენილები კი ღვთის ანაბარა ვართ მიტოვებულნი.** ხომ შეიძლება, ასეთი შედეგების შემდეგ სწორი დასკვნა გავაკეთოთ? დასკვნა ერთია — **საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ხალხის ნებას არ ითვალისწინებდა. ქართველი ხალხის ნება არ არის და არც იქნება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, მას რუსეთთან მტრობას მეგობრობა ურჩევნიათ.**

ახალგაზრდებთან შეხვედრისას **პუტინმა თქვა, ამერიკელები ურთიერთობას ამყარებენ როგორც ხელისუფლებებთან, ასევე ოპოზიციასთანაც იმის გამო, რომ ხელისუფლება შემცვლელის შიშით ამუშავოს. რუსეთი ასე არ იქცევა, ჩვენ მხოლოდ ხელისუფლებებთან ვთანამშრომლობთ, ურთიერთობებს მათთან ვაწყობთო.**

**— როდის დასრულდება უკრაინის მოვლენები?**

— ძნელია პროგნოზირება, ამის უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ. თანაც არავინ იცის, ამერიკა რა ბერკეტებს აამუშავებს. **ერთი, რაც ზუსტად ვიცი, არის ის, რომ რუსეთი გამოუვალ სიტუაციაში აქტიურდება, ეს მისი ისტორიაა, რუსეთს ომი არასოდეს წაუგია. ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, არ დამარცხდება და ასეც უნდა იყოს, განა იმიტომ, რომ რუსეთი აბსოლუტური სიკეთეა, არა, უბრალოდ, ის ახლოს დგას სიკეთესთან.**

**«საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ხალხის ნებას არ ითვალისწინებდა. ქართველი ხალხის ნება არ არის და არც იქნება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, მას რუსეთთან მტრობას მეგობრობა ურჩევნია»**

**«ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რუსეთი დაშალონ და ამ ქვეყნის აურაცხელი ქონება ხელში ჩაიგდონ. აი, ეს არის თავიდათავი მიზეზი უკრაინაში შექმნილი ვითარებისა»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„სახელმწიფო უნივერსიტეტში სწორედ წმენდა უნდა ჩატარებულიყო. ეს სასწავლო დაწესებულება უნდა გაწმენდილიყო იმ ადამიანებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში აქტიურად იღვწოდნენ ნაცრეჟიმის გასამყარებლად“.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახელმწიფო უნივერსიტეტს ისევ «ნაციონალების» მიერ დანიშნული კადრები განაგებენ

**წლების წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უსამართლოდ გათავისუფლებული პროფესორ-მასწავლებლები ახალი ხელისუფლებისგან დღემდე ამაოდ ითხოვენ სამართლიანობის აღდგენას.**



**ხათუნა ჩარკვიანი, ჟურნალისტიკის დოქტორი:**

— უნივერსიტეტი სახელმწიფოს სიძლიერის ბარომეტრია. ბედნიერი ვიყავი, რომ გვყავდა არაჩვეულებრივი სტუდენტობა, რომელსაც ვასწავლიდი. რომ არა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები, 2012 წლის 1 ოქტომბერი არ იქნებოდა. სხვათა შორის, მათი პირველი მოთხოვნა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პროფესორების დაბრუნება იყო. აღსანიშნავია, რომ **სააკაშვილის რეჟიმმა შეიწირა პროფესორი მარინა ვეკუა, რომელიც თავისუფლების ინსტიტუტის მითითებით გაათავისუფლეს და მის ნაცვლად თეა თუთბერიძე მოიყვანეს.** რა უნდა ასწავლოს თეა თუთბერიძემ სტუდენტებს? მისი რამდენიმე ფრაზიდანაც ჩანს, როგორი პროფესორია. **პედაგოგი სტუდენტს მენტალობაზე, სამშობლოს სიყვარულზე უნდა ესაუბრებოდეს, მაგრამ ერთხელ მაინც თუ გსმენიათ თუთბერიძისგან სიტყვა „სამშობლო“?**

**დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტს ისევ „ნაციონალების“ დანიშნული კადრები განაგებენ, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ უნივერსიტეტში არ ჩაატარა წმენდა.** არ მერიდება ამ სიტყვის თქმა, დიახ, **სახელმწიფო უნივერსიტეტში სწორედ წმენდა უნდა ჩატარებულიყო. ეს სასწავლო დაწესებულება უნდა გაწმენდილიყო იმ ადამიანებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში აქტიურად იღვწოდნენ ნაცრეჟიმის გასამყარებლად.** ასეთია, მაგალითად, **მარიამ გერსამია,** რომელიც გახლავთ სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი. ის ამ თანამდებობას დღემდე იკავებს, გახდა სრული პროფესორი და ყველა ამქვეყნიური სიამე მიიღო. ეს იმიტომ მოხდა, რომ **მარიამ გერსამია პრივილეგიური ოჯახის წარმომადგენელია. ის კომპოზიტორ მაცაცო სებისკვერაძის ქალიშვილია. მარიამის ძმა, რომელიც ნაცრეჟიმის მეხოტბეა, სააკაშვილის შოუების რეჟისორად მუშაობდა.** მაინტერესებს, **რა ნიშნით მიიღო მარიამ გერსამიამ სრული პროფესორის სტატუსი, თუმცა ეს რა საკითხავია?! ეს იმიტომ მოხდა, რომ იგი დაახლოებული პირი იყო „ნაცმოძრაობასთან“. ჯერ კახა ლომაიას პრესმდივანი გახლდათ, შემდეგ — განათლების მინისტრ ნიკა გვარამიასი და ამიტომაც მიანიჭეს სრული პროფესორობა**. გარდა ამისა, ყველა პროექტში ესენი იყვნენ ჩართულნი, დადიოდნენ უცხოეთში და ა. შ.

უნივერსიტეტში 1994 წლიდან ვასწავლი, უნივერსიტეტის გაზეთში წერდნენ, როგორი წარმატებული ადამიანი ვარ, როგორ ვუყვარვარ სტუდენტებს, რა კარგ ლექციებს ვატარებ და ა. შ. ერთი თვის შემდეგ კი უაპელაციოდ მოხსნეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი და მეც ზედ მიმაყოლეს. დღეს უნივერსიტეტი გადასარჩენია, რადგან წამყვან პოზიციებს ისევ „ნაციონალების“ კადრები იკავებენ, და რა სისტემა მუშაობს, გაუგებარია. დიახ, **მოვიდა ახალი რექტორი, რომელიც ყველა ღირსებით შემკული ადამიანია, მაგრამ რეფორმა არ არის დაწყებული და, სახელმწიფოს ნება თუ არ იქნა, რეფორმას მხოლოდ უნივერსიტეტი ვერ განახორციელებს.** 2 წელი გავიდა და დროა, რეფორმები დაიწყონ, დამთავრდა კოაბიტაციის პროცესი და რაღას უცდიან?! **გაუგებარია, რატომ ფერხდება უნივერსიტეტში იმ პროფესორების დაბრუნების პროცესი, რომლებიც წლების განმავლობაში შეუპოვრად ებრძოდნენ ნაცრეჟიმს.**

**— რატომ ფერხდება?**

— იმიტომ, რომ გერსამია და სხვები კვლავ ინარჩუნებენ მაღალ პოსტებს უნივერსიტეტში. **მარიამ გერსამია სასწრაფოდ უნდა ჩამოშორდეს ჟურნალისტიკის მიმართულებას, რადგან ეს ადამიანი დარგის განვითარებას უშლის ხელს. ის ხომ „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიური ზონდერია!** ვიდრე ასეთი ადამიანებისგან არ გათავისუფლდება სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, ქვეყანას არაფერი ეშველება. მაგალითად, **უნივერსიტეტის პიარმენეჯერი ნანა მამაგულიშვილი „ნაციონალების“ დანიშნულია და ამ პოსტს დღემდე ინარჩუნებს. ის სააკაშვილთან დაახლოებული პირია. უნივერსიტეტი დღეს არის ჩაკეტილი სისტემა, რომელშიც არიან დაშინებული ადამიანები; ასეთები კი სტუდენტთან ვერ იმუშავებენ.**



**«მარიამ გერსამია სასწრაფოდ უნდა ჩამოშორდეს ჟურნალისტიკის მიმართულებას, რადგან ეს ადამიანი დარგის განვითარებას უშლის ხელს. ის «ნაცმოძრაობის» იდეოლოგიური ზონდერია!»**

ჩვენი მოთხოვნაა, „ოცნებამ“ დაიწყოს სახელმწიფო სტრუქტურებში რეფორმების გატარება, წამყვანი პოსტებიდან გაუშვას ნაცრეჟიმის მსახურები და მიიღოს ახალი კადრები.

დღეს სასწავლებელში მიღებისას ყურადღებას აქცევენ, რამდენ უცხოურ კონფერენციაზე ხარ ნამყოფი, რამდენი სტატია გაქვს გამოქვეყნებული და ა. შ. ჩვენ, წლების განმავლობაში უნივერსიტეტიდან გამოყრილები, ასეთ რაღაცებში ვერ ვმონაწილეობდით. ამ პრივილეგიებით სწორედ „ნაცების“ მსახური პროფესორები სარგებლობდნენ და დღეს, კონკურსებს რომ აცხადებენ, სწორედ ზემოჩამოთვლილ პარამეტრებს აქცევენ ყურადღებას, ამიტომაც პროკურატურაში შემაქვს სარჩელი ამ საკითხზე. **მოვითხოვ, შეისწავლონ ბოლო ათი წლის დოკუმენტაცია, როგორ იხარჯებოდა ფული, ვინ რამდენჯერ და რა გზით წავიდა უცხოეთში და რა შედეგი მოიტანა დახარჯულმა თანხამ.** ამას დიდი ხანია ვაპირებდი, მაგრამ თავს ვიკავებდი სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც, ჩემთვის ლექციები უნდა დაებრუნებინათ უნივერსიტეტში, მაგრამ მარიამ გერსამიასგან უარი მივიღე.

**— მიზეზი რა გითხრათ?**

— ის, რომ არ სჭირდება ჩემი საგნები თავის საპროგრამო დოკუმენტში.

**— რექტორთან არ გააპროტესტეთ?**

— ამ შემთხვევაში ლადო პაპავა უმცირესობაშია და ერთიანი, ძლიერი გუნდი სჭირდება, თუნდაც იმ პროფესორებისგან შემდგარი, რომლებიც სააკაშვილმა ქუჩაში გაყარა. ცუდია, რომ არ აქტიურობენ. შესაძლოა, ადრე თუ გვიან, ეს ხალხი უნივერსიტეტში დაბრუნდეს, მაგრამ საქმე უნივერსიტეტის გადარჩენაა. **სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2005 წლიდან გამოყრილი 80 პროფესორი უდიდესი სტრესის მიღებისა და ნერვიულობის გამო გარდაიცვალა. ეს ტვინების გენოციდია.**

**— რას აპირებთ?**

— უნივერსიტეტის რექტორთან მისვლას. მან კარგად იცის, როგორი თავნებობაცაა უნივერსიტეტში — უამრავი ვაკანსიაა, მაგრამ გერსამია მხოლოდ მისთვის სასურველ კადრებს უხსნის გზას. ეს ყველაფერი იცის რექტორმა, მაგრამ მე კიდევ ერთხელ შევახსენებ.

დღევანდელმა ხელისუფლებამ კი ქართველ საზოგადოებაზე უნდა იფიქროს და არა იმაზე, რას იტყვის ამერიკა, ევროპა თუ რუსეთი. ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ ქართველი ხალხის ნებით და, პირველ რიგში, მათი მოთხოვნები უნდა შეასრულონ. **არ არის სამუშაო ადგილები, არ მოხდა „ნაციონალების“ გაძევება სახელისუფლო სტრუქტურებიდან. „ოცნებას“ ისე არ მიჰყავს საქმე, როგორ დაპირებებსაც იძლეოდა ქვეყნის განვითრებაზე და დღეს რა პასუხს აძლევს საზოგადოებას?**

**თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— 2006 წელს გამოცხადდა პროფესორების კონკურსი და გავედი კონკურსზე. შემდეგ გაიმართა გასაუბრება და ჩემზე დაბალი რანგის პროფესორებს ზუსტად იმდენი ქულა დაუწერეს, რამდენიც საჭირო იყო ჩემ მაგივრად გასაშვებად. ამის გამო მივმართე სასამართლოს, რომელმაც აღიარა, რომ ეს შედეგები უსამართლოა. უმაღლესმა ინსტანციამაც გამოიტანა დადგენილება, რომ შედეგები უნდა გაუქმებულიყო. როდესაც სასამართლოს ეს წერილი მივიტანე უნივერსიტეტის იურიდიულ განყოფილებაში, სასაცილოდ არ ეყოთ. იმხანად უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა გახლდათ. სასამართლოზე კომისიის თავმჯდომარეს ჩემზე უთხრეს, ეს ისეთ ადამიანს არ ჰგავს, გასაუბრება ვერ გაევლოო, რადგან საკმაოდ სოლიდური „სივი“ მაქვს — ორი დისერტაცია დავიცავი და მოსკოვის დიპლომატიური აკადემია დავამთავრე. უპასუხეს, გასაუბრებაზე განწყობაზე ვერ იყოო. რა თქმა უნდა, ცუდ განწყობაზე ვიქნებოდი, რადგან ვიცოდი, რომ **ეს გასაუბრება მხოლოდ კორნელი კაკაჩიას გასაყვანად დანიშნეს. საბუთებით ვერ გაჰყავდათ და ამ გასაუბრებით გაიყვანეს.** კაკაჩია დღესაც უნივერსიტეტშია და უკვე სრული პროფესორის სტატუსიც მიანიჭეს.



**— რის საფუძველზე?**

— ეს ადამიანი „ნაციონალების“ მიმართ ლოიალური იყო. მე კი იმხანად რადიოგადაცემა „ეს შენი საქართველოას“ ავტორი და წამყვანი გახლდით და იმჟამინდელ ხელისუფლებას ვაკრიტიკებდი. ორი დისერტაცია მაქვს დაცული — საკანდიდატო და სადოქტორო, ჩემი კონკურენტების უმრავლესობას კი — ერთი; და დღეს კონფერენციაში მონაწილეობა თურმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სადოქტორო დისერტაცია. ამიტომაც არის დღეს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხი საშინლად დაბალი.

**— ბევრს აქვს ახალი რექტორის — ლადო პაპავას იმედი, მისთვის არ მიგიმართავთ?**

— უნივერსიტეტში ისეთი ვითარებაა, რომ ლადო პაპავა ვერ დამეხმარება. არადა, ისეთ მნიშვნელვან დარგს ვემსახურები, როგორიცაა პოლიტიკური მეცნიერება, რომელშიც საქართველო ძალიან მოიკოჭლებს. დღევანდელი უნივერსიტეტები გადაქცეულია არა განათლების კერად, არამედ სოციალიზაციის საშუალებად. ხელოვნურად ხდება განათლების ხარისხის დაცემა. **ბოლონიის პროცესის მიხედვით, აქცენტი გადატანილია მოხელეებზე, რომლებიც მხოლოდ საბუთების გაფორმებით არიან დაკავებულნი და ორიგინალურად მოაზროვნე კარგი პროფესორი თუ სილაბუსს ვერ დაწერს კარგად, შესაძლოა, უსამსახუროდ დარჩეს.** მოხელეები აკონტროლებენ სასწავლო პროცესს და **პედაგოგებს აღარ აქვთ შემოქმედებითი აღმაფრენა, ისინი ბუღალტრებად გადაიქნენ.** ეს გლობალური პროცესია, რომლის მიზანიც ადამანის გონების დერაციონალიზაციაა. ჩემს თაობას ცოდნის მხრივ ბაზისი გვაქვს, ფუნდამენტურ განათლებას ვგულისხმობ. შემთხვევითი არ არის, რომ სააკაშვილმა 40 წლის ზემოთ ადამიანები ჩარეცხა, რადგან კრიტიკული აზროვნების უნარი გაგვაჩნია. **დღევანდელ სტუდენტებს რომ მოუსმინოთ, გაოგნდებით. სააკაშვილის ყველაზე დიდი დანაშაული არის ის, რომ თაობები დაამახინჯა როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მენტალურად.** სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს გადაქცეულია სოციალიზაციისა და ახალი ღირებულებების ჩამოყალიბების ადგილად. თუმცა **მსოფლიოში არსებობს დახურული ტიპის უნივერსიტეტები, რომლებშიც სულ სხვა მეთოდით ასწავლიან, სწორედ იქ სწავლობენ დღევანდელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა შვილები, მათ შორის ქართველი პოლიტიკოსებისაც. ეს საკმაოდ ძვირად ღირებული უნივერსიტეტებია.**

**— როგორ უნდა გადარჩეს, ამ პროცესების მიუხედავად, სახელმწიფო უნივერსიტეტი?**

— თუ არ დაიწყო გლობალური ცვლილებები განათლების სფეროში, არაფერი შეიცვლება. ამ მეთოდით თაობების აღზრდით კი დერაციონალური გონების ადამიანებს მივიღებთ.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არავინ იცოდა, რომ მას ყოველთვის თან დაჰყვებოდა 30 კბილებამდე შეიარაღებული პროფესიონალი. თვალში არავის რომ არ მოხვედროდა, ეს გარე დაცვა უბრალო, შეუხედავი მანქანებით გადაადგილდებოდა. ბადრის პირადმა დაცვამაც არ იცოდა მათი არსებობა.“**

# ვინ ჩაიგდო ხელში პატარკაციშვილისა და კოდუას საუბრის ჩანაწერი, რომელიც «იმედის» ეთერში უნდა გასულიყო

**ბესო კეიდია „ავტოვაზის“ დირექტორად მაშინ მუშაობდა, როცა ბადრი პატარკაციშვილი რუსთავის ბაზის, რომელიც „ჟიგულის“ ნაწილებით ამიერკავკასიას ამარაგებდა, დირექტორის მოადგილე-მომარაგების უფროსი იყო. იმხანად ჩაეყარა საფუძველი მათ მეგობრობას, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელ გარდაცვალებამდე გაგრძელდა. 1990 წელს ბადრი საქართველოში რომ დაბრუნდა, მოძებნა ბესო კეიდია და მას მერე დღე არ გასულა, ერთად რომ არ ყოფილიყვნენ — საქმეშიც და მოცალეობის ჟამსაც: ნარდის თამაშს, მაგალითად, ერთ დილას რომ იწყებდნენ, მეორე დილით ამთავრებდნენ.**
**— ნარდის თამაშით ისვენებდა. ეთიშებოდა საქმეს, ნარდის გარდა იმ საათებში არაფერზე ფიქრობდა.**
**ამ შესავლის გაცნობის შემდეგ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი, ალბათ, არ გაიკვირვებს, რატომ მოვიწვიეთ ბატონი ბესო კეიდია ბადრი პატარკაციშვილთან დაკავშირებულ ბოლომდე გაურკვეველ ზოგიერთ საკითხზე სასაუბროდ.**


ბესო კეიდია და ბადრი პატარკაციშვილი

**— ბატონო ბესო, ბოლო ხანს კვლავ გააქტიურდა ბადრი პატარკაციშვილისა და ირაკლი კოდუას საუბრის ჩანაწერზე ლაპარაკი. თქვენ ბადრის უახლოესი მეგობარი იყავით. შეგიძლიათ ისაუბროთ ამ თემაზე?**

— ვიცოდი, რომ უნდა გამართულიყო შეხვედრა პოლიციის ამ მაღალჩინოსანთან. **ახლა რომ ამბობენ, კოდუამ ფარულად ჩაიწერაო, ტყუილია. შეუძლებელია, კოდუას რამის ჩაწერა მოეხერხებინა.**

პირიქით იყო ყველაფერი.

ამ შეხვედრას წინ უძღოდა ბადრის შეთანხმება სკოტლანდ იარდთან. სწორედ ამ საიდუმლო სამსახურის დახმარებით უნდა ჩაეწერა მათი საუბარი. ასეც მოხდა. ეს ინგლისია, ჩემო ბატონო, ბანოჯა და ვანუატუ კი არა. ამგვარი ღონისძიების ჩატარება ქვეყნის შიგნით დივერსიად არის მიჩნეული და **საქართველოს სპეცსამსახურის რაგინდ მაღალ მოხელეს ამ დივერსიის განხორციელების უფლებას არავინ მისცემდა. ეს აქსიომაა.**

**— ფეხსაცმლის ქუსლში ჰქონდაო ჩამონტაჟებული ჩამწერი აპარატურა?!**

— ზღაპრებია! ასეთი პრიმიტივიზმი ბერიას დროინდელ შინსახკომშიც კი წარმოუდგენელი იყო. დღეს არსებული მაღალი მგრძნობელობის აპარატურა დაუბრკოლებლად აღმოუჩენდა ასეთ „ფარულ“ მოწყობილობას.

მე, რაც ბადრისგან ვიცი, იმას ვამბობ. ისიც უნდა ვთქვა, რომ **ბადრი არ იყო ის პიროვნება, რომელიც კოდუას სატყუარაზე წამოეგებოდა. მან ძალიან კარგად იცოდა, ვის ხვდებოდა, თავიდან ბოლომდე შესწავლილი ჰყავდა ეს კაცი და დარწმუნებული იყო, რომ ორმაგი თამაში მისთვის უცხო და მიუღებელი არ იქნებოდა.**

მოვლენების განვითარებამ ეს დაადასტურა, ხოლო კოდუასთვის გენერლის წოდების მინიჭებამ ბეჭედი დაუსვა იმას, რასაც ბადრი ამბობდა.

**ბადრისთან შესვლამდე კოდუა ლამის ფეხის ფრჩხილამდე შეამოწმეს და, როგორ ფიქრობთ, ფეხსაცმლის ქუსლში ჩამონტაჟებულ მოწყობილობას ვერ აღმოაჩენდნენ?!** თქვენ რა, არ გინახავთ, რომ თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ სპეცკონტროლში გასვლისას ზოგიერთი მგზავრი ფეხშიშველიც კი გაუტარებიათ?

**— ვყოფილვარ ამისი მომსწრე, თუნდაც ჩვენს აეროპორტში, როცა ერთ-ერთ ჩვენს ოპერატორს („სვანს“) მანამ არ მოეშვნენ, სანამ ფეხსაცმელი არ გახადეს და დეტექტორში რამდენიმეჯერ ისე გაატარეს, რომ მშობლიური მიწის სითბო ფეხის გულებით ეგრძნო...**

**«ბადრი პატარკაციშვილი არ იყო ის პიროვნება, რომელიც ვინმეს ლიკვიდაციას შესთავაზებდა კოდუას. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. თავის პოლიტიკურ ცხოვრებას იგი სხვების გვამებზე არ ააგებდა»**

— ლონდონში ბადრისთან მისულ კოდუას დაცვის თანამშრომლები, რომლებიც სპეციალურად იყვნენ გაფრთხილებულნი და იცოდნენ, რისი აღმოჩენა და აღკვეთა ევალებოდათ, როგორი გულმოდგინებით შეასრულებდნენ დავალებას, მტკიცება არ სჭირდება. სააკაშვილის პროპაგანდისტული აპარატის ჩვეული ხრიკია, რომელმაც ეს პროფესიონალები პრიმიტიულ ხეპრეებად წარმოგვიდგინა, რომლებიც მოხერხებულმა ვანო მერაბიშვილმა და მასზე უფრო მოხერხებულმა კოდუამ გააცურეს.

ასეთ პრიმიტივიზმს საბჭოთა მზვერავებზე გადაღებულ ოცდაათიანი წლების კინოფილმებშიც ვერ შეხვდებით.

პატარკაციშვილ-კოდუას საუბარს არ დავსწრებივარ, ვიმეორებ იმას, რაც ბადრისგან ვიცი.

**— ვანო მერაბიშვილის ლიკვიდაცია შესთავაზაო პატარკაციშვილმა კოდუას. ჩანაწერში ასეა.**

— ჯერ ერთი, **ბადრი პატარკაციშვილი არ იყო ის პიროვნება, რომელიც ვინმეს ლიკვიდაციას შესთავაზებდა კოდუას.** ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. თავის პოლიტიკურ ცხოვრებას იგი სხვების გვამებზე არ ააგებდა. რომც ეფიქრა ლიკვიდაცია, პოლიციის თანამშრომელს ამას არ გაანდობდა. მეორე: **ჩანაწერი, რომელიც იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ქართულ საზოგადოებრიობას მოასმენინა, იყო უხეში მონტაჟი,** რომლის გაკეთება მეტ-ნაკლებად დაოსტატებულ ხმის რეჟისორს შეუძლია. ისეთი სიყალბე იყო, რომელსაც ნებისმიერი ექსპერტი წვალების გარეშე აღმოაჩენს და დაადასტურებს.

**— თქვენი არგუმენტები გასაგებია, მაგრამ, თუ ბადრი პატარკაციშვილმა თვითონ ჩააწერინა კოდუასთან თავისი საუბარი, მაშინ საკითხავია, სად, როდის და როგორ მოახერხა მერაბიშვილის სპეცსამსახურმა ამ ჩანაწერის გაყალბება?**

— ძალიან მარტივად — ე. წ. პერეხვატის მეშვეობით ხელთ იგდეს საუბრის ჩანაწერი.

**— აბა, გიორგი თარგამაძემ ჩამოიტანაო?**

**— გიორგი თარგამაძე მაგ დროს თბილისში იყო, „იმედში“ იჯდა და ელოდებოდა ამ ჩანაწერს.** შემდეგ, თუ გახსოვთ, თარგამაძე გამოვიდა და დახურა ტელევიზია. დამონტაჟებული ჩანაწერი კი „რუსთავი 2“-ზე გაასაჯაროვა ხელისუფლებამ — მოგვასმენინა ის, რაც მას სურდა, და არა ის, რაც სინამდვილეში იყო. ბადრის რომ ვკითხე, შალვოვიჩ, ამაზე რას ფიქრობ-მეთქი, მიპასუხა, მეც იმავეს ვფიქრობ, რასაც შენო. გაეცინა: მაგ ავანტიურაზე ლაპარაკიც არ მინდაო — კოდუას ჩემი საუბარი როგორ უნდა ჩაეწერაო?!

**— რატომ დასჭირდა სააკაშვილის ხელისუფლებას ამ სიბინძურის გაკეთება?**

— ბადრიც ამბობდა და ნებისმიერი პატიოსანი ანალიტიკოსიც გაიზიარებს იმ პოზიციას, რომელსაც პასუხად გეტყვით. ბადრის ჰქონდა უზარმაზარი რესურსი, წერტილი დაესვა „ნაციონალების“ პარპაშისთვის საქართველოში. ხალხი მას მხარს უჭერდა. ოპოზიციური პარტიები მის გვერდით იდგნენ. სააკაშვილისეული ელიტა დაფრთხა და ყველაფერს კადრულობდა ბადრის ავტორიტეტის შესარყევად.

კოდუას ავანტიურაზეც ამიტომ წავიდნენ, მაგრამ ამ ბლეფმა დიდხანს არ იმუშავა. როგორც ყველა ტყუილს, ამასაც მოკლე ფეხები აღმოაჩნდა.

რას იზამ, ზოგს ასე აძლევს ხელს, ზოგს — სხვანაირად. ზოგმა ყველაფერი ოლიგარქსა და მილიარდერ ბერეზოვსკის დააბრალა. თითქოს ბერეზოვსკიმ ჩაგვიშვა... **ბერეზოვსკის არაფერი გაუფუჭებია, არავინ ჩაუშვია.**

**— ნაღდია?**

— აბა, რა! პირიქით. **ბადრი რომ გარდაიცვალა, ბერეზოვსკი ძალიან ნერვიულობდა, იმიტომ, რომ ყველაფერი პატარკაციშვილისთვის ჰქონდა მინდობილი, მთელი ბიზნესი. თვითონ საერთოდ არაფერს აკონტროლებდა.** ბადრის სიკვდილი ბერეზოვსკისთვის თავისი ბიზნესის სიკვდილი, მთელი საქმის კატასტროფა იყო.

**— ბადრი ელოდა, რომ მის ლიკვიდაციას შეეცდებოდნენ?**

— აბა, რა! ამაზე საუბარს ხშირად შევსწრებივარ. ყველაფერს ეუბნებოდნენ, თუ რამეს გაიგონებდნენ, თუ სადმე რამეს აღმოაჩენდნენ. ელოდა, მზად იყო ყველაფრისთვის, მაგრამ პანიკაში არასოდეს ჩავარდნილა.

**— დაგიჯერებთ, რომ იცოდა, მაგრამ საიდან ჟონავდა ასეთი ინფორმაცია?**

**— ბადრი დიდი ფულის პატრონი იყო. ამ ფულის მეშვეობით ყვე-** ▶

მოკლედ

## 2015 წელს მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება დაიწყება

**„2015 წელს დამატებით გამოიყოფა რესურსები და მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება დაიწყება“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პედაგოგებთან შეხვედრაზე. მისივე თქმით, მასწავლებლის ხელფასი 2016 და 2017 წლებშიც გაიზრდება.**

„მასწავლებლის პროფესია უნდა ვაქციოთ ერთ-ერთ პრესტიჟულ პროფესიად, როგორც ეს მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ქვეყნებშია. აი, ამ მხარდაჭერით, ასეთი კომპლექსური მიდგომით, თანამიმდევრული ნაბიჯებით მივაღწევთ იმას, რომ მასწავლებლობა გახდეს მიმზიდველი პროფესია ახალგაზრდებისთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ განათლების სფეროსთვის ასეთ მნიშვნელოვან პროცესებში ჩვენი მასწავლებლები აქტიურად ჩაებმებიან. საქართველოს მთავრობა სერიოზულად ეკიდება ამ საკითხს და გეგმავს, მხარი დაუჭიროს რეფორმას. მასწავლებლის მოტივაციის გაზრდა უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ მზად ვართ ამ ინიციატივის ფინანსური ხელშეწყობისთვის. 2012-2013 წლებში გაიზარდა პედაგოგების ხელფასი, გაუმჯობესდა საშვებულებო პირობები. 2015 წელს კი დამატებით გამოიყოფა ფინანსური რესურსები და დაიწყება მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება. ნოემბერში გვეცოდინება დამატებითი ინვესტიციების ზუსტი მოცულობა. მასწავლებლის ხელფასი იქნება მზარდი 2016 და 2017 წლებშიც. მისასალმებელია, რომ მასწავლებლის ანაზღაურების ზრდა, ახალი სქემის მიხედვით, დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მის მიღწევებზე. ეს თითოეულ მასწავლებელს გაუზრდის მოტივაციას“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ბადრი სხვის ფულს არასოდეს შეირჩენდა, მით უფრო, თუ იმ სხვას რაღაც საქმე მაინც ჰქონდა გაკეთებული. მაგრამ ზოგი ფულის შოვნაზე იყო გადასული, ბერავდნენ ხარჯთაღრიცხვას, სულ უფრო მეტ ფულს მოითხოვდნენ, ლარიან საქმეს ოცი ლარის ფასს ადებდნენ.“



**«დარწმუნებით ვიცი, რომ ის ფული, რომელიც აქტივისტებისთვის უნდა დაერიგებინათ, მან გამოგზავნა, მაგრამ ვინ სად წაიღო და როგორ გაანაწილა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ბადრი მას მერე თბილისში ვერ ჩამოვიდა, თორემ ყველაფერს გაარკვევდა»**

◀ **ლგან ჰყავდა თავისი „თვალი და ყური“ — აქაც, იქაც.**

**— პოლიციაშიც?**

— აბა, რა! ვინ რას იტყოდა დილით, საღამოს ბადრიმ იცოდა, შეიძლება, უფრო ადრეც. დიდ ფულს უხდიდა ყველას.

**— თქვენთვის უთქვამს, რომ „იქ“ ჩემი ხალხი მყავსო?**

— თქმა რად უნდოდა! თვითონაც ვიცოდი.

**— ისეთ „მოღვაწეებზეა“ ლაპარაკი, რომლებიც ცნობილი იყვნენ და არა წვრილფეხობაზე?**

— აბა, რა! მაგრამ დასახელებას ნუ მომთხოვთ. ბადრი ცოცხალი არ არის და სხვა ვერავინ დამიდასტურებს იმ გვარებს, მე რომც ჩამოგითვალოთ.

**— კოდუაზეც შეიძლება ვიფიქროთ?**

— კოდუას იმ პერიოდში რაღაც პრობლემები შეექმნა პოლიციაში და რეაბილიტაციისთვის, შეცდომების გამოსასყიდად იკისრა ის საქმე, რომელზეც ვილაპარაკეთ, ან — დაავალეს. მას ამ ოპერაციის შედეგად მისცეს გენერლობა, როგორც ვიცი.

ბადრის, როგორც გითხარით, ყველგან თავისი ხალხი ჰყავდა, პარტიებშიც.

**— პარტიებშიც?!**

— პარტიებშიც!

**— „ნაციონალურ მოძრაობაშიც“?**

— დიახ. ყველაფრის შესახებ მოსდიოდა ინფორმაცია. უკვე წასული ამბავია და შეიძლება ვთქვა. **ერთ პერიოდში ჩამოვიტანეთ მანქანაზე დამონტაჟებული მოძრავი მოსასმენი აპარატურა. მანქანას ეწერა „ტელევიზია იმედი“. თანამედროვე, უაღრესად მგრძნობიარე პელენგატორით შენობაში რაც ხდებოდა, იმის მოსმენა და დაფიქსირება შენობის გარედან შეიძლებოდა. ამასთანავე, 3-4 მობილური ტელეფონის მოსმენაც იყო შესაძლებელი.**

ერთი თვე იმუშავა ამ აპარატურამ, შემდეგ დამიძახა და მითხრა ბადრიმ:

— ბესო, გამორთე ეგ აპარატურა, იმდენ სისაძაგლეს ვიგებთ, რომ შეიძლება გავგიჟდეთ. **ამ ყველაფერს რომ ვუსმინოთ და დავიჯეროთ, შეიძლება მარტონი დავრჩეთო. ახლობლები ისეთ რაღაცებს ყვებოდნენ, რომ თმები ყალყზე დაგიდგებოდა კაცს.** ყველაფრის გადმოცემა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად — წასული საქმეა.

**— ბადრის საარჩევნო შტაბშიც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც პატარკაციშვილზე აუგის თქმაში ვარჯიშობდნენ?**

— ყველგან იყვნენ. იქიდანაც მოჰქონდათ ამბები, აქედან იქითაც მიჰქონდათ. ამას მიჩვეული იყო ბადრი. ვინმე რომ ეტყოდა, ესა და ეს კაცი, ხომ ხედავ, შენს ქონებას იპარავსო, უპასუხებდა: შენ რომ მის ადგილზე იყო, არ მოიპარავო?!

გულუხვი კაცი იყო ბადრი პატარკაციშვილი. მეგობარსა და ახლობელს ფულს დაუშურველად აძლევდა ბიზნესის წამოსაწყებად (ათასები იყო, ცოტა კი არა!). ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ მისგან დაფინანსებული პიროვნება, საეჭვო საქმეში დებდა ფულს და პირწმინდად კარგავდა.

პატარკაციშვილთან დარცხვენილი რომ მოვიდოდა, ბადრი ეტყოდა:

— ბიჭო, საქმეს თავს თუ ვერ ადგამ, ის ფული შენ მაინც შეჭამე, სხვას რატომ აბაირამებ?

ბანკში უდებდა ანგარიშზე... ბევრი მათგანი ახლაც იმ თანხის პროცენტებით ცხოვრობს.

ანალიტიკური ტვინი ჰქონდა და სიტუაციას ყოველთვის პრაგმატულად აფასებდა, ზედმეტი ემოციების გარეშე. **არ უკვირდა არც მოსმენა, არც ქურდობა, არც ჩაშვება, მაგრამ ყველაფერს მომზადებული ხვდებოდა შხამსაწინააღმდეგო საშუალებებით.**

ადამიანები, რომლებსაც ბადრი თავისიანებად მიიჩნევდა, ერთმანეთთან საუბარში მის გინებასაც არ ერიდებოდნენ, — ასეთი და ისეთია, ყევერე და გაიძვერაა, ეს თანამდებობა უნდა, ის უნდა და ა. შ.

ისეთი ახლობლები ლაპარაკობდნენ, რომლებზეც გადაყოლილი იყო. მოწინააღმდეგე მხარესთან საუბრის დროს ჩადებდნენ კუბოში.

მას შემდეგ ის მოსასმენი აპარატურა აღარ გამოგვიყენებია და ახლა სად არის, არ ვიცი. უამრავი ჩანაწერი იყო, თავისთავად ძალიან საინტერესო, მაგრამ ვინ და რისთვის გამოიყენა, ან იყენებს თუ არა დღეს, ვერაფერს გეტყვით. არც მაინტერესებს.

**— ამდენი მუქარა რომ მოდიოდა ბადრი პატარკაციშვილის მისამართით, ამის გასანეიტრალებლად კეთდებოდა რამე განსაკუთრებული? გარედან ისე ჩანდა, რომ მის დაცვაში სულ რამდენიმე კაცი იყო, თანაც უცხოელები.**

— დაცვა რომ ჰყავდა, **ყველა ხედავდა. მაგრამ არავინ იცოდა, რომ მას ყოველთვის თან დაჰყვებოდა 30 კბილებამდე შეიარაღებული პროფესიონალი.** თვალში არავის რომ არ მოხვედროდა, ეს გარე დაცვა უბრალო, შეუხედავი მანქანებით გადაადგილდებოდა. ბადრის პირადმა დაცვამაც არ იცოდა მათი არსებობა.

**— პარლამენტის წინ გამართულ მრავალათასიან მიტინგზე ბადრი პატარკაციშვილი რომ გამოვიდა, განაცხადა, რომ მთელ თავის ქონებას სააკაშვილის რეჟიმისგან საქართველოს გათავისუფლებას მოახმარდა.**

— თავი გადადებული ჰქონდა. არამხოლოდ გააკეთებდა, აკეთებდა კიდეც.

**— ბევრს ლაპარაკობდნენ ბადრი პატარკაციშვილისა და ბიძინა ივანიშვილის დაპირისპირებაზე, ბევრს ჭორაობდნენ.**

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **ბადრის ბატონ ბიძინა ივანიშვილზე არასოდეს სიტყვაც არ წამოსცდენია! ცუდს, საერთოდ, ვერავისზე ათქმევინებდით.** ხოლო ენის მიმტანს, რაც გინდა შენს საწინააღმდეგოდ ელაპარაკა, არ დაუჯერებდა, შენზე ჩამოყალიბებული თავისი აზრი არ შეეცვლებოდა.

**ჩამშვებები რომ დარწმუნდნენ, ენის მიტანას აზრი არ ჰქონდა, დაშოშმინდნენ, დაწყნარდნენ, შეეშვნენ ყურში ჩაჩურჩულებას.** თორემ თავიდან ისეთი შემოტევა იყო, ნორმალური ადამიანი ვერ წარმოიდგენდა. პროფესიულ საქმიანობად ჰქონდათ გადაქცეული.

ჩემზე რას არ ეუბნებოდნენ, ოოო! ეცინებოდა ბადრის ამაზე.

**— ბატონო ბესო, ის რა იყო, ბადრის საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულმა აქტივისტებმა აქცია რომ მოაწყვეს, ფული არ გადაგვიხადაო?!**

— **ბადრი სხვის ფულს არასოდეს შეირჩენდა, მით უფრო, თუ იმ სხვას რაღაც საქმე მაინც ჰქონდა გაკეთებული.** მაგრამ ზოგი ფულის შოვნაზე იყო გადასული, ბერავდნენ ხარჯთაღრიცხვას, სულ უფრო მეტ ფულს მოითხოვდნენ, ლარიან საქმეს ოცი ლარის ფასს ადებდნენ. არ იყო ბადრი ისეთი სულელი, რომ ასე ეფლანგა ფული.

ერთი ნუღლა იყო, ვისაც თითქოს ფული არ მისცა, სხვებიც მახსოვს ასეთი პრეტენზიის მქონე. მეტს აძლევდა, თორემ ნაკლები არავისთვის მიუცია.

**დარწმუნებით ვიცი, რომ ის ფული, რომელიც აქტივისტებისთვის უნდა დაერიგებინათ, მან გამოგზავნა, მაგრამ ვინ სად წაიღო და როგორ გაანაწილა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ბადრი მას მერე თბილისში ვერ ჩამოვიდა, თორემ ყველაფერს გაარკვევდა.**

ბადრის დავცილდი 2008 წლის 11 თებერვალს. მასთან სტუმრად ვიყავი ლონდონში. შემართებით ლაპარაკობდა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. შენ ხომ ხარ ჯანზეო, მეუბნებოდა.

**— სიკვდილის წინათგრძნობა არ ჰქონდა? არ ელოდა?**

— არა! ვაჟკაცურ განწყობილებაზე იყო, მომავალზე ლაპარაკობდა. ასე დავცილდით. 12-ში მოსკოვში ჩემმა შვილმა დილის 6 საათზე დამირეკა, ბადრი გარდაიცვალაო...

ასე იყო.

საქართველოს სიყვარული ბადრის სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი. ეს განსაკუთრებული თემაა და ცალკე სალაპარაკო.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**ერთ პერიოდში ჩამოვიტანეთ მანქანაზე დამონტაჟებული მოძრავი მოსასმენი აპარატურა. მანქანას ეწერა „ტელევიზია იმედი“. თანამედროვე, უაღრესად მგრძნობიარე პელენგატორით შენობაში რაც ხდებოდა, იმის მოსმენა და დაფიქსირება შენობის გარედან შეიძლებოდა. ამასთანავე, 3-4 მობილური ტელეფონის მოსმენაც იყო შესაძლებელი**



## ნატოს ახალი გენერალური მდივანი ჰყავს

**ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ახალი გენერალური მდივანი ჰყავს — იენს სტოლტენბერგი. ანდერს ფოგ რასმუსენმა სწორედ მას დაუთმო პოსტი.** სტოლტენბერგი გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებას 1 ოქტომბრიდან შეუდგება.

იენს სტოლტენბერგი წარმოშობით ნორვეგიელია და იგი ნორვეგიაში პრემიერმინისტრის პოსტს 2000-2001 და 2005-2013 წლებში იკავებდა. ანდერს ფოგ რასმუსენმა კი ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობა 2009 წლის 1 აგვისტოს დაიკავა.



## ამერიკელი მოსამართლეები სამუშაო ადგილებზე სექსით იყვნენ დაკავებულნი

**კალიფორნიის შტატის სასამართლოს სადისციპლინო კომისიამ საჯარო გაკიცხვა მოუწყო ორ ადგილობრივ მოსამართლეს, რომლებიც არამართლზომიერ ქმედებაში იყვნენ მხილებულნი.**

ასეთ ქმედებაში ამხილეს ორანჟისა და კერნის ოლქების მოსამართლეები — სკოტ შტაინერი და კორი ვუდვორდი. კომისიის მონაცემებით, 2012 წელს შტაინერს სამუშაო ადგილზე ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა სტაჟიორ ქალთან, რომელსაც მოგვიანებით სამსახურში მიღების რეკომენდაცია მისცა. გარდა ამისა, მას ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა ადვოკატ ქალთანაც.

კომისიამ, აგრეთვე, გაარკვია, რომ მეორე მოსამართლეს — კორი ვუდვორდს — სასამართლოს შენობაში სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა თავის მდივან ქალთან.

კომისიამ მოსამართლეების საქციელს „უპასუხისმგებლობის მწვერვალი“ უწოდა.

მოკლედ

## ფრანსუა ოლანდი: კონტრაქტი «მისტრალების» მიწოდების შესახებ შეჩერებული არ არის

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ კონტრაქტი რუსეთისთვის ვერტმფრენმზიდ „მისტრალების“ მიწოდების შესახებ არც შეწყვეტილია და არც შეჩერებული, მაგრამ მისი რეალიზება დამოკიდებულია უკრაინის აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებაზე, — იუწყება საააგენტო „როიტერი“.**

3 სექტემბერს ოლანდმა განაცხადა რუსეთისთვის პირველი „მისტრალის“ მიწოდების შეჩერების თაობაზე. მისი თქმით, „რუსეთისთვის პირველი ვერტმფრენმზიდის მისაწოდებლად საჭირო პირობები არ არსებობს“, მაგრამ ოლანდს არ განუმარტავს, რა ჰქონდა მხედველობაში. თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლებამ საფრანგეთს შეახსენა, რომ 2011 წელს გაფორმებული კონტრაქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში მას ჯარიმის გადახდა მოუწევს, რაც დაახლოებით 3 მილიარდ ევროს შეადგენს.



პროფესია რეპორტიორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბევრ ჟურნალისტს, რომლებიც უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს აშუქებენ, ცეცხლი გაუხსნეს, ბედად ისინი გადარჩნენ. უკრაინელი ძალოვანები უყოყმანოდ ესვრიან ადამიანებს, რომლებსაც აცვიათ ჟილეტები წარწერით „პრესა“, უჭირავთ ვიდეოკამერები და მიკროფონები.**

# დაიღუპა ფრონტის ხაზზე პროფესიული მოვალეობის შესრულებისას

**მინსკში გამართულმა ევრაზიის კავშირის ქვეყნებისა და უკრაინის პრეზიდენტების შეხვედრამ ეუთოს მონაწილეობით შედეგი გამოიღო: უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში დაპირისპირებული ძალები დაზავდნენ. შეწყვიტეს ცეცხლი. დროებით. მშვიდობა მყიფეა. პირველი დღე-ღამის განმავლობაში დონეცკის რეგიონში დაფიქსირდა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის 10-ზე მეტი შემთხვევა.**
**თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნიათ.**
**შეშფოთების საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ შემჩნეულია უკრაინის ჯარის სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გადაადგილება. მაგრამ უკვე გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, რომ მოლაპარაკების გზით შეიძლება ამ ცხელი წერტილის პრობლემების მოგვარება.**
**ან — ისე, ან — ასე.**



არც — ომი, არც — მშვიდობა, — ასე შეიძლება დახასიათდეს უკრაინაში დღეს ჩამოყალიბებული ვითარება. ჭრილობას სისხლი სდის. ოდესმე განიკურნება. მაგრამ დავიწყებას არ მიეცემა ის, რაც გადაიტანა ამ ქვეყანამ, განსაკუთრებით, ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების უდანაშაულო, მშვიდობიანმა მოსახლეობამ ჯოჯოხეთის ზეობის რამდენიმე თვის განმავლობაში. ისტორია განსჯის, უახლესი.

ჩვენ კი, ჟურნალისტების ამქრის წევრები, მდუმარედ ვდგავართ ამ სამოქალაქო ომის ბოლო მსხვერპლის (ღმერთმა ქნას, ბოლო იყოს!) — ფოტორეპორტიორ **ანდრეი სტენინის** საფლავთან, რომელიც მოსკოვის ტროეკურის სასაფლაოზე ტელეჟურნალისტების — **იგორ კორნელიუკის, ანტონ ვოლოშინისა** და **ანატოლი კლიანის** საფლავების გვერდით გაითხარა, და მწუხარებით ვხრით თავს მათი ხსოვნის წინაშე.

5 სექტემბერს მიაბარეს მიწას ანდრეი სტენინი, რომელიც უკრაინის ხელისუფლების მიერ მოწყობილი სადამსჯელო ექსპედიციის მონაწილე სამხედრო დანაყოფის ჯარისკაცებმა ჩაცხრილეს ავტომანქანაში. მოკლეს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. ეს უდავოდ არის გარკვეული.

„თურმე დღესაც არსებობს კადრები, რომლებიც სიცოცხლედ ღირს. და რაგინდ პარადოქსული იყოს, ასეთი კადრების გადაღება უკრაინაში შეიძლება“, — განაცხადა სამგლოვიარო ცერემონიის დროს „რუსეთი დღეს“ გენერალურმა დირექტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და ტელეწამყვანმა დიმიტრი კისელევმა.

ტრაგიკული აღმოჩნდა ბევრი ჩვენი კოლეგის ბედი უკრაინაში. მათ შორის — **ანდრეი სტენინისაც.** კარგა ხანს უცნობი იყო მისი ადგილსამყოფელი. 5 აგვისტოდან, მას შემდეგ, რაც იგი აღარ გამოდიოდა კავშირზე, არა ერთი ვერსია გავრცელდა, არა ერთი მიზეზი დასახელდა მისი გაუჩინარების. აბობოქრდა ჟურნალისტთა ამქარი, აფორიაქდა ჟურნალისტთა საერთაშორისო გაერთიანება და უკრაინის ხელისუფლებას მოსთხოვა პასუხი კოლეგის გაუჩინარებაზე.

ხელისუფლებას მოსთხოვა მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება, რადგან არსებობდა ამის საფუძველი.

უკრაინის შს მინისტრის — არსენ ავაქოვის მრჩეველმა **ანტონ გერაშჩენკომ** თავდაპირველად განაცხადა, რომ სტენინი უკრაინელმა ძალოვანებმა დააპატიმრეს ტერორიზმისთვის ხელშეწყობის ბრალდებით, მაგრამ შემდეგ გაემიჯნა თავის ნათქვამს და განაცხადა, რომ მან „მხოლოდ ივარაუდა“ ჟურნალისტის დაპატიმრება უკრაინელი ძალოვნების მიერ. ხოლო რუსმა ჟურნალისტებმა, რომლებმაც ინტერვიუ ჩამოართვეს, დაუმახინჯეს ნათქვამი.

იტყუებოდა გერაშჩენკო.

ჯერ ერთი, მას ინტერვიუ ჩამოართვეს არა რუსმა, არამედ ლატვიელმა, რადიოსადგურ „Baltkom“-ის ჟურნალისტებმა, მასალა გადაიცა რადიოთი და „წინადადების ამოგლეჯა კონტექსტიდან“ ძნელი წარმოსადგენია.

ლატვიელი ჟურნალისტები გააოცა გერაშჩენკოს ამ განცხადებამ და თავიანთ საიტზე დადეს ეს ინტერვიუ. ჩანაწერში გარკვევით ისმის, რომ შეკითხვაზე: „ცნობილია თუ არა თქვენთვის, სად იმყოფება ანდრეი სტენინი?“, გერაშჩენკო საუბრის დასაწყისშივე უპასუხებს: „დიახ, ცნობილია“.

პარალელურად ინტერნეტში გამოჩნდა სტენინის გამამართლებელი ვიდეოკადრები. ბრალდება, რომ რეპორტიორი თითქოს ესწრებოდა უკრაინელი მედესანტის წამებასა და დახვრეტას, სრულიად უსაფუძვლო გამოდგა: დამბრალებელთა სავალალოდ და სამარცხვინოდ, ეს მედესანტე ცოცხალი აღმოჩნდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკრაინის საგარეო უწყებას რამდენჯერმე გაუგზავნა ოფიციალური შეკითხვა ჟურნალისტის ბედთან დაკავშირებით.

შედეგი — არავითარი.

ან რა უნდა ეპასუხათ, როცა უკრაინაში სამოქალაქო ომთან დაკავშირებით ისეთი არეულობა იყო, რომ ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა.

## უკრაინის „სისხლიანი ქაოსის“ მორევში დაიღუპნენ ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთ პროფესიულ სამუშაოს ასრულებდნენ — ცდილობდნენ ობიექტურად გადმოეცათ იმ ტრაგედიისა და ღვთის რისხვის პერიპეტიები, რომლებიც „ზალეჟნაიაში“ ტრიალებდა

**უკრაინის „სისხლიანი ქაოსის“ მორევში დაიღუპნენ ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთ პროფესიულ სამუშაოს ასრულებდნენ — ცდილობდნენ ობიექტურად გადმოეცათ იმ ტრაგედიისა და ღვთის რისხვის პერიპეტიები, რომლებიც „ზალეჟნაიაში“ ტრიალებდა.**

მშრალი ჩამონათვალიც კი შეძრავს ადამიანს.

**2014 წლის 24 მაისს** სლავიანსკის მახლობლად, სოფელ ანდრეევკაში მოკლეს იტალიელი ჟურნალისტი **ანდრეა როკელი** და მისი თარჯიმანი **ანდრეი მირონოვი**; აფეთქებული ჭურვის ნამსხვრევით დაიჭრა ფრანგი ფოტოკორესპონდენტი **ვილიამ როგულონი.**

**2014 წლის 17 ივნისს** უკრაინელი ძალოვანების მიერ გახსნილ ცეცხლს ლუგანსკის მახლობლად შეეწირნენ რუსეთის სახელმწიფო ტელე-რადიოკომპანიის საინფორმაციო პროგრამა „ვესტის“ კორესპონდენტი **იგორ კორნელიუკი** და ხმის ოპერატორი **ანტონ ვოლოშინი**.

ამ ორი ადამიანით გაიხსნა რუსეთის დაღუპული ჟურნალისტების სია. რეპორტიორები იღებდნენ სიუჟეტს, თუ როგორ გამოჰყავდათ სახალხო თავდაცვის მოხალისეებს ლტოლვილები სახიფათო ზონიდან. ჟურნალისტებს ეკეთათ მასმედიის განმასხვავებელი ნიშნები. ჭურვი გადამღებ ჯგუფთან ახლოს აფეთქდა. ანტონ ვოლოშინი ადგილზე გარდაიცვალა, იგორ კორნელიუკი — ადგილობრივ საავადმყოფოში მიყვანისთანავე.

**2014 წლის 30 ივნისს** დონეცკში, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილთან კიეველმა სამხედროებმა მოკლეს რუსეთის პირველი არხის ოპერატორი **ანატოლი კლიანი**. ამ ნაწილის შესასვლელთან ჯარში გაწვეულთა დედებმა გამართეს აქცია და მოითხოვეს თავიანთი შვილების გათავისუფლება. სამხედროებმა ცეცხლით უპასუხეს. სასიკვდილოდ დაიჭრა ანატოლ კლიანი.

რამდენიმე ჟურნალისტი, რომლებიც უკრაინაში მსახურობდნენ, გაიტაცეს.

**2014 წლის 21 აპრილს** Vice News ჟურნალისტი **საიმონ ოსტროვსკი** დაიკარგა. სლავიანსკის „სახალხო მერმა“ ვიაჩესლავ პონომარიოვმა განაცხადა, რომ ოსტროვსკი დაკავებული ჰყავთ სლავიანსკის მოხალისეთა აქტივისტებს, როგორც „მარჯვენა სექტორის“ ინფორმატორი. სამი დღის შემდეგ ამერიკელი ჟურნალისტი გაათავისუფლეს.

**2014 წლის 18 მაისს** „ლაიფ ნიუსის“ თანამშრომლები — **მარატ საიჩენკო** და **ოლეგ სიდიაკინი** უკრაინელმა ძალოვანებმა დააპატიმრეს იარაღის ტრანსპორტირების ბრალდებით. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ისინი დატყვევებული ჰყავდათ და გაათავისუფლეს ჩეჩნეთის პრეზიდენტის — რამზან კადიროვის შუამავლობით. ჟურნალისტებმა კოლეგებს უამბეს, როგორ არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ: შეუკრეს ხელ-ფეხი, თავზე ტომარა ჩამოაცვეს და ხაროში ჩააგდეს.

**2014 წლის 6 ივნისს** დაიკარგნენ ტელეარხ „ზვეზდას“ ოპერატორი **ანდრეი სუშენკოვი** და ხმის რეჟისორი **ანტონ მალიშევი.** უკრაინის ნაცგვარდიაში განაცხადეს, რომ რუსი ჟურნალისტები დააკავეს და გადასცეს უკრაინის უშიშროების სამსახურს. მათ ბრალად წაუყენეს სლავიანსკის მახლობლად უკრაინის ბლოკსაგუშაგოების შესახებ ცნობების შეგროვება. ჟურნალისტები 9 ივნისს გაათავისუფლეს.

**2014 წლის 14 ივნისს** რუსეთის ტელეარხ „ზვეზდას“ ორი ჟურნალისტი — კორესპონდენტი **ევგენი დავიდოვი** და ხმის ინჟინერი **ნიკიტა კონაშენკოვი** უკრაინის ნაცგვარდიის თანამშრომლებმა დნეპროპეტროვსკის შემოგარენში დააკავეს. ისინი რედაქციის დავალების შესრულების შემდეგ რუსეთში ბრუნდებოდნენ. ნაცგვარდიის ტყვეობაში სამი დღე დაჰყვეს. მათ დაუნდობლად ეპყრობოდნენ: სცემდნენ, ემუქრებოდნენ, რომ დახოცავდნენ. გათავისუფლებულებს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ, ექიმებმა დაუფიქსირეს ძლიერი სტრესი და უამრავი გემატომა სხეულზე. დავიდოვი საავადმყოფოში დააწვინეს დიაგნოზით „ყურის აპკის გაგლეჯა“.

**2014 წლის 22 ივლისს** უკრაინელმა სამხედროებმა ხელთ იგდეს ბრიტანელი ჟურნალისტი, რტ-ის უშტატო კორესპონდენტი **გრემ ფილიპსი**. იგი დააკავეს მაშინ, როცა ადგილობრივ ჟურნალისტ **ვადიმთან** ერთად გაემართა დონეცკის აეროპორტისკენ. ფილიპსის თქმით, მისი კოლეგა სცემეს, თავად იგი კი მრავალგზის დაჰკითხეს, წაართვეს პირადი ნივთები, მანქანა, ფული და 26 ივლისს პოლონეთში გადაიყვანეს და აუკრძალეს 3 წლის განმავლობაში უკრაინის ტერიტორიაზე გამოჩენა. საინტერესოა, რომ ფილიპსი უკრაინის ხელისუფლებას პირველად არ დაუკავებია. წლეულს მაისში უკრაინის ნაცგვარდიამ იგი საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დააკავა და უკრაინის სპეცსამსახურებს გადასცა.

**2014 წლის 22 ივლისს** CNN-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამ არხის შტატგარეშე კორესპონდენტი **ანტონ სკიბა** უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში დააკავეს და დონეცკის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებს მისი გათავისუფლების მოთხოვნით მიმართეს. ტელეკომპანიის მონაცემებით, შეიარაღებულმა ადამიანებმა სკიბა დონეცკის სასტუმროსთან დააკავეს. მოხალისეთა დაეჭვება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჟურნალისტს ჰქონდა რამდენიმე დოკუმენტი სხვადასხვა გვარზე. 26 ივლისს სკიბა გაათავისუფლეს.

ეს სია სრული არ არის.

**ბევრ ჟურნალისტს, რომლებიც უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს აშუქებენ, ცეცხლი გაუხსნეს, ბედად ისინი გადარჩნენ. უკრაინელი ძალოვანები უყოყმანოდ ესვრიან ადამიანებს, რომლებსაც აცვიათ ჟილეტები წარწერით „პრესა“, უჭირავთ ვიდეოკამერები და მიკროფონები.**

ბევრ რუს რეპორტიორს აუკრძალეს უკრაინის საზღვრის გადაკვეთა.

**2014 წლის 1 აგვისტოს** „რაშა თუდეის“ ჟურნალისტი, აშშ-ის მოქალაქე **ალინა ემპრიმიანი** უკრაინიდან გააძევეს. რეპორტიორს ბრალად დასდეს სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობა მაშინ, როცა იმიერკარპატებში გამართულ ერთ-ერთ მიტინგს იღებდა.

**უკრაინაში მიზანმიმართულად დევნიან ჟურნალისტებს. გამოძიებით დადგინდა, რომ მფრინავი ქალი ნადეჟდა სავჩენკო დამნაშავეა რეპორტიორების — კორნელიუკისა და ვოლოშინის მკვლელობის ხელშეწყობაში: მან გადასცა უკრაინელ არტილერისტებს ჟურნალისტების ზუსტი კოორდინატები.** ბატალიონ „აიდარის“ მეთაური სერგეი მელნიჩიუკი მონაწილეობდა ნაღმსარტყორცნების დაშენაში, რის შედეგადაც დაიღუპნენ რუსი რეპორტიორები. „აიდარი“ ერთ-ერთია იმ სახელობითი ბატალიონებიდან, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში არიან ჩართულნი.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში უკრაინაში პრესის თავისუფლებაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ცნობილმა უკრაინელმა ჟურნალისტმა, Revizor-ua-ს შეფრედაქტორმა **ალექსანდრ ჩალენკომ** „კავპოლიტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა: „(უკრაინაში) რაც არის, იმას მასმედიას ვერ უწოდებ. მათი ნახევარი პროპაგანდისტული წვრილფეხობაა, რომლებიც ხშირად სიცრუეს აქვეყნებენ. მაგალითად, ყირიმზე წერენ, რომ „ნახევარკუნძული ავტომატების ლულების მუქარით გამოეყო (უკრაინას), ყველგან ლტოლვილებია ყირიმიდან, იქ ყველაფერი დაქცეულია, მოსახლეობა თავზარდაცემულია, თათრებს ხოცავენ, ხოლო რუსი სამხედროები ყველას და ყველაფერს აუპატიურებენ. განა ეს ბოდვა არ არის?!“

„ცხენს ვერ შეწვდნენ, უნაგირს დაუწყეს მტვრევაო“.

ეს სენტენცია ზედგამოჭრილია უკრაინის სასამართლო ხელისუფლებაზე, რომელმაც **მიზეზ-მი-** ▶

„ეს რეგულაცია გაზრდის კორუფციასაც: ან ნაცნობთან მივლენ აფთიაქში, ან უბნის ექიმს მიართმევენ „ბანბანერკას“ და სთხოვენ წამლის გამოწერას და ა. შ. ამას გარდა, არსებობს კიდევ ერთი პრობლემა — შეიძლება ამ ყველაფერმა მედიკამენტებზე ფასების ზრდა გამოიწვიოს“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზეზ ჯერ რუსეთის ტელეარხ „ТВ Центр-International“-ის, მოგვიანებით კი რუსეთის პირველი არხის, „რტრ-პლანეტის“, „როსია-24“-ის, „ვესტის“ და „ნტვ მირის“ გადაცემების ტრანსლაცია აკრძალა.**

* * *

ჟურნალისტების დაღუპვაზე საზოგადოებრიობის რეაქცია, რა თქმა უნდა, მწვავეა.

შოკირებულები არიან **„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“; ჟურნალისტების დაცვის კომიტეტმა,** რომელიც აშშ-ში არის განთავსებული, კრიტიკულად შეაფასა სამხრეთ აღმოსავლეთ უკრაინაში თავისუფალი პრესის მდგომარეობა. ექსპერტების აზრით, ჟურნალისტების უფლებების დაცვისა და თავისუფალი პრესის ფუნქციონირების კუთხით მდგომარეობა მხოლოდ უარესდება.

აღშფოთებულია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროც, მაგრამ, როგორც ადამიანის უფლებათა საკითხებში პრეზიდენტთან არსებული საბჭოს თავმჯდომარე **მიხაილ ფედოტოვი** აცხადებს, აღნიშნულ პრობლემასთან, ანუ ჟურნალისტების დაცვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული კანონპროექტის „დუმის“ განსახილველად წარდგენას არავინ ჩქარობს. დეპუტატები იმიზეზებენ, რომ უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით არიან დაკავებული. საბჭოს კი პარლამენტში კანონპროექტების შეტანის უფლებამოსილება არ გააჩნია.

კოლეგა ჟურნალისტები შეიძლება დაინტერესდნენ, რას ითვალისწინებს კანონპროექტი, რომლის მიღებას საშველი არ დაადგა.

პროექტში ჩაწერილია: დაევალოს დამსაქმებელს, უზრუნველყოს ცხელ წერტილში მომუშავე ჟურნალისტი ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებით, სპეციალური აღჭურვილობით და მისცეს მას შესაძლებლობა, გაიაროს სპეცმომზადება. ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა მიიღოს, აგრეთვე, განმასხვავებელი ნიშანი „პრესა“ და საერთაშორისო ჟურნალისტის პირადობის მოწმობა საშიშ ზონაში მისი მივლინების შესახებ (ეს გათვალისწინებულია 1949 წლის ჟენევის კონვენციებზე დამატებული ოქმით). შესწორებების თანახმად, დამსაქმებელმა ჟურნალისტს უნდა გაუფორმოს დამატებითი დაზღვევა და გაატაროს ნებაყოფლობით გენომურ რეგისტრაციაში (დაღუპვის შემთხვევაში ამოსაცნობად).

არ იქნება ეს უკან მიდევნებულდი ლამპარი, რადგან სამოქალაქო ომს უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის მიუხედავად ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს.

დავუმატოთ ამას, რომ **პრეზიდენტმა პოროშენკომ რამდენიმე დღის წინათ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებს უფლება მიეცათ, „გაუფრთხილებლად გამოიყენონ ფიზიკური ზემოქმედების ღონისძიებები“, მათ შორის, იარაღი იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც „ტერორისტებად მიიჩნევიან და ტერორიზმით არიან დაკავებულნი.**

**ესროლეთ, კანონი დაგიცავთ!**

**არმაზ სანებლიძე**

# ცხოველთა უფლებების დამცველთა შემაშფოთებელი პროგნოზები — ახალი რეგულაცია შინაური ცხოველების სიკვდილიანობის ზრდასა და მედიკამენტებზე ფასების მომატებას გამოიწვევს

**„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, 1 სექტემბრიდან აიკრძალა გარკვეული მედიკამენტების გაცემა ურეცეპტოდ. ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია, თუმცა პრობლემა კიდევ უფრო მწვავეა შინაური ცხოველების შემთხვევაში. ვინაიდან ვეტერინარს ფორმა №3 რეცეპტის გაცემის უფლება არ აქვს, მხოლოდ ლიცენზირებულ ვეტერინარულ კლინიკაშია შესაძლებელი საკუთარ ცხოველს დახმარება აღმოუჩინო. განსაკუთრებით რთული ვითარებაა რაიონებსა და სოფლებში, სადაც შინაურ ცხოველებს ადგილობრივი ვეტერინარები მკურნალობდნენ და ლიცენზირებული ვეტერინარული კლინიკები იქ ან ძალიან ცოტაა, ან საერთოდ არ არის. ცხოველთა უფლებების დამცველები ამბობენ, რომ ეს ყველაფერი შინაური ცხოველების სიკვდილიანობის ზრდასა და მედიკამენტებზე ფასების მომატებას გამოიწვევს.**



ვეტერინარებისთვის რეცეპტის გამოწერის უფლების მინიჭების მიზნით, ცხოველების უფლებების დამცველებმა ხელმოწერებიც შეაგროვეს და შემდგომი რეაგირებისთვის ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს გაუგზავნეს, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიუღიათ. შევეცადეთ, გაგვერკვია, გეგმავს თუ არა ამ მიმართულებით ჯანდაცვის სამინისტრო ცვლილებებს და რა ბედი ელით შინაურ ცხოველებს. **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს თამარ ბოდოკიას** განცხადებით, ცხოველების პატრონებს პრობლემები არ შეექმნებათ, რადგან ყველაფერი უკვე მოგვარებულია. „შემუშავებულია რეგულაციები და ვეტექიმები ჩვეულებრივ შეიძენენ მედიკამენტებს. ამ მხრივ მათ პრობლემები არ ექნებათ,“ — ამბობს თამარ ბოდოკია, მაგრამ ასე არ ფიქრობენ ცხოველთა უფლებების დამცველები.

**ცხოველთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე თინათინ ჭავჭანიძე:**

— რაიონებსა და სოფლებში ცხოველები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვინაიდან რაიონებში ძალიან ცოტაა ან საერთოდ არ არის ლიცენზირებული ვეტერინარული კლინიკები. ყველამ ვიცით, როგორც ხდებოდა: თითქმის ყველა სოფელში იყო დარჩენილი მოხუცი ვეტერინარი, რომელიც მკურნალობდა ცხოველებს. ახლა არ ვიცი, ამ ცხოველებს რა ეშველებათ. აღნიშნული საკითხის მოგვარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა და სწორედ მას უნდა ეზრუნა ამ ყველაფერზე, მაგრამ მათ ამ პრობლემის შესახებ არც იცოდნენ. მხოლოდ ჩვენი მიმართვის შემდეგ შეიქმნა კომისია და მხოლოდ ამის შემდეგ დაუშვეს კომპრომისული ვარიანტი, რომ იმ ვეტერინარს, რომელსაც აქვს რეგისტრირებული ვეტერინარული კლინიკა, ექნება უფლება, ბაზებიდან გამოიტანოს მედიკამენტები და შემდეგ დანიშნულებასთან ერთად გასცეს. ერთხელ ვიყავით ვეტერინარულ დეპარტამენტში, მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოველების დამცველები ამ ქვეყანაში არაფრად მიაჩნიათ, არც შეგვხმიანებიან. ჩემი აზრით, ძალიან არაპროფესიონალურ მიდგომას ვაწყდებით ამ საკითხისადმი. ყველა ვეტერინარს თავისი უფლება უნდა შეატყობინონ. აქ მხოლოდ ცხოველების უფლებებზე არ არის საუბარი, ადამიანებისა და ცხოველების უფლებები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებით, **განსაკუთრებულ შემთხვევებში როგორც ადამიანებისთვის, ისე ცხოველებისთვისაც შეგიძლიათ შეიძინოთ წამალი აფთიაქში, თუმცა ვინ განსაზღვრავს და დაადგენს, ნამდვილად სჭირდება თუ არა ცხოველს ესა თუ ის მედიკამენტი, უცნობია.** წესით, კონტროლის მექანიზმიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ვეტერინარულმა დეპარტამენტმა უნდა შეიმუშავონ. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, ეს პროცესები უფრო გამჭვირვალედ მიმდინარეობდეს.

**— გაზრდის თუ არა ეს ცვლილება შინაური ცხოველების სიკვდილიანობას?**

— ვფიქრობ, აუცილებლად გაზრდის, ვინაიდან, თუ ვერ უმკურნალე და წამალი ვერ უყიდე ცხოველს, ბუნებრივია, მოკვდება. ამას გარდა, ზოგიერთ ცხოველს აქვს ქრონიკული დაავადება, რომელიც მუდმივ მკურნალობას საჭიროებს და არ ვიცი, ეს საკითხიც როგორ მოგვარდება. ქვეყანაში ცხოველების მიმართ პასუხისმგებლობა ძალიან დაბალია, ბევრი მეპატრონე ისედაც აგდებდა ავადმყოფ ცხოველს ქუჩაში და ახლა, როცა ამ ცხოველებს ვერ უმკურნალებენ, ქუჩაში გაგდებული ავადმყოფი ცხოველების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. **ვფიქრობ, ეს რეგულაცია გაზრდის კორუფციასაც: ან ნაცნობთან მივლენ აფთიაქში, ან უბნის ექიმს მიართმევენ „ბანბანერკას“ და სთხოვენ წამლის გამოწერას და ა.შ. ამას გარდა, არსებობს კიდევ ერთი პრობლემა — შეიძლება ამ ყველაფერმა მედიკამენტებზე ფასების ზრდა გამოიწვიოს.**

**ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს მცხოვრები ირინე ნეფარიძე:**

— სოფელში არ გვყავს ვეტერინარი, ზესტაფონში ვეტერინარული აფთიაქებია, რომლებშიც ვყიდულობდით ცხოველებისთვის საჭირო მედიკამენტებს, მაგრამ ისინი რეცეპტს არ ითხოვდნენ. თუ ჰქონდათ საჭირო წამალი, გვაძლევდნენ; ახლა ეს რეგულაცია პრობლემას შექმნის. თუ ვეტერინარიც ვერ მოგვცემს რეცეპტს, არ ვიცი, რა უნდა ვქნათ. თუ წამლის ყიდვას ვერ შევძლებთ, ბუნებრივია, მოგვიკვდება ცხოველი, ეს კი ხალხში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს.

**თბილისის მცხოვრები ნინო ბაქრაძე:**

— ჩემმა ძაღლმა ახლახან რთული ოპერაცია გადაიტანა. საჭირო მედიკამენტები წინასწარ შევიძინე, თუმცა, მომავალში როგორ მოვახერხებ წამლების შეძენას, არ ვიცი.

ვითხოვთ, ვეტერინარებს მიეცეთ რეცეპტის გამოწერის უფლება, რათა ცხოველების პატრონებმა შევძლოთ აფთიაქებში მედიკამენტების შეძენა. ასევე სასურველია, ძველი ფასით შევძლოთ ამ წამლების ყიდვა და არა მომატებული ფასით. ვინაიდან, ვეტერინარს თუ მისცეს უფლება (ესეც არ არის ჯერ გადაწყვეტილი), მან ნებისმიერ მედიკამენტზე ფასის ნამატი უნდა გააკეთოს. ეს კი თავისთავად ფასების გაზრდას გამოიწვევს. ამას გარდა, თუ ცხოველი არ წაიყვანე ვეტერინარულ კლინიკაში, მედიკამენტს ვერ იყიდი. ხშირად ცხოველთან ერთად საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება შეუძლებელია, ეს კიდევ ცალკე პრობლემას ქმნის. შესაძლებელია, იმ კლინიკაში იმ დროს საჭირო წამალი არც ჰქონდეთ, ვინაიდან ვეტერინარი ყველა მედიკამენტს წინასწარ ვერ შეიძენს. და ვიდრე პრობლემა გადაიჭრება, დრო გავა, ეს კი ნებისმიერი ცხოველისთვის სახიფათოა.

**ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს უფროსი დავით მაჭარაშვილი:**

— ვეტერინარული სამკურნალო საშუალებების რეგულაცია და რეალიზაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაა. თუმცა, გარდა ვეტერინარული პრეპარატებისა, არის სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ადამიანისთვისაც გამოიყენება და ცხოველებისთვისაც, მათ ჩვეულებრივ იძენენ აფთიაქებში. კანონმდებლობა არ ზღუდავს ვეტერინარულ სამედიცინო დაწესებულებებს, მათ უფლება აქვთ, გააფორმონ ხელშეკრულება ფარმაცევტულ დაწესებულებასთან, ბითუმად შეიძინონ სამკურნალო საშუალებები და გამოიყენონ ცხოველების სამკურნალოდ.

კონსულტაციები, რა თქმა უნდა, მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის, მთავარია, ვეტერინარული კლინიკები არ დარჩნენ სამკურნალო საშუალებების გარეშე და ეს ასეც იქნება. მათ შეუძლიათ ეს მედიკამენტები ბითუმად შეიძინონ ფარმაცევტული დაწესებულებებიდან და შემდეგ უკვე საჭიროებისამებრ გამოიყენონ.

**— კონსულტაციების შემდეგ თუ აპირებთ, ვეტერინარებისთვის რეცეპტის გამოწერის უფლების მინიჭებას?**

— ვეტერინარი რეცეპტს ვერ გამოწერს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. მაგრამ შეუძლია დაწეროს დანიშნულება და თავისივე კლინიკიდან გასცეს ესა თუ ის სამკურნალო საშუალება. ვეტერინარულ კლინიკას ბითუმად გააქვს ეს მედიკამენტები აფთიაქებიდან და მის შემდგომ მიმოქცევაზე უკვე ის არის პასუხისმგებელი — კლინიკაში გამოიყენებს თუ თავისივე რეცეპტის საფუძველზე გაატანს ცხოველის პატრონს, მასზეა დამოკიდებული.

ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია „ჰუმანიმალის“ ხელმძღვანელი სოფო ჯიბუტი:

— ცხოველთა უფლებების დამცველებს ბევრი პრობლემა გვაქვს, ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს კანონი, რომელიც ცხოველებს დაიცავს. რაც შეეხება რეცეპტებს, ვეტერინარული დეპარტამენტი, როგორც ჩანს, აქამდეც სრულიად უმოქმედო იყო, ვინაიდან ლიცენზირებული და რეგისტრირებული ვეტერინარული კლინიკების სიები ახლა დგინდება და რამდენი ხანი დასჭირდება ამ ყველაფერს, არავინ იცის. დღეს ცხოველი ცუდად რომ გაუხდეს ვინმეს, მისთვის მედიკამენტს, უბრალოდ, ვერ შეიძენს. ზოგიერთმა ვეტერინარმა მოიფიქრა და მოიმარაგა წამლები, მაგრამ ეს მარაგი დიდხანს არ ეყოფა. თანაც, მოგეხსენებათ, ყველა მედიკამენტს თავისი შენახვის ვადა აქვს.

**— სახელმწიფოს პოზიცია ასეთია: მხოლოდ ვეტერინარულ კლინიკებს ექნებათ მედიკამენტების გაცემის უფლება. ეს რა პრობლემებს შეუქმნის ცხოველების მეპატრონეებს?**

— ამ ცვლილებამ შეიძლება მომსახურებისა და მედიკამენტის ფასები გაზარდოს. ეს საბაზრო ეკონომიკის ამბავია — ბაზიდან აღებულ წამალს ვეტერინარული კლინიკა ფასს მოუმატებს.

**— ის ვეტერინარები, რომლებსაც საკუთარი კლინიკები არ აქვთ, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩებიან?**

— ვეტერინარები, რომლებსაც არ აქვთ კლინიკა და ლიცენზია, თავისთავად უფუნქციოდ დარჩებიან. რეგიონებში საშინელი ვითარებაა. ბევრგან საერთოდ არ არის ვეტერინარი და, თუ არის, მხოლოდ ცხოველის აცრა იცის.

ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლება ამ შემთხვევაში მაინც გაითვალისწინებს ცხოველთა უფლებების დამცველებისა და მოსახლეობის თხოვნას და შინაურ ცხოველებს სასიკვდილოდ არ გაწირავს.

**მოამზადა შორენა ციცქარაშვილმა**

**P.S. ვიმედოვნებთ, ხელისუფლება გაითვალისწინებს ცხოველთა უფლებების დამცველებისა და მოსახლეობის თხოვნას და შინაურ ცხოველებს სასიკვდილოდ არ გაწირავს.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„რადა, უფრო ზუსტად, მისი გენერალური სამდივნო, ბურჟუაზიული მთავრობაა, რომელიც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან შეკავშირებული იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ. ეჭვი არ გვეპარება, რომ რადის მთავრობა დამხობილი იქნება უკრაინის მუშებისა და ჯარისკაცების ძალისხმევით“.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

# სტალინი და უკრაინა

**1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უკრაინის რადამ უარი განაცხადა, ეცნო საბჭოთა მთავრობა და მასთან აშკარა დაპირისპირების გზას დაადგა. ლენინმა რამდენიმე კომპრომისული ნაბიჯი გადადგა უკრაინელების მიმართ, მაგრამ, რომ იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო, და რადა დასავლეთის გავლენითა და მათი ინტერესების სასარგებლოდ, უფრო მწვავედ დაუპირისპირდა საბჭოეთს. ათასი ჯურის, ბაზრისა თუ მადნის მაძიებელი თავის პოზიციებს იმაგრებდა, უკრაინა კი თანდათან ეშვებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქაოსში.**
**1917 წლის მაისში ტურუხანსკში ტუსაღის ნარზე წამოწოლილი სტალინი ჩაფიქრებული უყურებდა ეზოს ძაღლს. ცხოველი იმ ჯამს ლოკავდა, რომლიდანაც ცოტა ხნის წინათ სტალინმა პატიმრის ულუფა მიიღო... გაივლის ექვსი თვე და რევოლუციაში გამარჯვებული უჭკვიანესი და უშიშარი კობა გადამწყვეტ ბრძოლას დაიწყებს უკრაინის რადის წინააღმდეგ...**

„უკრაინის რადასთან ურთიერთობის გამწვავების დღიდან ამხანაგი უკრაინელებისაგან მრავალი წერილი მომდის რადასთან კონფლიქტის საკითხზე, ამიტომ გადავწყვიტე, გამოვყო მათგან ისეთი საკითხები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება და პასუხი გავცე ისე გარკვეულად, რომ საეჭვო არაფერი დარჩეს. ეს საკითხები ყველასთვის ცნობილია:

**1.** როგორ წარმოიშვა კონფლიქტი;

**2.** რომელი პუნქტების გამო წარმოიშვა კონფლიქტი;

**3.** რა ზომებია საჭირო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად;

**4.** ნუთუ დაიღვრება მოძმე ხალხთა სისხლი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ცნობათა ერთგვარი აღრევა ამხანაგი უკრაინელების მიერ. რადასთან კონფლიქტს ისინი ზოგჯერ ისე ხატავენ, როგორც კონფლიქტს უკრაინელ ხალხსა და რუს ხალხს შორის, მაგრამ ეს სწორი არ არის. უკრაინელ ხალხსა და რუს ხალხს შორის კონფლიქტი არ არის და არც შეიძლება იყოს. თავიანთი ინტერესებისთვის ბრძოლაში მათ არ აქვთ და არც შეიძლება, ჰქონდეთ კონფლიქტი. რა თქმა უნდა, მშრომელთა მტრებისთვის ხელსაყრელია, რადასთან კონფლიქტი წარმოადგინონ რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის კონფლიქტად, ვინაიდან საკითხის ასე წარმოჩენით ადვილი იქნება, ერთმანეთზე წააქეზონ მონათესავე ხალხების მუშები და გლეხები, ამ ხალხების მჩაგვრელთა სასიხარულოდ.

კონფლიქტი წარმოიშვა არა რუსეთისა და უკრაინის ხალხებს შორის, არამედ სახალხო კომისართა საბჭოსა და რადის გენერალურ სამდივნოს შორის.

**რა საკითხზე წარმოიშვა კონფლიქტი?**

ამბობენ, ცენტრალიზმისა და თვითგამორკვევის საკითხზე, რომ სახალხო კომისართა საბჭო არ ანებებს უკრაინელ ხალხს, ხელში აიღოს ძალაუფლება და თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი. მართალია თუ არა ეს? არა, არ არის მართალი! სახალხო კომისართა საბჭო სწორედ იმას ცდილობს, რომ უკრაინაში ძალაუფლება ეკუთვნოდეს უკრაინელ ხალხს, ესე იგი უკრაინელ მუშებსა და ჯარისკაცებს, გლეხებსა და მატროსებს. საბჭოთა ხელისუფლება, ე. ი. მუშათა და გლეხთა, ჯარისკაცთა და მატროსთა ხელისუფლება **მემამულეებისა** და **კაპიტალისტების გარეშე** — სწორედ ეს არის სახალხო ხელისუფლება, რომლისთვისაც იბრძვის სახალხო კომისართა საბჭო. გენერალურ სამდივნოს არ სურს ასეთი ხელისუფლება, ვინაიდან არ სურს, დარჩეს მემამულეებისა და კაპიტალისტების გარეშე. ამაშია საკითხის არსი და არა ცენტრალიზმში.

სახალხო კომისართა საბჭო თავიდანვე იდგა და კვლავ დგას თავისუფალი თვითგამორკვევის თვალსაზრისზე. მას იმის საწინააღმდეგოც კი არაფერი აქვს, რომ უკრაინელი ხალხი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოიყოს. მან ეს რამდენჯერმე განაცხადა ოფიციალურად. მაგრამ, როცა ხალხის თვითგამორკვევას კალედინის თვითმპყრობელობაში ურევენ, როცა რადის გენერალური სამდივნო ცდილობს, კაზაკთა გენერლების კონტრრევოლუციური თარეში სახალხო თვითგამორკვევის გამოხატულებად წარმოადგინოს, სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია, არ შენიშნოს, რომ გენერალური სამდივნო თვითგამორკვევობანას თამაშობს და ამ თამაშით ფარავს თავის კავშირს კალედინსა და როძიანკოსთან. **ჩვენ მხარს ვუჭერთ ხალხთა თვითგამორკვევას, მაგრამ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ თვითგამორკვევის დროშით, კონტრაბანდულად გააპარონ თვითმპყრობელობა კალედინისა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ფინეთის სისხლში ჩახრჩობას მოითხოვდა.**

ამბობენ, რომ კონფლიქტი წარმოიშვა უკრაინის რესპუბლიკის საკითხზე, რომ სახალხო კომისართა საბჭო არ ცნობს უკრაინის რესპუბლიკას. მართალია თუ არა ეს? არა, არ არის მართალი! სახალხო კომისართა საბჭომ ოფიციალურად ცნო უკრაინის რესპუბლიკა. იგი მზად არის, ცნოს რუსეთის ყოველი ნაციონალური ოლქის რესპუბლიკა, თუ ეს ამ ოლქის მშრომელ მოსახლეობას სურს. იგი მზად არის, ცნოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფედერაციული წყობა, თუ ამას რუსეთის ოლქების მშრომელი მოსახლეობა მოისურვებს.

მაგრამ, როცა სახალხო რესპუბლიკას კალედინის სამხედრო დიქტატურაში ურევენ, როცა რადის გენერალური სამდივნო ცდილობს, რესპუბლიკის ბურჯებად წარმოგვიდგინოს მონარქისტები — კალედინი და როძიანკო, სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია, არ თქვას, რომ გენერალური სამდივნო რესპუბლიკობანას თამაშობს და ამ თამაშით ფარავს თავის დამოკიდებულებას ჯიბესქელ მონარქისტებთან. ჩვენ უკრაინის რესპუბლიკის მომხრე ვართ, მაგრამ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ რესპუბლიკის დროშით დაფარონ ხალხის დაუძინებელი მტრები — კალედინი და როძიანკო...

იმისათვის კი არ დავიწყეთ რევოლუცია მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომ იგი კალედინებთან კავშირით დავამთავროთ; იმისათვის არ დაუღვრიათ სისხლი მუშებსა და ჯარისკაცებს, რომ სამოწყალოდ დანებდნენ როძიანკოებს.

ორში ერთია:

**ან რადა გაწყვეტს კავშირს კალედინთან, ხელს გაუწოდებს საბჭოებს და გზას გაუხსნის რევოლუციურ ჯარებს დონის კონტრევოლუციური ბუდის წინააღმდეგ, — და მაშინ უკრაინისა და რუსეთის მუშები და ჯარისკაცები დაძმობილების ახალი აზვირთებით განამტკიცებენ თავიანთ რევოლუციურ კავშირს;**

ან რადა არ მოისურვებს კალედინთან კავშირის გაწყვეტას, გზას არ გაუხსნის რევოლუციურ ჯარებს, — და მაშინ რადის გენერალური სამდივნო მიაღწევს იმას, რის მიღწევასაც ამაოდ ცდილობდნენ ხალხის მტრები, ე. ი. მოძმე ხალხთა სისხლის დაღვრას.

რადა ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ ძალაუფლება გაიყონ ბურჟუაზიამ, პროლეტარიატმა და გლეხობამ. საბჭოები კი ასეთ გაყოფას უარყოფენ და მთელ ძალაუფლებას აძლევენ ხალხს. ამიტომაა, რომ რადა ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ (ე. ი. ხალხს) უპირისპირებს თავის ლოზუნგს — „მთელი ძალაუფლება ქალაქისა და ერთობის თვითმმართველობებს“ (ე. ი. ხალხს და ბურჟუაზიას). სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია, ხელი აიღოს კალედინის წინააღმდეგ ბრძოლაზე. კალედინის კონტრევოლუციური ბუდე უნდა დაინგრეს. ეს გარდაუვალია! თუ რადამ ხელი შეუშალა ჩვენს წინსვლას კალედინის წინააღმდეგ და დაიფარა იგი, მაშინ კალედინის წინააღმდეგ მიმართული დარტყმები რადას მოხვდება. სახალხო კომისართა საბჭო არ მოერიდება გადამწყვეტ ბრძოლას რადის წინააღმდეგ, ვინაიდან მისთვის საიდუმლო არ არის, რომ რადას ფარული კავშირი აქვს კალედინთან. **სახალხო კომისართა საბჭოს ხელში ჩაუვარდა დაშიფრული დეპეშა, საიდანაც ირკვევა, რომ რადა უშუალოდ დაკავშირებულია საფრანგეთის მისიასთან, რათა გაზაფხულამდე გააჭიანუროს ზავის დადება საფრანგეთის მისიის მეშვეობით კალედინთან. Eეს კავშირი მიმართულია რევოლუციის წინააღმდეგ, ეს კავშირი უნდა დაირღვეს და დაირღვევა კიდეც...**

ჩვენ არ გვინდა, შევეხოთ „ჩვენი მოკავშირეების“ სამხედრო მისიების ქცევას, მათი როლი საკმაოდ გამოკვეთილია. **ეჭვი არ გვეპარება, რომ „მოკავშირეთა“ მოძალადურ წამოწყებას ჩაშლის რუსეთის ხალხთა ბრძოლა დემოკრატიული ზავისთვის, მისიებს ისე უჭირავთ თავი, თითქოს ცენტრალურ აფრიკაში იყვნენ. მაგრამ „მოკავშირენი“ მალე დარწმუნდებიან, რომ რუსეთი ცენტრალური აფრიკა არ არის...** აქ ჩვენ უმთავრესად გვაინტერესებს ის არასახარბიელო როლი, რომელიც რადამ იკისრა.

ძალიან ხშირად მომმართავენ ამხანაგი უკრაინელები შეკითხვით — რა არის რადა?

მე ვუპასუხებ:

რადა ან, უფრო სწორად, მისი გენერალური სამდივნო არის მთავრობა სოციალიზმის მოღალატეებისა, რომლებიც მასების მოსატყუებლად თავს სოციალისტებს უწოდებენ. სწორედ ისე, როგორც მთავრობა კერენსკისა და სავინკოვისა, რომლებიც, აგრეთვე, სოციალისტებს უწოდებენ თავს. **რადა, უფრო ზუსტად, მისი გენერალური სამდივნო ბურჟუაზიული მთავრობაა, რომელიც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან შეკავშირებული იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ.**

**ეჭვი არ გვეპარება, რომ რადის მთავრობა დამხობილი იქნება უკრაინის მუშებისა და ჯარისკაცების ძალისხმევით.**

ბურჟუაზიული გაზეთები გამალებით ავრცელებენ ხმებს, თითქოს დაიწყო მოლაპარაკება რადასა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის. კონტრრევოლუციონერებთან ახლო მდგომი წრეები ყოველნაირად აზვიადებენ ამ ხმებს და ხაზგასმით აღნიშნავენ „მათ განსაკუთრებულ“ მნიშვნელობას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბევრმა ამხანაგმა ლამის დაიჯეროს ზღაპარი კიევის რადასთან მოლაპარაკების თაობაზე, ამასთანავე, ბევრმა უკვე მომმართა წერილობითი შეკითხვით, დასაჯერებელია თუ არა ეს.

ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ:

**1.** სახალხო კომისართა საბჭო კიევის რადასთან არავითარ მოლაპარაკე-



**ბოლო ასწლეულში უკრაინაში 2-ჯერ მოწყობილი სისხლიანი კალო ხომ მხეცური ინსტიქტია ზოგიერთი ამერიკელისა და ევროპელისა, რომლებსაც სურთ, ხელში ჩაიგდონ უზარმაზარი რესურსი და როგორმე მუცელი ამოიყორონ, მაგრამ უკრაინაში დანთებული ხანძარი იოლად არ ჩაქრება — უკრაინა არც კოსოვოა და არც ალბანეთი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „მოკავშირეთა“ მოძალადურ წამოწყებას ჩაშლის რუსეთის ხალხთა ბრძოლა დემოკრატიული ზავისთვის, მისიებს ისე უჭირავთ თავი, თითქოს ცენტრალურ აფრიკაში იყვნენ, მაგრამ „მოკავშირენი“ მალე დარწმუნდებიან, რომ რუსეთი ცენტრალური აფრიკა არ არის...“

◀ზას არ აწარმოებს და არც აპირებს;

**2.** კიევის რადასთან, რომელიც საბოლოოდ დაუკავშირდა კალედინს და რუსეთის ხალხების ზურგს უკან მოღალატურ მოლაპარაკებას აწარმოებს ავსტრია-გერმანიის იმპერიალისტებთან, — ასეთ რადასთან სახალხო კომისართა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია, აწარმოოს მხოლოდ ულმობელი ბრძოლა უკრაინის საბჭოების სრულ გამარჯვებამდე;

**3.** მშვიდობა უკრაინაში შეიძლება, დადგეს მხოლოდ იმის შედეგად, თუ მოხდება კიევის ბურჟუაზიული რადის სრული ლიკვიდაცია და თუ იგი შეცვლილი იქნება ახლი რადით, საბჭოების სოციალისტური რადით, რომლის ბირთვი უკვე შეიქმნა ხარკოვში“.

უკრაინის პარტიულ კონფერენციაზე სტალინი მიმოიხილავდა რა არსებულ მდგომარეობას, ამბობდა:

„1916 წელს, ე. ი. რევოლუციამდე, ჩვენ თვეში ვიღებდით 140-150 მილიონ ფუთ ქვანახშირს და სხვა რაიონებში გაგვქონდა, სულ ცოტა, 120 მილიონი ფუთი (16,38 კგ — რედ.) ქვანახშირი. ახლა ჩვენ ვიღებთ არა უმეტეს 18 მილიონ ფუთ ქვანახშირს და გაგვაქვს არა უმეტეს 4 — 5 მილიონი ფუთისა.

ნავთობის ამოღება 600 მილიონი ფუთიდან 200 მილიონ ფუთამდე დაეცა.

მეორე საკითხია მეტალურგია.

შეიძლება ითქვას, რომ მადნის, თუჯისა და მზა ნაწარმის თითქმის ერთადერთი წყარო ჩვენში იყო და არის დონეცკ-კრივოი როგის აუზი. 1916 წელს თუჯის გამოშვება თვეში შეადგენდა 16 მილიონ ფუთს. დონბასის რაიონში იმხანად მუშაობდა სულ ცოტა 65 ბრძმედი. ახლა ერთიც არ მუშაობს.

1916 წელს ჩვენი მეტალურგიული ქარხნებიდან თვეში ვიღებდით 14 მილიონ ნახევარ ფაბრიკატს, ახლა ვიღებთ ამის არა უმეტეს 5 პროცენტისა. 1916 წელს თვეში ვიღებდით 12 მილიონამდე ფუთ მზა ნაწარმს, ახლა ვიღებთ 2-3 პროცენტს, მეტალურგიაშიც საქმე ძალიან ცუდად არის.

მესამეა პურის საკითხი.

მანამდე ფედერაციულ ტერიტორიაზე ვიღებდით 5 მილიარდამდე ფუთ მარცვლეულს, აქედან 500 მილიონზე მეტი საზღვარგარეთ გაგვქონდა, შარშანდელი მოსავლიდან უკრაინაში დაგროვდა 600 მილიონი ფუთი პური, გადაწყდა, რომ მარტისთვის მოახერხებდნენ, შეეგროვებინათ დაახლოებით 40 მილიონი ფუთი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ისეთ ვითარებაში, როცა მახნოელები პირდაპირ ნადირობდნენ სასურსათო საქმის მუშაკებზე, ჩვენ შევძელით 40 მილიონის ნაცვლად შეგვეგროვებინა 2 მილიონამდე ფუთი პური.

შემდეგი საკითხია შაქრის საკითხი.

1916 წელს ჩვენში მზადდებოდა დაახლოებით 115 მილიონი ფუთი შაქარი. მოთხოვნა გამოიხატებოდა 100 მილიონი ფუთით. ახლა კი გვაქვს 3 მილიონამდე ფუთი შაქარი.

ასეთია ამჟამად ომით დანგრეული ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა“.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში კატასტროფული ვითარება შეიქმნა: კავკასიაში — მენშევიკები, მუსავატები და დაშნაკები; უკრაინაში — უკრაინელი ნაციონალისტები, ხელისუფლებაში — დასავლეთის მიერ შეგზავნილი ტროცკის უზარმაზარი ბანდა, თავისი დიდი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსებით; და საერთაშორისო ტერორისტული შეთქმულება, რომელიც დასავლეთმა დაგეგმა ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ანტანტის ხელით — ეს იყო უძლიერესი ძალა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატებოდა.

1918 წლის დასაწყისში გერმანელებმა გადაწყვიტეს, ბოლო მოეღოთ უკრაინისთვის და ფართომასშტაბიანი ომი გააჩაღეს ამ ქვეყნის წინააღმდეგ. „ჩრდილში“ მყოფმა სტალინმა, როგორც ხშირად შენიშნავენ უახლოესი ისტორიის „მკვლევარები“, 1918 წლის 21 თებერვალს დეპეშა გაუგზავნა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს, რომელშიც წერია:

**„გერმანელებმა აიღეს დვინსკი, როვნო, მინსკი, ვოლმარი, ჰაპსალი. მოიწევენ პიტერისა და კიევისკენ, ცხადია, ლაშქრობის მიზანი რევოლუციისა და მისი მონაპოვრის ჩახშობაა. სახკომსაბჭომ გადაწყვიტა, დაიწყოს წინააღმდეგობის გაწევა პიტერიდან, მოახდინოს მუშა მოსახლეობის, აგრეთვე, ბურჟუაზიის მობილიზაცია, ამასთანავე, თუ ეს უკანასკნელი არ მოისურვებს სანგრების თხრას, ძალით გაიყვანოს იგი და მუშების კონტროლით ათხრევინოს სანგრები.**

**ამხანაგების საერთო აზრი არის ის, რომ თქვენ, კიეველები, ვალდებულნი ხართ, ერთი წუთიც არ დაკარგოთ და ასეთივე წინააღმდეგობა მოაწყოთ კიევის დასავლეთით; მოახდინოთ ცოცხალი ძალის მობილიზაცია, განალაგოთ არტილერია, თხაროთ სანგრები, გარეკოთ ბურჟუაზია მუშების კონტროლით სასანგრო სამუშაოებზე და გამოაცხადოთ საალყო წესები. საერთო დავალებაა, დავიცვათ პეტროგრადი და კიევი, შევაკავოთ გერმანელთა ბანდები, რადაც უნდა დაგვიჯდეს.**

**მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ვიდრე შეიძლება მოგეჩვენოთ. გერმანელთა ბანდებს სურთ, გაისეირნონ პიტერიდან კიევამდე და მხოლოდ ამ დედაქალაქებში გამართონ მოლაპარაკება ზავის შესახებ“.**

სტალინის ბრძანების გამოსვლიდან მეორე დღეს, გერმანელებმა წარმოადგინეს ზავის პირობები. სტალინი უშუალოდ დაუკავშირდა უკრაინის სახალხო სამდივნოს და გააცნო ზავის პუნქტები.

აი ისიც:

**„პუნქტი მესამე.** რუსეთის ჯარები და წითელი გვარდია დაუყოვნებლივ ტოვებენ ლიფლიანდიასა და ესტლანდიას და ამ მხარეებს გერმანიის პოლიცია იკავებს მანამ, სანამ ქვეყნის მოწყობა არ შექმნის იქ საზოგადოებრივი უშიშროებისა და სახელმწიფოებრივი წესრიგის გარანტიას. ყველა მცხოვრები, რომლებიც დაპატიმრებულია პოლიტიკურ საფუძველზე, დაუყოვნებლივ უნდა იქნას განთავისუფლებული.

**პუნქტი მეოთხე.** რუსეთი დაუყოვნებლივ დებს ზავს უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან. რუსეთის ჯარები და წითელი გვარდია დაუყოვნებლივ ტოვებენ უკრაინასა და ფინეთს, რუსეთის სამხედრო გემები დაუყოვნებლივ იქნან გადაყვანილნი რუსეთის ნავსადგურებში და დატოვებული იქნან იქ საყოველთაო ზავის დადებამდე ან განიარაღებული იქნან.

**პუნქტი მეხუთე.** რუსეთი თავის ძალებით ყველაფერს გააკეთებს, რათა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს თურქეთისთვის აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციების დაბრუნება და აღიარებს თურქეთის კაპიტულაციის გაუქმებას“.

„უნდა ითქვას, — ამბობს სტალინი, — რომ პირობები წარმოუდგენლად მხეცურია. ვფიქრობთ, რომ პუნქტი უკრაინის შესახებ მოასწავებს არა ვინიჩენკოს ძალაუფლების Aღდგენას, რომელიც ღირებულებას არ წარმოადგენს გერმანელებისთვის, არამედ ფრიად რეალურ ზემოქმედებას ჩვენზე, რაც ნავარაუდევია იმისათhვის, რომ ჩვენ და თქვენ დავთანხმდეთ, მივიღოთ ძველი რადის ხელშეკრულება ავსტრია-უნგრეთთან, ვინაიდან გერმანელებს სურთ არა ვინიჩენკო, არამედ ფაბრიკატების გაცვლა პურსა და მადანზე.

გერმანელების შემოტევასა და ჩვენი ჯარების გამოქცევას ჩვენ ასე ვაფასებთ: ჩვენი იმპერიალისტები რომ დავამხეთ, დასავლეთში რევოლუციური მოძრაობის ნელი ტემპის, ჩვენი ჯარების მერყეობისა და გერმანელ იმპერიალისტთა უმაგალითო მტაცებლობის გამო, დროებით კლანჭებში ჩავუვარდით უცხოეთის იმპერიალიზმს, რომლის წინააღმდეგ ახლავე უნდა ვამზადოთ ძალები სამამულო ომის მოსაწყობად, დასავლეთში რევოლუციური ძალების ამოძრავების იმედით, რაც, ჩვენი აზრით, გარდაუვალია. ასეთი სამზადისისთვის კი საჭიროა მინიმალური შესვენება, რომელიც შეიძლება სასტიკმა ზავმაც კი მოგვცეს. თვალი უნდა გავუსწოროთ სინამდვილეს და ვაღიაროთ, რომ ჩვენ დროებით მოვექეცით გერმანული იმპერიალიზმის კლანჭებში. სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც დღეს, ღამის 3 საათზე, გადაწყვიტა, დადოს ზავი სასტიკი პირობებით და სახკომსაბჭოს დაავალა, გაგზავნოს დელეგაცია ბრესტში, რაც მოხდა კიდეც დღეს. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება. ჯერჯერობით კი ვემზადოთ და კვლავ ვემზადოთ გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ომის მოსაწყობად“.

**ეს სამზადისი 1945 წლის გაზაფხულზე დასრულდა, როდესაც სტალინმა გერმანიის დედაქალაქ ბერლინის გარშემო თორმეტმილიონიანი არმიის საუკეთესო საჯარისო ქვედანაყოფები განალაგა.**

**დღეს კი კვლავ იწვის ჯონ კერის, ქეთრინ ეშტონის, მანუელ ბაროზუსა და სხვათა მიერ კიევის მაიდანზე მიტანილი საბურავები. მასთან ერთად იწვის უკრაინის ქალაქები და სოფლები. ცეცხლის ალშია გახვეული ისრაელი და პალესტინა, ლიბია, სირია, ავღანეთი, ერაყი. დენთის კასრზე ზის დედამიწის მოსახლეობა. ვინ არის ის, ვინც ანათემას გადასცა მთელი მსოფლიო? ეს ამერიკაა, თავისი სატელიტი გამოჩერჩეტებული ბებერი ევროპით!**



**მძიმე არტილერიითა და ლეგენდარული „კატიუშით“ რკალშემოვლებული ბერლინის თითოეულ კილომეტრზე იდგა 270 ერთეული ცეცხლისმფრქვეველი ვეშაპი, რომელიც საბრძოლო თეატრის გასანათებლად და მოწინააღმდეგის დასაბრმავებლად 3000 უძლავრესი პროჟექტორით იყო აღჭურვილი. პერიმეტრზე განლაგებული იყო ლეგენდარული ტანკისტების — ლელიუშენკოსა და რიბალკოს — სატანკო არმიები. ათასობით ბომბდამშენი ელოდა ბრძანებას ჰაერში ასაჭრელად.**

უკუნ ღამეში ჰაერში გაშვებულ სასიგნალო შუშხუნას ბერლინის კატასტროფა მოჰყვა. მსხვილკალიბრიანი არტილერიისა და ტანკების შემაძრწუნებელ გრუხუნს ჰაერიდან წამოსული უზარმაზარი ჭურვების აფეთქების ხმებიც უერთდებოდა. გამდნარი ფოლადით ივსებოდა ბერლინის ქუჩები და მოედნები. სათვალთვალო პუნქტებიდან კი ჟუკოვი, კონევი და როკოსოვსკი დურბინდებით აკვირდებოდნენ, როგორ ცურავდა ბერლინი გამდნარი ფოლადის ზღვაში.

ასე იძია სტალინმა შური გერმანელ დამპყრობლებზე 25 წლის წინათ უკრაინაში ჩადენილისთვის.

**დღეს კი კვლავ იწვის ჯონ კერის, ქეთრინ ეშტონის, მანუელ ბაროზუსა და სხვათა მიერ კიევის მაიდანზე მიტანილი საბურავები. მასთან ერთად იწვის უკრაინის ქალაქები და სოფლები. ცეცხლის ალშია გახვეული ისრაელი და პალესტინა, ლიბია, სირია, ავღანეთი, ერაყი. დენთის კასრზე ზის დედამიწის მოსახლეობა.**

ვინ არის ის, ვინც ანათემას გადასცა მთელი მსოფლიო?

ვინ არის ის, ვინც სასაკლაოდ გადააქცია მთელი რიგი ქვეყნებისა?

ვინ არის ის, ვინც თავის ნებას თავს ახვევს ადამიანებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში?

ვინ არის ის, ვინც ანგრევს სარწმუნოებას და ქვეყანაზე აფუძნებს ცხოველურ ინსტიქტებს?

ეს ამერიკაა, თავისი სატელიტი გამოჩერჩეტებული ბებერი ევროპით!

ნუთუ დაბრმავდა მსოფლიო და ვერ ხედავს, როგორ მოახდინა ამერიკამ გეოპოლიტიკური კატასტროფა საუკუნის ბოლოს და როგორ გახდა მსოფლიოს ერთპიროვნული მმართველი?! **ნუთუ მეხსიერებიდან ამოიშალა შანტაჟი და ცრუ ბრალდება ერაყის მიმართ, რასაც შუამდინარეთის უძველესი და უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის მოსპობა და სადამ ჰუსეინის ოჯახის ამოჟლეტა მოჰყვა?!**

ან რა საზომით შეიძლება გაიზომოს და აიწონოს ის დანაშული, რომელიც ამერიკელებმა ლიბიისა და მისი ლიდერის მიმართ ჩაიდინეს — ქვეყანა, რომელიც ვითარდებოდა, კვლავ კანიბალიზმში დააბრუნეს.

ბოლო ასწლეულში უკრაინაში 2-ჯერ მოწყობილი სისხლიანი კალო ხომ მხეცური ინსტიქტია ზოგიერთი ამერიკელისა და ევროპელისა, რომლებსაც სურთ, ხელში ჩაიგდონ უზარმაზარი რესურსი და როგორმე მუცელი ამოიყორონ. მაგრამ უკრაინაში დანთებული ხანძარი იოლად არ ჩაქრება — უკრაინა არც კოსოვოა და არც ალბანეთი.

პლანეტა განსაცდელშია, ჩაგრულ ხალხებს ეშინიათ ოლიგარქებისა და მათი ქილერების, ვერ გამოთქვამენ თავიანთ ნებას. მათი ნება მხოლოდ სტალინმა გამოთქვა პარტიის მე-19 ყრილობაზე:

„წინათ ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა, ლიბერალობა გამოეჩინა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებებს იცავდა და ამით პოპულარობას იქმნიდა ხალხში. ახლა ლიბერალიზმისგან კვალიც აღარ დარჩა. აღარ არის ეგრეთ წოდებული პიროვნების თავისუფლება, პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ მათთვის ცნოhბენ, ვისაც კაპიტალი აქვს, დანარჩენი მოქალაქეები კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ექსპლოატაციისთვის. გათელილია ადამიანთა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლოატატორული უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლოატირებული უმრავლესობის უუფლებობის პრინციპით. ეროვნული და დემოკრატიული თავისუფლებების დროშა გადაგდებულია. ვფიქრობ, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიწევთ ამ დროშის აღება, თუ გსურთ, ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ, თქვენს მეტი ვერავინ აღმართავს მას“.

**მსოფლიოს ახსოვს, როგორ გადაუხადა სამაგიერო უკრაინის დანგრევისთვის სტალინმა გერმანელებს. მომავალში გამოჩნდება, როგორ და როდის გადაუხდის სამაგიეროს თანამედროვე უკრაინის დანგრევისთვის ვლადიმერ პუტინი ამერიკასა და ევროპას.**

**სტალინის მიერ დატოვებული ატომური იარაღის პატრონ პუტინს შეუძლია ჩააქროს დასავლეთის მიერ დანთებული ხანძარი.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ებოლას ციებ-ცხელებამ კიდევ 400 ადამიანი იმსხვერპლა

**ებოლას ციებ-ცხელებამ გასულ კვირას 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სულ კი დაღუპულთა რაოდენობამ 1900-ს გადააჭარბა, — წერს სააგენტო „როიტერი“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მარგარეტ ჩენის, მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.** ამჟამინდელი მონაცემებით, სიერა-ლეონეში, გვინეასა და ლიბერიაში რეგისტრირებულია ებოლას ციებ-ცხელების 3500 ახალი შემთხვევა. პრეზიდენტმა საერთაშორისო ორგანიზაციისა „ექიმები საზღვრებს გარეშე“ — ჯოანა ლიუმ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ „დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ხელისუფლებები უძლურნი არიან ებოლას ვირუსთან ბრძოლაში — იზოლაციის ცენტრები გადავსებულია, ვირუსით დასნებოვნებული გვამები კი ქუჩაში ყრია... გარდაცვლილია რამდენიმე ექიმი და, თუ მსოფლიოს ყველა ქვეყანა არ მიმართავს ძალისხმევას ამ ვირუსის წინააღმდეგ, ეპიდემიის შეჩერება შეუძლებელი იქნება“.





## მიუნხენის «ბაიერნის» მთავარი მწვრთნელი კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეა

**მიუნხენის საფეხბურთო კლუბ „ბავარიის“ მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა ესპანეთიდან კატალონიის გამოყოფასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას უჭერს მხარს.**

გვარდიოლა მონაწილეობს ვიდეორგოლში, რომელიც კატალონიის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ რეფერენდუმს ეძღვნება. ამ რეფერენდუმის ჩატარება კი მიმდინარე წლის 9 ნოემბერს არის დაგეგმილი. „თითოეულ კატალონიელს სურს, თვითონ გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს“, — განაცხადა ბარსელონაში დაბადებულმა გვარდიოლამ, რომელიც დიდი ხანია, მხარს უჭერს კატალონიის დამოუკიდებლობის იდეას და მიტინგებზეც არა ერთხელ გამოსულა.

საუკუნეზე მეტია, კატალონიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მიმდინარეობს. არაოფიციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ავტონომიის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი მხარს ესპანეთისგან გამოყოფას უჭერს. აღსანიშნავია, რომ 9 ნოემბერს კატალონიაში რეფერენდუმის ჩატარება ოფიციალურად აკრძალა ესპანეთის პარლამენტმა.

ხოსეპ გვარდიოლა კატალონიური საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელია. გვარდიოლას ხელმძღვანელობით, 4 წლის განმავლობაში „ბარსელონამ“ 14 პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა, მათ შორის, 2 ჩემპიონთა ლიგის თასი. 2009 და 2011 წლებში გვარდიოლა მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად იყო დასახელებული.



## ყაზახეთში რადიოაქტიური ნივთიერებით სავსე კონტეინერი «დაიკარგა»

**ყაზახეთში სატვირთო მანქანიდან გადმოვარდნილი ცეზიუმ-137-ით სავსე კონტეინერი ჯერჯერობით ვერ იპოვეს.**

30 სმ სიმაღლისა და 20 სმ-ის დიამეტრის კონტეინერი, რომლის წონა 50 კგ-ია, ურალსკიდან მანგისტაუს ოლქში მიმავალი „კამაზიდან“ 2 სექტემბერს გადმოვარდა. კონტეინერს ეძებს ოლქის საგანგებო სიტუაციების სამსახური, აგრეთვე, პოლიცია და უშიშროება. რეგიონის მოსახლეობას მიმართა პოლიციამ და აუხსნა, რომ, თუ კონტეინერს იპოვიან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახსნან, რადგან ძალიან მცირე რაოდენობის ცეზიუმთან შეხებაც კი სასიკვდილო შედეგს გამოიწვევს.

ცეზიუმ-137 რადიოაქტიური ნივთიერებაა, რომელსაც იყენებენ მრეწველობასა და მედიცინაში, გარდა ამისა, მისგან ამზადებენ ე. წ. ბინძურ ბომბებს, რომელთაც შეუძლია გარემო რადიოაქტიურად დააბინძუროს.

# ევროპას დომინოს პრინციპით დაშლა ემუქრება



**დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში შოტლანდიის ყოფნის მართლზომიერების საკითხი 1707 წელს ინგლისთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან იდგა, მაგრამ შოტლანდიის გამოყოფის შესახებ მსჯელობა მხოლოდ 1930-იანი წლებიდან დაიწყო, როცა შეიქმნა შოტლანდიის ნაციონალური პარტია (SNP), თუმცა იმხანად საუბარი იყო მხოლოდ ავტონომიის გაფართოებაზე ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში.**

დამოუკიდებლობის საკითხი 2007 წელს შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ლიდერმა ალექსანდრე სელმონდმა წამოაყენა. მისმა პარტიამ იმხანად ამომრჩეველთა ყველაზე მეტი ხმა მიიღო შოტლანდიის საპარლამენტო არჩევნებში, თვითონ სელმონდმა კი პირველი მინისტრის პოსტი დაიკავა, მაგრამ მან დაპირების შესრულება ვერ შეძლო: მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ ყველაზე მეტი მანდატი მოიპოვა (129-დან 47), უმრავლესობის შესაქმნელად აუცილებელი იყო 65 დეპუტატი. შოტლანდიის დამოუკიდებლობის საკითხის განხილვის შესაძლებლობა სელმონდს მხოლოდ 2011 წელს მიეცა, როდესაც მისმა პარტიამ 69 მანდატი მოიპოვა. იმავე წლის მაისში სელმონდმა დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე განაცხადა, 2013 წლის მარტში კი კონკრეტული თარიღი დაასახელა: **2014 წლის 18 სექტემბერი**.

რეფერენდუმი ისე ხარისხიანად მომზადდა, რომ ოფიციალურმა ლონდონმაც კი ხელი ვერ შეუშალა მის ჩატარებას. ერთადერთი, რაც ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა დევიდ კამერონმა გააკეთა, იყო ის, რომ შოტლანდიელებს მოუწოდა, ხმა მიეცათ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ინგლისის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მცხოვრებთ სურთ, რომ შოტლანდია დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩეს“, — თქვა მან ერისადმი საახალწლო მიმართვაში და ხაზი გაუსვა, რომ „ამ რეფერენდუმმა შეიძლება სამუდამოდ შეცვალოს ქვეყანა“. როგორ იმოქმედებს მისი მოწოდება შოტლანდიელთა გულსა და გონებაზე, რამდენიმე დღეში გაირკვევა.

ამომრჩევლებმა კი უნდა უპასუხონ ერთადერთ კითხვას: უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო? ამასთანავე, ამომრჩევლებს სთავაზობენ, რომ შოტლანდიის ეროვნულ ვალუტად დარჩეს გირვანქა სტერლინგი, სახელმწიფოს მეთაურად კი — დიდი ბრიტანეთის დედოფალი. ამ ყველაფერთან ერთად, განზრახულია საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა, ქვეყნის ტერიტორიიდან ატომური იარაღის გატანა, მინიმალური ხელფასის გაზრდა და სხვ.

**იდეოლოგიურად საფუძვლიანად მომზადებული, იურიდიულად შემოწმებული და ისტორიულად დასაბუთებული შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი წარმატების შემთხვევაში შეიძლება სამაგალითო გახდეს ევროპის ბევრი რეგიონისთვის, რომლებიც მრავალი წელია, ითხოვენ უფლებების გაფართოებას სრული სუვერენიტეტის ჩათვლით.** და ამ მისწრაფებაში მათ ხელს ვერ უშლის ის, რომ, ევროკავშირის წესდებით, იმ შემთხვევაში, თუკი გაერთიანების წევრი ქვეყნის რომელიმე ნაწილი ხდება დამოუკიდებელი, ის ევროკავშირის გარეთ აღმოჩნდება. ასე რომ, **შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმმა, თუკი ის დასახულ მიზანს მიაღწევს, შეიძლება ევროპაში დომინოს პრინციპის ეფექტი გამოიწვიოს.**

**შოტლანდიის რეფერენდუმის წარმატების შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები გაუჩნდება ესპანეთს, იტალიას, ბელგიასა და გერმანიასაც კი.**




**შოტლანდიის რეფერენდუმის წარმატების შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები გაუჩნდება ესპანეთს, იტალიას, ბელგიასა და გერმანიასაც კი**




**ესპანეთში კატალონიის** ოლქი ისევე, როგორც შოტლანდია, დამოუკიდებლობას ითხოვს. მთავარი არგუმენტი არის ესპანეთის უმდიდრესი რეგიონის სტატუსი, აგრეთვე, ესპანეთის კრიზისული მდგომარეობა. მიმდინარე წლის აპრილში კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეთა ლიდერებმა უახლოეს წლების სამოქმედო პროგრამა გამოაქვეყნეს. ამ პროგრამის მიხედვით, თუკი ოფიციალური მადრიდი არ შეცვლის პოზიციას, კატალონია ცალმხრივად გამოაცხადებს დამოუკიდებლობას 2015 წლის 23 აპრილს. თუმცა მადრიდისთვის უფრო დიდი თავის ტკივილი არის **ბასკების ქვეყანა**, რომელშიც მრავალი ათეული წელია, დღის წესრიგში დგას დამოუკიდებლობის მოპოვება.

**ბელგიაში,** დიდი ხანია, **ფლანდრიის** მცხოვრებნი ითხოვენ მათი რეგიონიდან ფულის გადაქაჩვის შეწყვეტას ეკონომიკურად სუსტი **ვალონიისთვის**. 2012 წლის ოქტომბერში, როდესაც ქვეყანაში მუნიციპალური არჩევნები ჩატარდა, ფლანდრიამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის მომხრეებს.

**გერმანიაში,** სადაც 16 ფედერალური მიწიდან 14 დოტაციურია, ყველაზე მდიდარი რეგიონი — **ბავარია** — სულ უფრო მძაფრად გამოხატავს უკმაყოფილებას ფინანსური გათანაბრების პოლიტიკის მიმართ. ლოზუნგი „კმარა ბერლინის გამოკვება“ ბავარიისთვის სულ უფრო აქტუალური ხდება. და მიუხედავად იმისა, რომ ბავარიელები ჯერჯერობით არ სვამენ საკითხს სრული დამოუკიდებლობის შესახებ, უკვე ითხოვენ იმ გადასახადების შემცირებას, რომლებსაც მიუნხენი ბერლინს უგზავნის.

**იტალიაში** 1980 წელს შექმნილმა პარტია „ჩრდილოეთის ლიგამ“ თავიდანვე გამოაცხადა ქვეყნის ფედერალიზაციის აუცილებლობისა და იტალიის სამრეწველო და ფინანსური ცენტრებისთვის — **ვენეტოსა და ლომბარდის ოლქებისთვის** — საგადასახადო და სხვა შეღავათების დაწესების შესახებ. ჩრდილოელებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ დაიღალნენ „რომის გამოკვებით“.

2014 წლის მარტში ვენეტოს ოლქში ჩატარდა ინტერნეტგამოკითხვა, დაისვა ერთადერთი კითხვა: გსურთ თუ არა, რომ ვენეტო გახდეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა?

გამოკითხვაში მონაწილეობდა 2 მილიონი მოქალაქე. რესპონდენტთა 89 პროცენტმა მხარი დაუჭირა ვენეტოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას. ვენეტოსთან ერთად დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს **სარდინიაც.**

**იდეოლოგიურად საფუძვლიანად მომზადებული, იურიდიულად შემოწმებული და ისტორიულად დასაბუთებული შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი წარმატების შემთხვევაში შეიძლება სამაგალითო გახდეს ევროპის ბევრი რეგიონისთვის, რომლებიც მრავალი წელია, ითხოვენ უფლებების გაფართოებას სრული სუვერენიტეტის ჩათვლით**



## უკრაინელმა ნაციონალისტებმა კიდევ ერთი ჟურნალისტი მოკლეს

**რუსული საინფორმაციო სააგენტო „როსია სეგოდნიას“ ხელმძღვანელმა დიმიტრი კისელიოვმა სპეციალური პრეს-კონფერენცია მიუძღვნა ფოტოკორესპონდენტ ანდრეი სტენინს, რომელიც უკრაინაში გადასვლის შემდეგ დაიკარგა და ერთი თვის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ.** დიმიტრი კისელიოვმა განაცხადა, რომ 33 წლის ანდრეი სტენინი მოკლულია. მისი მანქანა, როდესაც ის ფოტოკორესპონდენტის მოვალეობას ასრულებდა, დონეცკთან ახლოს უკრაინელმა ნაციონალისტებმა ტანკიდან დაცხრილეს. უკრაინის ხელისუფლების მიერ გაჩაღებულმა ომმა უამრავი მსხვერპლი გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში, უკრაინა კი ყველაზე სახიფათო ადგილად იქცა ჟურნალისტებისთვის. ამ ომმა უკვე მეოთხე ჟურნალისტის სიცოცხლე შეიწირა. დაიღუპნენ კორესპონდენტი **იგორ კორნელიუკი,** ხმის ოპერატორი **ანტონ ვოლოშინი,** ოპერატორი **ანატოლი კლიანი,** ახლა კი ფოტოკორესპონდენტი **ანდრეი სტენინი.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კონტექსტიდან ამოგლეჯილები, ანუ როგორ დარჩა პირში ჩალაგამოვლებული მანუელ ბაროზუ

**როგორც ჩანს, შიშს არა მხოლოდ თვალები აქვს დიდი, არამედ ყურებიც. ევროკომისიის თავმჯდომარე, რომელიც ჩაერთო უკრაინულ თამაშში, „ვინ უფრო მეტ ცილს დასწამებს რუსეთს“, პირში ჩალაგამოვლებული და შერცხვენილი დარჩა ისევე, როგორც დასავლური მედია, რომელმაც კიდევ ერთხელ იცრუა. თუმცა იტალიური La Republica-სა და სხვა დასავლურ გამოცემებში დაბეჭდილმა ე. წ. სენსაციამ, რომ პუტინი „ორ კვირაში აიღებდა კიევს“, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ორიოდე დღეს გაძლო.**



ევროკომისიამ აღიარა, რომ ევროკომისიის თავმჯდომარის — მანუელ ბაროზუსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბრის შესახებ დასავლურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ლიდერმა თითქოს განაცხადა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები „ორ კვირაში აიღებენ კიევს“, კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი და ნათქვამის აზრს ამახინჯებს. ასეთი ახსნა-განმარტება მისცა იტალიურ La Repubblica-ში დაბეჭდილ ინფორმაციას ევროკომიის პრესმდივანმა პია არენკილდე-ჰანსენმა 5 სექტემბერს გაზეთ Wal Street Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

„მე მხოლოდ ის შემიძლია დავძინო, რომ ევროკომისიის თავმჯდომარემ ევროსაბჭოს წარმომადგენლებს დახურულ სხდომაზე ამცნო პრეზიდენტ პუტინთან სატელეფონო საუბრის შინაარსი. სამწუხაროდ, ბაროზუს მიერ კოლეგებისთვის მიწოდებული დიპლომატიური ინფორმაცია საჯარო გახდა, თანაც დამახინჯებული ფორმით. ასეთი საკითხები დიპლომატიური არხებით უნდა წყდებოდეს და არა — პრესის მეშვეობით“, — განაცხადა არენკილდე-ჰანსენმა.

ევროკომისიის თავმჯდომარე მანუელ ბაროზუსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა 29 აგვისტოს, მინსკის სამიტის დასრულებისა და ბრიუსელში ევროკავშირის სამიტის დაწყების წინ. თარიღის დაზუსტება იმიტომ არის საჭირო, რომ მისახვედრი გახდეს რუსეთის პრეზიდენტის ნათქვამის დამახინჯების მიზანი.

**ბაროზუმ ეთიკური ნორმები არად ჩააგდო და კონფიდენციალური ინფორმაცია გაასაჯაროა, რაც დაუშვებელია ასეთი რანგის მაღალჩინოსნისთვის. იტალიური გამოცემის თანახმად, მან პუტინთან სატელეფონო საუბრის შთაბეჭდილებების გაზიარება დაიწყო ევროკავშირის სამიტზე, რომელზეც ევროპის ქვეყნების ლიდერებს აიძულებდნენ, დაეჯერებინათ ნატოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ რუსი სამხედროები უკრაინაში შეიჭრნენ. ეს კი რუსეთისთვის ახალი სანქციების დასაწესებლად სჭირდებოდათ.** „როდესაც უკრაინაში სამხედროებზე ვკითხე, რუსეთის ლიდერი მუქარაზე გადავიდა: თუკი მოვისურვებ, კიევს ორ კვირაში ავიღებ,“ — მოჰყავს La Repubblica-ს ბაროზუს ნათქვამიდან ციტატა. **ბაროზუს ეს ტრიუკი რომ გასვლოდა, მნიშვნელობა აღარ ექნებოდა, რა უთხრა მას პუტინმა. ევროკომისიის თავმჯდომარეს სინამდვილეში სულაც არ აინტერესებდა კონტექსტი. მისთვის მთავარი იყო, კიდევ ერთხელ წარმოეჩინა საფრთხე — რუსეთი. საუბარში ხომ ნამდვილად იქნებოდა გამოყენებული სიტყვა „კიევი“, აგრეთვე, „რუსი სამხედროები“. შესაძლოა, საუბრობდნენ იმ მინიმალურ ვადაზე, რომელიც საჭირო იქნებოდა მშვიდობის დასამყარებლად, თუკი ხელს არავინ შეუშლიდა.**



მაგრამ ამ ცნებებმა ევროპელი მაღალჩინოსნის ავადმყოფურ წარმოსახვაში მისთვის საჭირო კონსტრუქცია მიიღო. ეს ევროპელ მაღალჩინოსნებს, ეტყობა, გენეტიკურად მოსდგამთ, თუმცა ნატოს გენმდივანი რასმუსენი დანიელია, ევროკომისიის თავმჯდომარე მანუელ ბაროზუ კი — პორტუგალიელი.

კონფუზი, რომელიც ევროკომისიის თავმჯდომარეს შეემთხვა, პირველი არ არის. მიმდინარე წლის მაისში რუსეთის პრეზიდენტმა ნატოს გენმდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის, „კონტექსტიდან ამოგლეჯილი“ საქციელი გაიხსენა: **„რასმუსენმა შეხვედრა მთხოვა, მეც დავთანხმდი, ვილაპარაკეთ. მას კი თურმე დიქტოფონი ჰქონია და ჩვენი საუბარი მალულად ჩაუწერია. შემდეგ კი პრესაში გამოაქვეყნა. როცა ვნახე, თვალებს და ყურებს არ ვუჯერებდი. შემდეგ ამიხსნა, ეს ყველაფერი „ისტორიისთვის ჩავიწერეო“. მაგრამ, რა თქმა უნდა, უნდა გავეფრთხილებინე ან ნებართვა მაინც ეთხოვა ჩანაწერის გამოქვეყნებაზე. ამის შემდეგ როგორ უნდა ენდო მათ?“** — განაცხადა პუტინმა.

ბევრ ევროპელ პოლიტიკოსს თითქმის სისხლში აქვს გამჯდარი უნამუსოდ, არაკეთილშობილურად მოქცევა, თუმცა ბაროზუსა და რასმუსენს მხოლოდ ეს არ ანათესავებს, რასმუსენი (ისევე, როგორც ბაროზუ) მალე დატოვებს თანამდებობას. კარიერის დასასრულს კი მათ თითქოს გადაწყვიტეს, ყველაფერი თქვან, რაც იციან და რაც არა. საზოგადოდ, კი ბაროზუს საქციელი, როდესაც მან კონფიდენციური მოლაპარაკებების შინაარსი გაასაჯაროა, ნათლად წარმოაჩენს ევროკავშირის პოლიტიკური ელიტის წესიერებასა და კომპეტენტურობას. თუმცა ეს ყველაფერი მაინც ევროპის „უფროსი ძმის“, აშშ-ის, მითითებით ხდება. ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაფუჭება ხომ დიდწილად აშშ-ის დამსახურებაა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აშშ-სა და ევროპას შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც სიუზერენსა და ვასალს შორის.

**ბაროზუს საქციელი, როდესაც მან კონფიდენციალური მოლაპარაკებების შინაარსი გაასაჯაროა, ნათლად წარმოაჩენს ევროკავშირის პოლიტიკური ელიტის წესიერებასა და კომპეტენტურობას. თუმცა ეს ყველაფერი მაინც ევროპის «უფროსი ძმის», აშშ-ის მითითებით ხდება. ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაფუჭება ხომ დიდწილად აშშ-ის დამსახურებაა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აშშ-სა და ევროპას შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც სიუზერენსა და ვასალს შორის**

**P.S. 6 წლის წინათ, აგვისტოს ომის პერიოდში, როდესაც მიხეილ სააკაშვილი თავის წითელ ჰალსტუხს ღეჭავდა, საფრანგეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზიც ბაროზუს მსგავსად მოიქცა. კრემლში პუტინთან დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ სააკაშვილის ბედით შეშფოთებულმა სარკოზიმ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ პუტინი სააკაშვილს დაემუქრა, გენიტალიებით ჩამოვკიდებო. და არც არაფერი. სააკაშვილს დღესაც ყველაფერი თან აქვს...**

**თუმცა კონტექსტიდან თვითონ ის ამოგლიჯეს.**

**«რასმუსენმა შეხვედრა მთხოვა, მეც დავთანხმდი, ვილაპარაკეთ. მას კი თურმე დიქტოფონი ჰქონია და ჩვენი საუბარი მალულად ჩაუწერია. შემდეგ კი პრესაში გამოაქვეყნა. როცა ვნახე, თვალებს და ყურებს არ ვუჯერებდი. შემდეგ ამიხსნა, ეს ყველაფერი «ისტორიისთვის ჩავიწერეო». ამის შემდეგ როგორ უნდა ენდო მათ?»**

**ნიკა გელაშვილი**



## ჯონ მაკკეინს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობა ურჩიეს

**ამერიკელმა ჟურნალისტმა, აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა უეინ მედსენმა ტელეარხ PressTV-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკელ სენატორ ჯონ მაკკეინს ფსიქიატრების დახმარება სჭირდება. მედსენის აზრით, მაკკეინის უკიდურესი რუსოფობია შედეგია სულიერი ტრავმისა, რომელიც მან ვიეტნამის ომში მიიღო.**

„ადრეც იყო მსგავსი შემთხვევა, მახსენდება სენატორი ჯოზეფ მაკარტი, 1950-იან წლებში სენატორი ვისკონსინის შტატიდან. მაკარტნი ცნობილია მტრული განწყობით კომუნიზმის მიმართ, ბოლოს კი მას ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი ჩაუტარეს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ვიფეზდის ჰოსპიტალში.

ჩემი აზრით, **ჯონ მაკკეინსაც აქვს სერიოზული ფსიქიატრიული აშლილობა და ისიც უნდა გაგზავნონ ამ ჰოსპიტალში. მას აქვს უფლება, იქ იმკურნალოს არა მხოლოდ როგორც სენატორმა, არამედ როგორც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ვეტერანმაც.**

მაკკეინი უაზრობას ლაპარაკობს. სწორედ მაკკეინი იყო ის ადამიანი, რომელიც ჩავიდა სირიაში იმ ადამიანებისთვის მხარდაჭერის გამოსაცხადებლად, რომლებიც, როგორც შემდგომ გაირკვა, ახლა ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძვიან.

ჯონ მაკკეინს ყოველთვის უნდოდა, რომ აშშ ჩართულიყო ფართომასშტაბიან ომში რუსეთის წინააღმდეგ. ადრე ამის საბაბი იყო საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტები. ახლა მას სურს, ფართომასშტაბიანი კონფლიქტი უკრაინაში ფაშისტური ხელისუფლების მიერ შექმნილი სიტუაციის გამო წამოიწყოს. სხვათა შორის, ამ ხელისუფლებას მაკკეინი თავიდანვე უჭერდა მხარს. ის მთავარ ნეოკონსერვატორ ვიქტორია ნულანდსა და უკრაინაში აშშ-ის ელჩ ჯოზეფ პაიეტთან ერთად მაიდანზეც კი იმყოფებოდა, მაკკეინი ეხმარებოდა ნეონაცისტურ ჯგუფებს, რომლებიც მიტინგებზე კანონიერად არჩეული პრეზიდენტ იანუკოვიჩის დასამხობად გამოდიოდნენ.

მაკკეინის საქციელს ვერ ვუწოდებ საღად მოაზროვნე ადამიანის მოქმედებას. ის თვით კონსერვატორი რესპუბლიკელისთვისაც კი მეტისმეტად თვალთმაქცი და ორპირია. მიმაჩნია, რომ მაკკეინი იტანჯება პოსტტრავმატული სტრესული აშლილობით, რომელიც იმ მომენტში განუვითარდა, როდესაც ტყვედ ჩავარდა ჩრდილოეთ ვიეტნამში.

ჩემი აზრით, მან პატივი უნდა სცეს არიზონას შტატის მოსახლეობას და გადადგეს სენატორობიდან. შემდეგ კი მიმართოს ვიფერდის ჰოსპიტლის ექიმებს ფსიქიატრიული დახმარებისთვის“, — განაცხადა უეინ მედსენმა.



მოსაზრება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკისთვის საქართველო არის მხოლოდ და მხოლოდ სატყუარა ანკესზე, რომლითაც იგი ცდილობს, დაიჭიროს დიდი თევზი — ზვიგენი და მსოფლიოს თვალში რუსეთი მტაცებლად და ოკუპანტად წარმოაჩინოს. ამით კი სურს, გადაფაროს მის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, კორეასა და ვიეტნამში, იუგოსლავიაში, ერაყსა თუ სხვა არაბულ ქვეყნებში, მაგრამ როგორი ასატანია ეს ჩვენთვის — ქართველი ხალხისთვის?!**

# აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31 (266)

**ცრუისტორიკოსებმა და ვაიპოლიტიკოსებმა დაძაბეს პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში და ხელი შეუწყვეს ჩვენსა და აფხაზებს შორის პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ე. წ. სეპარატიზმში და სამხედრო კონფრონტაციამდეც კი მიიყვანა საქმე.**



ე. წ. სეპარატიზმი-მეთქი, რადგან ეს ტერმინი სრულფასოვნად ვერ ასახავს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებს. აქ უფრო სწორი იქნებოდა საუბარი ორი ერს შორის გაუცხოებაზე, უნდობლობაზე, განდგომაზე, დისტანცირებაზე და ა. შ., ხოლო სეპარატიზმი დაპირისპირებულებს არაკორექტულად წარმოაჩენს –სეპარატიზმი მიგვანიშნებს აბორიგენისა და უცხოელის ურთიერთობასა და დამოკიდებულებაზე. სეპარატიზმი მოდის ლათინური სიტყვა „სეპარაციო“-დან და გამოყოფას ნიშნავს, რაც ბუნებრივი პროცესია: მშობიარობისას ნაყოფი შორდება მშობლის უბეს და იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. ასეა ზოოსამყაროში და, საერთოდ, ბუნებაში – ვაშლი ან მსხალი დამწიფებისას ვარდება მიწაზე, რაც ასევე გამოყოფის მაუწყებელია და ნორმალური, ბიოლოგიური პროცესია. მედიცინაშიც იხმარება ხშირად ეს ტერმინი მაშინ, როდესაც დასტაქარი უსისხლოდ და ტრავმატიულად გამოჰყოფს ამ თუ იმ პათოლოგიურ წარმონაქმნს. ეს ნიშნავს სეპარაციულ, უსისხლო გამოყოფას. ასე რომ, ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა საუბარი გაუცხოებაზე, განდგომასა და გამოყოფის მცდელობაზე და არა აფხაზურ სეპარატიზმზე, რომელიც შეურაცხმყოფელიცაა და ვერ ასახავს მოპირისპირე მხარის ადგილსა და როლს ამ პროცესში. ეს, როგორც წესი, კონტპროდუქტიულია, რასაც ვერ ვითვალისწინებთ.

საერთოდ, ჩვენ ბევრ რამეს ვერ ვითვალისწინებდით, მათ შორის, აფხაზების მჭიდრო მეზობლობასა და მეგობრობას დიდ რუსეთთან, მის შენიღბულ თუ აშკარა წაქეზებას ქართველების საწინააღმდეგოდ; **ვერ გავითვალისწინეთ, რომ რუსეთი, როგორც „ყველა ჩაგრულის პატრონი და მზრუნველი“, მაშინვე ამოუდგებოდა აფხაზეთს საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ და გაითამაშებდა ე.წ. აფხაზურ კარტს საქართველოს თავისკენ შემოსაბრუნებლად. ამას იგი გააკეთებდა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ უსაზღვროდ დიდია მისი გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში.** ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ისიც, რომ სწორედ ამ რეგიონში, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუშვებდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიახლოებას საკუთარ საზღვრებთან. **ეს არ შედიოდა და არ შედის რუსეთის ინტერესებში და, რასაც აკეთებს, აკეთებს არა ერთმორწმუნე ქართველი ხალხის სიძულვილით (საზიანოდ კი), არამედ თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე**. ამიტომ ისარგებლა მან ჭკუათხელი სააკაშვილის უნიათობით, შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე და ლამის თბილისამდე დამკვიდრდა. მერე შემოიღობა აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი და აღიარა ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ესეც ჩვენი უგუნურობითა და ხელშეწყობით მოხდა! ამ დროს კი გამარჯვებას ვზეიმობდით რუსეთ-საქართველოს ორდღიან ომში და ტაშფანდურს ვმართავდით... ნეტავ, არის სადმე ერი, ჩვენისთანა ბედნიერი?!

დღესაც ვერ ვაცნობიერებთ ბევრ სხვა გარემოებას, **ვერ ვითვალისწინებთ, რომ ვერც ევროსაბჭო და ვეღარც ოკეანისგაღმელი ჩვენი „მეგობარი“ ვერ დაუპირისპირდება ჩვენ გამო რუსეთს.** ეს თვალნათლივ დაგვანახა ბოლოხანს უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა — რუსეთი არ შეეგუა სტეპან ბანდერასა და ფაშისტი „კარატელების“ მემკვიდრეების აღზევებას უკრაინაში და მხარი დაუჭირა იქ მცხოვრებ რუს მოსახლეობას. ისარგებლა ამით და დაიბრუნა (შეიძლება ითქვას, სამართლიანადაც) თავისი ქვეყნის განუყოფელი ნაწილი – ყირიმი, რომელიც უგუნურმა ხრუშოვმა გააჩუქა მის მიერ უკრაინაში ჩადენილი შავი საქმეების გადასაფარავად.

**ყირიმი რუსეთის ისტორიული ნაწილი რომ არის, შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს, იგი იმპერატორმა ეკატერინე მეორემ, გრაფ პატიომკინის სარდლობით, გაათავისუფლა ოსმალეთის ბატონობისგან, ხოლო ადმირალებმა — უშაკოვმა და ნახიმოვმა — ბოლო მოუღეს თურქეთის ბატონობას შავ ზღვაზე.** მოგვიანებით კი იოსებ სტალინმა აჰყარა ყირიმიდან თათარი მოსახლეობა და ასე გახდა იგი სუფთა რუსული ოლქი – 90% ეთნიკური რუსული მოსახლეობით. მოკლედ, არსებობდა უტყუარი ისტორიული და მორალური წინაპირობები იმისა, რაც მოხდა ამას წინათ ყირიმში. ამას ვერ შეცვლის ვერანაირი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიმართ. როგორც უნდა გააკრიტიკონ რუსეთი, იგი თავისას არ დაიშლის. ამისთვის მას აქვს უზარმაზარი რესურსი — გიგანტური ნაბიჯებით განვითარებად ჩინეთთან სიახლოვე, გამყარებული ხელშეკრულებით, რომელიც უფლებამოსილს ხდის მას, მოიქცეს ისე, როგორც მოეპრიანება. ასე რომ, რუსეთი მოუსმენს ყველას, მაგრამ უკან არ დაიხევს.

**ჩვენც ხომ არ ვიტყოდით უარს ლორეს, ერუშეთის, ტაო-კლარჯეთის, საინგილოსა თუ კაპადოკიად წოდებულ ლაზეთ-ჭანეთის შემოერთებაზე?!**

აქ ასეთი ჩართვა გამოწვეულია არა იმით, რომ ძალიან მოგვწონს ის, რაც ხდება უკრაინაში, არამედ იმით, რომ ვერ ვითვალისწინებდით და დღესაც ვერ ვითვალისწინებთ რუსეთის თავისებურებებს, მის ინტერესებს ჩვენს რეგიონში. უნდა ვაღიაროთ, რომ **ქვეყანაში ჩამოყალიბებული რეალობა წინდაუხედავი და ღალატის ტოლფასი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგია**. **ეს ის რეალობაა, რომლისკენაც თვითონვე შემოვაბრუნეთ ჩვენი ისტორია. აფხაზებსა და ოსებთან ჩვენი ურთიერთობა (რუსეთთანაც) წავიდა იმ რელსებით, საითკენაც ჩვენ გადავწიეთ ისრები.** ეს უნდა გვახსოვდეს მათთან ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებისას. ყველაზე კარგად რუსმა პოეტმა ფიოდორ ტიუტჩევმა თქვა: **„Умом Россию не понять, Аршином общим не измерить: У ней особенная стать — В Россию можно только верить!“.**

აქ საუბარია იმაზე, რომ გამოუცნობ და არაპროგნოზირებად რუსეთთან ჭიდილი არ არის მომგებიანი! ჩვენ კი დღენიადაგ ვიყავით დაკავებული მისი ლანძღვა-გინებით. ვერ ვითვალისწინებდით და დღესაც ვერ ვითვალისწინებთ მის ინტერესებს მოსაზღვრე რეგიონებში და სად არ ჩავუშვით ღუზა. რუსეთმა ეს არ გვაპატია და შედეგსაც ვიმკით. თუ არ მოგწონს მასთან მეზობლობა, გადაიტანე შენი ქვეყანა მიწა-წყლიანად, შენი ხალხით სხვაგან; იქ, სადაც უფრო მოგწონს, მაგრამ, რადგან ეს შეუძლებელია, უნდა გამონახო საერთო ენა მეზობელთან და იცხოვრო მის გვერდით ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით. უნდა გაითვალისწინო, რომ საქართველო არ არსებობს ცალკე, სხვა სივრცეში, რომ ის მეზობლობს სხვა ქვეყნებთან და ვალდებულია, გაითვალისწინოს, მეზობლების ინტერესებიც.

ჩვენ არ გავითვალისწინეთ ეს და, როგორც ითქვა, დღესაც არ ვადგავართ სწორ გზას — ვერც ევროკავშირი, ვერც ამერიკა და ვეღარც ნატო ვერ აღადგენს დაკარგულ ტერიტორიებზე ჩვენს სუვერენიტეტს. ასეთი საკითხის გადაწყვეტა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების ხელისუფლებების დადგენილება-დირექტივებით არ ხდება. ნატო ჩვენ არაფერში გვჭირდება, მით უფრო, როცა მასში გაწევრება არარეალურია. **იმისთვის კი არ ააშენა რუსეთმა აფხაზეთში საფორტიფიკაციო ნაგებობანი და დააყენა ულტრათანამედროვე ბალისტიკური რაკეტები, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მიიახლოვოს. არც ნატო წამოეგება ასეთ ავანტიურაზე და საქართველოს თავის რიგებში არ მიიღებს.** ეს გადაწყვეტილება რომ ნატოს ხელმძღვანელობამ მიიღოს, რუსეთი მეორე დღესვე გადმოსვამს თავის საჰაერო და საზღვაო დესანტს და დააბანაკებს მათ ფოთსა და თურქეთის საზღვრებთან, ამასთანავე, მძიმე ჯავშანტექნიკით გაუდგება დიდგორიდან, თბილისის გავლით, გიუმრისკენ მიმავალ გზას. პამპერსებითა და მინერალური წყლით დატვირთული ამერიკის გემები კი ვერაფერს გვიშველის.

**დღემდე ვერ ვხვდებით, რისთვის სჭირდება საქართველო აშშ-ს — მას აინტერესებს ჩვენი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა, თორემ ქართველი ხალხისა და ქვეყნის ბედი და მომავალი ჩირადაც არ უღირს**

დღემდე ვერ ვხვდებით, რისთვის სჭირდება საქართველო აშშ-ს — მას აინტერესებს ჩვენი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა, თორემ ქართველი ხალხისა და ქვეყნის ბედი და მომავალი ჩირადაც არ უღირს. ოკეანისგაღმელ პარტნიორებთან „მეგობრულად“ განვლილმა წლებმა და შიგაპოლიტიკურმა მოვლენებმა დაგვანახა მათი ნამდვილი სახე. თუნდაც საფრანგეთის ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის აღიარება რად ღირს?! საქართველოში ჩამოსვლის წინ მას დაურეკა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და უთხრა: „ნუ ჩაერევი მათ საქმეში, მიეცი რუსებს თბილისში შესვლის საშუალება, რუსეთმა აიღოს თბილისი“...

ასე რომ, **ამერიკისთვის საქართველო არის მხოლოდ და მხოლოდ სატყუარა ანკესზე, რომლითაც იგი ცდილობს, დაიჭიროს დიდი თევზი – ზვიგენი და მსოფლიოს თვალში რუსეთი მტაცებლად და ოკუპანტად წარმოაჩინოს. ამით კი სურს, გადაფაროს მის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, კორეასა და ვიეტნამში, იუგოსლავიაში, ერაყსა თუ სხვა არაბულ ქვეყნებში, მაგრამ როგორი ასატანია ეს ჩვენთვის — ქართველი ხალხისთვის?!**

ასეთია ჩვენი პოლიტიკური პარტნიორის ნამდვილი სახე, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხვდებით ან არ გვინდა, გავაცნობიეროთ, რომ გვკვებავენ ილუზიებითა და რეალობას მოკლებული მოსაზრებებით, რომ ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები აიძულებენ რუსეთს, დატოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. ეს არარეალურია!

**კრიზისიდან გამოსასვლელად საჭიროა ისეთი ურყევი კავშირი პოლიტიკურ ძალებსა და ხალხს შორის, რომელიც შეეცდება, არა ცალკეული პირებისა და გარკვეული ჯგუფების ამბიციების, არამედ ქართველი ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ძალებისა და ხალხის ინტერესები უნდა იყოს თანმხვედრი. მაგრამ ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების ნარჩენები (რომლებიც ოკეანისგაღმელი მეგობრების მიერ მთავარ ოპოზიციურ ძალად არიან დანიშნულნი) პარლამენტის ტრიბუნიდან და ტელევიზორის ეკრანიდან ყმუიან, ეს შეუძლებელია.** ეს შეიძლება მოხ- ▶

**კრიზისიდან გამოსასვლელად საჭიროა ისეთი ურყევი კავშირი პოლიტიკურ ძალებსა და ხალხს შორის, რომელიც არა ცალკეული პირებისა და გარკვეული ჯგუფების ამბიციებს, არამედ ქართველი ხალხის ინტერესებს დააკმაყოფილებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ძალებისა და ხალხის ინტერესები უნდა იყოს თანმხვედრი. და ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების ნარჩენები (რომლებიც ოკეანისგაღმელი მეგობრების მიერ მთავარ ოპოზიციურ ძალად არიან დანიშნული) პარლამენტის ტრიბუნიდან და ტელევიზორის ეკრანიდან ყმუიან, ეს შეუძლებელია.**

მოსაზრება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩატარდება ახალი საპარლამენტო არჩევნები და ხელისუფლებაში მოვლენ ნამდვილი ეროვნული ძალები და ეროვნული ოპოზიცია.

**სწორედ მაშინ გახდება შესაძლებელი თავის დროზე გაყალბებული რეფერენდუმის შედეგების გადასინჯვა და სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც ასევე პრობლემურია, რადგან ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი არჩევნების შედეგებს ითვლიან და ადგენენ არა ცესკოში, არამედ ამერიკის საელჩოში.**

ამის რეგულირება შეუძლია მხოლოდ ეროვნულ გმირს, ხალხის უპირობო ლიდერს, ისეთს, როგორიც იყო ნეტარხსენებული მერაბ კოსტავა. ის რომ ყოფილიყო ჩვენ შორის, ანტიეროვნული ოპოზიცია (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ლანა ღოლობერიძე, ელდარ შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, მამა-შვილი გაბაშვილები და სხვ.) ეროვნული ხელისუფლების დამხობას ვერავინ შეეცდებოდა. ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ ანტიეროვნული ძალები ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის გარემოცვის სახით. არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა ქვეყანაში მათი მოსვლის შედეგად — არც აფხაზეთი გასხვისდებოდა და არც სამაჩაბლო. **მერაბ კოსტავა გამონახავდა გზას აფხაზებისა და ოსების გულებისკენ, მაგრამ არ დასცალდა. იცოდნენ ეს და ამიტომ მოუსწრაფეს სიცოცხლე მუხანათურად, რამაც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ქართველი ხალხი.** თუმცა ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ გამოჩნდა ნამდვილი ლიდერი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ღმერთმა არ გაგვწირა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით ქართველ ხალხსა და ქვეყნას მხსნელი მოუვლინა. მან არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა, მაგრამ ყველაზე მთავარი სააკაშვილის რეჟიმის ლეგიტიმური გზით დემონტაჟი იყო, თუმცა ეს საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის. მომაკვდინებელი ბაცილა ჯერაც არ არის ბოლომდე ამოშანთული, რაც ხელს უშლის ქვეყნის განვითარების, აღმშენებლობის საქმეს, განსაკუთრებით — საგარეო პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბებას. აქ ყველაზე სუსტი წერტილი რუსეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და ხელახლა ჩამოყალიბების საქმეა. მართალია, აქტიური პოლიტიკიდან ბატონი ბიძინას ნაჩქარევად გასვლამ გაურკვევლობა გამოიწვია, მაგრამ იმით, რაც გააკეთა, ოქროს ასოებით შევა საქართველოს ისტორიაში. ბატონ ბიძინა ივანიშვილს აქვს შანსი, დაუბრუნდეს პოლიტიკას და ბოლომდე მიიყვანოს მის მიერ დაწყებული საქმეები. მხოლოდ მას აქვს ხალხის უსაზღვრო ნდობა და დღეს მხოლოდ მას ამოუდგება მხარში ქვეყნის, როგორც პოლიტიკური სპექტრის პროგრესული ნაწილი, ასევე მოსახლეობა. **ჩვენ გვჭირდება ჩვენი დენ სიაოპინი, რომელმაც, მიუხედავად ოპოზიციის უზარმაზარი წინააღმდეგობისა და მილიონიანი საპროტესტო აქციებისა, გაბედა და სოციალისტურ ჩინეთში შემოიღო საბაზრო ეკონომიკა; ერთ ქვეყანაში შესაძლებელი გახადა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თანაარსებობა, რომლის შედეგად შემოიერთა დიდი ბრიტანეთის დროშის ქვეშ 150 წლის განმავლობაში მყოფი ჰონგკონგი.** საგულისხმოა მისი სიტყვები: „არა აქვს მნიშვნელობა, რა ფერისაა ჩემი კატა — მთავარია, თაგვს იჭერდეს“. სწორედ ასეთი გაბედული და ძლიერი ლიდერი სჭირდება დღეს ქართველ ხალხს — ლიდერი, რომელიც გამოიყენებს დენ სიაოპინის გამოცდილებას, აგრეთვე, ჩინეთის გამოჩენილი ფილოსოფოსის — ლაო ძის შეგონებას: **„დაეთანხმე, დაემორჩილე, რომ დაიმორჩილო!“** და ტკბილად მოუბარი ენით მოაწესრიგებს რუსეთთან მეზობლურ ურთიერთობას, დააბალანსებს პოლიტიკურ ურთიერთობებს ევროკავშირსა და ოკეანისგაღმელ პარტნიორთანაც.

მხოლოდ ეს გზაა სწორი, თუ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ქვეყნის გაერთიანებაა ჩვენთვის მთავარი და არა სხვადასხვა ქვეყანაში უვიზოდ სიარული და კანარის კუნძულებსა თუ ლას-ვეგასში დროსტარება-გრიალი.

**დროა, ვაკეთოთ ის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის გამთლიანებასა და მართლმადიდებლური კულტურის შენარჩუნება-განმტკიცებას. ჩვენ არ გვჭირდება ამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის მანტიით ლახავენ ადამიანის ჭეშმარიტ უფლებებს — გვთავაზობენ გეებისა და ლესბოსელების აღლუმს, ერთსქესიანთა ქორწინებასა და ე. წ. კუზენ-კუზინას ურთიერთობის ინსტიტუტის შემოღებას.** დროა, გავახილოთ თვალი და ავირჩიოთ სწორი გზა. ამ საქმეში, ვიმეორებ, **ჯერ კიდევ აქვს შანსი ბატონ ბიძინა ივანიშვილს და, თუ ჩაუდგება სათავეში ხალხს, მას შეუძლია გადაარჩინოს ქვეყანა. ის მაინც უნდა გააკეთოს, რომ ქვეყნის სათავეში მოიყვანოს არა უსახური და უინიციატივო, არამედ ძლიერი და გაბედული ადამიანები, რომლებიც ფლობენ საჭირო, ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების ხელოვნებას და შეუძლიათ საბოლოო შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯის გადადგმა.**

ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად რუსეთთან, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობის მოწესრიგება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. **არც ერთ პოლიტიკურ ძალას, მათ შორის, ხელისუფლებაში მყოფს, არ აქვს პოლიტიკური რესურსი, რომ რუსეთის ხელისუფლება მათთან დიალოგზე წამოვიდეს და სერიოზული საკითხი განიხილოს. აქ ზედმეტია საუბარი აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის პოლიტიკურ წრეებზე, რომელთათვისაც ეს ხალხი კატეგორიულად მიუღებელია.**



**ჯერ კიდევ აქვს შანსი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თუ ჩაუდგება სათავეში ხალხს, გადაარჩინოს ქვეყანა. ის მაინც უნდა გააკეთოს, რომ ქვეყნის სათავეში მოიყვანოს არა უსახური და უინიციატივო, არამედ ძლიერი და გაბედული ადამიანები, რომლებიც ფლობენ საჭირო, ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების ხელოვნებას და შეუძლიათ საბოლოო შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯის გადადგმა**

მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებსაც ძალუძთ, იტვირთონ ზემოაღნიშნული მისია. ერთ-ერთი მათგანია ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** — თავის ხალხსა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და ერთგული კაცი, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა საცხოვრისია. ბატონ ჭაჭიას აქვს კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის სწორი ხედვა და სათანადო ბერკეტები — ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს აფხაზი ხალხის ყველა ფენაში. ამასთანავე, მიღებულია და დიდი ავტორიტეტი აქვს რუსეთის სამთავრობო წრეებში. მას შეუძლია გააერთიანოს ქართველი ხალხის პროგრესული ძალები და ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად იტვირთოს დენ სიაოპინის როლი საქართველოში.

უნდა მოვრჩეთ ნაცარქექიობას და შევარდნაძე-სააკაშვილის მრუდე სარკეში ცქერას, საიდანაც ვერც შორეულ სამყაროს დაინახავ, ვერც ცხვირწინ მდებარე პრობლემებს. დროა, დავეშვათ მიწაზე და დავინახოთ რეალობა, რომ ჩიხიდან გამოსვლის გზა არც ევროპის დედაქალაქებისკენ მიემართება და არც შეერთებული შტატებისკენ. ევროკავშირთან ასოცირება თუ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრება ვერ გაათავისუფლებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. ამას ყველას გასაგონად და გასაგებად გვეუბნება ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი (დაწყებული აშშ-ის ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონითა და გაერთიანებული სამხედრო შტაბების ყოფილი მთავარსარდლით, გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილით, დამთავრებული დასავლეთის თანამედროვე ლიდერებით), რომ საჭიროა რუსებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა, რომ მათთან უნდა გამოვნახოთ საერთო ენა. **დღესაც გასაგებად გვითხრა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომ საქართველო (ისევე, როგორც უკრაინა) არასდროს მდგარა და დღესაც არ დგას ნატოსკენ მიმავალ გზაზე, რასაც სრულიად დაეთანხმა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.**

რა არის აქ გაუგებარი და რატომ არ გვინდა შევიგნოთ, რომ საგარეო საქმეებში აქცენტების სწორად გადანაწილება და პრიორიტეტული მიმართულების სწორად შერჩევაა საჭირო. არ არის მომგებიანი მეზობლის, რაგინდ აგრესიული უნდა იყოს ის, გაუთავებელი ლანძღვა-გინება: **ლილიპუტინის ძახილითა და მილიტარისტული რიტორიკით არასდროს გაუკეთებია ვინმეს საშვილიშვილო საქმე.** უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენს დიდ მეზობელთან, რომელთანაც, სხვათა შორის, ბევრი რამ გვაკავშირებს. ბევრი ნეგატიური მოვლენის გვერდით, რომლებიც ავადმყოფურად ასოცირდება რუსეთთან, **არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას შევინარჩუნეთ სარწმუნოება, ენა და მამული. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთთან გაერთიანებამდე დაშლილი იყო სამეფოებად და სამთავროებად (რომლებიც ცალ-ცალკე შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში) და სწორედ რუსეთის რევოლუციების შემდეგ მიიღო მან მონოლითური სახე და ჩამოყალიბდა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, და ასეთივე სახით გამოეყო რუსეთს. რუსეთზე საუბრისას, ამას ხმამაღლა თუ არ ვიტყვით, გვახსოვდეს მაინც, რა ბედი ეწია მრავალ ჩვენნაირი ბედ-იღბლის ხალხს, რომლებიც არ მოექცნენ რუსეთის მფარველობაში — მათ დაკარგეს არამხოლოდ მამული, არამედ ეროვნებაც, ენაც, სარწმუნოებაც.** ასე რომ, ნუ ვიქნებით უმადურები, რადგან უმადურობაზე საშინელი არაფერია.

დღესავით ნათელია, რომ ჩვენი პრობლემების მოგვარება და ჩიხიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის გავლით და მასთან მოგვიწევს საუბარი პირისპირ, გვინდა ეს თუ არა. დიახ, ერთმორწმუნე რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩვენ მათი დეოკუპაცია გვინდა. ამაში, როგორც უკვე ხაზგასმით ითქვა, დასავლეთი ვერ გვიშველის და, **თუ ტერიტორიების დეოკუპაცია და ქვეყნის გაერთიანებაა პრიორიტეტული ჩვენთვის, უნდა გავმართოთ პირდაპირი დიალოგი საკითხზე, რას ითხოვს ამის სანაცვლოდ რუსეთი.**

ცხადია, რომ რუსეთი შემოგვიგდებს ნატოსთან დაკავშირებულ პრობლემატიკას და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ ნატოში გაწევრება ჩვენთვის არარეალურია, რაზეც უკვე იყო საუბარი, მაშინ შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი, მივყვეთ ლოგიკას და მივიღოთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — კომპრომისებით გამოვიხსნათ ჩვენი ტერიტორიები — ქართველი ხალხის საცხოვრისი. სწორედ ესაა კომპრომისებისა და კონსენსუსის გზა, რომელსაც უწოდებენ გონივრულ დიპლომატიას, გონივრულ საგარეო პოლიტიკას.

ამ საქმეში, როგორც ხაზგასმით ითქვა, ძალზე მნიშვნელოვანია მმართველი ძალების, მათი ლიდერისა და ხალხის თვალსაზრისის იდენტურობა. ვიმეორებ: დღეს ეს არ იგრძნობა — ხალხს უნდა ერთი, ხელისუფლება კი აკეთებს სხვას — არჩევნებამდე გაცემული დაპირებების საპირისპიროს. მოშლილია თანხვედრა და წინსვლას აფერხებს სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები, იმავე რესპუბლიკელების ფსევდოპატრიოტული ლოზუნგები, რომლებიც (მედიცინის ენაზე) ექვემდებარება ამპუტაციას. დროა, შეიგნოს ეს ქართველმა ხალხმა და გათავისუფლდეს მათგან ლეგიტიმური გზით — არჩევნებით. ეს, ვიმეორებ, შეიძლება, მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში მოვლენ ხალხის მიერ არჩეული პროგრესული ძალები, ეროვნული ოპოზიცია და არა უცხოეთიდან შემოგდებული ანტიეროვნული ძალა. სწორედ მაშინ გახდება ადვილი სწორი ორიენტირების შერჩევა, კონსტრუქციული დიალოგი, როგორც რუსეთთან, ასევე ჩვენგან განდგომილ აფხაზ და ოს ხალხებთან, მათ ლიდერებთან.

**ქვეყანაში ჩამოყალიბებული რეალობა წინდაუხედავი და ღალატის ტოლფასი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგია. ეს ის რეალობაა, რომლისკენაც თვითონვე შემოვაბრუნეთ ჩვენი ისტორია. აფხაზებსა და ოსებთან ჩვენი ურთიერთობა (რუსეთთანაც) წავიდა იმ რელსებით, რომლებისკენაც ჩვენ გადავწიეთ ისრები. ეს უნდა გვახსოვდეს მათთან ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებისას!**

**ნაპო მესხია,**
ნეიროქირურგი,
საზოგადო მოღვაწე,
აფხაზეთის უმაღლესი
საბჭოს წევრი

დასასრული
შემდეგ ნომერში

მსოფლიო

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეალურად თუ „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებული შემთხვევა პერიოდული სირთულეები იყო, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებით აშშ პირდაპირ სუპერპრობლემას შეეჯახა. „ალ ქაიდა“ ჯიჰადიზმის გუშინდელი დღეა, „ისლამური სახელმწიფო“ — ისლამური რადიკალიზმის ხვალინდელი დღე.**

# «ისლამური სახელმწიფო» — დასავლეთის თავში მოხვედრილი მორიგი ბუმერანგი

**ამერიკელი ჟურნალისტის — ჯეიმს ფოულის მკვლელობა საშინელი ფაქტია. სიკვდილის წინ თავად ფოულიმაც აღნიშნა, რომ ამ ყველაფერზე პასუხისმგებელნი დასავლელი ლიდერები არიან. რისთვის დასჭირდებოდა ასეთ მომენტში ტყუილი? ნიშანდობლივია, რომ ამ ყველაფერში მშვენივრად ჯდება თავად ჯალათის პიროვნებაც — ლონდონის გარეუბანში გაზრდილი რეპერი — თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის ტიპური წარმომადგენელი.**



დასავლეთისა და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ურთიერთკავშირის ისტორია ორი წვეთივით ჰგავს „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებულ ანალოგიურ სიტუაციას. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეს ორგანიზაცია თავისი მოქმედების ზონად ერაყსა და სირიას მოიაზრებდა და ეს მის სახელწოდებაშიც ჩანდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ფსონები გაიზარდა და ამასთან არეალიც — მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა.

**როგორც „ალ ქაიდა“, ისე „ისლამური სახელმწიფო“ დასავლური სპეცსამსახურების ლაბორატორიებში გაჩნდნენ, როგორც გეოპოლიტიკური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი. ეს მტერი პირველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი იყო, ახლა კი სირიაა.** როგორი სისხლიანი „ქორწილითაც“ დასრულდა ვაშინგტონის რომანი „ალ ქაიდასთან“, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ, როგორც ამბობენ, „ისტორია გვასწავლის, რომ ის ვერაფერს გვასწავლის“. გამოძერწა რა „ისლამური სახელმწიფო“ ბაშარ ასადის წინააღმდეგ საბრძოლველად, აშშ ვარაუდობდა, რომ ამჯერად ყველაფერი გათვალა, რადგან მასშტაბებიც ნაკლებია, ვიდრე მძლავრ საბჭოთა კავშირთან დაპირისპირებისას იყო და „ალ ქაიდას“ ახალ კლონსაც გადამეტებით დიდი პოტენციალი არ დასჭირდებოდა. გარდა ამისა, აშშ-ს ახლო აღმოსავლეთში საკუთარი გავლენა საკმარისი ეგონა იმისათვის, რომ თავისივე მორიგი ქმნილებისთვის ზედმეტი თავგამოდების უფლება არ მიეცა. მაგრამ ერთპოლარული მსოფლიოს აღსასრულის ეპოქაში ამერიკულ პოლიტიკაში ბევრი რამ ხდება არა „ისე, როგორც უკეთესია, არამედ ისე, როგორც ყოველთვის“.

**რეალურად თუ „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებული შემთხვევა პერიოდული სირთულეები იყო, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებით აშშ პირდაპირ სუპერპრობლემას შეეჯახა. „ალ ქაიდა“ ჯიჰადიზმის გუშინდელი დღეა, „ისლამური სახელმწიფო“ — ისლამური რადიკალიზმის ხვალინდელი დღე.** ის მაღალტექნოლოგიურია თანამედროვე მოქმედებათა მეთოდებისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით. „ისლამური სახელმწიფო“ უკვე აკონტროლებს ფართო ტერიტორიებს, რომლებიც მოიცავს ერაყისა და სირიის ტერიტორიის ნახევარს და მასზე მცხოვრებ მილიონობით ადამიანს. დასავლეთის მიერ გაჩაღებული სირიის ომის წყალობით, ესენი არიან არამხოლოდ წარმოშობით ახლო აღმოსავლეთიდან და აშშ-სა თუ ევროპაში ნაცხოვრები და იქაურ ცოდნას ნაზიარები ადამიანები, არამედ ძირძველი ამერიკელები და ევროპელები, რომლებიც ისლამს ეზიარნენ. „სმ-6“-ის შეფასებით, ახლა „ისლამურ სახელმწიფოში“ მხოლოდ ბრიტანელთა რაოდენობა 400-ს აღწევს. უკვე გაირკვა, რომ სირიაში დასავლეთის ქვეყნების მკვიდრი მძევლებს იცავს სამი ბრიტანელი ჯიჰადისტი, რომელთა ზედმეტსახელებია ჯონი, პოლი და რინგო. შესაძლოა, ეს ადამიანები მალე სამშობლოში დაბრუნდნენ და მათი იდენტიფიცირება უკიდურესად რთული საქმე იქნება. ამგვარ პირობებში ტყუპი ცათამბჯენების ტრაგედია ძალზე იოლად შეიძლება განმეორდეს და, შესაძლოა, კიდევ უფრო შთამბეჭდავი მასშტაბებითაც.

**როგორც „ალ ქაიდა“, ისე „ისლამური სახელმწიფო“ დასავლური სპეცსამსახურების ლაბორატორიებში გაჩნდნენ, როგორც გეოპოლიტიკური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი. ეს მტერი პირველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი იყო, ახლა კი სირიაა**

„ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერები გაცილებით უფრო ამბიციურნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მათგან ელოდნენ და ახლო აღმოსავლეთში ყველანაირ ბალანსს ცვლიან. „ალ ქაიდას“ ნარჩენები, როგორც ჩანს, მალე უბრალოდ გაზავდება ახალ მსოფლიო ჯიჰადისტურ ორგანიზაციაში. კონტროლისგან თავაწყვეტილი და მარიონეტების მმართველთა მაღალი კვალიფიკაციიდან სულ უფრო ჩამორჩენილი ორგანიზაციის ლიდერი — ახლადგამომცხვარი ხალიფა აბუ ბაკრ ალ-ბაღდადი, ერაყული ქალაქ სამარის მკვიდრია. იგი ადრე დააკავეს ამერიკელებმა და ამერიკულ კემპ-ბუკას ციხეში გამოკეტეს. პენტაგონის ოფიციალური მონაცემებით, ეს ადამიანი ციხეში ჰყავდათ სამოქალაქო ინტერნირებულის სტატუსით 2004 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე. მაგრამ ამ ციხის ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი კენეტ კინგი ირწმუნება, რომ ბაღდადი ციხეში 2009 წლამდე იჯდა. ციხიდან გამოსვლისთანავე დაიწყო მისი მზარდი კარიერა ჯიჰადისტთა რიგებში, ცხადია, პარალელურად ახორციელებდა ამერიკის გეგმებსაც ბაშარ ასადის ჩამოგდებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი მონაცემით, მთელი წლის განმავლობაში მან ინტენსიური სამხედრო მომზადება გაიარა მოსადის ხელმძღვანელობით, ასევე სწავლობდა თეოლოგიის კურსებზე და ორატორულ ხელოვნებას ეუფლებოდა.

გარდა ამისა, გაჩნდა ფოტო, რომელზეც ალ-ბაღდადის გვერდით დგას ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი. ამ ფოტოს დანახვისთანავე ამოტივტივდება მეხსიერებაში ბჟეზინსკის ცნობილი ფოტო, რომელზეც იგი აღბეჭდილია „ალ ქაიდას“ წევრებთან ერთად ავღანეთში.

ბიოგრაფიაში „ამერიკული კვალი“ ამჩნევია „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ წამყვან საბრძოლო მეთაურსაც, რომლის ტალანტსაც მიაწერენ ორგანიზაციის არაერთ გამარჯვებას — შეიხ უმარ ალ-შიშანს. მისი ნამდვილი სახელი თარხან ბატირაშვილია. იგი საქართველოს პანკისის ხეობის მცხოვრებია, წარმოშობით ჩეჩენია. სამხედრო მომზადება გაიარა აშშ-ის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ქართულ ჯარში. 2008 წელს ოფიცრის სტატუსით ბატირაშვილი რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო დაზვერვის სპეცქვედანაყოფში იბრძოდა.

აბუ ბაკრ ალ-ბაღდადი ახალი ბენ ლადენია. მისი მომხრეების მტკიცებით, ალ-ბაღდადი ხაშიმების წარმომავლობისაა და წინასწარმეტყველი მუჰამედის პირდაპირი შთამომავალია. სხვათა შორის, ამ წარმომავლობის არ იყვნენ არც უსამა ბენ ლადენი და არც წმიდა მექასა და მედინას მიწაზე ამჟამად მმართველი საუდთა დინასტიის წევრები. შესაძლოა, დღევანდელ, ამერიკულად ხელახლა აღზრდილ ახლო აღმოსავლეთში ამ ფაქტორმა არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულოს.

შემთხვევითი არ არის, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინსვლის საქმეში, უახლოესი მომავლის პერსპექტივებში ყველაზე სუსტ რგოლად იორდანია ითვლება. იქ მმართველმა ხაშიმიტებმა, არაბული ქუჩის აზრით, უკვე საგრძნობლად გაიფუჭეს სისხლი ბრიტანელ ქალებთან ქორწინებებით. მეფე აბდალა II სინამდვილეში მხოლოდ ჩერქეზული გვარდიის იმედად რჩება, რადგან დინასტიის კიდევ ერთმა საყრდენმა — ბედუინების თემმა — მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოფინა „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტური დროშები. მათ საცხოვრებელ ზონებში რეგულარული ჯარის ნაწილები გამოჩენასაც კი ვერ რისკავენ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ 29 აგვისტოს New York Times-ში გამოაქვეყნა ალარმისტული სტატია „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან მომავალი საფრთხის შესახებ. სტატიის მიხედვით, ორგანიზაციის ბოევიკები არიან „ბრძოლებში ნაწრთობნი, უახლესი მძიმე იარაღით აღჭურვილნი და არ აპირებენ, ერაყითა და სირიით შემოიფარგლონ“. როგორც სახელმწიფო მდივანი ირწმუნება, ეს ბოევიკები წარმოადგენენ „უნიფიცირებულ საფრთხეს მათ შორის აშშ-ისთვისაც“. მისივე სიტყვებით, **„სიმსივნე „ისლამური სახელმწიფოს“ გავრცელება შეიძლება შეჩერებულ იქნეს მხოლოდ აშშ-ის ხელმძღვენლობით შექმნილი შესაძლებელთა შორის ყველაზე ფართო კოალიციის გაერთიანებული წინააღმდეგობით“.**

მაგრამ, აი ის, რაც ძალზე ნიშანდობლივია: აღნიშნული დაჯგუფების გაჩენაზე პასუხისმგებლობას კერი სირიულ დაზვერვას აკისრებს. ეს დაახლოებით იგივეა, რაც კიევის მტკიცება, რომ დონეცკელი მეამბოხეები საკუთარ თავს თავადვე უშენენ „გრადიდან“. სხვა თუ არაფერში, არგუმენტაციის აბსურდულობაში მოსწავლემ და მასწავლებელმა ჭეშმარიტად სრულ ჰარმონიას მიაღწიეს. სახე- ▶

მოკლედ



## ისლამისტები კავკასიაში ომის დაწყებით იმუქრებიან

**ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები კავკასიაში ომის დაწყებით იმუქრებიან. როგორც ტერორისტების მიერ გავრცელებული ვიდეომიმართვიდან ჩანს, ისინი პირადად ვლადიმერ პუტინს ემუქრებიან, როგორც სირიის მეთაურის, ბაშარ ალ ასადის, მოკავშირეს.** ვიდეოზე, რომელიც YouTube-ზე განთავსდა, ჩანს ისლამისტი მებრძოლი, რომელიც ზის ავიაგამანადგურებელში. თვითმფრინავი მებრძოლებმა სირიის პროვინცია რაკაში მდებარე სამხედრო აეროდრომზე კონტროლის დამყარების შემდეგ ჩაიგდეს ხელთ.



**სიუდად-ხუარესში ქალების სერიული მკვლელობა რაღაც კერძო პათოლოგია კი არა, ადგილობრივი ბანდების სუბკულტურის ნაწილი, ქარხნებში მომუშავე გაუთხოვარი ქალების წინააღმდეგ მიმართული რიტუალია. ეს არის იმ აგრესიის ნათელი მაგალითი, რომელიც მამაკაცებს აქვთ დამოუკიდებელი ქალების ახალი კლასის გაჩენასთან დაკავშირებით.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ელმწიფო მდივნის დასკვნებიც ძალზე უცნაურია. მაგალითად, კერი „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხების საშუალებას ხედავს ერაყული ძალებისა და სირიის ზომიერი ოპოზიციის მხარდაჭერაში. და ეს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირი საკადრო რეზერვი და წყარო იმავე „ისლამური სახელმწიფოს“ უახლესი იარაღით მომარაგებისთვის, რომლის წინააღმდეგაც ვითომდა უნდა იბრძოლოს.

**მიუხედავად ყველაფრისა, დასავლეთი ვაშინგტონის მეთაურობით განაგრძობს სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ აბსოლუტურად იდენტური იდეოლოგიის მქონე დაჯგუფებების „ჯებხატ ან-ნუსრას“ და „ისლამური ფრონტის“ მხარდაჭერას.** ამ უკანასკნელს სათავეში უდგას ცსს-ს ფავორიტი შეიხი **ზახრან ალიუში.** მან უკვე გაუშვა სასიკვდილოდ თავისი წინა მეომრები კალამუნის ხეობაში და თავად კი გაგანია ბრძოლისას გამოიქცა, ახლა სიკვდილისაკენ მიერეკება აღმოსავლეთ გუტას ახალგაზრდობას. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ ისინი დასავლეთის წინააღმდეგნი არ არიან. ამ ცინიკური ლოგიკის თანახმად, „ისლამურ სახელმწიფოს“ ერაყში ასე ძლიერი დარტყმა რომ არ მიეყენებინა დასავლური ინტერესებისთვის, სავარაუდოდ, საყოველთაო მობილიზაციისა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმვისკენ მოწოდებებით კერი თავს არ შეიწუხებდა. ვაშინგტონის მიზანია, არ გაანადგუროს „ისლამური სახელმწიფო“, ამიტომ კერის მოწოდებებზე გამოხმაურებამდე მსოფლიო საზოგადოებამ კარგად უნდა მოიფიქროს, რამდენად გულწრფელია ის.

**საჭიროა ნათლად გააზრება იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებობს ერთადერთი არმია, რომელსაც შეუძლია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ გამკლავება. ეს არის ბაშარ ასადის სირიული არაბული არმია. საჭიროა მხოლოდ მისი გათავისუფლება ყველა სხვა ამოცანისგან. ეს კი ნიშნავს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ანტიასადური ოპოზიციის ყველანაირი მხარდაჭერა და დაიწყოს სერიოზული მოლაპარაკებები სირიის არმიისა და სირიის ოპოზიციური თავისუფალი არმიის გაერთიანებასთან დაკავშირებით. უკიდურეს შემთხვევაში ეს დასავლეთს დაეხმარება სახის შენარჩუნებაში. ისინი გამოცდილნიც არიან, ახლოსაც არიან და თავადაც სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესი აქვთ. თუმცა შესაძლოა, მალე ამის საშუალება აღარ იყოს, ბუმერანგის დარტყმა კი, როგორც ყოველთვის, ბევრ უდანაშაულოსაც გაუტეხავს თავს...**

fondsk.ru

# სექსუალური ძალადობა ბავშვებზე როტერემში



**როტერემში განვითარებული მოვლენების არსი დღეს მეტ-ნაკლებად ნათელია: 1997-დან 2013 წლამდე, სულ მცირე, 1400 ბავშვი დაუნდობელი სექსუალური ექსპლოატაციის მსხვერპლი გახდა. 11 წლის ბავშვებზე ძალადობდნენ, გზავნიდნენ მათ სხვადასხვა ქალაქში, სცემდნენ და აშინებდნენ. პრაქტიკულად ყველა დამნაშავე წარმომავლობით პაკისტანელია და მათი მსხვერპლნი, როგორც წესი, თეთრკანიანი მოსწავლეები ხდებოდნენ.**




რეაქცია სავსებით მოსალოდნელი იყო. მემარცხენეებმა გამოამჟღავნეს საშინელი პოლიტკორექტულობა: დამნაშავეებს „აზიატებს“ უწოდებდნენ, ისმოდა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ **ეროვნება და რელიგია არაფერ შუაშია, რომ მთავარი ქალებზე მამაკაცების დომინირებაა.** ამასთან ერთად, ამბობდნენ იმასაც, რომ ბრიტანელებს ხმა არ ამოეღებათ ეკლესიებში არსებული პედოფილიითა და თავიანთი ჯიმი სევილით (საბავშვო პროგრამის წამყვანი, რომელმაც, ვიდრე ცოცხალი იყო, არასრულწლოვანთა მიმართ უამრავი სექსუალური დანაშაული ჩაიდინა).

ძნელი წარმოსადგენია უფრო ეფექტური საშუალება გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიისა და იმიგრაციის წინააღმდეგ მებრძოლი სხვა პოპულისტების პოზიციების გასამყარებლად, რომლებიც სარგებლობენ უბრალო ადამიანების მღელვარებითა და შეშფოთებით.

**სინამდვილეში ამგვარი ანტირასიზმი კარგად შენიღბული რასიზმია, რადგან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შეუწყნარებელი დამოკიდებულება პაკისტანელების, როგორც ზნეობრივად არასრულფასოვანი ადამიანების მიმართ, რომლებთან დაკავშირებითაც ბრიტანელების მაღალი ევროპული სტანდარტები არ გამოდგება.**

სხვადასხვა დონეზე საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის ერთ-ერთი უსაშინელესი შედეგი ქალების მიმართ ძალადობის ზრდაა. საუბარია არა რაღაც შემთხვევით ძალადობებზე, არამედ სისტემატიურ ძალადობაზე, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ სოციალურ კონტექსტთან, იცავს გარკვეულ თანმიმდევრულობას და მკაფიო სიგნალს იძლევა.

მაგალითად, სიუდად-ხუარესში ქალების სერიული მკვლელობა რაღაც კერძო პათოლოგია კი არა, ადგილობრივი ბანდების სუბკულტურის ნაწილი, ქარხნებში მომუშავე გაუთხოვარი ქალების წინააღმდეგ მიმართული რიტუალია. ეს არის იმ აგრესიის ნათელი მაგალითი, რომელიც მამაკაცებს აქვთ დამოუკიდებელი ქალების ახალი კლასის გაჩენასთან დაკავშირებით.

ქალების სერიულ გაუპატიურებასა და მკვლელობას ადგილი ჰქონდა დასავლეთ კანადის ძირძველ მოსახლეობაში, ვანკუვერის ირგვლივ არსებული რეზერვაციის მახლობლად. ამ შემთხვევებმა გააბათილა კანადის პრეტენზიები ტოლერანტულობის მხრივ სამაგალითო სახელმწიფოდ აღიარებასთან დაკავშირებით. **თეთრკანიანი მამაკაცების ჯგუფი იტაცებდა, აუპატიურებდა და კლავდა ქალებს, შემდეგ დასახიჩრებულ გვამებს რეზერვაციის ტერიტორიაზე ყრიდა. ამრიგად, ეს საქმეები თემის პოლიციის იურისდიქციაში ხვდებოდა, პოლიცია კი აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო ანალოგიური საქმეების გამოსაძიებლად.** ამ შემთხვევებში სოციალურმა გაუმართაობებმა, რომლებიც ინდუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციისკენ მისწრაფებებმა განაპირობა, გამოიწვია თეთრკანიანი მამაკაცების დაუნდობელი რეაქცია. მათ საზოგადოების ამგვარ განვითარებაში საფრთხე შენიშნეს. ყველა აღნიშნული შემთხვევის უმნიშვნელოვანესი შტრიხი ისაა, რომ **აგრესიის აქტები არ წარმოადგენდა დაგროვილი მრისხანების სპონტანურ ამოფრქვევებს, რომლებიც ცივილიზებული წეს-ჩვეულებების ჯაჭვს არღვევდა. ეს იყო რაღაც ათვისებული, თავსმოხვეული, რიტუალად ქცეული ქმედება, რომელიც ადამიანთა ჯგუფის კოლექტიური არსის შემადგენელ ნაწილად იქცა.**

**თეთრკანიანი მამაკაცების ჯგუფი იტაცებდა, აუპატიურებდა და კლავდა ქალებს, შემდეგ დასახიჩრებულ გვამებს რეზერვაციის ტერიტორიაზე ყრიდა. ამრიგად, ეს საქმეები თემის პოლიციის იურისდიქციაში ხვდებოდა, პოლიცია კი აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო ანალოგიური საქმეების გამოსაძიებლად**

ანალოგიური გარყვნილი სოციალურ-რიტუალური ლოგიკა მოქმედებს პედოფილიასთან დაკავშირებითაც და ის მუდმივად აზანზარებს კათოლიკურ ეკლესიას. როდესაც ეკლესიის წარმომადგენლები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეს შემთხვევები ეკლესიის შიგა პრობლემაა და არ სურთ თანამშრომლობა საგამოძიებო ორგანოებთან, თავისებურად მართალნი არიან.

როტერდამში მომხდარი მოვლენებიც პაკისტანელი მუსლიმანი ახალგაზრდობის „პოლიტიკური ქვეცნობიერის“ შედეგია. ეს არის არა ქაოტური ძალადობა, არამედ ძალადობა, რომელიც რიტუალად იქცა და რომელსაც მკაფიო იდეოლოგიური კონტურები აქვს. იმ ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც თავს მარგინალიზებულებად და დაბალი სტატუსის მქონედ მიიჩნევენ, შურს იძიებს და ამისათვის გაბატონებული კლასიდან ირჩევს დაუცველ გოგონებს. და სწორედაც დროულია დაისვას კითხვა — **არის თუ არა მათ რელიგიასა და კულტურაში ისეთი შტრიხები და მახასიათებლები, რომლებიც ქალების მიმართ დაუნდობელი, მხეცური მოპყრობის შესაძლებლობას ქმნის?**

ისლამის დადანაშაულების გარეშე შეიძლება აღინიშნოს, რომ ქალების მიმართ ძალადობა ფეხდაფეხ მისდევს მრავალ მუსლიმანურ ქვეყანასა თუ თემში ქალების დამორჩილებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მათი გათიშვის პრაქტიკას; რომ ფუნდამენტალისტურად წოდებულ მრავალ ორგანიზაციასა და მოძრაობაში იერარქიული სექსუალური სხვადასხვაობების მკაცრი თავსმოხვევა მათ დღის წესრიგში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია.

ამგვარი საკითხების წამოწევა არც ფარული რასიზმია და არც ისლამოფობია. ეს თითოეული ადამიანის ზნეობრივი ვალია.

ათიოდე წლის წინათ სახელმწიფო კულტურის შესახებ დებატებში კონსერვატორები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ყოველი სახელმწიფო დაფუძნებულია გარკვეულ კულტურულ სივრცეზე, რომელსაც პატივისცემით უნდა მოეპყრონ ამავე სივრცეში მცხოვრები სხვა კულტურების წარმომადგენლები. ახალი ევროპული რასიზმის წარმოშობაზე საუბრის ნაცვლად, რასაც, როგორც წესი, აკეთებენ ხოლმე მსგავსი განცხადებების დროს, საკითხავია, რამდენად უწყობს ხელს მოვლენათა ამგვარ სავალალო განვითარებას თავად ევროპელთა აბსტრაქტული მულტიკულტურიზმი. თუ სხვადასხვა მხარე არ იზიარებს თანაბარ კორექტულობას და მის მიმართ პატივისცემით არ არის განწყობილი, მულტიკულტურიზმი ურთიერთსიძულვილისა და ურთიერთუხამსობის რაღაც დაკანონებულ ფორმად ყალიბდება.

მულტიკულტურიზმის გამო კონფლიქტი უკვე იქცა სახელმწიფოებრივი კულტურის გამო კონფლიქტად. ეს არ არის კულტურებს შორის კონფლიქტი, ეს არის ცალკეული წარმოდგენების კონფლიქტი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოახერხონ თანაარსებობა სხვადასხვა კულტურებმა, რა წესები უნდა მოქმედებდეს, რომ თანაარსებობა შედგეს. არ ღირს ლიბერალური თამაშის იმ უფსკრულში გადაჩეხვა, რომლის სახელწოდებაცაა „ტოლერანტობის რა დონეა დასაშვები“. ყველა დონეზე ტოლერანტობა ან არ არის საკმარისი, ან გადაჭარბებულია.

დასავლური ნეოკოლონიალიზმის, ანტისემიტიზმის, აგრესიული სიონიზმისა და ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, WikiLeaks-ის, ედვარდ სნოუდენისა და Pussy Riot-ის ბრძოლა — ეს ყველაფერი ერთი საერთო ბრძოლის ნაწილია და აქ რაიმეს დათმობა პრაგმატულ კომპრომისებში ჩაკარგვას ნიშნავს. ამ შემთხვევაში კი ცხოვრების არსიც დაიკარგება...

The Guardian



## მოსკოვი სანქციებს სანქციებით უპასუხებს

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მზად არის, ევროკავშირის ახალ სანქციებს უპასუხოს.** ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის განცხადებაში. მოსკოვი ევროკავშირის მიერ ახალი სანქციებისთვის მზადებას აფასებს, როგორც პასუხს მინსკის მოლაპარაკებებზე, რომლებიც უკრაინის კონფლიქტის მოგვარებას შეეხებოდა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისლამური სახელმწიფო“ „ალ ქაიდას“ შვილობილია, იგივე იდეოლოგია და მიზანი აქვს, მაგრამ ეს უკვე არ არის კლასიკური ტიპის ტერორისტული ორგანიზაცია, არამედ „სახელმწიფოებრივი“ პროექტია, რომელიც გათვლილია ხალიფატის აშენებასა და ცხოვრების ყველა სფეროს გაკონტროლებაზე. მისი შეიარაღებული ბრძოლის მეთოდები კიდევ უფრო დაუნდობელი და რადიკალურია.**

# ახლოაღმოსავლური კოშმარი



**„ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერმა აბუ ბაკრ ალ-ბაღდადიმ 2014 წლის 29 ივნისს თავი ხალიფად გამოაცხადა, მის დაქვემდებარებაში არსებული სირიისა და ერაყის ტერიტორიები კი — ხალიფატად. გარე სამყაროსთვის შეიცვალა მხოლოდ აზრა და იქ, სადაც ელისი ეწერა, ახლა „ის“ (ისლამური სახელმწიფო) წერია. ისლამური ხალიფატის გამოცხადება ახალ ეტაპად იქცა იმ მოძრაობის ჩამოყალიბებაში, რომელიც დაახლოებით 10 წლის წინათ გაჩნდა „ალ ქაიდას“ რეგიონული განყოფილების სახით.**

ზემოხსენებულ მოვლენას დასავლეთში პანიკური რეაქცია მოჰყვა. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „ისლამურ სახელმწიფოს“ უწოდა სიმსივნე, რომელიც აუცილებლად ამოსაკვეთია. ახლა აშშ საერთაშორისო კოალიციას აგროვებს ერაყელი ქურთებისა და ბაღდადში შიიტი ხელისუფლების დასახმარებლად ამ სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამორიცხული არც საერთაშორისო სამხედრო ოპერაციაა.

ამავე დროს „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა უმნიშვნელოვანეს მოტივად იქცა მსოფლიოს ისლამისტებისთვის, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების რაიონებისკენ მიემართებიან. დასავლეთის ესოდენ მხურვალე რეაქცია, როგორც ჩანს, განპირობებულია არამხოლოდ „ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო წარმატებებით ერაყისა და სირიის ფრონტებზე, არამედ „ხალიფატად“ წოდებული პროექტის თავად არსითაც, რადგან ის საფრთხეს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური ბალანსისთვის და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეგიონის პრაქტიკულად ყველა ხელისუფლების არსებობას.

**ახლადგამოცხადებული ხალიფატი პრინციპულად განსხვავდება აქამდე ცნობილი ისლამური მოძრაობებისგან — „ძმები მუსლიმანების“, „ალ ქაიდას“, „ჰეზბოლას“, „ალ-ნუსრას ფრონტის“ და სხვებისგან.**

„ისლამური სახელმწიფო“ პირველ ადგილზე აყენებს „ისლამურ-სუნიტური ინტერნაციონალის“ იდეას და მის ბირთვად გახდომას აპირებს. სწორედ ეს არის რეალური განსხვავება „ისლამურ სახელმწიფოსა“ და „ხამასის“ ან „თალიბანის“ ტიპის მოძრაობებს შორის, რომლებიც ეროვნულ ამოცანებს წყვეტენ.

სიტყვა „ხალიფატი“ გულისხმობს პირველი ხალიფების „ჭეშმარიტ ისლამთან“ დაბრუნებას, რომელიც არაბულ-მუსლიმანურ მსოფლიოს აერთიანებდა. ერთიანობის იდეა ჩადებულია რეგიონის მოსახლეობის ისტორიულ მეხსიერებაში: პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე ლევანტის რეგიონი — პალესტინიდან შუამდინარეთამდე — ორგანულად მთლიანი იყო, მიუხედავად არაბული ენის დიალექტების სხვადასხვაობისა. ამიტომ „ისლამური სახელმწიფო“ ლევანტის ისტორიულ ტრადიციას შეეფერება. იქ რიგრიგობით დომინირებდნენ ბაღდადური ხალიფატი, დამასკოს ხალიფატი, მონღოლები, მამლუქები და ოსმალური ხალიფატი. ახლანდელი სირია, ლიბანი, ერაყი, ქუვეითი, იორდანია და პალესტინის ავტონომია, პანარაბიზმის მომხრეების თვალსაზრისით, არ წარმოადგენენ „ორგანულ“ სახელმწიფოებს, რომლებიც ეფუძნებიან ნაციის, რელიგიისა და ისტორიული მემკვიდრეობის ერთობას. ყველა მათგანი ხელოვნურად იქნა „გამოჭრილი“ პირველი მსოფლიო ომის შედეგად არაბების საძულველი ანგლო-ფრანგული საიკს-პიკოს შეთანხმების თანახმად.

**ხალიფატი არის რეაქცია, ერთი მხრივ, ბრიტანეთის, აშშ-ისა და მათი მოკავშირეების საგარეო აგრესიებზე; მეორე მხრივ კი — არაბულ ქვეყნებში დასავლური ტიპის „დემოკრატიული კაპიტალიზმის“ აშენების წარუმატებელ მცდელობებზე.**

ელისის წარმოშობის ფესვები უნდა ვეძებოთ ერაყის სუნიტურ რაიონებში, სადაც 2003 წლის ამერიკული ოკუპაციის შემდეგ მალევე იორდანელმა აბუ მუსაბ აზ-ზარკავიმ დააფუძნა „ალ ქაიდას“ რეგიონალური განშტოება. 2006 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ ამერიკული დაბომბვების შედეგად მოძრაობის ახალი ემირი გახდა აბუ ომარ ალ-ბაღდადი, რომელმაც გამოაცხადა კიდეც ერაყის ისლამური სახელმწიფო (ეის).

მიუხედავად ეის-ის ლიდერების დახოცვისა, ამ წარმონაქმნმა ძირითადი სტრუქტურა მაინც შეინარჩუნა. „მეორე სიცოცხლე“ მოძრაობას შთაბერა სირიის სამოქალაქო ომმა. „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (ელის) საბრძოლო მოქმედებების სირიული თეატრის სცენაზე 2012 წელს ერაყული და სირიული სუნიტური დაჯგუფებების შერწყმის შედეგად წარმოიშვა. მან საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა სირიის რაიონების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მანამდე სირიის ზომიერ ოპოზიციას ეკავა. 2014 წლის ივნისში კი, ერაყში უკვე გამარჯვების მომტანი შეტევის შემდეგ, ელისი გარდაიქმნა „ისლამურ სახელმწიფოდ“, ანუ ხალიფატად.



# ხალიფატი არის რეაქცია, ერთი მხრივ, ბრიტანეთის, აშშ-ისა და მათი მოკავშირეების საგარეო აგრესიებზე; მეორე მხრივ კი — არაბულ ქვეყნებში დასავლური ტიპის «დემოკრატიული კაპიტალიზმის» აშენების წარუმატებელ მცდელობებზე



**„ისლამური სახელმწიფო“ „ალ ქაიდას“ შვილობილია, იგივე იდეოლოგია და მიზანი აქვს, მაგრამ ეს უკვე არ არის კლასიკური ტიპის ტერორისტული ორგანიზაცია, არამედ „სახელმწიფოებრივი“ პროექტია, რომელიც გათვლილია ხალიფატის აშენებასა და ცხოვრების ყველა სფეროს გაკონტროლებაზე. მისი შეიარაღებული ბრძოლის მეთოდები კიდევ უფრო დაუნდობელი და რადიკალურია, მოიცავს იარაღის აკრძალულ სახეობებს და ტერორს. ამის გამო „ისლამური სახელმწიფო“ გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე „ალ ქაიდა“.**

როგორც „ალ ქაიდა“ და „თალიბანი“, ისევე „ისლამური სახელმწიფო“ თავდაპირველად აშშ-ისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების სპეცსამსახურების მხარდაჭერით შეიქმნა. ისლამისტებს განსაკუთრებით აქტიურად ეხმარებოდნენ თურქეთი, ყატარი და საუდის არაბეთი, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც ის სირიის ჩრდილოეთით ამ ქვეყნის სახელისუფლო არმიას ებრძოდა. ახლა ყატარი და სპარსეთის ყურის ქვეყნები კატეგორიულად უარყოფენ „ისლამური სახელმწიფოს“ დაფინანსებაში მონაწილეობას, მაგრამ საიდუმლო არავისთვისაა, რომ სუნიტური მონარქიებისთვის სტრატეგიული ამოცანაა „შიიტურ სარტყელთან“ ბრძოლა ლიბანიდან ირანამდე, მათ შორის სირიასა და ერაყშიც და ამისთვის ისინი მზად არიან, ნებისმიერთან მოაწერონ ხელი შეთანხმებას.

პირველ ეტაპზე „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ მთავარი მოკავშირე სირიაში „ან-ნუსრას“ ფრონტი იყო. ეს ორგანიზაცია სირიელი და საერთაშორისო ჯიჰადისტებისგან შედგებოდა და მძლავრად ფინანსდებოდა ყატარის მხრიდან. „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“ რთული ურთიერთობები ჰქონდა „ან-ნუსრას“ ფრონტთან, რომელიც, თავის მხრივ, სირიაში „ალ ქაიდას“ ოფიციალურ ქვეგანყოფილებად ითვლება, მაგრამ გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მათ იოლად გამონახეს საერთო ენა. ერაყში გამარჯვებების სერიის შემდეგ „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში „ან-ნუსრას“ უამრავი ბოევიკი გადავიდა.

ცხადია, მხოლოდ ისლამისტური ლოზუნგე- ▶

---



## მოკლა... თავის დაზღვევის მიზნით

**19 წლის რენიშა მაკბრაიდი 2013 წელს სხვისი სახლის პარმაღზე მოკლეს. მამაკაცმა, რომელმაც გოგონას ისე ესროლა, რომ კარიც არ გაუღია, სასამართლო პროცესზე, ვიდრე ციხეში 17 წლით ჩაჯდებოდა, მოკლულის ოჯახს მოუბოდიშა.**

**„ის ძალიან ახალგაზრდა იყო იმისათვის, რომ იმქვეყნად წასულიყო. ამის გამო სიცოცხლის ბოლომდე მექნება სინანულისა და მწუხარების განცდა“,** — განაცხადა აეროპორტის ტექნიკური განყოფილების თანამშრომელმა, 55 წლის თეოდორ უოტერმა. მის კარზე რენიშამ 2013 წლის 2 ნოემბერს, ღამით, დააკაკუნა, უოტერმა შიგა კარი გააღო და ბადიან კარს ესროლა. მამაკაცი არაწინასწარ განზრახული მკვლელობისა და იარაღის არამართლზომიერად გამოყენების ბრალდებით გაასამართლეს და 17 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აკონტროლებს რა ევფრატის დიდ კაშხლებს, ასევე ნავთობმოპოვებას, იარაღის ტრაფიკს, მძევლებით ვაჭრობასა და საქმიანობის სხვა უკანონო სფეროებს, „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაციაა.**

# «ისლამური სახელმწიფო» ციფრებში

◀ბით პრაქტიკულ ცხოვრებაში თავს ვერავინ გაიტანს. „ისლამურ სახელმწიფოში“, უპირველეს ყოვლისა, სახეზეა მმართველი კადრების — არმიის ოფიცრებისა და პროპაგანდისტული აპარატის საკმაოდ მაღალი პროფესიონალიზმი. ნახევრადგაუნათლებელი თალიბებისა და „ალ ქაიდას“ წევრებისგან განსხვავებით, „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიური ბირთვი შედგება ფანატიკოსი ისლამისტი რადიკალებისგან, რომლებიც ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები, საhდამ ჰუსეინის არმიის ყოფილი ოფიცრები ან ბაასის წევრები არიან. მათ სუნიტური ნაციონალიზმი და დასავლეთისადმი სიძულვილი აერთიანებთ.

**უცხოელი მიმომხილველები იძულებულნი არიან, აღიარონ, რომ თვითაღიარებული ხალიფატი წარმატებულად აშენებს ჰოსპიტლებს, ახალ გზებს, სკოლებს, აღადგენს სატრანსპორტო მიმოსვლებს, რის გამოც მან ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა მოიპოვა. ეს კი ართულებს დასავლეთის ამოცანას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში.**

ჯიჰადისტების საბრძოლო მომზადება უზრუნველყოფილია სადამ ჰუსეინის დროინდელი არმიის კადრების მიერ, ისინი კი უპირატესად სუნიტები არიან, თანაც ერაყის იმ ოლქებიდან, რომლებიც განსაკუთრებულად ლოიალურნი იყვნენ ერაყის იმდროინდელი დიქტატორის მიმართ. გარდა ამისა, „ისლამური სახელმწიფო“ ეფექტურად იყენებს პროპაგანდის თანამედროვე საშუალებებს, უპირველეს ყოვლისა, ვიდეომასალებს, რომლებიც ინტერნეტში ვრცელდება. გადაღებების მაღალი ხარისხის წყალობით შეიძლება დადგინდეს, რომ ამ ვიდეორგოლებს პროფესიონალები ქმნიდნენ და მათ თავის დროზე ტელეარხ „ალ-ჯაზირასა“ და დასავლური მედიასაშუალებების სკოლა გაიარეს.

აღსანიშნავია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ დაქვემდებარებაში არსებულ ქალაქებში ცხოვრება ეწყობა შარიათის არქაული კანონების შესაბამისად, დასავლური დემოკრატიული ნორმები და მართლმსაჯულება სრულად უარყოფილია — ქურდებს ხელებს აჭრიან, მოღალატე ცოლებს ქვებით ჩაქოლავენ, მთვრალებს როზგებით უსწორდებიან, ნარკოდილერებს კი სიკვდილით სჯიან.

რელიგიური პოლიციის რაზმები (ხიზბა) დასახლებულ პუნქტებში დადიან და აკონტროლებენ როგორც „სწორ“ ფასებს, ასევე თვალს ადევნებენ შარიათის ნორმების დაცვას. ყველგან ფუნქციონირებს შარიათის სასამართლო და აღმასრულებელი ორგანოები.

**„ისლამური სახელმწიფოს“ შიგა პოლიტიკა დაფუძნებულია სოციალურ სოლიდარობაზე, ღარიბების დახმარებასა და საზოგადოების თვითორგანიზებაზე ტრადიციულ ისლამურ საწყისებზე. ეს ისლამისტებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით უზრუნველყოფს, თუმცა შეუძლებელია იმის დადგენა, ეს მხარდაჭერა დაშინების შედეგია თუ ადამიანების გულწრფელი რეაქცია.**

ყველა „კიაფირს“ (არამორწმუნეს), მათ შორის შიიტებს, ალავიტებს, ქრისტიანებსა და იეზიდებს „ისლამურ სახელმწიფოში“ რეპრესიები და დევნა ელით, ბევრი მათგანი უკვე გაიქცა თურქეთსა და ირანულ ქურთისტანში. ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ ქრისტიანთათვის დაწესებულია ცნობილი გადასახადი „ჯიზია“.

**მიუხედავად სახელმწიფოს შარიათული მოდელის არქაულობისა, მან შესაძლოა საკმაოდ დიდხანს იარსებოს, ამას ავღანეთში თალიბების გამოცდილებაც ადასტურებს.** ამგვარ წყობას შეიძლება ბოლო მოუღოს მხოლოდ გარეშე შეიარაღებულმა ჩარევამ. ამასთან, მუსულაში „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ბანკის აღების შემდეგ მას დიდი სავალუტო მარაგები აქვს, ხალიფატის ძირითადი შიგა ვალუტა კი, რაც უნდა პარადოქსალური იყოს, ამერიკული დოლარია.

**აკონტროლებს რა ევფრატის დიდ კაშხლებს, ასევე ნავთობმოპოვებას, იარაღის ტრაფიკს, მძევლებით ვაჭრობასა და საქმიანობის სხვა უკანონო სფეროებს, „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაციაა.**

მიუხედავად უნივერსალურობისაკენ მოწოდებისა, ახლადგამომცხვარი ხალიფატი მრავალი მიმართულებით რეგიონული სუნიტური ნაციონალიზმის გამოვლინებაა. ის თავიდანვე შეიქმნა, როგორც ბაღდადსა და დამასკოში შიიტური ხელისუფლებების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი. ეს ფაქტი სერიოზული წინაღობაა ხალიფატის შემდგომი განვითარებისთვის, რადგან „ისლამური სახელმწიფო“ მოქცეულია „ბუნებრივ“ ეთნო-რელიგიურ საზღვრებში: რეგიონებით, რომლებიც დასახლებულია ქურთებით, შიიტებითა და ალავიტებით.

სინამდვილეში ამჟამინდელი ხალიფატი მოიცავს ერაყსა და სირიას შორის მდებარე საკმაოდ კომპაქტურად დასახლებულ დიდ რეგიონს. ახალი სახელმწიფოს ტრანსსასაზღვრო ხასიათზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ ივნისის შეტევებამდე „ისლამური სახელმწიფოს“ დასაყრდენს წარმოადგენდა სირიაში მდებარე ქალაქი რაკა.

მოსულას აღების შემდეგ „ისლამური სახელმწიფოს“ პირველი აქტი სირიასა და ერაყს შორის სასაზღვრო ნიშნების მოშლა იყო. ეს ნიშნები მისთვის საიკს-პიკოს შეთანხმების შესაბამისი „სამარცხვინო“ დემარკაციის განსახიერებას წარმოადგენდა. დღეს ამ შეთანხმების შესახებ „ისლამური სახელმწიფოს“ ყველა რიგითმა მებრძოლმა იცის.

ერაყისა და ქურთისტანის შიიტური რაიონების, ასევე სირიაში მდებარე ალავიტური ტერიტორიების დასაპყრობად დღევანდელ ხალიფატს ძალა არ შესწევს თუნდაც შეზღუდული დემოგრაფიული რესურსების გამო. მრავალმილიონიან ბაღდადში, რომელიც უპირატესად შიიტებითაა დასახლებული, „ისლამური სახელმწიფოს“ რაზმები უბრალოდ ჩაიკარგებოდნენ. მდგომარეობის დესტაბილიზება და ჰუმანიტარული კრიზისის შექმნა კი მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

„ისლამურ სახელმწიფოს“ საკმაოდ დიდი ამბიციები აქვს, მისი მომხრეები ფსონს სტრატეგიულ პერსპექტივებზე დებენ — რადიკალური სუნიტური ისლამის გამარჯვებაზე მუსლიმანურ სამყაროში თუ არა, ლევანტის მასშტაბით მაინც. და საკუთარი სახელმწიფო სირიას, ერაყსა და თურქეთს შორის მოქცეულ სამკუთხედში მას შეტევებისთვის აუცილებელ პლაცდარმს უქმნის. ისინი აპირებენ იბრძოლონ მანამ, ვიდრე ისლამური ოპოზიციის ჭავლი არ გაანადგურებს ერაყის, სირიისა და ეგვიპტის ხელისუფლებებს.

დაჟინება, რომლითაც „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები განაგრძობენ ბრძოლას, მათ შორის ტოტალური ტერორის მეთოდებითაც, ადასტურებს, რომ ისინი მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებენ. **როგორც თავის ბოლოდროინდელ ანალიზში აღნიშნა საფრანგეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა დომენიკ დე ვილპენმა, საიკს-პიკოს შეთანხმებით დადგენილი საზღვრები უკვე წაშლილია. ისტორიის სანაგვეზეა გადაყრილი პოსტკოლონიალიზმისა და ცივი ომის ეპოქების პოლიტიკური მოდელები. არაბული სამყაროს ავანსცენაზე გამოვიდა ისლამიზმი, რომელიც ისლამის ისეთივე დამახინჯებაა, როგორც ფაშიზმია ნაციონალიზმისთვის. ახლო აღმოსავლეთს ცივილიზაციური კოლაფსი ელის, სიტუაციის გადარჩენა კი შეუძლია მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებისა და არაბული რეჟიმების მტკიცე პოზიციას.** მათ ისლამისტებთან თამაშს თავი უნდა დაანებონ და რეგიონის განვითარების სტრატეგიული ამოცანები დასახონ.

**ИноСМИ**



**იმ ძალების შეფასება, რომელთაც განაგებს „ისლამური სახელმწიფო“, ძალზე რთული ამოცანაა თვით სადაზვერვო საზოგადოების ყველაზე გამოცდილი ანალიტიკოსებისთვისაც კი, მაგრამ ექსპერტები მაინც ახერხებენ მონაცემების მოპოვებას და იმ სიმძლავრეების თუ ფინანსური შესაძლებლობების შეფასებას, რომელთაც ეს ორგანიზაცია განაგებს.**

„როდესაც სადაზვერვო სამსახურები აცხადებენ, რომ მათ არ შეუძლიათ კონკრეტულად რაიმეს თქმა, ეს ნამდვილად შემაშფოთებლად ჟღერს“, — ამბობს პოლიტოლოგი კოლინ კლარკი, რომლის საქმეც მასობრივი მღელვარებებისა და საერთაშორისო ტერორიზმის შესწავლაა.

დღეისათვის არსებული ციფრები ასეთია:

**ბოევიკების რაოდენობა — 10-დან 20 ათასამდე.**

კლარკის აზრით, „ისლამური სახელმწიფოს“ შემადგენლობაში დაახლოებით 10 ათასი ადამიანია, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა შეფასებებისაგან, რომელთა მიხედვითაც ტერორისტულ ორგანიზაციაში 80 ათასამდე ბოევიკია გაერთიანებული.

„როდესაც ადამიანები ასეთ ციფრებს ასახელებენ, სურვილი მიჩნდება, დავაზუსტო, ვის გულისხმობენ სიტყვაში „ბოევიკი“, — ამბობს ომების შემსწავლელი ინსტიტუტის ანალიტიკოსი **ლირენ სკუირესი.**

„ბოევიკებში ჩვენ ვგულისხმობთ იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში. ვფიქრობთ, რომ მათი რაოდენობა 20 ათასს არ აჭარბებს“.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პოლიტოლოგი და ერაყში მრავალნაციონალური ძალების ყოფილი მრჩეველი **ოსტინ ლონგი** თვლის, რომ „ჭეშმარიტი მორწმუნეების“ რაოდენობა სულ რამდენიმე ათასია, მაგრამ ბოევიკების მხარეს იბრძვიან ისინიც, ვისაც ურჩევნია, გამარჯვებულის მხარეს იყოს. მისი აზრით, ასეთი ადამიანი დაახლოებით 15 ათასამდეა.

**„ისლამური სახელმწიფოს“ ყოველდღიური შემოსავალი ერთიდან ოთხ მილიონამდეა.** შემოსავლის მიღება ორგანიზაციის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. ბოევიკები ფულს უამრავი სხვადასხვა წყაროდან იღებენ.

როგორც კლარკი ირწმუნება, „ალ ქაიდასგან“ განსხვავებით, „ისლამური სახელმწიფო“ თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს მფარველებისგან კი არ იღებს, არამედ თავად „შოულობს“. ავტომობილების გატაცება, ბანკების გაძარცვა, გამომძალველობა, ადამიანთა გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით — ამ საშუალებებს აქტიურად იყენებენ ორგანიზაციის წევრები.

ზოგიერთი შეფასებით, ეს თანხა დღეში მილიონ დოლარამდე აღწევს, სხვა შეფასებებით კი წელიწადში 25-30 მილიონს არ აღემატება.

სუირესისა და მისი კოლეგების შეფასებით, **„ისლამური სახელმწიფო“ დღეში 1-4 მილიონ დოლარს შოულობს. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს კონკრეტული ციფრები, მისი შემოსავალი უდავოდ აჭარბებს „ალ ქაიდასას“.**

კლარკის განმარტებით, ეს ფული სადღაც კი არ გროვდება, არამედ ახალი ტერიტორიების დაპყრობასა და მათზე კონტროლის შენარჩუნებას ხმარდება. გარდა ამისა, ორგანიზაცია იზრდება, იძენს ახალ წევრებს, ბოევიკებს ფული უნდა უხადონ, შესაბამისად, ხარჯებიც იზრდება. ხალიფატის მშენებლობაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ამიტომ ფული მუდმივად ბრუნვაშია.

თუ ჩვეულებრივ სამხედრო ფორმირებებს შევადარებთ, „ისლამური სახელმწიფო“ იარაღისა და ტექნიკის დაახლოებით იმავე რაოდენობას ფლობს, რამდენსაც დასავლური არმიის სამი დივიზიონი, მაგრამ ტერორისტთა ხელში ამ იარაღს გაცილებით მეტი მსხვერპლი მოაქვს.

ექსპერტების აზრით, რაოდენობაზე მნიშვნელოვანი იარაღის ხარისხია. „ისლამური სახელმწიფო“ რამდენიმე ადგილას დაესხა თავს ერაყის იარაღის საწყობებს, შედეგად ხელში ჩაიგდო ათასგვარი იარაღი. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ტერორისტების ხელში ისეთი იარაღის მოხვედრა, როგორიც გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებია. ამ კომპლექსებს ხუთი ათას მეტრამდე სიმაღლეზე მფრინავი თვითმფრინავების ჩამოგდება შეუძლია.

ტერორისტების კონტროლს ექვემდებარება დაახლოებით 90 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობის ტერიტორია, თუმცა ეს ციფრი თითქმის ყოველ დღე იცვლება. ახლა ტერორისტები ფლობენ სირიის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ფართო ტერიტორიებს ისეთი მსხვილი ქალაქების ჩათვლით, როგორიც ალეპო და რაკაა. გარდა ამისა, მათ განკარგულებაშია სირიისა და ერაყის საზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ერაყში — ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ რეგიონები ქალაქ ელ-ფალუჯასა და კირკუკამდე.

ამჟამად „ისლამური სახელმწიფოს“ განკარგულებაში არსებული ტერიტორია დაახლოებით 90 ათას კილომეტრს მოიცავს, ამდენივეა იორდანიის მთელი ტერიტორიის ფართობიც.

**mixednews.ru**

მოკლედ



## საფრანგეთმა შეიძლება, «ჯოკონდა» გაყიდოს

**საფრანგეთმა ნაციონალური ვალის დასაფარავად შეიძლება ლეონარდო და ვინჩის ტილო „მონა ლიზა“, იგივე „ჯოკონდა“ გაყიდოს, — იუწყება ფრანგული ტელეარხი France24.**

1962 წელს შედევრი 100 მილიონ დოლარად დააზღვიეს, დღეს კი, ინფლაციის გათვალისწინებით, ის შეიძლება, მილიარდ დოლარად შეფასდეს. საფრანგეთის დედაქალაქში 173 მუზეუმია, რომლებიც სავსეა შედევრებით და, თუკი ქვეყნის ხელისუფლება, მაგალითად, ორსეს მუზეუმს აუქციონზე გაიტანს გასაყიდად, თავისუფლად შეძლებს საფრანგეთის სახელმწიფო ვალის დაფარვას. მაგრამ საფრანგეთის კანონმდებლობით, კოლექციები, რომლებიც ინახება მუზეუმებში, მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაა. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური პარიზი ყიდის ყველაფერს, რაც დაკავშირებული არ არის კანონის ამ მოთხოვნასთან. უკვე გაიყიდა ღვინოები პრეზიდენტის ელისეს სასახლის რეზიდენციის სარდაფებიდან, აგრეთვე, ტრიუმფალურ თაღთან ახლოს მდებარე საერთაშორისო კონფერენციების დარბაზი.



რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რკინიგზის მშენებლობის სათავეში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ მხოლოდ ერთ წელიწადში შესრულდა ისეთი მოცულობის სამუშაო, რომელმაც წინა ხუთი წლის საერთო მოცულობას გადააჭარბა.**



ლიანდაგი ისარივითაა გატყორცნილი

# სატესტო მატარებელი ახალ მაგისტრალზე წლის ბოლოს გაივლის

**სამცხე-ჯავახეთის ზეგანზე წელიწადი ექვს თვეს გრძელდება, სამუშაო წელიწადი. შემდეგ იწყება ბუნების დიქტატის პერიოდი და ადამიანი თავის შრომით აქტიურობას მომდევნო ექვსთვიანი ციკლისთვის გადადებს. იძულებულია.**
**ძილქუშის თვეები დგება — სასიცოცხლო პროცესების შენელების მსგავსი პერიოდი.**
**სექტემბრის დასაწყისიდან გამოჩნდება ხოლმე პირველი მინიშნება: დაიძრებიან ცხვრის ფარები ბარისკენ.**
**თეთრი ქარავნის ტალღები, როგორც ზღვის ნაპირს, მოაწყდებიან საავტომობილო ტრასას, გადაუვლიან და დადექ და ელოდე! მოძრაობას „სააკაშვილის დაგებულ“ ტრასაზე დაწყებული გენერალური რემონტიც აფერხებს და კიდევ — ნისლი, რომელიც შუადღემდე წევს ჯავახეთის გზათა ზედა.**
**მაინც ავაღწევთ და ვნახავთ, რომ მარაბდა-კარწახის საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე განსაკუთრებული მობილიზება შეიმჩნევა, მაგრამ არაფერი მსგავსი „შტურმოვშჩინისა“, როცა მალესა და ჩქარას ეწირებოდა ხარისხი.**

— ზაფხულის კარგმა ამინდებმა ხელი შეგვიწყო და მნიშვნელოვნად გავზარდეთ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, — **ამბობს ყურბან პირიევი, მთავარი კონტრაქტორი კომპანიის — „აზერიოლსერვისის“ გენერალური დირექტორის მოადგილე,** — ტემპიც და ხარისხიც ერთნაირად მაღალია.

**ამასვე ადასტურებენ ქართული მხარის საზედამხედველო სამსახურის თანამშრომლები.**

— აგვისტოში 13 მილიონი დოლარის ღირებულების სამუშაო შევასრულეთ, — **აზუსტებს შპს მარაბდა-კარწახის მშენებლობის ხელმძღვანელი ოლეგ ბიჭიაშვილი,** — სექტემბერშიც ამ ზღვარზე გავალთ. შარშან 4 თვეში 26 მილიონი დოლარის სამუშაო შევასრულეთ, წელს 8 თვეში — 72 მილიონი დოლარის.

**ასეთი მაღალი ტემპითა და სამუშაოთა სწორი ორგანიზებით (გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ!) რკინიგზის მშენებლობის სათავეში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ მხოლოდ ერთ წელიწადში შესრულდა ისეთი მოცულობის სამუშაო, რომელმაც წინა ხუთი წლის საერთო მოცულობას გადააჭარბა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქოსატყუილა სააკაშვილის გაპიარებული „რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებ!“ მხოლოდ ციტატა იყო ბერტოლდ ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრიდან“ და არა რეალობა, რომელიც მითვისებულ მილიონებზე ნაკლები დანაშაული არ არის...**

**ლარივით სწორია ახლად-დაგებული ლიანდაგი, ისარივით გატყორცნილი.**

— ლამაზია, — **ემოციას არ მალავს ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილი,** — აქ, ამ ადგილზე ერთი თვის განმავლობაში 15 კილომეტრი ლიანდაგი დაიგო, — **ეს უკვე შეფასებითი მომენტია,** — ძველი ავიღეთ, ახალი დავაგეთ. კაპიტალურად შეკეთდა ყველაფერი — მოსწორდა მიწის ვაკისი, დაიტკეპნა. ოთხ-ნახევარ თვეში 74 კილომეტრი ლიანდაგი დავაგეთ. 13 აპრილს პირველი ახალი შპალი შემოვიტანეთ და დავიწყეთ. ახალქალაქის სადგურამდე დარჩენილია 6 კილომეტრი და 900 მეტრი. ამასაც 15 სექტემბრამდე გავივლით. ახალქალაქიდან კარწახამდე, ანუ გვირაბამდე 26 კილომეტრზე გავიყვანეთ რკინიგზა. ერთი კილომეტრიღა დაგვრჩა დასაგები.

**— ბატონო ოლეგ, ახალი შპალი ახსენეთ, მაგრამ რას ნიშნავს, რომ აქ, ამ სადგურში ძველ, ხის შპალებზე გაქვთ დაგებული ლიანდაგი? ეკონომიას ეწევით, აიაფებთ მშენებლობას თუ დაგაკლდათ?**

— არა. ხის ჩანართებს შემდეგ ავიღებთ. ეს არის ნინოწმინდის სადგური, რომელშიც, როგორც ყველა სარკინიგზო სადგურში, „ისრული ქუჩა“ უნდა გაკეთდეს — ისრები უნდა ჩავდგათ. ამას რომ დავამონტაჟებთ, ხის დროებით შპალებს ავიღებთ. სადგურის ამ ყელში მატარებლების გასატარებლად ისრული გადამყვანები გაკეთდება. მაგრამ ამჟამად, როცა ახალქალაქის მიმართულებით მშენებლობა დასამთავრებელი გვაქვს, გადამყვანი ისრების საჭიროება არ არსებობს და მათი დამონტაჟებისთვის დროს ვერ დავკარგავთ. ლიანდაგზე პირდაპირი მიმართულებით გაივლის ლიანდაგის დამგები სპეციალური მატარებელი-ამწე და 25-25-მეტრიან ე. წ. რეშოტკებს — შპალებისა და რელსების გამზადებულ ლიანდაგს — დაალაგებს მიწის ვაკისზე. ყველაფერი წინასწარ არის გათვლილი, შერჩეული და მომზადებული.

**ასე გავიარე სახელდახელო „ლიკბეზი“ რკინიგზის მშენებლობის საფუძვლების ცოდნის ასამაღლებლად.**

**ამ საუბრის პროფესიულ აქცენტებთან ერთად კიდევ ერთი მომენტი იყო ყურადსაღები, კერძოდ ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მთიელი კაცისთვის (ოლეგ ბიჭიაშვილი დუშელია) სიტყვის გაუტეხლობის პრინციპის დაცვა.**

**გეგმის შესრულება, თავისთავად იგულისხმება, მაგრამ, როცა ეს სამსახურებრივი მოვალეობა მორალურ სიბრტყეში გადადის, მაშინ ორმაგი პასუხისმგებლობით ხდები დატვირთული.**

— მობილიზებულები ვართ, — **თქვა ბიჭიაშვილმა,** — რომ ჩვენი მთავრობისთვის, პირადად პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისთვის მიცემული სიტყვა არ გავტეხოთ და პირველი სატესტო მატარებელი ახალ მაგისტრალზე წლის ბოლოს აუცილებლად გავატაროთ.

**დამერწმუნეთ, ეს ტირადა არ იყო პირველი პირების წინაშე მომგებიან პოზაში დადგომის მცდელობა. სხვათა შორის ისევე, როგორც საკოორდინაციო საბჭოს უნარიანი ხელმძღვანელობის აღნიშვნა, რომელსაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უდგას სათავეში. ეს ნაკარნახევი იყო მშენებლობის ორგანიზაციული ქარგის სრულად წარმოჩენის აუცილებლობით.**

**თუმცა რაღა დროს მიშაა!**

**საქმიან ადამიანებთან ვსაუბრობ. ყურბან პირიევს ერთი თვის წინათ შევხვდი. რას მეტყვის ახალს?**

— ახალი ახლად დაგებული ლიანდაგებია *(იღიმება),* მუშაობა გეგმის, პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. მესამე ეტაპს — წალკა-ახალქალაქს, ალბათ, ათი დღეში დავამთავრებთ.

ერთი ოჯახის წევრები, ერთი გუნდი ვართ და ერთი პროექტის განხორციელებისთვის ვიღვწით.

**— სხვა ასეთ მასშტაბურ პროექტს თუ იცნობთ სამხრეთ კავკასიაში?**

— მოცემულ მომენტში ასეთი მასშტაბის სარკინიგზო პროექტი არ არსებობს. ეს პროექტი, მოგეხსენებათ, ევროპაში სარკმლის გაჭრის სახელითაა ცნობილი. 15 სექტემბერს ახალქალაქამდე რომ დავაგებთ ლიანდაგს, ეს თავისებური რეკორდი იქნება მთიან მხარეში, ურთულეს პირობებში რკინიგზის გაყვანის დღემდე არსებულ პრაქტიკაში. ამ შემთხვევაში ბევრი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი მოქმედებდა. მთავარი მაინც ისაა, რომ, როცა ხელმძღვანელი ადგილზეა, გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება. ბატონმა ოლეგ ბიჭიაშვილმა მოგვცა საშუალება, შეგვიქმნა ყველა პირობა, რომ მთელი ძალითა და შესაძლებლობით გვემუშავა.

**...ნინოწმინდის სადგური ხარაჩოებშია, ფასადის მოპირკეთება სრულდება. ცოტა მოშორებით რელსებს ადუღებენ, ხოლო ახალქალაქის უზარმაზარ ქვაბულში ფირმა „ფოლადის“ თვითმცლელ სატვირთოებს „კოდალების“ მიერ ჩამომტვრეული ლოდები ორგანიზმში სისხლის პულსირების რიტმში გააქვთ ხრეშის დამამზადებელი ქარხნისკენ, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს: უზარმაზარი ზვინები დგას ამ სამშენებლო მასალის, რომელსაც მიწის ვაკისზე დაყრიან და ზედ ლიანდაგს დააგებენ.**

**მასშტაბურობა აქ იგრძნობა სრულიად თანამედროვეობის შესაფერი.**

**ძველი ლიანდაგიდან ამოყრილი ხის შპალები ისეა დალაგებული ნინოწმინდის სადგურის მისასვლელთან, როგორც ტანკსაწინააღმდეგო ბოძკინტები — მიწაში ჯვარედინად ჩამაგრებული გადაჭრილი რელსები — სამამულო ომის ფრონტების წინა ხაზზე.**

**ჰაერში ძველი რკინიგზისთვის დამახასიათებელი სურნელი ტრიალებს, რომელიც ნოსტალგიურ განწყობილებაზე დააყენებს ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც ოდესმე ძველი მატარებლებით უმგზავრია.**

**— ალბათ, თანდათან გაქრება ეს სურნელი, ბატონო ოლეგ, როცა ბეტონის შპალები სრულად ჩაენაცვლება ხისას.**

— ამ ხის შპალებზე 28 წლის წინათ დააგეს მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ლიანდაგი. მაშინ ძალიან ხარისხიანად ხდებოდა შპალების გაჟღენთვა, გორში მუშაობდა სპეციალური ქარხანა. დღესაც ფუნქციონირებს. ის შპალები დღესაც „მუშაობს“, დღესაც ვარგისია. ასეთ „მეორად საქონელს“ ძველ ვარგისს ვუწოდებთ. მართალია, მათი „მსახურების“ ვადა ისეთი არ იქნება, როგორიც ახლის, მაგრამ არც ბევრად ჩამორჩება. ხის შპალები რუსეთიდან შემოგვქონდა, დამზადებული იყო ისეთი გამძლე ჯიშებიდან, როგორიც მუხა და კედარია.

ჯერ კიდევ 40 წლის წინათ ბეტონის შპალებს არავინ აწარმოებდა. ნოვაციად ითვლებოდა რკინიგზის ცხოვრებაში. მათი გამძლეობა 100 წელიწადზეა გათვლილი...

**— ხის შპალებს რაღაც ამორტიზების უნარი ხომ ჰქონდა?**

— მართალია, მაგრამ ბეტონის შპალებისა და რელსის დამაკავშირებელ, მოჭიდების ადგილებში დატანებულია სპეციალური რეზინი, რომელიც ერთგვარად ამცირებს სიხისტეს და ამორტიზირებულს ხდის ვაგონების ლიანდაგზე მოძრაობას.

**ესეც მეორე სახელდახელო „ლიკბეზი“, რომელიც აქ, მარაბდა-კარწახის საერთაშორისო მაგისტრალის მშენებლობაზე გავიარე.**

**ცოდნა მივიღე, გმადლობთ!**

**მაგრამ ნოსტალგია, მელანქოლია იმ სპეციფიკური სურნელის გაქრობისა გამო, რომელიც რკინიგზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო და მოგზაურობის მუდმივ რიტმში ჩართვას ნიშნავდა, დარჩა.**

**რას იზამ, პროგრესს თავისი კანონები აქვს.**

**არმაზ სანებლიძე**



ესენი სიტყვას არ გატეხენ



ნინოწმინდის სადგური



ხრეშის დამამზადებელი ქარხანა


„სადახლოა" თუ კურორტი?

**მიაქცევენ ერთი შეხედვით წვრილმანებს ესენი ყურადღებას, ხომ კარგი, თუ არადა, „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა", კაცო.**

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ურეკი — კურორტი თუ სანაგვე?

**ურეკის საზოგადოებრივი სარგებლობის პლაჟის დამლაგებელი ნათელა ამყოლაძე საჩხერელია. ქობულეთში ქმარს გამოჰყოლია. დაქვრივებულა. ერთი ბიჭი დაოჯახებული ჰყავს, მეორე უკვე 38-ის გამხდარა და ცოლის მოყვანას არ ჩქარობს. თურქეთშია, გემზე მუშაობს.**
**— მეზღვაურია?**
**— არა, რემონტიორია.**
**ქალიშვილი მასთანაა, სახლში, და ისიც პლაჟის დამლაგებლად მუშაობს.**
**„ოჯახური ტრადიცია".**
**— თავიდან მოჰყვებიან, — მეუბნება ნათელა ამყოლაძე და პლაჟის გაყოლებით დაგებულ ბეტონის ფართე ბილიკზე მიმითითებს, რომელსაც, რაც აქ ვარ, პირველად ხვეტავენ:**
**— ვიღაცა ჩამოდის...**


დილიდანვე სავსე ნაგვის ბუნკერები


ამ ქუჩის გასარეცხი მანქანა ენატრებათ აქაურებს

## ხამი კაცის თვალით დანახული

26 აგვისტო აქაურ უფროსობას ნაგავთან გენერალური ბრძოლის დამკვრელურ დღედ გამოუცხადებია...

ზაურ ბოლქვაძეს, შესანიშნავ პოეტს, გამორჩეული იუმორი ჰქონდა. პოეტურ ფორმაში მოაქცევდა საქილიკოდ სათქმელს. სტუდენტობისას სამხედრო ნაწილში ერთთვიან შეკრებაზე რომ წაიყვანეს, ყაზარმაში ჯარისკაცის პერსონალური საწოლი რომ მიუჩინეს და იქაური თეთრეული რომ ნახა, უცებ გამოაცხო ექსპრომტი, პოეტური სტრიქონების „ფასტ ფუდის" ანცი სტრიქონები:

**„და თუ ეს თეთრეულია,**
**მაშ, შავეული რა არის?!"**

მთელი პოემაა, მაგრამ მე მაინც და მაინც ეს სტრიქონები გამახსენდა, როცა ურეკის საგანგებოდ „დასუფთავებულ" პლაჟზე გავედი და იქაურ მაგნიტურ ქვიშიან სანაპიროზე დასაჯდომი ადგილის ძებნას შევუდექი: თუ იმას, რასაც „სეზონური ნაგვისგან გათავისუფლებული" პლაჟი ჰქვია, მაშ ნაგავსაყრელი რა არის?!

— რა არის, ჩემო ბატონო, და — წარმოუდგენელი სიბინძურე! შარშან 12 ადამიანი ვალაგებდით აქაურობას, წელს 8 დაგვტოვეს. ამათგან ოთხი სიბინძურემ მოწამლა, ავად არიან და ახლა, ჩემო ბატონო, შინ წვანან.

აქაურობა სანაგვედაა ქცეული. გამყიდველები თავიანთ გაფუჭებულ პროდუქტს აქ ყრიან, აქვე ისაქმებენ. ტუალეტად აქციეს. იმას ვერ მოგიყვებით, რაც აქ ხდება, — წუხს დამლაგებელი.

მეჩაიე ქალივით წელში მოხრილი ჩაუყვება ყოველ დილით ნათელა ამყოლაძე ურეკის პლაჟს, კრეფს და კრეფს ნაგავს და ვერაფერს შველის ანტისანიტარიას, დამსვენებელთა კოლექტიური ძალისხმევით დაბინძურებულ გარემოს: ერთ დიდ პარკში აგროვებს ცელოფნის ნაგლეჯებს, გახეულ „სამაშველო რგოლებს", დაღეჯილ ფლოსტებს, ბავშვების ცალ-ცალ ფეხსაცმლებს, ბოლომდე მოწეული სიგარეტის ნამწვავებს, რომელთა ციფრობრივ ეკვივალენტში აღქმა ისევე შეუძლებელია, როგორც „ზღვაში ქვიშის ან ზეცაზე ვარსკვლავების დათვლა".

ხოლო სიმინდის ნაქურჩელა აქაც და ამის იქითაც ისეა მიმობნეული, როგორც საპოვნელა გაზაფხულზე იმერეთის მინდორ-ველზე, რადგან მოხარშული ჭყინტი სიმინდი შავი ზღვის მთელ ქართულ სანაპიროზე ყველაზე „მოთხოვნადი" პროდუქტია.

— სიმინდი, ცხელი სიმინდი! — დილიდანვე.

— სიმინდი, დილამდე აღარ იქნება! — საღამოს შებინდულზე.

— ბანანი, ბანანიი! — პირველ ჩამოვლაზე.

— ბანანი, თორემ გამიფუჭდება... — წარუმატებელი ვაჭრობის სლოგანი.

— გორიაჩიე პეროჟკი! — ცუმთან ჩარიგებული კომბოსტოიანი ღვეზელების გამყიდველების შემოთავაზება გაყინულ მოსკოვში. ასე იყო, ახლა არის თუ არა, არ ვიცი.

— ცივი ყავა, ლობიანი! — უცნაური შეთავსებადობა ეკზოტიკის მოყვარული მეშჩანებისთვის.

იყიდება ჩურჩხელა, ბურბუშელა, კიდევ ბევრი რამ სასუსნავი და... გოზინაყი.

— ახალი წელი მოვიდა? — ვითომ იუმორისტული რეპლიკა.

— გინდა? იყიდი? — პრაგმატული რეაქცია.

— არა.

ნაწყენი მიბრუნდება და წავა შავებში გამოწყობილი (როგორც პლაჟის ყველა ინდმეწარმე) ქალბატონი.

იყიდება „სამაშველო რგოლების" პლასტმასური იმიტაცია, ცურვის უცოდინართათვის (ასეთები კი აქ სრული ასი პროცენტია), ზღვის ზედაპირზე სატივტივო განცხრომის ნაღდი საშუალება.

ამ „საშუალების" გორა, ბანსასაზღვრო ფეხებზე შემდგარი, მიჰყვება სანაპირო ზოლს. ოცი მაინც იქნება „კამერების" რაოდენობა, თოკზე მძივად აცმული.

— გეყიდება საქონელი, მეგობარო? — ვეკითხები ბანჯგვლიან ფეხებს, რადგან ადამიანის დანარჩენი სხეული ამ გაბერილი ნაირფერობის ზედახორაში არ ჩანს.

„ბუბლიკის რომელიღაც ნახვრეტიდან" გამომხედავს გაუპარსავი სახე, რომლის ინერტულ გამომეტყველებას უცაბედი ცნობისმოყვარეობის ელფერი გადაუვლის: ვინ დაინტერესდაო მისი აღებ-მიცემობის ეფექტიანობით?!

— ყიდულობენ!

— სეზონი რომ მთავრდება?

— ახლები მოდიან და ყიდულობენ, — უფრო საკუთარი საქმიანობის პრესტიჟის დასაცავად, ვიდრე არსებული ვითარების რეალისტურად შესაფასებლად მიპასუხებს „კამერების" სიმრგვალეში დაკარგული კაცი.

უწყინარი სიცრუეა.

ნათელა ამყოლაძის კვალზე მოფრინდებიან ნაცრისფერი მტრედები და გულმოდგინედ აკენკავენ ნამცეცებს, რომლებსაც ვერანაირი დამლაგებელი ვერ მოერევა, ხელფასად თვეში 200 ლარიც რომ ჰქონდეს დანიშნული.

კიდევ — ქუჩებში დადის ერთ დროს ნარინჯისფერი სანაგვე მანქანა — მექანიზებული ანტისანიტარია.

დანარჩენი „ყველაფერი კარგადაა, მშვენიერო მარკიზა!"

...ბეტონის ბილიკი ნახევრად დახვეტეს და მიატოვეს. სანიტარული სამსახურის მშრომელებმა შეიტყვეს, რომ რევიზორი ხლესტაკოვი ურეკში ჩამოსვლას არც აპირებდა...

აკვატორიის პერიმეტრზე დგას „თეთრი ხომალდი" — სასაზღვრო კატარღა, ხოლო აქედან ახალგორამდე შორია.

## საქმეში ჩახედული კაცის კომენტარი

**ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც სასტუმრო „ტყუპების" კაფეში გავიცანი, ილაპარაკებს აქაურ პრობლემებზე, ოღონდ ინკოგნიტოდ დარჩენის პირობით.**

**ეტყობა, აქ ისეთი სიტუაციაა, რომელიც პერსონიფიცირებული გულახდილობისთვის არ განაწყობს ადამიანს.**

**ამბობს, რომ სხვა ძალა, „ოცნების" გარდა, სააკაშვილის დამმარცხებელი არ არსებობდა. ხალხმაც ამიტომ დაუჭირა მას მხარი, თორემ „ოცნებაზე" ჯვარი არავის ჰქონდაო დაწერილი.**

**— ფიქრობთ, რომ კოალიციამ ამოწურა ნდობის ვოტუმი?**

— ხალხმა დაინახა, რომ ისე ვერ კეთდება ყველაფერი, როგორც დაჰპირდნენ ან როგორც საჭიროა, ამიტომ ზოგი ალაპარაკდა, ზოგმა უკმაყოფილება გამოთქვა, ზოგმა კრიტიკულად შეაფასა. ეს არც საწყენია ვინმესთვის, არც ღალატია. ეს არის ელემენტარული რეაქცია.

მიშა რომ წავიდა, საქმისთვის უნდა მოეკიდათ ხელი, მაგრამ მარტო სურვილი არ კმარა. ეტყობა, გამოცდილება არ ჰყოფნით, სხვა რამეც.

**— ცოდნა?**

— მაგასაც ნუ გამოვრიცხავთ. საკადრო პოლიტიკა შეიძლება სხვანაირად იყო ასაწყობი. კადრებს გაზრდა უნდა, ამას კი დრო სჭირდება. ელემენტარულია. ჩვენ გვინდა დღეს მოხდეს ყველაფერი. ასე არ ხდება. მაგრამ ის მარტივი საკითხები, რომელთა გადაჭრას დიდი პროფესიონალიზმი არ სჭირდება, დიდი ტვინი არ უნდა, შეიძლება უპრობლემოდ გადაწყდეს.

მაგალითად, საგზაო ფირნიშის დაყენებას ურეკის გადასახვევთან წარწერით „ურეკი" შვიდი-რვა თვე მონდომოდა?

**— იქნება თუ არა ასეთი წარწერა, ვითომ ასე მნიშვნელოვანია?**

— ეს ისეთი სპეციფიკური გადასახვევია, რომ, თუ არ იცი ადამიანმა, შეიძლება ვერც მიაგნო კურორტს.

ასეთი მარტივი მაგალითებიდან შედგება ცხოვრება. კარგია სამედიცინო დაზღვევაც, ბევრი სხვა რამეც, რაც გაკეთდა, მაგრამ, სანამ ამ დაზღვევამდე მივალ, აქ არ უნდა მომეშალოს ნერვები, რომ ნევროპათოლოგთან მკურნალობა არ დამჭირდეს.

მიაქცევენ ერთი შეხედვით წვრილმანებს ესენი ყურადღებას, ხომ კარგი, თუ არადა, „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა", კაცო.

**— ურეკში ხედავთ ასეთ „წვრილმან" საკითხებს?**

— მტვერში იხრჩობა ურეკი. ერთი სახანძრო მანქანა ვერ მოიძებნა, რომელიც ჩამოივლიდა და გადარეცხავდა ერთადერთ მთავარ ქუჩას.

გამოიარა ჩვენმა პრეზიდენტმა, მანქანიდან ხელს გვიქნევდა... ვერ მოვასწარი, მეკითხა, არ გაწუხებთ, ბატონო პრეზიდენტო, აქაური მტვერი?

**— მარგველაშვილზე ლაპარაკობთ?**

— კი, ბატონო. სხვებიც მოდიან. ისე ჩაივლიან, თითქოს ვერ ხედავენ ამ მტვერს. თუ ხედავენ, მოსწონთ ეს სიტუაცია?! ჩორტ ეგო ზნაეტ! კაცია და ხასიათი.

**— პლაჟი რომ ნაგავსაყრელად არის ქცეული?**

— ეს უკვე ისეთი სიტუაციაა, რომ სხვაგვარი მიდგომა სჭირდება. ეს პლაჟი ნაკვეთებად, პატარ-პატარა უჯრედებად სასტუმროებზე არენდით არის გაცემული. დალაგება ევალება მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს. მაგრამ ფაქტობრივად, ვისზეც იჯარითაა გაცემული, იმათგან რაღაც მიზერულ გადასახადს იღებენ და ამით დამთავრდა მათი მოვალეობა. მაგრამ, თუ არენდით არის გაცემული, არენდატორებს უნდა მოსთხოვონ სანიტარული ნორმების დაცვა ან რომელიმე კერძო სტრუქტურას გადასცენ ეს საქმე. შეხვალ სასტუმროში, დაწკრიალებულია ყველაფერი. გარეთ გამოხვალ და, ხომ ხედავთ, რა სიტუაციაც არის.

მაგრამ რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ურეკში კანალიზაცია არ არსებობს?! ყარს აქაურობა.

**— განსაკუთრებით ღამღამობით, როცა მთებიდან დაუბერავს ნიავი და ტალღებად მოაქვს ყროლის სუნი.**

— ასეთი ჰაერით სუნთქვა და ამაში ფულის გადაყრა, დამერწმუნეთ, არავის სიამოვნებს. არც ისაა სასიამოვნო, როცა ეს უნიკალური კურორტი ერთ ბაზრობად არის გადაქცეული. ქუჩაში ვერც მანქანით, ვერც ფეხით ნორმალურად ვერ გაივლი.

პლაჟზე ძროხა ადამიანის გვერდით წევს. კიდევ კარგი, ღორი ჭირმა გაწყვიტა, თორემ მაშინ უნდა გენახათ...

არ მივხედავთ ამას და დამსვენებელიც გამოგვეცლება, ტურისტიც.

**— გამოსავალს როგორს ხედავთ?**

— თუ კერძო სექტორს არ შეუძლია საქმის მიხედვა, სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ ხელში.

ადგილობრივ მთავრობას უფლებები როგორც არ ჰქონდა, ისევე არ აქვს. მონდომებული კია, მაგრამ, რამდენიც გინდა, ირბინე, პასუხი ერთია: შენ რომ გინდა, სხვასაც უნდა, მაგრამ არ ჰყოფნის ყველას.

**ჩემი აზრით, საუკეთესო გამოსავალი არის ის, რომ ურეკს მიენიჭოს ქალაქის სტატუსი, გამოეყოს ოზურგეთის რაიონს, რომელშიც ერთი პატარა სოფლის უფლებებით სარგებლობს, უფრო სწორად, არავითარი უფლებით.**

მოსახლეობას ამისი სურვილი არა ერთხელ გამოუხატავს. თუ ანაკლია გადაიქცა ქალაქად, ურეკმა რა დააშავა?

* * *

**მართლაც რა დააშავა ურეკმა ისეთი, რომ, როგორც ინკოგნიტო რესპონდენტმა თქვა, ურეკისნაირად მოუვლელი სოფელი მთელ გურიაში არ არსებობს?!**

**სამაგიეროდ ურეკში, მის ცენტრში, გამოფენილია ქალაქებიდან პროვინციაში გადაბარგებული ატრაქციონები, ერთი ხელის გულის ოდენა ადგილზე ისეთი ჯაგი-ჯუგი და მეორედ მოსვლა, აგრიალებული მძიმე როკის ისეთი შემოტევაა (ყველა ატრაქციონი „თავის" მუსიკას მეზობლის ჯინაზე აგრუხუნებს), უგემოვნობისა და მოდიდან გასულობის ისეთი ნაგავია, როგორიც პლაჟზე ანტისანიტარიის დღესასწაული.**

**დუგ-დუგ, დუგ-დუგ! ისე გიბრახუნებს თავში ეს ჰიროსიმა და ნაგასაკი, რომ, ვინმეს რამე რომ გააგებინო, ინგა გრიგოლიას რეგისტრში იწყებ ლაპარაკს.**

ვაი, რომ ამაოდ, რადგან მეეჭვება, რომ ამ პუბლიკაციაში გამოთქმულ შენიშვნებს გააგონებს ხალხზე მზრუნველ ჩვენს ხელისუფლებას.

**არმაზ სანებლიძე**, ურეკი. აგვისტო

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველი რძიანი შოკოლადი გამოჩნდა შვეიცარიაში. ამის შემდეგ შვეიცარიულმა ფირმა „ნესტლემ“ დიდი პოპულარობა მოიპოვა. 1879 წელს რუდოლფ ლინდტმა გამოუშვა შოკოლადი, რომელიც პირში დნებოდა. მან გამოიგონა შოკოლადის ნელა შეცხელების მეთოდი და თავის პროდუქციაში მეტი კაკაოს კარაქის დამატება დაიწყო. პირველი შოკოლადი შიგთავსით 1913 წელს გამოჩნდა.**

# ყველაფერი შოკოლადის შესახებ

**შოკოლადი ჰქვია კაკაოს მარცვლებისგან დამზადებულ სხვადასხვა სახის ტკბილ და გემრიელ საკონდიტრო პროდუქტს. საყოველთაოდ მიღებული ვერსიის თანახმად, შოკოლადის გემოს საიდუმლო პირველად მექსიკის ყურის სანაპიროზე მცხოვრები მაიას ტომისთვის გახდა ცნობილი. ამ ტომის წარმომადგენლებს კაკაოს ღმერთის სჯეროდათ და სხვადასხვა რიტუალის დროს მას, როგორც წმინდა სასმელს, ისე სვამდნენ.**

თუმცა შოკოლადი ყოველთვის არ ასოცირდებოდა ჩვენთვის კარგად ნაცნობ ტკბილ გემოსთან: „შოკოლადი“ ასევე კაკაოს მარცვლებისგან დამზადებული სასმელის „ჩოკოლატლის“ დასახელებიდან მომდინარეობს. აცტეკების ენაზე კი „ჩოკოლი“ სიმწარეს ნიშნავს, ხოლო „ატლი“ წყალს.

თანამედროვე „ჩოკოლატლი“ შეიცავს კაკაოს ფხვნილს, რძეს, შაქარს, დარიჩინს, მწარე წიწაკას და ზოგჯერ ვანილსაც.

შოკოლადის წარმოებისთვის აუცილებელი ნედლეულია კაკაოს მარცვლები, რომლებიც კაკაოს ხის ნაყოფია, რომელიც დედამიწის ტროპიკულ რაიონებში იზრდება.

წარმომავლობის მიხედვით, კაკაოს მარცვლებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ: ამერიკული, აფრიკული და აზიური.

ხარისხის მიხედვით, კაკაოს მარცვლების ორ ჯგუფს გამოყოფენ: კეთილშობილი, რომელსაც ჰაეროვანი გემო და სასიამოვნო, მრავალფეროვანი არომატი აქვს, და სამოხმარებლო, რომელსაც მწარე, მომჟავო გემო და ძლიერი არომატი აქვს.

ნუშის ფორმისა და დაახლოებით 2,5 სმ სიგრძის კაკაოს მარცვლები კაკაოს ხის ნაყოფის გულშია მოთავსებული — თითოში 30-50 ცალი.

შოკოლადის (ისევე, როგორც კაკაოს ხის) სამშობლოდ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა ითვლება. ასწლეულების მანძილზე შოკოლადი გამოიყენებოდა, როგორც სასმელი — დაფქვილ და მოხალულ კაკაოს მარცვლებს ინდიელები წყალს ურევდნენ, ხოლო შემდეგ ამ ნარევს წითელ წიწაკას (ჩილი) უმატებდნენ. **შოკოლადის ისტორია ძალიან დიდი ხნის — დაახლოებით 3000 წლის წინათ დაიწყო. პირველად სიტყვა კაკაომ გაიჟღერა, როგორც „კაკაწა“-მ დაახლოებით 1000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მექსიკის ყურეში, მაშინ, როდესაც ჯერ მხოლოდ იწყებოდა ოლმეკების ცივილიზაციის აღორძინება. ოლმეკების შემდეგ მაიას ტომებმა გააგრძელეს ტრადიცია; სწორედ მათ ეკუთვნის ველური კაკაოს ხის კულტივირება.**

ამ დროს დაიწყო შოკოლადის მიღების მეთოდების შემუშავებაც კაკაოზე სხვადასხვა ინგრედიენტის დამატებით. კაკაოს მარცვლებს ჯერ ხალავდნენ, ფქვავდნენ და შემდეგ ისევ აცხელებდნენ, ასე მიიღებოდა კაკაო-ხსნარი, შემდეგ ამ ხსნარს ურევდნენ წყალში და შედეგად მიიღებოდა მწარე, მაგრამ სასიამოვნო სასმელი. იმ პერიოდში ეს ხსნარი ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მას „ღმერთების სასმელი“ ერქვა.

მაიას ტომების გაქრობის შემდეგ შოკოლადის მომზადების ტრადიცია აცტეკებმა განაგრძეს. ისინი წყალში გახსნილ ხსნარს, რომელსაც სიმინდის ფქვილთან ერთად ფქვავდნენ, უმატებდნენ თაფლს და აგავას ნაყენს. ამ სასმელს ენერგიის წყაროდ მიიჩნევდნენ. აცტეკები შოკოლადში ურევდნენ ასევე შაქარს, ვანილს, თაფლსა და დარიჩინს. აცტეკების ლეგენდის თანახმად, კაკაოს თესლი დედამიწაზე სამოთხიდან აღმოჩნდა, ამიტომ იგი ყველას, ვინც მის ნაყოფს მიირთმევს, ძალასა და სიბრძნეს ანიჭებს.

1519 წლის ნოემბერში, როდესაც ესპანელი ჯარისკაცების კბილებამდე შეიარაღებული ბრბო, გენერალ კორტესის მეთაურობით, დღევანდელი მექსიკის ტერიტორიაზე შეიჭრა და ააოხრა აცტეკების იმპერატორ მონტესუმას სასახლე, მუქი ფერის გამომშრალი მარცვლების დიდი მარაგი აღმოაჩინა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ მარცვლებისგან დამზადებული ნუგბარი მთელ სამყაროს დაიპყრობდა.

**მრავალი საუკუნის განმავლობაში შოკოლადი არსებობდა მხოლოდ თხევადი სახით. ეს სასმელი იყო მაგიური რიტუალებისა და საქორწინო ცერემონიების ნაწილიც.**

ევროპელებმა ეს წმინდა სასმელი XVI საუკუნეში დააგემოვნეს, როდესაც კუნძულ გაინას მოსახლეობა დიდ მოგზაურს — ქრისტოფორე კოლუმბს კაკაოთი გაუმასპინძლდა. გადმოცემის თანახმად, კოლუმბის მიერ ევროპაში ჩატანილი კაკაოს მწარე მარცვლები ევროპელებმა ვერ შეიყვარეს და მალევე მიივიწყეს. მაგრამ „ღმერთების სასმელი“ ასე ადვილად დასავიწყებელი არ აღმოჩნდა... მექსიკაში, ესპანელი მეფის მიერ წარგზავნილი ფერნანდ კორტესის წყალობით, შოკოლადი ესპანელ დიდგვაროვნებს შორის მალე გახდა პოპულარული! სწორედ მან ჩაუტანა ესპანეთის მეფეს კაკაოც და მისი დამზადების რეცეპტებიც. რძიანი შოკოლადის გამოგონება კი შვეიცარიელი მეცნიერის — დანიელ პიტერის სახელს უკავშირდება.

პირველი კაფე, რომელშიც შოკოლადით უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს, 1657 წელს გაიხსნა ლონდონში. შოკოლადი იმ დროისთვის ითვლებოდა შეძლებული, მდიდარი ადამიანების სასმელად — 1 ფუნტი შოკოლადი 15 შილინგი ღირდა.

ისევე, როგორც მაიას ტომებში, კაკაოს ხის ნაყოფი ზოგიერთ ქვეყანაში ვალუტად იქცა. მაგალითად, ნიკარაგუაში ბოცვრის ყიდვა შეიძლებოდა კაკაოს ათ მარცვლად, ხოლო კაკაოს ასი მარცვლის სანაცვლოდ კარგი მონის მფლობელი გახდებოდით.

XVII-XVIII საუკუნეების ექიმები თავის მდიდარ პაციენტებს შოკოლადს უნიშნავდნენ, როგორც გამაჯანსაღებელ საშუალებას და ბევრი დაავადების წამალს. შოკოლადს, ჩვეულებრივ, უნიშნავდნენ ბავშვებსა და მამაკაცებს სასმელში რძის, ღვინის, სუნელ-სანელებლებისა და ლუდის დანამატითაც კი.

1674 წელს გამოჩნდა რბილი შოკოლადი ბატონებისა და რულეტების სახით. პირველი შოკოლადის ფილა კი დაამზადა კომპანიამ Fry & Sons ბრენდით Chocolat Delicieux a Manger.

**პირველი რძიანი შოკოლადი გამოჩნდა შვეიცარიაში. ამის შემდეგ შვეიცარიულმა ფირმა „ნესტლემ“ დიდი პოპულარობა მოიპოვა. 1879 წელს რუდოლფ ლინდტმა გამოუშვა შოკოლადი, რომელიც პირში დნებოდა. მან გამოიგონა შოკოლადის ნელა შეცხელების მეთოდი და თავის პროდუქციაში მეტი კაკაოს კარაქის დამატება დაიწყო. პირველი შოკოლადი შიგთავსით 1913 წელს გამოჩნდა.**







XVIII საუკუნის შუაწლებში შოკოლადი შედარებით გაიაფდა და ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის ყველა ფენისთვის, ვინაიდან ამ დროისთვის კაკაოს პლანტაციების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და წარმოებაც მექანიზებული გახდა.

**XIX საუკუნეში კაკაოს მარცვლების წარმოების მხრივ ლიდერობდა ვენესუელა.** ამჟამად კაკაო, ძირითადად, მოჰყავთ ბრაზილიასა და კოტდივუარზე. დღეისათვის შოკოლადის წარმოების ლიდერად აშშ მიიჩნევა. ერთ სულ მოსახლეზე შოკოლადის მოხმარების მხრივ კი შვეიცარია ლიდერობს.

მსოფლიოში ყოველწლიურად 600 ათას ტონა შოკოლადს ჭამენ. შოკოლადის წარმოება ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი დარგია კვების მრეწველობაში.

შოკოლადი არის ერთ-ერთი იშვიათი პროდუქტი, რომელმაც განიცადა ტრანსფორმაცია ინდიელების მწარე სასმელიდან დესერტამდე და მასობრივი მოხმარების პროდუქტად იქცა, რომელიც ფართო ასორტიმენტით გამოირჩევა. გემოსა და კომერციული ფასეულობის გარდა, შოკოლადს გააჩნია განწყობის ამაღლებისა და ძალების აღდგენის საოცარი თვისება.

საუკუნეების განმავლობაში წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა შოკოლადის მრავალი სახეობა. ეს განპირობებული იყო, როგორც კულტურათა და ტრადიციათა თავისებურებებით, ისე ტექნოლოგიური მიღწევებით. მაგალითად, თუ ახალ სამყაროში შოკოლადი ცხარე წიწაკით უნდა ყოფილიყო შეზავებული, ევროპელი გურმანებისთვის ის აუცილებლად ვანილითა და შაქარით უნდა გაემდიდრებინათ. თანამედროვე მსოფლიოსთვის მზა შოკოლადის მრავალი სახეობაა ცნობილი. ყველა მათგანს კი საფუძვლად უდევს სუფთა შოკოლადი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მძაფრად გამოხატული მწარე გემო და მდიდარი არომატი. განასხვავებენ შავ, ყავისფერ და თეთრ შოკოლადს. ასევე, შოკოლადი არსებობს თხევადი, მყარი და ფხვნილის სახით.

**მწარე შოკოლადი არ შეიცავს დანამატებს.** ეს არის ძალიან მწარე, ძლიერი არომატის მქონე ფხვნილი ან ფილა, რომელიც, ძირითადად, ნამცხვრების გამოსაცხობად გამოიყენება.

**შავი შოკოლადი მზადდება რძის დანამატის გარეშე.** ამერიკის კანონმდებლობა მას ტკბილი შოკოლადების კატეგორიას ანიჭებს და განსაზღვრავს მასში კაკაოს ლიქიორის (სუფთა შოკოლადის) 15%-იან მინიმალურ ზღვარს. ევროპული კანონმდებლობით კი, შავი შოკოლადი 35% სუფთა კაკაოს ფხვნილს უნდა შეიცავდეს.

**ტკბილ-მწარე შოკოლადი და ნახევრად ტკბილი შოკოლადი არის შავი შოკოლადი კაკაოს ლიქიორის მაღალი კონცენტრაციით.** მას ახასიათებს მწარე გემო, არ გამოიყენება დესერტად, სამაგიეროდ, ფართოდ გამოიყენება კულინარიაში.

რძიან შოკოლადს, ამერიკული კანონმდებლობით, უნდა ახასიათებდეს შოკოლადის სიროფის მინიმუმ 10%-იანი კონცენტრაცია. ევროპული კანონმდებლობა კი განსაზღვრავს შოკოლადის ფხვნილის 25%-იან მინიმალურ ოდენობას.

თეთრი შოკოლადი მზადდება კაკაოს ცხიმისა და კაკაოს ფხვნილისგან.

ორგანიზმისთვის მნიშვნელოვანია, რომ შოკოლადი არამარტო შაქარს, არამედ ცხიმებსაც (კაკაოს ▶





ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შოკოლადი ასუფთავებს არტერიებს და ხელს უწყობს თრომბის თავიდან აცილებას. შოკოლადის ზეგავლენას ადარებენ წითელი ღვინისგან ან ასპირინისგან მიღებულ ეფექტს.

◀ ზეთს) შეიცავს, ამიტომ ის არამხოლოდ სწრაფი, არამედ ხანგრძლივი ენერგიის წყაროა. გარდა ამისა, კაკაოს მარცვლები ბევრ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს: ცილებს, ნახშირწყლებს, მიკრო და მაკროელემენტებს, აგრეთვე, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომელთა შორის აღსანიშნავია კოფეინი და თეობრომინი.

შოკოლადში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები აფხიზლებს ადამიანს, ზრდის მის შრომისუნარიანობას, ხსნის დაღლილობას და სტრესს, აუმჯობესებს მეხსიერებას, დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ თეობრომინი საწამლავია ცხოველებისთვის და აღრიცხულია ამ ნივთიერებით მოხუცებულთა მოწამვლის შემთხვევებიც, ამიტომ ჯობს, შოკოლადი ზომიერად მივირთვათ. სპეციალისტები ამბობენ, რომ დღეში 25-50 გრამი ნამhდვილად უსაფრთხოა.

მწარე შოკოლადი შეიცავს ანტიოქსიდებს, Თ, Ⴘ, Ⴢ ვიტამინებს, თუთიას, რკინას, კალცს, კალიუმს. სარგებლიანობის მიხედვით, შოკოლადს ვაშლსა და იოგურტს ადარებენ. მისი ზოგიერთი სახეობა შეიცავს F ვიტამინს, რომლის დეფიციტი ეგზემასა და გამონაყარის წარმოქმნას იწვევს. ეს ვიტამინი ამაგრებს ფრჩხილებს და თმის ძირებს, იბრძვის ავადსახსენებელი ცელულიტის წინააღმდეგ.

შოკოლადის მთავარი ინგრედიენტი – კაკაოს მარცვლები, ერთობ სასარგებლო ნივთიერებას – ფლავანოლს (კატეხინი) შეიცავს. ის ამცირებს არტერიული წნევის, ინსულტის, ინფარქტის, დიაბეტის რისკს. კატეხინები იცავს ჩვენს უჯრედებს თავისუფალი რადიკალებისგან, რომლითაც ხელს უშლიან ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნას.

**შოკოლადი ასუფთავებს არტერიებს და ხელს უწყობს თრომბის თავიდან აცილებას. შოკოლადის ზეგავლენას ადარებენ წითელი ღვინისგან ან ასპირინისგან მიღებულ ეფექტს.** მათ, ვინც რეგულარულად მიირთმევს შოკოლადს, გონებასუსტობა არ ემუქრება; იგი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ტვინში.

აღმოჩნდა, რომ ცხიმი, რომელსაც შოკოლადი შეიცავს, არ ზრდის ქოლესტერინის დონეს სისხლში. ფსიქოლოგები გვირჩევენ, ყოველთვის თან გვქონდეს შოკოლადის ფილა, რადგან ის აადვილებს ურთიერთობის აწყობას: შესთავაზეთ თანამოსაუბრეს საყვარელი სასუსნავის ნატეხი და სასწაულის მოწმე გახდებით.

შოკოლადის მოყვარულები იშვიათად იტანჯებიან დეპრესიითა და მარტოობით. ის არ იწვევს ნარკოტიკულ დამოკიდებულებას, მასში ცოტაა კოფეინი (30 მგ კოფეინი – 100-გრამიან ფილაში. შედარებისთვის: ფინჯან ყავაში 180 მგ კოფეინია).

შავი შოკოლადის მოყვარულთ კარიესი არ ემუქრებათ, რადგან კაკაოს ცხიმი კბილებს დამცავ ფენად ედება. შოკოლადი აძლიერებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს გაციების პროფილაქტიკას.

შოკოლადის შენახვის ვადა 16-21°C ტემპერატურაზე 1-დან 10 თვემდეა. ამაზე მაღალ ან დაბალ ტემპერატურაზე შენახვისას ის „ჭაღარავდება“. მაღალ ტემპერატურაზე დნება მის შემადგენლობაში შემავალი კაკაოს ზეთი, გამოდის ზედაპირზე და თეთრ ცხიმოვან ნადებს (ნაფიფქს) წარმოქმნის, მაცივარში შოკოლადის შენახვისას კი შაქარი კრისტალდება და თეთრ წინწკლებს აჩენს. „გაჭაღარავებული“ შოკოლადი მავნე არ არის, უბრალოდ, ვიზუალურად არასასიამოვნოა. ცხადია, სასარგებლოა მხოლოდ ნამდვილი შოკოლადი, ამიტომ შეძენისას ღირს შემადგენლობის გულდასმით წაკითხვა.

ნამდვილია შოკოლადი, რომელიც დამზადებულია არა კაკაოს ფხვნილისგან (cocoa, cocoa powder, cacao, cocoa solids), არამედ სრესილი კაკაოსგან (cocoa mass), რომელსაც თხევადი კონსისტენციის გამო ხშირად შოკოლადის ლიქიორსაც (chocolate liquor, cocoa liquor) უწოდებენ.

ლეციტინის შემცველობა შოკოლადში საშიში არ არის — იგი უვნებელი ბუნებრივი ემულგატორია და შოკოლადის მასას მეტი ერთგვაროვნებისა და ტემპერატურისადმი მეტი მდგრადობისთვის ემატება.

შოკოლადი, რომელიც შეიცავს სოიოს ან რაიმე სხვა ცხიმს, გარდა კაკაოს ზეთისა, დაბალი ხარისხის პროდუქტია.

გავრცელებულია კაკაოს ფხვნილის ფალსიფიკაციის მეთოდები — მას ცვლიან კაკაოს ფერის პროდუქტებით: მაგ., გადამუშავებული კაკაოს მარცვლების ნარჩენით — ე. წ. კაკაო-ველას ფხვნილით. კაკაო-ველა წარმოადგენს კაკაოს მარცვლების ნაჭუჭს. მას უმეტესად ბაღის ბილიკების მოსაკირწყლავად ან სასუქად იყენებენ, თუმცა არ არის გამორიცხული მისი ფხვნილის დამატება კაკაოში იაფფასიანი შოკოლადის ან მინანქრის მისაღებად. ჯანმრთელობას ეს ფხვნილი არ ვნებს.

კაკაოს ხშირად ანაცვლებენ ტროპიკული მცენარის — კერატის ხის (Cepatonia siliqua) ლობიოსმაგვარი ნაყოფის ფხვნილით — კერობით. არც ეს ფხვნილია მავნე, ის მოტკბოა, არ შეიცავს კოფეინს და თეობრომინს, მაგრამ საკმაოდ მდიდარია (8%) ცილით. გარდა ამისა, შეიცავს ვიტამინებს, მიკრო და მაკროელემენტებს, ამიტომ ბავშვთა და დიეტურ კვებაში კაკაოს ჩანაცვლება კერატით რეკომენდებულიც კია.

სამწუხაროდ, ჭარბი შოკოლადი ხშირად მათაც კი ვნებს, ვინც ადრე შესანიშნავად იტანდა ამ ნუგბარს.

შოკოლადი ხომ მასტიმულირებელ ნივთიერებებს — კოფეინსა და თეობრომინს შეიცავს. კოფეინი იწვევს პულსის აჩქარებას, უძილობას (განსაკუთრებით — შავი შოკოლადი), წნევის აწევას, აღაგზნებს, ააქტიურებს. შოკოლადი და, საზოგადოდ, ტკბილეული ხომ, პირველ რიგში, ნახშირწყლებია, ნახშირწყლები კი ენერგიის წყაროა. 100 გრამი შოკოლადის ფილა 500-600 კალორიას შეიცავს. მასში თითქმის 30% მცენარეული ცხიმია, ხოლო 50% — ნახშირწყლები.

ენერგიის ძირითადი წყარო შოკოლადში შემავალი რძე და გლუკოზაა, რომლებიც ორგანიზმში სწრაფად იშლება. შოკოლადი, მით უმეტეს — დიდი რაოდენობით, პროვოცირებას უწევს თავის ტკივილის შეტევას. მიზეზი ტანინია. ის სისხლძარღვებს ავიწროებს და თავის ტვინის ჟანგბადით მომარაგებას აფერხებს, რაც თავის ტკივილს განაპირობებს. ტანინი ნაწლავებზეც მოქმედებს, ამიტომ შოკოლადის ჭარბმა მიღებამ, შესაძლოა, ფაღარათი გამოიწვიოს.

ზომიერების ფარგლებში კი შოკოლადი მეტად სასარგებლო პროდუქტია. შეიცავს ანტიოქსიდანტებს და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ იმუნურ სტატუსზე, ნივთიერებათა ცვლაზე, ხელს უშლიან ინფექციურ დაავადებათა, სიმსივნურ პათოლოგიათა აღმოცენება-განვითარებას.

**მრავალი სასიყვარულო და ავანტიურული თავგადასავლებით სახელგანთქმული ჯოვანი კაზანოვა თვლიდა, რომ მისი პოტენციის საიდუმლო დილით ერთი ჭიქა ცხელი შოკოლადი იყო! პირველი წიგნი შოკოლადის შესახებ სახელწოდებით „წიგნი, რომელშიც შოკოლადის შესახებ ყველაფერია“, 1606 წელს მექსიკაში გამოიცა.**

2000 წელს ბარსელონში გაიხსნა შოკოლადის მუზეუმი, რომლის კოლექციაში ქალაქის არქიტექტურული ღირსშესანიშნაობების დაპატარევებული ასლები იყო წარმოდგენილი. ცხადია, ყველაფერი შოკოლადისგან იყო დამზადებული. წარმოიდგინეთ კორსეტი, რომელიც პირში დნება, ან ქალის ნებისმიერი აქსესუარი, რომლის ჭამაც შეიძლება. სწორედ ასე გამოიყურებოდა 1988 წელს ნიუ იორკში გამართული მოდების ჩვენება, რომელზეც ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი 12 კაბა იყო წარმოდგენილი.

**1999 წელს იტალიაში დამდნარი შოკოლადით შესრულებული ნახატების ღია აუქციენი მოეწყო. ყველაზე ცნობილი შოკოლადის კურორტი კალიფორნიაში მდებარეობს. ასეთ კურორტებზე დეპრესიას სხვადასხვაგვარი შოკოლადით მკურნალობენ.**





# უცხვირო ბავშვი

**ტესა ევანსის ცხოვრება სრულიად ნორმალური იქნებოდა, იშვიათი ანომალიით რომ არ დაბადებულიყო — ბავშვს ცხვირი არ აქვს.**

ტესა წელიწად-ნახევრისაა. ანომალიას, რომელიც მას აღმოაჩნდა (აპლაზია), დაბადებიდანვე რომელიმე ორგანოს ან სხეულის ნაწილის არქონაა. ეს ანომალია ძალიან იშვიათია, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია მსგავსი 47 შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონას არ აქვს ცხვირი და ცხვირის ადგილას აქვს მხოლოდ ჩვეულებრივი ტყავი, მას შეუძლია დახველება, დაცემინება და გაციებაც კი. ექიმებმა ტესას ანომალიის აღმოჩენა ჯერ კიდევ დედის საშვილოსნოში მოახერხეს. ექიმები ურჩევდნენ მშობლებს, შეეწყვიტათ ორსულობა, რაზეც მშობლებმა უყოყმანოდ თქვეს უარი. დაბადებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ტესა უკვე სახლში იყო.

აპლაზია გოგონას ერთადერთი დაავადება არ არის. მას ასევე აწუხებს გულისა და თვალების დაავადებები. 11 კვირის ასაკში ტესას გაუკეთდა კატარაქტის ოპერაცია მარცხენა თვალზე. ოპერაცია წარმატებით დასრულდა, მაგრამ გართულებები მაინც მოჰყვა. კიდევ ერთი ოპერაცია იყო ტრაქეოსტომია, რომელმაც ბავშვს საშუალება მისცა, ისუნთქოს როგორც ჭამის, ასევე ძილის დროსაც.

ტესას ექიმები ჰპირდებიან, რომ მას ასაკთან ერთად ცხვირიც გაეზრდება.



# დიაგნოზი: ქრონიკული ჰომოსექსუალიზმი

**ლოს-ანჯელესის კლინიკის ექიმებმა 46 წლის პაციენტ მეთიუ მურს ქრონიკული ჰომოსექსუალიზმის დიაგნოზი დაუსვეს. მეთიუმ, რომელიც თავის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას არ მალავს, მოითხოვა, მედიკოსებს შესაბამისი ჩანაწერი ამოეღოთ ავადმყოფის ისტორიიდან. ადმინისტრაციამ მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ მურმა მათ სასამართლოში მაინც უჩივლა.**

მამაკაცმა კლინიკას ჯერ კიდევ 2013 წლის აპრილში მიმართა. მას B-12 ვიტამინის დეფიციტი, მაღალი არტერიული წნევა და სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონე ჰქონდა. მკურნალმა ექიმმა ელეინ ჯონსმა ავადმყოფის ისტორიის გრაფა „ქრონიკულში“ ჩაწერა „ჰომოსექსუალური ქცევა“.

მედპერსონალმა ოფიციალური ბოდიშიც მოიხადა და აღნიშნა, რომ ჰომოსექსუალიზმს დაავადებად არ მიიჩნევს. მამაკაცმა სასამართლოს მიმართა კომპენსაციისა და დაწესებულების დაჯარიმების მოთხოვნით.

# 3 წლის ბავშვმა პირველად გაიღიმა

**3 წლის ინდოელ გოგონას, რუნა ბეგუმს, ოპერაციის წყალობით, თავის ზომა 37-დან 23 ინჩამდე შეუმცირდა.**



ოპერაციის შემდეგ მან პირველად გაიღიმა. ის შარშან ნიუ-დელიში მდებარე საავადმყოფოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით გადაიყვანეს. გოგონა ჰიდროცეფალიის უკიდურესი ფორმით იტანჯება. ქირურგებმა რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარეს, რათა მისი თავის ზომა შეემცირებინათ. ექიმებს რუნას გადარჩენის იმედი ნაკლებად ჰქონდათ და მშობლები გააფრთხილეს, რომ უბედურებისთვის მზად ყოფილიყვნენ.

ექიმები გაოცებულნი დარჩნენ, როდესაც ნახეს, რომ რუნა არათუ ცოცხალია, არამედ ღიმილი და სიცილიც კი შეუძლია.

**„ამბობდნენ, რომ ვერ იცოცხლებდა, მაგრამ გადარჩა. ახლა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. რუნას თავის მოძრაობაც შეუძლია და სხვა ბავშვებთან ურთიერთობისას იღიმის“,** — ამბობს ბავშვის დედა, 23 წლის ფატიმა ხათუნი.

თავის წონის გამო ბავშვი ჯერჯერობით ვერ დადის, თუმცა ჭამს, ძინავს და მშობლებთან აქვს ურთიერთობა. მაისში გოგონას რამდენიმე ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, ხოლო ივნისში თავიდან დიდი რაოდენობით სითხე ამოუღეს, შედეგად თავის ქალის ზომა საგრძნობლად დაპატარავდა. ბავშვმა 105 დღე საავადმყოფოში გაატარა. ექიმები მისთვის კიდევ რამდენიმე ოპერაციის გაკეთებას გეგმავენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბრინჯის ექსპერიმენტი

**იაპონელმა მკვლევარმა მასარუ ემოტომ ექსპერიმენტებით დაამტკიცა, რომ ადამიანის ფიქრსა და განზრახვას შეუძლია რეალობა შეცვალოს.** მისი ყველაზე ცნობილი „ბრინჯის ექსპერიმენტის“ მიხედვით, შეგვიძლია საკუთარი თვალით დავინახოთ პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულების შედეგი. მასარუმ სამ სინჯარაში მოათავსა ბრინჯი და ექსპერიმენტში ჩართო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ყოველდღე ერთსა და იმავე ფრაზებს იმეორებდნენ სინჯარებთან: ერთ მათგანთან — ფრაზას „მადლობა“, მეორესთან — „შენ იდიოტი ხარ“, მესამეს კი სრულ იგნორირებას უკეთებდნენ. 30 დღის შემდეგ ბრინჯი, რომელსაც მადლობას უხდიდნენ, ვიზუალურად მინიმალურად შეიცვალა, მაშინ, როცა დანარჩენი ორი დაობდა და დალპა.






## კაცს ცხვირში კბილი გაეზარდა

**ცხვირიდან სისხლდენამ, რომელიც წლების განმავლობაში თვეში რამდენჯერმე ემართებოდა, საუდის არაბეთის 22 წლის მცხოვრები აიძულა, ექიმთან მისულიყო. ექიმებმა მის ცხვირში ერთი სანტიმეტრი სიგრძის თეთრი ძვლოვანი წარმონაქმნი აღმოაჩინეს.**

მოულოდნელი აღმოჩენის შემდეგ ლარინგოლოგმა გადაწყვიტა, კონსულტაციისთვის სტომატოლოგისთვის მიემართა. ამ უკანასკნელმა დაადგინა, რომ ეს დამატებითი კბილი იყო, რომელიც ამოუხსნელი მიზეზების გამო პაციენტს ცხვირში გაეზარდა. ამასთან, მას 32 კბილი ადგილზე აქვს.

„დამატებითი კბილები, რომლებიც არასწორად იზრდება, იშვიათობას არ წარმოადგენს. მაგრამ ცხვირის არიდან ექიმებს კბილის ამოღება პირველად უხდებათ. აღსანიშნავია, რომ ეს შემთხვევა ძალიან უცნაურია. ჩემი პრაქტიკის განმავლობაში არასოდეს მინახავს ცხვირში გაზრდილი კბილი“, — აღიარა ექიმმა ჯონ ჰელშტეინმა, აიოვას უნივერსიტეტის პროფესორმა.



## გარდაცვლილ ორსულს ექიმებმა შვილი «გააჩენინეს»

**ეს საოცარი შემთხვევა უნგრეთში მოხდა. 31 წლის ქალი ორსულობის მე-15 კვირაში იყო (დაახლოებით 4 თვის), როცა ტვინი გაეთიშა და პრაქტიკულად გარდაიცვალა. ექიმებმა გადაწყვიტეს, პაციენტი არ გამოერთოთ სისტემიდან და ბავშვისთვის ამქვეყნად მოვლენის შანსი მიეცათ.**

„მარტო ის კი არ გვქონდა მიზნად, რომ ბავშვი დაბადებულიყო, ისე უნდა გაგვეკეთებინა, რომ ის ჯანმრთელი გაჩენილიყო“, — აღნიშნა ექიმმა, რომელიც მედიკოსთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

ბავშვი მაინც ადრე დაიბადა — ორსულობის 27-ე კვირაში (ექიმების თვალთახედვით, ყველაზე კრიტიკული დრო 25 კვირამდეა — ბავშვმა ეს კრიტიკული პერიოდი მაინც გადალახა). ტვინის გარდაცვალებიდან ქალის სხეული კიდევ 92 დღე „აცოცხლეს“. ახალშობილი პატარა იყო, 1 კილო და 400 გრამი, მაგრამ ჯანმრთელი და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ბიჭუნას მცირე ხანს ინკუბატორში მოუწია ყოფნა, მერე კი ნათესავებმა წაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილი ქალის ორგანოები — გული, ღვიძლი, თირკმელები და კუჭქვეშა ჯირკვალი — სხვა ადამიანებს გადაუნერგეს, რამაც კიდევ ოთხი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. მშობიარობიდან ორ კვირაში ბავშვის დედა სისტემიდან გამორთეს.

## კორპუსი ბორბლებზე



**მოძრავი სახლი, ალბათ, მხოლოდ ზღაპრებში თუ გვინახავს, მაგრამ ეს რეალობაა და ის ვაშინგტონში, New York Avenue-ზე მოხდა.**

რამდენიმე დღის წინათ მთლიანი კორპუსი სხვა ადგილას გადაიტანეს, რათა ტერიტორია ახალი შენობისთვის დაეთმოთ. კორპუსის გადატანაში ფირმა Expert House Movers-ის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. მათ თავდაპირველად ფანჯრები აგურით ამოაშენეს, რათა გაეუმჯობესებინათ სტრუქტურული მთლიანობა. შემდეგ შენობა აწიეს და ბორბლებიან პლატფორმაზე მოათავსეს. კომპანიაში ძლიერ ჰიდრავლიკურ მექანიზმებს იყენებენ, რათა საძირკველი ძირფესვიანად ამოთხარონ.

## ბანკომატი სააბაზანოში გამოიგონეს

**1967 წელს ცნობისმოყვარე ქალაქელები საგანგებოდ მიდიოდნენ ჩრდილოეთ ლონდონის „ბერკლი ბანკის“ განყოფილებაში, სადაც ვეებერთელა აპარატი ბანკის მოხელეს ცვლიდა და თვითონ გასცემდა ფულს. ეს იყო მსოფლიოში პირველი ბანკომატი, რომლის შექმნის იდეა შოტლანდიელ გამომგონებელ ჯონ შეპარდ-ბარონს დაებადა.**

პროტოტიპი არცთუ სწრაფად მუშაობდა და ერთ ჯერზე ათ გირვანქა სტერლინგზე მეტს არ გასცემდა. დღეს კი მსოფლიოში მილიონობით ბანკომატია და მათ გარეშე ცხოვრება ისევე წარმოუდგენელია, როგორც უტელევიზოროდ ან უმაცივროდ. ჯონ შეპარდ-ბარონი 2010 წელს გარდაიცვალა, მანამდე კი არაერთხელ მოუთხრო ჟურნალისტებს, როგორ დაებადა ბანკომატის იდეა და რატომ ჩაფლავდა მისი ერთ-ერთი ბოლო გამოგონება.

ერთ მშვენიერ დღეს, სააბაზანოში შხაპის მიღებისას, ჯონ შეპარდ-ბარონი წუხდა, რამდენად მოუხერხებელი იყო ნაღდი ფულისთვის ბანკში სიარული და უცებ თავში გენიალური იდეა მოუვიდა. გაახსენდა პროდუქტის გასაყიდი ავტომატები, რომლებიც მაშინ თითქმის ყველა სარკინიგზო სადგურში იდგა. მაშ, რატომ არ შეიძლებოდა ფულის გაცემა იმავე მეთოდით?!

იმ დროისთვის ჯონ შეპარდ-ბარონი მუშაობდა კომპანიაში, რომელიც საბანკო მოწყობილობებს აწარმოებდა. გენიალური იდეის განხორციელების სურვილით შეპყრობილი მმართველთან მივიდა. თათბირის შემდეგ ჯონი და კიდევ სამი თანამშრომელი მანქანის აწყობას შეუდგნენ.

ერთი კვირის შემდეგ შეპარდ-ბარონმა „ბერკლი ბანკის“ გენერალურ დირექტორს საქმიან ლანჩზე გაუმხილა, რომ ერთი გიჟური იდეა მოუვიდა და მის ასახსნელად 90 წამი ითხოვა. დაახლოებით 85-ე წამზე გენერალურმა დირექტორმა შეაჩერა: „თუ ასეთ რამეს ააწყობ, ვიყიდი“. მალე ჯონის კომპანიას თვით ბანკის მფლობელმა მიაკითხა.




პლასტიკური ბარათები მაშინ არ არსებობდა და მანქანა ქაღალდის ჩეკებს იღებდა. გაყალბებისგან დასაცავად მათ ძალიან მცირე დოზით ჟღენთდნენ რადიოაქტიური იზოტოპით. შეპარდ-ბარონს იდეის სანაცვლოდ დიდი ფული არ მიუღია. გამოგონების დაპატენტება არ გამოვიდა. ეს ბანკის წესებით აკრძალული იყო.

## ბავშვმა ათი დღე უღრან ტყეში გაატარა

**სამაშველო ოპერაციის წევრები ტყეში დაკარგულ 3 წლის გოგონას ათი დღის განმავლობაში ეძებდნენ. შემთხვევა იაკუტიის ტაიგაში მოხდა. საბოლოოდ პატარა თავისი სოფლიდან ექვს კილომეტრში იპოვეს. ბავშვი მაშინვე გადაიყვანეს რაიონულ საავადმყოფოში რეაბილიტაციისთვის — ექიმები ამბობენ, რომ მას საკმაოდ მძიმე მდგომარეობა ჰქონდა.**



სოფელში სულ რვა ადამიანი ცხოვრობს. ბავშვი დედამ და ბებიამ წაიყვანეს იქ, თიბვის პერიოდში რომ დახმარებოდნენ კაცებს. პატარა ბებიასთან დატოვეს. ბებიას ჩაუთვლემია, ხოლო როცა გაუღვიძია, შვილიშვილი ველარ უპოვია. არც ბებია და არც დედა არ აღელვებულან — მათ იფიქრეს, რომ გოგონა მამამ წაიყვანა და მთელი ოთხი დღე ბავშვი არავის უძებნია. მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, როცა კარინას მამამ სახლში შეიარა, გაირკვა, რომ უბედურება დატრიალებულა. მაშინ დაიწყეს ბავშვის ძებნაც.

ტაიგას უპილოტო საფრენი აპარატებით, უამრავი ფეხით მოსიარულე მაშველით უვლიდნენ გარს. მეხუთე დღეს სოფელში დაბრუნდა მშიერი და დაუძლურებული ძაღლი, რომელიც გოგონას ახლდა თან. ძაღლთან ერთად გააგრძელეს მაშველებმა ძიება და ბავშვის კვალს მეექვსე დღეს მიაგნეს, მაგრამ გოგონას პოვნას კიდევ ოთხი დღე დასჭირდა.



## პანდა თავს მაკედ ასაღებდა

**ჩინეთის ქალაქ ჩენდუს ზოოპარკში ექვსი წლის პანდა აი ჰინი მაკედ ყოფნის ყველა ნიშანს ამჟღავნებდა (უმადობა, გადაადგილების შემცირება) და ზოოპარკის თანამშრომლებმა ჩათვალეს, რომ ის დამაკდა, მაგრამ გამოკვლევამ საპირისპირო აჩვენა.** აღმოჩნდა, რომ პანდა მაკეს როლს თამაშობდა, რათა ამ მდგომარეობაში მყოფი ცხოველებისთვის დაწესებული შეღავათები — კონდიცირებული ვოლიერი, მეტი ბამბუკი და ფუნთუშა, უკეთესი მოვლა მიეღო, რაც მიიღო კიდეც, მაგრამ გამოკვლევის პასუხების მიღების შემდეგ ის საერთო ვოლიერში დააბრუნეს. ზოოპარკის თანამშრომლები ამბობენ, რომ ველურ ბუნებაში მსგავსი რამ იშვიათი არაა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უჩვეულო სამხედრო ფორმები

**სამხედროების ფორმა სასაცილო ნამდვილად არ არის, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო სამსახურში მყოფი მამაკაცებისა და ქალების ფორმამ შეიძლება ინტერესი, ღიმილი, გაოცება და ზოგჯერ გულწრფელი სიცილიც კი გამოიწვიოს. აი, როგორი სამოსით ასრულებენ საბრძოლო დავალებებს და როგორ გამოდიან აღლუმებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები.**


იტალია


საბერძნეთი


ტაილანდი


საფრანგეთი


ფიჯი


ინდოეთი


ირანი


პერუ


კოტ დ'ივუარი


ლიბანი


სამხრეთ კორეა

# ჩვენ რომ გაპატიოთ, ღმერთი გაპატიებთ?

**1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის შესახებ ბევრი დაიწერა, იწერება და მომავალშიც დაიწერება. იგი ამოუწურავი თემაა, მაგრამ ამ წერილში სულ სხვა საკითხს გვინდა მივაპყროთ საზოგადოებისა და მთავრობის ყურადღება. საქმე ეხება დიდი სამამულო ომის ვეტერანებისადმი მთავრობების დამოკიდებულებას, ვეტერანებისადმი, რომელთა მხრებზეც გადაიარა ომის მთელმა სიმძიმემ და რომლებიც ღვთის წყალობით დღეს ცოცხლები არიან.**



ომში ხომ ყველა არ იღუპება? ომის დროს საქართველოდან სამშობლოს დასაცავად ჯარში გაწვეული იმ 700 ათასი ადამიანიდან თითქმის ნახევარი დაიღუპა. დღეისათვის ცოცხალი მხოლოდ 2 ათას კაცამდეა, მათგან ქ. თბილისში 600 ვეტერანი შემორჩა. იმ ომის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე დღეს 89 წლისაა, დანარჩენები კი 90 წელს გადაცილებულნი არიან.

როგორია სამშობლოს წინაშე დამსახურებული და ვალმოხდილი ასაკოვანი ადამიანებისადმი ქვეყნის მთავრობების მხრივ გამოჩენილი ყურადღება? პირდაპირ ვიტყვით, რომ **მეორე მსოფლიო ომის მონაწილე არც ერთ ქვეყანაში ომის ვეტერანები ისე უყურადღებოდ მიტოვებულნი და შეურაცხყოფილნი არ არიან, როგორც საქართველოში.**

90-იან წლების მიწურულს მთავრობამ დაიწყო მის მიერ მიღებული შეღავათების გაუქმება. დაიწყო იგი ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათის გაუქმებით. აქედან დაიწყო ომის ვეტერანების ტანჯვა-წამება სამართლის ძიებაში, სასამართლოებში ხეტიალი (კარგად მოგეხსენებათ იმდროინდელი სასამართლოების საქმიანობის მანკიერი სტილი), საქმე საკონსტიტუციო სასამართლომდეც მივიდა და როგორც იქნა, 2,5 წლის ბრძოლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის გადაწყვეტილება ომის ვეტერანებისთვის ელექტროენერგიაზე შეღავათის გაუქმების თაობაზე ბათილად ცნო. მთავრობამ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს განჩინება სრულად მაინც არ შეასრულა და ვეტერანებს შუქზე შეღავათი დიდი შეზღუდვით აღუდგინეს.

შევარდნაძის შემდეგ ხელისუფლებაში ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, პარანოიკი სააკაშვილის მოსვლის შედეგად ომის ვეტერანებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად გაუარესდა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ომის ვეტერანებს თითქმის ყველა შეღავათი გაუუქმა.

**„ნაციონალების“ ფაშისტური მთავრობა 2012 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად „ქართული ოცნების“ მთავრობამ შეცვალა, რომლის დიდი იმედი ჰქონდათ ვეტერანებს, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! „ოცნების“ მთავრობამ ომის ვეტერანებთან დამოკიდებულებაში „ნაციონალების“ დაწყებული საქმე პირდაპირ გააგრძელა მეტიც, დიდი სამამულო ომის მონაწილე რიგით მებრძოლებს და უმცროს მეთაურთა შემადგენლობას ომში მონაწილეობის პენსია მოუხსნა და დღეს იმ საშინელი ომის მონაწილეთ პენსია ჩვეულებრივ 150 ლარი აქვთ.**

„ნაციონალების“ მთავრობის ხრიკებით დაიწყო ამ ხანდაზმული ომის ვეტერანების სასამართლოებზე ხეტიალი. ვეტერანთაგან ვინც შეძლო სასამართლო მარათონის გაძლება, მათ ომის მონაწილეობის პენსია დაენიშნათ, ხოლო ვეტერანთა ძალიან დიდი ნაწილი პენსიის გარეშე დარჩა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, სისხლით მოპოვებულ კანონიერ პენსიას ვერ ეღირსა. აი, ასე სადისტურად მოექცნენ წინა და დღევანდელი მთავრობები ომის ვეტერანებს პენსიების დანიშვნისა და სხვა საკითხებში. სამწუხაროდ, პენსიასთან დაკავშირებით ეს „ჩეხარდა“ დღემდე გრძელდება.

**ომის ვეტერანებისადმი არაადამიანური მოპყრობისა და აბუჩად აგდების ნიმუშია ე.წ. ვეტერანთა საავადმყოფო, რომელშიც ომგადახდილი ასაკოვანი ავადმყოფები ყოვლად დაუშვებელ პირობებში გადიან მკურნალობის კურსს.**

**მეორე მთავარი საკითხი, რომლითაც დიდი სამამულო ომის მონაწილეებს უდიდესი შეურაცხყოფა და მოუშუშებელი გულისტკივილი მოგვაყენეს მსოფლიო ცივილიზაციისა და ჩვენი ქვეყნის ფაშისტური გერმანიის მონობისგან გადამრჩენის, დიდი სტალინის ლანძღვა-გინებაში გამოიხატება, მისი ძეგლებისა და სამამულო ომის მონაწილეთა მემორიალების ნგრევაში.**

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ომს ჰყავდა თავისი მხედართმთავარი, რომელიც წარმატებით თუ წარუმატებლად წარმართავდა საომარ ოპერაციას, წყვეტდა ომის ბედს. ამდენად, ომში წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე მსჯელობენ მის მხედართმთავართან ერთად. არ შეიძლება არ ახსენო ალექსანდრე მაკედონელი, მის მიერ გადახდილ ომებზე საუბრისას. ასევე, არ შეიძლება ისაუბრო ნაპოლეონის გარეშე მის მიერ წარმოებულ საომარ ოპერაციებზე; ანდა შეიძლება ვისაუბროთ 1812 წლის რუსეთის პირველ სამამულო ომზე და არ ვახსენოთ კუტუზოვი? ზუსტად ასევე არ შეიძლება ვისაუბროთ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომზე და ამ ომში გამარჯვებაზე ისე, რომ არ ვახსენოთ ამ გამარჯვების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი, გენერალისიმუსი დიდი სტალინი. მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ამ ომმა, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, სამყარო გადაარჩინა გერმანული ფაშიზმის მონობას, განადგურებიდან იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია და ა. შ. განა ნონსენსი არ არის, როდესაც გამარჯვების დღეს ჩვენთან — საქართველოში დიდი სტალინის სახელს არ ახსენებენ, რომელმაც შეძლო მსოფლიოში უძლიერესი ფაშისტური გერმანიის დაუმარცხებელი არმიის მისივე ტერიტორიაზე სასტიკად განადგურება?! **მკრეხელობა და სასაცილო არ არის, როდესაც ისეთ გენიოს ადამიანს, როგორიც დიდი სტალინი იყო, ვიღაც კაცუნები სააკაშვილი და მისი ამქრები — ბარამიძეები, ბოკერიები, ბერძენიშვილები, წიკლაურები, ჩერგოლეიშვილები, თორთლაძეები, ვაშაძეები და მათი მსგავსნი აკრიტიკებენ და შეურაცხყოფას აყენებენ? დასაგმობია ის ამბავი, რომ დიდ სამამულო ომზე და სტალინზე ინსინუაციები და ათასგვარი ჭორები ვრცელდება მაშინ, როდესაც იმ ომის უშუალო მონაწილეები ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ. თუ ამათი ბოგინი ამ ქვეყანაზე კიდევ გაგრძელდა და არ აილაგმნენ, წარმოიდგინეთ, რა იქნება მაშინ, როცა ჩვენ, იმ ისტორიის უშუალო მონაწილენი, ამქვეყნად არ ვიქნებით.** ეს შეუგნებელი ადამიანები არ უკვირდებიან იმას, რომ, როცა სტალინის პიროვნებას ლანძღავენ, ამით შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოდან იმ ომში წარგზავნილ და გმირულ ბრძოლებში დაღუპულ ასიათასობით ადამიანის ნათელ ხსოვნას. ამასთანავე, შეურაცხგვყოფენ ჩვენ, იმ ომის უშუალო მონაწილეებს, და, რაც ყურადსაღებია, ამით გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ მომავალი თაობის სამშობლოს სიყვარულით და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. სტალინის პიროვნება ამ უგნური ადამიანების რა შესაფასებელია, როცა მისი როლი მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენაში ბრწყინვალედ შეაფასეს მსოფლიოს გამოჩენილმა ადამიანებმა, მათ შორის მისმა მტრებმაც კი.

დღეს, როდესაც „ნაციონალების“ მიერ ისედაც დანგრეული ქვეყანა თავზე გვენგრევა, ადამიანების უმრავლესობა გაუსაძლის სიღატაკეში ცხოვრობს, საქართველოს პარლამენტმა, თითქოს სხვა საქმე არაფერი ჰქონდეს, სამსჯელოდ გახადა სტალინის ძეგლების აღდგენა-არაღდგენის საკითხი, გულის ამრევი იყო ზოგიერთი პარლამენტარის მიერ სტალინის მიმართ ზიზღითა და სიძულვილით გაჯერებული ლანძღვა-გინების გადმონთხევა და ყოველივე ამის ყურება. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებსაც არც განათლება და კულტურა გააჩნიათ, ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის სასარგებლო არაფერი შეუქმნიათ და მხოლოდ მომხმარებლები და პარაზიტები არიან.

**მომავალი დაადასტურებს, რომ დიდი სტალინის პიროვნების ლანძღვა-გინება, სამამულო ომის გმირი მებრძოლების შეუფასებლობა და შეურაცხყოფა არამარტო დიდი შეცდომაა, არამედ დიდი ცოდვაც, რომელსაც მომავალი თაობები არ გვაპატიებს.**

დასასრულ, ერთი ფაქტის შესახებ: 1945 წლის მაისში გერმანიის ქალაქ ბუნცალაუს აღების შემდეგ ერთ-ერთი ჩვენგანი მოხვდა იმ ოთახში, სადაც 1812 წელს რუსეთის არმიის მთავარსარდალი კუტუზოვი ავადმყოფი იწვა და მკურნალობდა. გიდის გადმოცემით, კუტუზოვი სწორედ იმ პატარა ოთახში მოინახულა რუსეთის მეფემ ალექსანდრე პირველმა, რომელმაც გამომშვიდობებისას კუტუზოვს პატიება სთხოვა. კუტუზოვმა თურმე უპასუხა: — მე რომ გაპატიო, რუსეთი გაპატიებს? ეს წერილი მეფე ალექსანდრე პირველისადმი კუტუზოვის პასუხის პერიფრაზით გვინდა დავამთავროთ: ყველა ის გულისტკივილი, რომლებიც იმ ომის მონაწილე ვეტერანებს მოგვაყენეთ, ჩვენ რომ გაპატიოთ, ღმერთი გაპატიებთ?

**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის ვეტერანი, პროფესორი;**
**მოსე მდინარაძე,**
**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: ალმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## გახდომა უმადობით



წლებია, ვებრძვი სიმსუქნეს. დიაბეტმა დამინგრია ჯანმრთელობა, ნერვები, გავხდი დეპრესიული, საკუთარ თავს ვეღარ ვიტანდი. ერთ საღამოს ტელეეთერში მოვისმინე სტუმრად მიწვეული ქალბატონის საუბარი ხალხურ მედიცინაზე. მან ყურადღება გაამახვილა თავის წიგნში — „მედეადან დღემდე“ თავმოყრილ უამრავ ხალხურ რეცეპტზე, მათ შორის კენკრაზე დამზადებულ გასახდომ ნაყენზე. მეც დავინტერესდი და დავუკავშირდი ქ-ნ ნუნუს. სწორედ მის მიერ დამზადებულმა ნაყენმა დააოკა ჩემი მადა, მომიწესრიგა ნივთიერებათა ცვლა და ჯანმრთელობის სხვა პრობლემები, კერძოდ, საშვილოსნოს მიომა და მკერდზე კვანძი.

აღმოჩნდა, რომ ქალბატონ ნუნუს ჩემსავით უამრავი ადამიანისთვის დაუბრუნებია მოხდენილობა, სიცოცხლის ხალისი, ჯანმრთელობა და შარმი. ორი თვე ვსვი ეს საოცარი სითხე და 23კგ დავიკელი, ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე. მადლობა ქ-ნ ნუნუს!

პატივისცემით, ლელა შ.

**ქალბატონ ნუნუს დაუკავშირდით**
**ტელ.: 2-93-47-51; 599-25-11-58**

## სიმაღლის მატების სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: ალმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009